მორის მეტერლინკი

სიბრძნე და ბედისწერა

ფრანგულიდან თარგმნა
დათო აკრიანმა

Maurice Maeterlinck
La Sagesse et La Destinée
Traduit du français par David Akriani

© Nectar Publishing pour la traduction

ISBN 99940-0-693-2

The publication was sponsored by the foundation "Raum für Kultur".

უნდა ვეძებოთ ყვავილი,
მდუმარებაში რომ გაიშლება
ქარიშხლის შემდეგ, არა მანამდე.

ინდური სიბრძნე

მადამ ჟორჟეტ ლეგლანკს

გიძღვნით წიგნს, რომელიც, ასე ვთქვათ, თქვენივე შექმნილია. არსებობს კალმის თანამშრომლობაზე უფრო მალალი და უფრო რეალური — აზრის და მაგალითის -- თანამშრომლობა. ალბათ, არ მმართებდა ამ სამძიმო საქმის კეთება: იდეალური ბრძენის გადაწყვეტილებების და მოქმედებების წარმოსახვა ან კიდევ, მშვენიერი ოცნების ბუნდოვანი არსის ამოქაჩვა ჩემივე გულიდან. საკმარისი იყო, თქვენი სიტყვებისთვის მესმინა; საკმარისი იყო, ჩემი მზერა ყველგან ყურადღებით გამოგყოლოდათ, ანუ დაკვირვებოდა თქვენს ჟესტებს, მოძრაობებს, ბრძნულ ჩვეულებებს...

მეტერლინკი

I

ამ წიგნში ხშირად შევეხებით ისეთ საგნებს, როგორიცაა სიბრძნე, ფატალობა, სამართლიანობა, ბედნიერება და სიყვარული. თითქოს ერთგვარ ირონიად ეღერს ილაპარაკო ბედნიერებაზე, ძლივსღა რომ მოჩანს ამდენ მეტისმეტად რეალურ უბედურებაში; ილაპარაკო სამართლიანობაზე — ეგებ იდეალურზეც კი — შუაგულ და ვაი რომ მეტისმეტად ხელშესახებ უსამართლობაში; სიყვარულზე, რომელიც არცთუ იოლად მოსახელთებელია სავსებით თვალშისაცემ სიძულვილსა და გულგრილობაში... თითქოს უკვე იმის დროც აღარ არის, რომ ადამიანთა გულის ფარულ ნაოჭებში სურვილისამებრ ვეძებოთ რაიმე მოტივი ნდობისა თუ სიმშვიდისათვის, რაიმე მიზეზი მადლიერებისა და აღტაცებისთვის მაშინ, როცა კაცობრიობის უდიდეს ნაწილს, რომლის სახელითაც თავს უფლებას ვაძლევთ ხმა ავიმაღლოთ და რომელიც შორს არის იმისგან, რომ დაეწაფოს ნყურვილმოკლული მოაზროვნის მიერ განდიდებულ, თუმცა კი ესოდენ ძნელად მოპოვებულ შინაგან სიხარულებსა და სიღრმისეულ ნუგეშებს, — ამ კაცობრიობას არც თვითრწმენა ჰყოფნის და არც დრო, რომ ბოლომდე გამოცალოს ცხოვრებისეულ უსიამოვნებათა და მწუხარებათა თასი.

მორალისტებს და, მათ შორის, ეპიქტეტეს საყვედურობენ: ყოველთვის მხოლოდ ბრძენი ადამიანი და სიბრძნე აინტერესებთო. როგორც თითქმის ყველა სხვა საყვედურში, ამაშიც არის გარკვეული სიმართლე. არსებითად, თუ გვეყოფა გაბედულება ვუსმინოთ მხოლოდ საკუთარი სინდისის უმარტივეს, უახლოეს და ყველაზე დაჟინებულ ხმას, მაშინ ჩვენი ერთადერთი ეჭვმიუტანელი ვალი ის იქნება, რომ შეძლებისდაგვარად მეტი ტანჯვა ჩავაცხროთ შეძლები-

სდაგვარად ფართო არეალში. უნდა გავმხდარიყავით სანიტარი, ღატაკთა განმკითხველი, მწუხარეთა მანუგეშებელი, სანიმუშო ქარხანა-ფაბრიკების დამფუძნებელი, ექიმი, მუშა, რა ვიცი... ყოველ შემთხვევაში, ლაბორატორიაში მომუშავე მეცნიერისა არ იყოს, მხოლოდ ის უნდა გვექნა, რომ ბუნებისთვის ყველაზე აუცილებელი საიდუმლოები „გამოგვეგლიჯა". ეგაა, სამყარო, სადაც ადამიანები ერთ რომელიღაც მომენტში მხოლოდ ერთმანეთის შენევნა-დახმარებაში იქნებოდნენ, ამ ქველმოქმედ შრომაში დიდხანს მაინც ვერ დარჩებოდა, თუკი სხვა საქმიანობისთვის აუცილებელ მოცალეობასაც ამგვარ ქველმოქმედებას უმსხვერპლებდა. მხოლოდ ერთი შეხედვით გამოუსადეგარ ადამიანთა წყალობით თუ იარსებებს უეჭველად გამოსადეგ ადამიანთა გარკვეული სიმრავლე. ჩვენ ირგვლივ ამჟამად შექმნილი სიკეთის საუკეთესო ნაწილი თავდაპირველად ჯერ ერთ-ერთი იმათგანის სულში იბადება, რომლებიც, შესაძლოა, უგულებელყოფენ კიდეც არაერთ უშუალო ვალდებულებას, რათა იაზროვნონ, საკუთარ თავში ჩაბრუნდნენ და ილაპარაკონ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მათ გააკეთეს საუკეთესო, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა? ვინ გაბედავს და ვინ გასცემს პასუხს ამ კითხვაზე? ყოველივე საუკეთესო, რაც შეიძლება რომ გაკეთდეს, თვინიერი და კეთილსინდისიერი ანუ *სათანადო* სულის ყველაზე უბრალო და უახლოესი ვალია, თუმცა ამის გამო მაინც ნაკლებად დასანანი არ არის, რომ ყველა ყოველთვის მხოლოდ უახლოეს მოვალეობაზე ზრუნავდა. ყველა ეპოქაში არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ლოიალურად ეფიქრათ, რომ მოცემული მომენტის ყველა მოვალეობას მომდევნო მომენტის მოვალეობებზე ფიქრით ასრულებდნენ. მოაზროვნეთა დიდი ნაწილი ხალისით ამტკიცებს, რომ ასეთი ადამიანები არ ცდებიან. კარგია, როცა

მოაზროვნე რამეს ამტკიცებს. ისიც სიმართლეა, რომ სიბრძნე ზოგჯერ სწორედ იმას უპირისპირდება, რასაც ბრძენთაბრძენი ამტკიცებს ხოლმე. მერედა რა? ამას ხომ მისი მტკიცების გარეშე ვერ შევამჩნევდით. ამით ბრძენიც თავის მოვალეობას ასრულებს.

II

დღეს უბედურება კაცობრიობის ისეთივე სნეულებაა, როგორც სნეულებაა ადამიანის უბედურება. სნეულებისთვის არსებობს ნამლები, უნდა არსებობდეს ნამლები ადამიანთა უბედურებისთვისაც. მაგრამ ნუთუ იქიდან, რომ სნეული მდგომარეობა მეტისმეტად გავრცელებულია, გამომდინარეობს, რომ არასოდეს არ უნდა მივხედოთ ჯანმრთელობას? და რომ იმან, ვინც, მაგალითად, ანატომიას — მორალთან ყველაზე უფრო უშუალოდ დაკავშირებულ ფიზიკურ მეცნიერებას — სწავლობს, ანგარიში მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ორგანიზმის მეტნაკლებად საერთო დაქვეითებისგან წარმოქმნილ დეფორმაციებს უნდა გაუწიოს? მნიშვნელოვანია, რომ ანატომიის შემსწავლელი ადამიანი ჯანმრთელი და კარგად აღნაგი სხეულიდან ამოვიდეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მორალისტი, რომელსაც ანმყოდან ხედვა სურს, ან ბედნიერი სულიდან უნდა ამოვიდეს ან, სულ ცოტა, იმისგან, ვისაც ხელთა აქვს ყოველივე (საკმარის შეგნებასთან ერთად), რაც საჭიროა ბედნიერებისთვის.

ჩვენ დიდ უსამართლობაში ვცხოვრობთ, მაგრამ, მე მგონი, ზოგჯერ გულგრილობა ან დაუნდობლობა კი არ გვალაპარაკებს ისე, თითქოს ეს უსამართლობა აღარ არსებობდეს, — უბრალოდ, უამისოდ ვერასოდეს გამოვალთ მისივე მანკიერი წრიდან.

საჭიროა, რომ ზოგიერთმა მაინც იფიქროს,

ილაპარაკოს და იმოქმედოს ისე, თითქოს ყველა ბედნიერი იყო. თუ არადა, რომელ სამართალს, რომელ სიყვარულს, რომელ მშვენიერებას იპოვიან ყველა დანარჩენები იმ დღეს, როდესაც ბედისწერა საჯაროდ გააღებს აღთქმული მიწის წალკოტებს? მართალია, ისიც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეგებ ჯერ „შეძლებისდაგვარად სწრაფად“ გვევლო. მაგრამ ასე სვლა ყოველთვის უბრძნესი გადაწყვეტილება არ გახლავთ. ხშირად უფრო მეტად ფასობს სწრაფი სვლა „შეძლებისდაგვარად მაღლა“. თუ ჰოლანდიელი გლეხის საბინადროს წყლები დატბორავს, მისთვის ყველაზე გადაუდებლად გასაკეთებელი საქმე საქონლის, საკვებისა და ავეჯის გადარჩენა იქნება, ყველაზე ბრძნული კი — კაშხლის თავზე დადგომა, წყლის სტიქიასთან შებრძოლება და იქ მოხმობა ყველასი, ვინც კი მიმდებარე მიწებზე ცხოვრობს.

აქამდე კაცობრიობა ჰგავდა ავადმყოფს, რომელიც საწოლში წრიალებს და ვერ მოუსვენია. მიუხედავად ამისა, ერთადერთი ნამდვილად მანუგეშებელი სიტყვები მას იმათგან ესმოდა, ვინც ისე ელაპარაკებოდა, როგორც იმთავითვე ჯანმრთელს. ეს იმიტომ, რომ კაცობრიობა ისევეა გაჩენილი ბედნიერებისთვის, როგორც კაცი — ჯანმრთელად ყოფნისთვის. და როცა მას თავის უბედურებაზე ელაპარაკებიან კიდევ უფრო უნივერსალური და უფრო მუდმივი უბედურების წიაღში, ამას ისეთი სახით შვრებიან, თითქოს მხოლოდ შემთხვევით და დროებით სიტყვებს ეუბნებოდნენ. არაფერია უადგილო იმაში, რომ კაცობრიობას ისე მივმართოთ, თითქოს გამუდმებით იმყოფებოდეს დიდი ბედნიერების თუ დიდი გარკვეულობის წინკარში. ის ხომ ნამდვილად იმყოფება იქ თავისი ინსტინქტით, მაგრამ ვერასოდეს ვერ ლახავს ზღურბლს. ურიგო არ იქნება გვწამდეს, რომ კიდევ ცოტაოდენი აზრი,

ცოტაოდენი გამბედაობა, ცოტაოდენი სიყვარული, ცოტაოდენი ცნობისწადილი, ცოტაოდენი სიცოცხლის გზნება საკმარისი იქნებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღესაც სიხარულისა და ჭეშმარიტების კარიბჭე შეგვეღო. ეს სულაც არ არის წარმოუდგენელი. შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ერთ დილას ყველა ბედნიერი და გონიერი გამოიღვიძებს. და თუ ეს დილა არ მოდის, მისი ლოდინი მაინც არავის ჩაეთვლება კრიმინალურ საქმედ.

ყველა შემთხვევაში, სასარგებლოა ბედნიერებაზე საუბარი უბედურებთან, რომ მათაც შეიცნონ მისი არსი. მათ ხომ ბედნიერება უჩვეულო და თითქმის მიუწვდომელ რამედ წარმოუდგენიათ! მაგრამ ისეთები, ვისაც თავი ბედნიერი ჰგონია, მარტივად რომ გამოთქვამდნენ თავიანთი კმაყოფილების მოტივებს, დავინახავდით, რომ მანძილს სევდიდან სიხარულამდე მუდამ განაპირობებს მხოლოდ სხვაობა უფრო მომღიმარე, უფრო ნათელ მიღებასა და მტრულ-პირქუშ დამონებას შორის; ჰარმონიულ-ფართო გაგებასა და ვიწრო-გაჯიუტებულ გაგებას შორის. და მაშინ ისინი შესძახებდნენ: „სულ ესაა? მაშ, ჩვენს გულებშიც მოიპოვება ბედნიერების მარცვლები!" რა თქმა უნდა, მოიპოვება. ფიზიკური ხასიათის დიდ უბედურებათა გამოკლებით, ისინი ყველას მოეპოვება. ოღონდ ნურასოდეს ახსენებთ ამ ბედნიერებას ზიზღით! სხვაგვარი ბედნიერება მაინც არ არსებობს. ადამიანთა შორის ყველაზე ბედნიერი ის არის, ვინც თავის ბედნიერებას ყველაზე უკეთ იცნობს. ხოლო ასეთებმა ისიც იციან, რომ ბედნიერებას მწუხარებისგან მხოლოდ მაღალი, დაუღალავი, გაბედულ-ადამიანური იდეა მიჯნავს.

შეძლებისდაგვარად ხშირი საუბარი ამ იდეაზე, — აი, რა არის ადამიანისთვის მარგებელი. თავს კი არ უნდა მოვახვიოთ იდეა, რომელიც უკვე გვაქვს,

არამედ იმათ გულებში, ვინც ჩვენ გვისმენს, ნელ-ნელა ჩავსახოთ სურვილი, რომ, თავის მხრივ, მათაც ჰქონდეთ მსგავსი იდეა. ეს უკანასკნელი თითოეული ჩვენგანისთვის სხვადასხვაა. თქვენი იდეა ჩემთვის შეუფერებელია და, გთხოვთ, ნუ მიკიჟინებთ მთელი თქვენი მჭევრმეტყველებით: ის ჩემი სიცოცხლის ფარულ ორგანოებს ვერა და ვერ მიწვდება. ჩემი იდეა თვითონვე უნდა მოვიძიო საკუთარ თავში. მაგრამ თქვენს იდეაზე საუბრით უნებლიეთ დამეხმარებით ჩემი იდეის ჩამოყალიბებაში. შესაძლოა, იმან, რაც თქვენ გადარდიანებთ, მე მანუგეშოს, ხოლო იმან, რაც გეხმარებათ, გული გამიტეხოს. ეს ბევრს არაფერს ნიშნავს: ის, რაც მშვენიერია თქვენს მანუგეშებელ ხილვაში, ჩემს დაღონებაშიც შეაღწევს, ხოლო ის, რაც თქვენს სევდაში დიდებულია, ჩემს სიხარულშიც გადავა, თუკი ეს უკანასკნელი თქვენი სევდის ღირსია. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ჩვენი სულის ზედაპირზე მომზადდეს გარკვეული სიმაღლე, რომელმაც ეს იდეა უნდა მიიღოს. ასე ათავისუფლებდნენ ძველი რელიგიების მღვდელმსახურნი მთის წვერს ყოველგვარი ეკალ-ბარდისგან, რათა იქ ცის ცეცხლი მიეღოთ. შეუძლებელი არ არის, რომ ხვალ მარსიდან გამოგვიგზავნონ საბოლოო იდეა სამყაროს აგებულებისა და მიზნის შესახებ, გამოგვიგზავნონ ბედნიერების ფორმულა. ეს მაინც ვერაფერს შეცვლის, ვერანაირად ვერ გააუმჯობესებს ჩვენს შინაგან ცხოვრებას, თუ უკვე დიდი ხანია მთელი არსებით არ გვსურს და არ ველით ამ გაუმჯობესებას. თითოეული ჩვენგანი მხოლოდ იმდენად ისარგებლებს და იხარებს ამ ფორმულით, თუნდაც თავისთავად უცვლელით, რამდენადაც უფრო უანგარო, განწმენდილ, ყურადღებიან და უკვე განათებულ შინაგან სივრცეს დაახვედრებს. სამართლიანობისა და ბედნიერების მთელი მორალი და მეცნიერება სხვა

არაფერია, თუ არა შეძლებისდაგვარად დიდი, ნაცადი, გულითადი მოლოდინი და მზადება. რაღა თქმა უნდა, სხვა ყველაფერთან ერთად, ველოდებით დღეს, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, გარკვეულობაში ანუ მეცნიერულად ზუსტ, ტოტალურ, ურყევ ჭეშმარიტებაში შევაბიჯებთ. მაგრამ ამ მოლოდინის დროს ჩვენ გვენიჭება კიდეე უფრო მნიშვნელოვან ჭეშმარიტებაში — ჩვენი სულისა და ჩვენი ხასიათის ჭეშმარიტებაში — შეღწევის უნარი. და ზოგიერთმა ბრძენმა ისიც დაგვიმტკიცა, რომ ასეთი ცხოვრება შესაძლებელი ყოფილა თვით უდიდეს მატერიალურ ცდომილებათა გარემოცვაშიც კი.

III

ამაოა თუ არა ზნეობაზე, სამართალზე, ბედნიერებაზე და ყოველივე ამდაგვარზე საუბარი მანამდე, ვიდრე მეცნიერება თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყოდეს, სიტყვას, რომელმაც შეიძლება ყველაფერი გადაატრიალოს? შესაძლოა, ჩვენ დროებით ნყვდიადში ვიმყოფებით, ნყვდიადში კი ბევრი რამ ისე არ ხდება, როგორც დღის სინათლეზე მოხდებოდა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ფიზიკური და სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები ისევე უცილობლად და დასრულებულად ხდება ნყვდიადში, როგორც სინათლეში. მუდამ საიდუმლო სიტყვის მოლოდინში უნდა ვიყოთ. მხოლოდ ასე თუ ვიცხოვრებთ ყველაზე ბედნიერად, ყველაზე კეთილშობილად და ყველაზე ძალუმად, მხოლოდ ასე თუ გვექნება ყველაზე მეტი გაბედულება, დამოუკიდებლობა და ნათელხილვა, რათა ველტვოდეთ და ვეძიებდეთ ჭეშმარიტებას. რაც უნდა იყოს, საკუთარი თავის შესწავლაში დახარჯული დრო არასოდეს იქნება დაკარგული. როგორ მიმართე-

ბაშიც უნდა მოვიდეთ ერთ მშვენიერ დღეს ამ სამყაროსთან, რომლის ნანილსაც ჩვენვე შევადგენთ, მაინც ყოველთვის დარჩება უფრო მეტი განცდა, მისწრაფება თუ საიდუმლო (ადამიანის სულისთვის უცვლელი), ვიდრე დედამინასთან დაკავშირებული ვარსკვლავები ან მეცნიერების მიერ გაშუქებული საიდუმლოებია. ყველაზე უფრო უცილობელი და ღრმადმიმავალი ჭეშმარიტების ნიაღში ადამიანი, ალბათ, გაიზრდება, მაგრამ გაიზრდება სწორედაც ადამიანური სულის უცვლელი მმართველობის ქვეშ. და შეგვიძლია დავძინოთ, რომ რაც უფრო ძლიერი და მანუგეშებელი იქნება უნივერსალური გარკვეულობა, მით ყველას თვალში უფრო მეტად მიენიჭება სამართლიანობასთან, ზნეობასთან, ბედნიერებასთან თუ სიყვარულთან დაკავშირებულ საკითხებს დომინანტური და მომხიბლავი ასპექტი, — ასპექტი, რომლითაც ეს საკითხები მუდამ ევლინებოდნენ მოაზროვნის მზერას.

ისე უნდა ვიცხოვროთ, თითქოს გამუდმებით ვდგავართ დიდი აღმოჩენის ზღურბლზე. უნდა ვემზადოთ მის მისაღებად იმდენად სრულად, ისეთი გზნებითა და განსულიერებით, რამდენადაც კი ძალგვიძს. და რა ფორმითაც არ უნდა მოგვევლინოს, მისი მიღების საუკეთესო მანერა ის იქნება, რომ *დღეიდანვე* ველოდოთ, ველოდოთ ისეთ ვრცელს, მაღალს, სრულყოფილს, გამაკეთილშობილებელს, როგორადაც წარმოდგენაში მოგვეცა. ამ აღმოჩენას ჩვენ ვერ მივანერთ საკმარის სისავსეს, სილამაზეს თუ დიდებულებას. უეჭველია, ის ჩვენს საუკეთესო იმედებსაც გადააჭარბებს, რადგან თუ მათგან განსხვავდება და, ეგების, უპირისპირდება კიდეც, მაშინ თვით იმ ფაქტით, რომ ჭეშმარიტებას მოგვიტანს, — მოგვიტანს აგრეთვე რაღაც ყველაზე დიდს, ყველაზე მაღალს, ადამიანური ბუნების ყველაზე მეტად შე-

სატყვისსაც იმასთან შედარებით, რასაც მანამდე ველოდით. ყველაფერი რომ დაკარგოს, რაც მანამდე აღაფრთოვანებდა, ამჯერად ადამიანის აღტაცების საგანი უკვე თვით სამყაროს დაფარული ჭეშმარიტება იქნება. ანუ მისი გაცხადების დღეს გაიფანტება ჩვენი იმედების ყველაზე უფრო მოკრძალებული ნაცარი, ყველა შემთხვევაში დაგვრჩება სამზადისი *განსაცვიფრებელთან* შესახვედრად და ისიც მეტ-ნაკლებად უხვ ნაკადებად შემოგვეღვრება სულში ჩვენივე მოლოდინით გათხრილი კალაპოტის სიღრმე-სიგანისდა მიხედვით.

IV

აუცილებელია თუ არა, რომ ჩვენს თავს სამყაროზე მაღლა ვაყენებდეთ? — ამაოდ ვეცდებოდით განსჯას. მთელი ჩვენი გონება სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა ბუნების ერთი მოცრიატე სხივი, უმნიშვნელო ნანილი *მთლიანისა*, რომლის განსჯა-განკითხვის უფლება ამ სუსტმა სხივმა მიისაკუთრა. და ნუთუ თავისი მოვალეობის აღსასრულებლად სხივმა მისივე მშობელი ლამპრის გადასხვაფერება უნდა ისურვოს?

ჩვენი არსების მწვერვალი, რომლიდანაც ცხოვრების, როგორც ასეთის, გამართლება ან შერისხვა ჩაგვესმის, აშკარად სხვა არაფერია, თუ არა უსნორმასნორობა, რომელსაც მხოლოდ ჩვენივე თვალი ამჩნევს ცხოვრების უკიდეგანო სფეროზე. გონივრულია ისე ფიქრი და მოქმედება, თითქოს ყველაფერი, რაც კაცობრიობას ემართება, არსებითად, გარდაუვალი იყო. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ (თუ მხოლოდ ერთს დავასახელებთ იმ პრობლემათაგან, რომლის გადასაჭრასაც ინსტინქტურად ცდილობს ჩვენი პლანეტა), რაც, ვგონებ, ევრო-

პელ მოაზროვნეებს სთხოვეს განესაზღვრათ, ბედნიერებად მიჩნეულიყო თუ უბედურებად გაქრობა ან აღზევება ისეთი ენერგიული, შეუპოვარი და ძალუმი რასისა, როგორიცაა ებრაელთა მოდგმა, რომელიც ჩვენ, განსხვავებულ არიელთ, ძალზე ბრმად მიღებულ აზრობრივ აკვიატებათა საფუძველზე, სულით თუ გულით ჩვენზე უფრო დაბლამდგომად გვესახება. დარნმუნებული ვარ, ყოვლად მიუღებელი რეზინაციისა და განურჩევლობის გამორიცხვით, ბრძენის პასუხი ასეთი იქნებოდა: „ბედნიერება ის იქნება, რაც საბოლოოდ მოხდება". ხშირად მიმდინარე მოვლენებში უსამართლობას ვხედავთ. მაგრამ რა მოიმოქმედა ადამიანურმა გონებამ დღემდე იმაზე უფრო სასარგებლო, ვიდრე ის, რომ იპოვა ბუნების უსამართლობაზე აღმატებული აზრი? ყველაფერი, რასაც ვეყრდნობით და რაც გვეხმარება როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ ცხოვრებაში, გამომდინარეობს უცნობი ძალის ნელი და თანდათანობითი გამართლებიდან, ძალის, მანამდე რომ შეუბრალებელი გვეგონა. თუ ჩვენს იდეალთან აბსოლუტურად შესატყვისი რასა ქრება, ეს იმიტომ, რომ თვით იდეალი არ არის სავსებით შესატყვისი იდეალისა *par excellence*, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, სამყაროს დაფარული ჭეშმარიტებაა.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ ვისარგებლოთ საკუთარი გამოცდილებით, უკვე ვნახეთ, როგორ დაადასტურა რეალობამ საკვირველი ოცნებები და სურვილები, დიდი იდეები თუ სიყვარულის, მშვენიერების, სამართლიანობის დიდი გრძნობები. თუკი ჩვენს ნარმოსახვაში არსებობს კიდევ უფრო დიადი და უფრო მანუგეშებელი სურვილები და გრძნობები, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ცხოვრების ანონიმური და იდუმალი ძალის გამოცდას ვერ გაუძლებდნენ, ეს იმიტომ, რომ ისინი, როგორც ჩანს,

სხვანაირები უნდა იყვნენ და არა მაინცდამაინც ნაკლებად მშვენიერნი, ნაკლებად ფრთაგაშლილნი ან ნაკლებად მანუგეშებელნი. რეალობის გაცხადების მოლოდინში, ალბათ, უპრიანი იქნებოდა გვქონოდა იდეალი, რომელიც ჩვენს ნარმოსახვას ამ რეალობაზე მშვენიერი ჰგონია. ხოლო რეალობის საბოლოოდ გამოვლინების შემდეგ აუცილებელი ხდება, რომ ჩვენი ყველაზე სანუკვარი სურვილებით ნაკვებმა იდეალურმა ცეცხლმა ერთგულად გაანათოს მხოლოდ და მხოლოდ ამავე სურვილთა გამსრესი შთამბეჭდავი მასის უფრო მტკიცე და ნაკლებად თავაზიანი მშვენიერებანი.

არა მგონია, ეს ყველაფერი მონურ მორჩილებას, მძინარე ფატალიზმს ან პასიურ ოპტიმიზმს ნიშნავდეს. შესაძლოა, ბრძენმა ადამიანმა ბევრ შემთხვევაში ნაწილობრივ დაკარგოს კიდეც თავისი შეუპოვარი მოგზნებარება, რომელმაც მას განახორციელებინა, ასე ვთქვათ, ზეადამიანური ქმედებები სწორედ იმით, რომ იგი ადამიანური გონების სისავსეს არ ფლობდა. მაგრამ, ამასთანავე, კეთილსინდისიერ სულს აშკარად არ მიეტევება, რომ ენერგია, კეთილ ნება, ილუზიები თუ დაბრმავება მის საუკეთესო ფიქრებზე უფრო დაბლამდგომ რეგიონში ეძებოს. შინაგან ცხოვრებაში ჩვენს მოვალეობას, არსებითად, მხოლოდ ჩვენი სულის და ჩვენი საკუთარი ჭეშმარიტების ყველაზე მაღალ რეგიონში თუ აღვასრულებთ ხოლმე. და თუ ყოველდღიურ არსებობაში ზოგჯერ დასაშვებია მოქმედება გარემოებათა მიხედვით, თუ მუდამ არ არის უპრიანი საკუთარ მიჯნებამდე მისვლა, როგორც, მაგალითად, სენ-ჟუსტის[1] შემთხვევაში, — ადამიანის, რომელსაც საოცრად სწყუროდა საყოველთაო სამართლიანობა, მშვიდობა, ბედნიერება და ამისთვის უმწიკვლო სინდისით აჰყავდა ეშაფოტზე ათასობით მსხვერპლი, — მაშინ აზრობრივ ცხოვრებაში

ჩვენი მოვალეობა, ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც საკუთარი აზრის საზღვრებამდე მისვლაა. ამასთანავე, ამაღლებაში მყოფი აზრი იმასვე ახალისებს, რასაც თვითონვე თრგუნავს. მათთვის, ვინც სათანადო სიმაღლიდან უყურებს და წინდანინ აღტაცებაში მოდის იმით, რაც მათ ქმედებას დაანგრევს, ბუნებრივად ჩანს ყველაფერ იმის კეთება, რაც კი გონებას, სამართლიანობას, დედამიწის მშვენიერებას, პლანეტის ინსტინქტს გააუმჯობესებდა. მათ იციან, რომ ამ შემთხვევაში გაუმჯობესება არსებითად, მხოლოდ აღმოჩენას, გაგებას, პატივისცემას ნიშნავს. უწინარეს ყოვლისა, მათ სწამთ „სამყაროს იდეა", სჯერათ, რომ უკეთესისკენ მიმართული ყოველი ძალისხმევა მათ ცხოვრების საიდუმლოსთან აახლოვებს. თუმცა, იმავდროულად, იმასაც სწავლობენ, როგორ მოიპოვონ ახალი საკვები აღტაცების, წგზნებარებისა და იმედისთვის თვით ყველაზე დიდსულოვანი მცდელობების მარცხის თუ ამხელა ქვეყნიერების მიერ მათთვის გაწეული წინააღმდეგობის დროს.

თუ საღამოხანს მაღალ მთაზე ახვალთ, იქიდან დაინახავთ, ნელ-ნელა როგორ ინთქმება ხეობის სიბნელეში ხეები, სახლები, სამრეკლო, მდელოები, ხილის ბაღები, გზა და თვით მდინარეც. თუმცა ადამიანებით დასახლებულ ადგილებში მანათობელი პატარა წერტილები თქვენს ასვლასთან ერთად არ გაფერმკრთალდება. პირიქით: ზემოთ გადადგმულ ყოველ ნაბიჯთან ერთად თქვენს ფერხთით ჩაძინებული სოფლებიდან გამომკრთალ უფროდაუფრო მეტ სინათლეს მოიხელთებთ. რაოდენ სუსტიც უნდა იყოს, სინათლე ალბათ ერთადერთი რამაა, რაც თვით უზარმაზარ მანძილებზეც კი თითქმის არაფერს კარგავს. იგივე ითქმის ჩვენს შინაგან სინათლეებზეც, როცა ცხოვრებას ოდნავ ზემოდან დავყურებთ. კარგია, თუ ჭვრეტა გვასწავლის, როგორ გავთავისუ-

ფლდეთ ყველა ჩვენი ქვენა მისწრაფებისგან, თუმცა მან არ უნდა შეგვისუსტოს, არ უნდა დაგვითრგუნოს თვით ყველაზე მოკრძალებული ლტოლვაც კი ჭეშმარიტების, სამართლიანობისა და სიყვარულისკენ.

საიდან მოდის კანონი, რომელსაც მე ამგვარად ვაყალიბებ? თვითონაც არ ვიცი. ეგაა, ეს წესი მე ადამიანური და გარდაუვალი მგონია. და სენტიმენტალური მიზეზების გარდა, მათ სასარგებლოდ სხვა არგუმენტს ვერც კი დავასახელებ. თუმცა სენტიმენტალური მიზეზები ზოგჯერ ყველაზე უფრო მისაღებია. და თუ ფეხს ისეთ მწვერვალზე შევდგამ, რომლიდანაც ეს კანონი უკვე უსარგებლოდ მომეჩვენება, მაშინ კვლავ მივაყურადებ ფარულ ინსტინქტს: ის მეტყვის, რომ არ შევჩერდე, უფრო მაღლა ნავიდე, სანამ კიდევ ერთხელ არ დავინახავ აღნიშნული კანონის მთელ გამოსადეგობას.

V

ზოგადი შესავლის შემდეგ მეტი დაკონკრეტებით შევეხოთ იმ ზეგავლენას, რომელიც სიბრძნემ შეიძლება მოახდინოს ჩვენს ხვედრზე. და რაკი შემთხვევა გვეძლევა, შესაძლოა, ცუდი არ იყოს თავიდანვე შევნიშნოთ, რომ ამ წიგნში ამაოდ დავუწყებთ ძებნას რაიმე მკაცრ მეთოდს. აქ სხვას ვერაფერს ვნახავთ, გარდა წყვეტილი მედიტაციებისა, მეტ-ნაკლები წესრიგით რომ ივრცობიან ორ თუ სამ თემაზე. იგი არავის დარნმუნებას არ ცდილობს, არაფრის დამტკიცება არ განუზრახავს. სხვა რომ არაფერი, წიგნები ცხოვრებაში იმ როლს ვერ თამაშობენ, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა — მწერლები თუ მკითხველები — მათ მიაწერს. საკმარისი იქნებოდა, ისევე მოგვესმინა წიგნებისათვის, როგორც ერთ-ერთი ჩემი დიდად ბრძენი მეგობარი უსმენდა ერთხელ ან-

ტონიუს ღვთისმოსავის[2] უკანასკნელი წუთების ამბავს. რაც შეეხება ანტონიუსს, ეს ადამიანი — კიდევ უფრო მეტადაც კი, ვიდრე მარკუს ავრელიუსი — შეგვეძლო დედამიწაზე ოდესმე არსებულ კაცთაგან ყველაზე სრულქმნილად მიგვეჩნია, რადგან თავისი გერის მთელ სიბრძნეს, სიღრმეს, სიკეთესა და სათნოებას იგი ავსებდა და აგვირგვინებდა ისეთი საოცარი ვაჟკაცობით, ენერგიით, პრაქტიკულობით, უბრალო ბედნიერებითა და სპონტანურობით, რომლებიც მის შვილობილს სულ უფრო მეტად აახლოვებდნენ ყოველდღიურ ჭეშმარიტებასთან. ეს მაშინ, როცა თვით ანტონიუსს, სასიკვდილო სარეცელზე მწოლარეს, თვალები უნებლიე ცრემლებით დაბინდოდა და კიდურებიც აგონიის ოფლით დაცვარვოდა. ამ დროს სასახლის დაცვის უფროსი ანტონიუსის ოთახში შევიდა, რათა მისგან მორიგი პაროლი შეეტყო. *„ეკვანიმიტას: ზომიერება“*, — უთხრა ანტონიუსმაც და თავი სამუდამო ნყვდიადისაკენ შეაბრუნა. „ეს სიტყვა უნდა გვიყვარდეს და ფრთებს გვასხამდეს“, მეუბნებოდა მეგობარი. შემდეგ კი დასძენდა: „კიდევ უკეთესია, თუ ყველასთვის — თვით ჩვენთვისაც კი — შეუმჩნევლად გვეცოდინება, როგორ დავუთმოთ შემთხვევის მიერ ნაბოძები დრო ამ სიტყვით აღფრთოვანებას, ანუ პატარა, სასარგებლო და ცოცხალი საქმეების კეთებას, განუწყვეტლივ რომ სთავაზობს იგივე შემთხვევა კეთილ ნებას ჩვენი გულისა.“

VI

„ალბათ, მათივე ბედისწერას სურდა, რომ ადამიანებსა თუ მოვლენებს ისინი ყველგან და ყოველთვის დაეთრგუნათ“, — ამბობს ერთი ავტორი თავისი წიგნის პერსონაჟების შესახებ. ეს ითქმის

ადამიანთა უმრავლესობაზე, — ყველაზე, ვისაც არ
უსწავლია, როგორ გამიჯნოს ერთმანეთისგან გარე-
ჯანი და შინაგანი ბედისწერები. ასეთები ჰგვანან
იმ ბრმა ნაკადულს, ბორცვიდან რომ დავყურებდი
ერთ დილას: ბნელი ხეობის ფსკერზე კლაკვნითა და
ფორთხვით მიიკვლევდა გზას ტყის მეორე მხარეს
განთიადის სიმშვიდეში მთვლემარე დიდი ტბისაკენ.
ერთ მონაკვეთზე მას ოთხჯერ უმრუდებდნენ გზას
ბაზალტოვანი კლდეები, მეორეგან ბებერი ხის ფეს-
ვები ეღობებოდნენ, კიდევ უფრო შორს — სამუ-
დამოდ გამქრალი დაბრკოლების ხსოვნა მას ამაო
ბუყბუყით აქცევინებდა პირს თავისივე სათავისაკენ
და განუსაზღვრელად აშორებდა თავისი მიზნისა და
ბედნიერებისგან. აი, მეორე მხარეს კი, იმ გადარეუ-
ლი, უბედური და უსარგებლო ნაკადულის თითქმის
პერპენდიკულარულად, ინსტინქტურ ძალებზე აღ-
მატებულ ძალას გრძელი არხი გაეჭრა ჩამოზვავე-
ბული ქვების, სოფლისა და მორჩილი ტყის გავლით.
ჰორიზონტის მიღმიდან მომდინარე სავსე, ამნვანებ-
ული, მშვიდი, უზრუნველი ნაკადი წყნარად, ნათლად
და უყოყმანოდ მიემართებოდა იმავე უშფოთველი
ტბისკენ. ჩემს ფერხთით გადაშლილიყო ადამიანის
წინაშე აღმართული ორი დიდი ბედისწერის ხატება.

VII

ადამიანებისა და მოვლენების მიერ დათრგუნულ-
თა გვერდით არიან ერთგვარი შინაგანი ძალით მორ-
ჭმული სულებიც, ძალით, რომელსაც ემორჩილებიან
არა მხოლოდ ადამიანები, არამედ გარემომცველი
მოვლენებიც. ისინი აცნობიერებენ ამ ძალას, რო-
მელიც, სხვათა შორის, სხვა არაფერია, თუ არა
ადამიანთა ჩვეულებრივი ცნობიერების საზღვრებს
გამცდარი თავისებური თვითშეგრძნება.

მხოლოდ საკუთარი ცნობიერების ფარგლებში ვართ „შინ“, მხოლოდ აქ ვართ შემთხვევის ახირებებისგან დაცულნი, მხოლოდ მასში ვართ ბედნიერნი და ძლიერნი. საერთოდ, ამ საგნებზე საკმაოდ ხშირად უსაუბრიათ. უსაუბრიათ მათთან მცირე ხნით შესაჩერებლად მაინც, თუ არა ათვლის წერტილის დასაფიქსირებლად. ადამიანის არსება მხოლოდ იმდენად იზრდება, რამდენადაც ფართოვდება მისი ცნობიერება, და ეს ცნობიერებაც იმდენად ფართოვდება, რამდენადაც იზრდება მისი შინაგანი არსება. აქ ხდება სასნაულებრივი გაცვლა და, როგორც სიყვარულს დაუღალავად სწყურია სიყვარული, ასევე ცნობიერებასაც სწყურია გაფართოება, შინაგანი ზრდა, რომელიც, თავის მხრივ, მუდმივ გაცნობიერებას მიელტვის.

VIII

თუმცა, ჩვეულებრივ, თვითცნობიერება საკმაო ხალისით ისაზღვრება ჩვენი ნაკლოვანებებისა და ღირსებების ცოდნით. არადა, შეიძლება უსასრულოდ უფრო თანამგრძნობ საიდუმლოებამდეც განივრცოს. საკუთარი თავის ცნობა არ ნიშნავს მხოლოდ თავის ცნობას დასვენების ჟამს ან — მეტნაკლები მასშტაბით — ანმყოსა თუ წარსულში. „აცნობიერებდე საკუთარ თავს“ ყველაზე დიდი ადამიანებისთვის ნიშნავს „აცნობიერებდე — გარკვეულ წერტილამდე — საკუთარ ვარსკვლავს თუ საკუთარ ბედისწერას“. ასეთებისთვის ნანილობრივ ცნობილია საკუთარი მომავალი, რადგანაც უკვე თვითონ ნარმოადგენენ ამ მომავლის ნაწილს. ისინი თავიანთ თავს ენდობიან, რაკი ამიერიდან იციან, რად იქცევიან მოვლენები მათ სულში. მოვლენა, თავისთავად, ის წმინდა წყალია, რომელსაც ბედი გვისხამს და

რომელსაც, ჩვეულებრივ, არც გემო აქვს, არც ფერი, არც სურნელი. ის მშვენიერი ან სევდიანი, საამური ან მწარე, მომაკვდინებელი ან გამომაცოცხლებელია მისი მიმღები სულისდა მიხედვით. ჩვენ ირგვლივ მყოფ ადამიანებს ჰეროიკული მარცვლებით სავსე უამრავი ამბავი შეემთხვევათ ხოლმე, თუმცა მას შემდეგ, რაც მორიგი ამბავი ჩაივლის, გმირული არაფერი ხდება. მაგრამ, აი, იესო თავის გზაზე ბავშვებს, მეძავ ქალს თუ სამარიტელ ბანოვანს ხვდება და კაცობრიობაც სამჯერ ზედიზედ ადის ღმერთის სიმაღლემდე.

IX

ხანდახან ადამიანებს სწორედ ის ემართებათ, რაც თვითონვე სურთ, რომ შეემთხვეთ. ჭეშმარიტად: ჩვენი ზემოქმედება გარეშე მოვლენებზე შეზღუდული და შესუსტებულია, მაგრამ, ამასთანავე, უდიდესი გავლენა გვაქვს იმაზე, რადაც ეს მოვლენები შეიძლება თვით ჩვენში იქცეს, ანუ მათ სულიერ ნანილზე, რომელიც ყოველგვარი მოვლენის ნათელი და მარადიული მხარეა. უამრავი ადამიანია, რომლებშიც ეს სულიერი მხარე (მის დაბადებას მთელი სიყვარული, მთელი მწუხარება თუ მთელი ძალისხმევა სჭირდება) ერთი წამითაც ვერ იცოცხლებდა და ასეთებს ნაფოტებივით მიაქანებს სიცოცხლის მდინარე. არიან ისეთებიც, რომლებშიც ეს უკვდავი ნაწილი სხვა ყველაფერს ნთქავს. ისინი ზღვაზე გაფანტულ კუნძულებს ჰგვანან: მათ ხომ მყარ წერტილს მიაგნეს, წერტილს, რომლიდანაც შინაგან ბედისწერას მართავენ. ნამდვილი ბედისწერა კი სწორედ შინაგანი ბედისწერაა. ადამიანთა დიდი ნაწილის ცხოვრებას ის აბნელებს ან ანათებს, რაც მათ შეემთხვევათ ხოლმე. იმათ ცხოვრებას კი, ვისაც მე ვგულისხმობ,

ყოველივე თავს გადამხდარი მხოლოდ და მხოლოდ ასხივოსნებს. თუ შეყვარებული ხართ, თქვენს ბედისწერაში თვით ეს სიყვარული კი არ იჭრება, არამედ საკუთარ თავს აცნობიერებთ ამ სიყვარულში, რომელიც თქვენს ცხოვრებას გადაასხვაფერებს. თუ გიღალატეს, ამ დროს მნიშვნელოვანია არა თავისთავად ღალატი. მხოლოდ თქვენს სულში დაბადებული პატიება და ამ პატიების მეტ-ნაკლებად ზოგადი, მეტ-ნაკლებად ამაღლებული, მეტ-ნაკლებად გააზრებული ხასიათი შემოაბრუნებს თქვენს არსებობას ბედისწერის მშვიდობიანი და უფრო ნათელი მხარისკენ, რომელშიც თავს უკეთ დაინახავთ, ვიდრე მაშინ დაინახავდით, არავის რომ არ ეღალატა. მაგრამ თუ ღალატი არ გაზრდის თქვენს უბრალოებას, არ ჩაგისახავთ უფრო ამაღლებულ ნდობას, არ განავრცობს თქვენს სიყვარულს, მაშინ თქვენთვის სრულებით უსარგებლოდ უღალატიათ და შეგიძლიათ თქვათ, რომ არაფერი მომხდარა.

X

ნუ დავივიწყებთ, რომ არაფერი გვემართება ისეთი, რაც თვით ჩვენივე ზნისა თუ ბუნების არ არის. თავს გადახდენილი მთელი თავგადასავალი ჩვენს სულს ჩვეულებრივი აზრების სახით წარმოუდგება. და გმირული საქციელის ჩადენის არანაირი შანსი არ ეძლევა იმას, ვინც ჩუმი და უცნობი გმირი არ არის ხანგრძლივი წლების განმავლობაში. აცოცდით მთაზე ან ჩადით სოფელში, მიაღწიეთ ქვეყნიერების კიდეს ან სახლს შემოუარეთ: — შემთხვევის ბილიკებზე თქვენ ისევ და ისევ თქვენს თავს შეხვდებით. თუ ამ საღამოს იუდა სახლიდან გავა, ის ყველგან იუდას გადაეყრება და ღალატის შანსი მიეცემა. თუ თავისი სახლის კარს სოკრატე შეაღებს, ზღურბლზე კვლავ

ჩაძინებული სოკრატე დახვდება და ბრძენკაცად ყოფნის შანსი მიეცემა. ჩვენი თავგადასავლები ისეთივე დაგვფარფატებენ თავზე, როგორც ფუტკრები დასტრიალებენ სკას ნაყრის გამოსვლის წინ. ეს თავგადასავლები ჩვენი სულიდან დედა-იდეის გამოსვლას ელიან და როდესაც იგი გამოდის, ყველანი ზედ ეხუნძლებიან. იცრუეთ — და ტყუილები უცებ შოგროვდებიან. შეიყვარეთ — და თავგადასავლების მტევანი სიყვარულით ათრთოლდება. თითქოს ყველაფერი მხოლოდ შინაგან სიგნალს ელოდება. და თუ ჩვენი მეგობარი მოსაღამოვებასთან ერთად უფრო ბრძენდება, მაშინ დილისთვის მას უფრო ბრძენი უბედურებაც ჩაუსაფრდება.

XI

არასოდეს გადახდება დიდი შინაგანი ფათერაკი იმას, ვისაც არაფერი უქნია მის გამოსახმობად. არადა, თვით უმნიშვნელო ცხოვრებისეული შემთხვევაც კი რომელიმე დიდი ხდომილების მარცვალს ატარებს. მაგრამ ეს ხდომილებები სამართლიანობის მონები არიან და თითოეულ კაცსაც ის წილი ერგება ნადავლიდან, რომელსაც იმსახურებს. ჩვენ ზუსტად იმად ვყალიბდებით, რასაც თავს დატეხილ ბედნიერებებსა და უბედურებებში ვპოულობთ. ბედის ყველაზე მოულოდნელი ახირებებიც კი იმას მიელტვიან, რომ ჩვენი ფიქრების სახე მიიღონ. ბედისწერის სამოსი, იარაღი და სამკაულები — ეს ყველაფერი ჩვენს შინაგან ცხოვრებაში მოიპოვება. თუ სოკრატე და თერსიტე[1] თავ-თავის ერთადერთ შვილს ერთსა და იმავე დღეს დაკარგავდნენ, ისინი მაინც არ გაუბედურდებოდნენ ერთნაირად. თვით სიკვდილი, რომელიც თითქოსდა ყველა შემთხვევაში სიკვდილია, კეთილ და ბოროტ ოჯახებში განსხვავებული

ჩვევებით, განსხვავებული ჟესტებით, განსხვავებული ცრემლებით აღინიშნება. ვიდრე ბრძენს მიაკითხავდეს, უბედურებაც და ბედნიერებაც თითქოს განიწმინდება, უფერული ადამიანის სულში შესვლის წინ კი ერთსაც და მეორესაც თავი მკერდზე ჩამოუვარდება ხოლმე.

XII

სიბრძნეში შესვლასთან ერთად თავს ვაღწევთ ზოგიერთ ინსტინქტურ ბედისწერასაც. ყოველ ადამიანში არსებობს სიბრძნის გარკვეული სურვილი, სიბრძნის, რომელიც ცნობიერებად აქცევდა ცხოვრების შემთხვევითობათა დიდ ნაწილს. ხოლო ის, რაც ცნობიერებად იქცა, უკვე მტრულ ძალებსაც აღარ ეკუთვნის. ტანჯვა, რომელიც თქვენმა სულმა სილბოდ, შეგუებად ან დამთმენ ღიმილად აქცია, ის ტანჯვაა, რომელიც აღარ დაგიბრუნდებათ სულიერი სამკაულების გარეშე. შეცდომა და ცდომილება, რომლებსაც თვალი თვალში გაუყარეთ, უკვე ვერც თქვენ გავნებთ და ვეღარც სხვებს.

არსებობს განუწყვეტელი ურთიერთკავშირი ინსტინქტსა და ბედს შორის. ისინი ერთმანეთს ეყრდნობიან და, ხელიხელჩაკიდებულნი, განუწყვეტლივ უტრიალებენ უყურადღებო კაცს. მაგრამ ადამიანს, რომელსაც ხელეწიფება შეამციროს ინსტინქტის ბრმა ძალა, მის ახლომახლო მოხეტიალე ბედისწერის ძალასაც ამცირებს. ასეთი ადამიანი თითქოს ერთგვარ თავშესაფარს ქმნის, მით უფრო ხელშეუხებელს, რაც უფრო ბრძენია მისი შემქმნელი. და მათ, ვინც შემთხვევით ამ ადამიანის მიერ მოხვეჭილი ცნობიერების განათებულ ზონაში მოხვდება და იქ შეყოვნდება, მოულოდნელობის აღარ უნდა ეშინოდეთ. მოახვედრეთ სოკრატე ან იესო შუაგულ

ატრიდებში[1]: ვიდრე ისინი აგამემნონის სასახლეში იქნებიან, ორესტიც[2] აღარ მოხდება. თუ ისინი იოკასტას სასახლის ზღურბლზე დასხდებოდნენ, მაშინ არც ოიდიპოსს მიუვიდოდა საქმე თვალების დათხრამდე. ფატალობა ვერ ბედავს გარკვეულ უბედურებათა ჩადენას იმ სულის თანდასწრებით, რომელსაც ეს ფატალობა არაერთხელ დაუმარცხებია, და იქ, სადაც ბრძენი ჩაივლის, მრავალი ტრაგედია აღარ ხდება.

XIII

ჭეშმარიტად: ბრძენი ადამიანის მუნყოფნა ბედისწერას ადამბლავებს. ალბათ, არ არსებობს ერთი ტრაგედიაც კი, რომელშიც ნამდვილი ბრძენი ჩნდებოდეს, და თუ გამოჩნდება, მაშინ ამბავი ჯერ კიდევ ცრემლების და სისხლის დაღვრამდე ჩერდება. ტრაგედიები არ ხდება არათუ მხოლოდ ბრძენ ადამიანთა ნრეში, არამედ თითოეული მათგანის სიახლოვეშიც კი. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ტრაგიკული ამბავი მოხდეს იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც სერიოზულად მოიარეს საკუთარი ცნობიერება. დიდი ტრაგედიების გმირები კი თავიანთ სულებს არასოდეს უსვამენ ნამდვილად ღრმა კითხვებს. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ტრაგიკული პოეტი მუდამ მეტ-ნაკლებად შებორკილ სილამაზეს გვიჩვენებს, რადგან როგორც კი მისი პერსონაჟები იქამდე ავლენ, სადამდეც ჭეშმარიტი გმირები უნდა ამაღლდნენ, ისინი იარაღს იშორებენ და ტრაგედიაც სინათლეში დავანებად იქცევა. ბრძენი ადამიანის ერთადერთ ტრაგედიას ვპოულობთ „ფედონში“, „პრომეთეში“, ქრისტეს ვნებაში, ორფეოსის მოკვდინებაში თუ ანტიგონეს მსხვერპლში. მაგრამ გვერდზე გადავდოთ ეს ტრაგედია — სიბრძნის

ერთადერთი ტრაგედია — და დავუკვირდეთ, რომ ტრაგიკული პოეტები ძალზე იშვიათად ბედავენ რომელიღაც მომენტში სცენაზე ბრძენის გამოყვანას. ისინი ხომ ამაღლებულ სულს უფრთხიან, რაკი ამ უკანასკნელს მოვლენებიც ერიდებიან, და ბრძენის წინაშე ჩადენილი მკვლელობაც უკვე სხვა სახისაა, ვიდრე იმათ წინაშე, ვისი სულებიც ჯერ საკუთარ თავს ვერ ხედავენ. ოიდიპოსს ერთ-ერთი ისეთი სიცხადე რომ ჰქონოდა, რომლის მოხვეჭა ყველა მოაზროვნეს შეუძლია, და საკუთარ თავშივე აეგო მუდმივად ღია თავშესაფარი, როგორიც, მაგალითად, მარკუს ავრელიუსმა აიგო, მაშინ რაღას იზამდა ბედისწერა, რას მოიხელთებდა თავისი ხაფანგებით, თუ არა წმინდა სინათლეს, დიდ სულს რომ ავსებს და უიღბლობაში კიდევაც უფრო მშვენიერდება?

სად არის ბრძენი „ოიდიპოსში“? ნუთუ ტირეზიასია ბრძენი? მან მომავალი იცის, თუმცა არ იცის, რომ მომავალში სიკეთე და პატიება მეუფებს; იცის საკრალური ჭეშმარიტება, ადამიანურ ჭეშმარიტებას კი ვერ ცნობს. ვერ ცნობს იმ სიბრძნეს, რომელიც მკლავებში იყვანს უბედურებას და თავის ძალას გადასცემს. მცოდნეებმა სინამდვილეში არაფერი იციან, თუკი სიყვარულის ძალას არ ფლობენ, რადგან ჭეშმარიტი ბრძენი ის კი არ არის, ვინც ხედავს, არამედ ის, ვინც ყველაზე შორს იყურება და ყველაზე ღრმად უყვარს. უსიყვარულო ხედვა ნყვდიადში ცქერაა.

XIV

გვიმტკიცებენ, რომ ყველა დიდი ტრაგედია მხოლოდ ადამიანისა და ფატალობის ბრძოლას გვიხატავს. მე პირიქით მგონია: არ არსებობს თუნდაც ერთი ტრაგედია, რომელშიც რეალურად ზეობდეს ფატალობა. ამაოდ გავიხსენებ სათითაოდ, — ერთსაც ვერ

ვიპოვი, რომელშიც გმირი ნათელ და მარტივ ბედისწერას ერკინებოდეს. არსებითად, იგი ბედისწერას კი არ ებრძვის, არამედ სიბრძნეს. ნამდვილი ფატალობა მხოლოდ ზოგიერთ გარეგან უბედურებაში არსებობს, ისეთებში, როგორიცაა სნეულებები, უბედური შემთხვევები, საყვარელ ადამიანთა მოულოდნელი სიკვდილი და მისთანანი. მაგრამ არ არსებობს *შინაგანი ფატალობა*. სიბრძნის ნება ფლობს ძალას — გამოასნოროს ყველაფერი, რაც ჩვენს სხეულს სასიკვდილოდ არ წყლავს. ხშირად ის თვით გარეგან ფატალობებშიც კი იჭრება. თუმცა ისიც მართალია, რომ ადამიანმა საკუთარ თავში მძიმე, დამთმენი საუნჯე უნდა დააგროვოს, რათა კრიტიკულ წამში ამ ნებამ საჭირო ძალები მოიძიოს.

XV

ბედისწერის ქანდაკება ხეობაში ვეება აჩრდილს აფენს, ხეობაში, რომელსაც ის თითქოს წყვდიადით ტბორავს. თუმცა იმათ მზერაში, ვინც მთის ფერდობიდან დაჰყურებს, ამ ჩრდილს ძალზე სუფთა კონტურები აქვს. მართალია, ჩვენ მასში ვიბადებით, მაგრამ არაერთ ადამიანს ეძლევა მისგან გამოსვლის უფლება. და თუ ჩვენი სისუსტე ან ნაკლოვანებები აღსასრულის დღემდე ამ ჩაბნელებულ რეგიონში გვტოვებენ, ისიც რაღაცას ნიშნავს, რომ დროდადრო იქაურობას სურვილით ან აზრით მაინც გამოვერიდოთ. შესაძლებელია, ბედისწერამ რომელიმე ჩვენგანზე უფრო მეტად იბატონოს, ვიდრე დანარჩენებზე, იბატონოს მემკვიდრეობის, ინსტინქტის თუ კიდევ უფრო უდრეკი, ღრმა, უცნობი კანონების ძალით. მაგრამ თუნდაც მან დაუმსახურებელი და გამაოგნებელი ვარამით დაგვამძიმოს, თუნდაც იმის კეთება გვაიძულოს, რასაც არასოდეს ვიზამდით

მისი ძალადობის გარეშე, — როდესაც უბედურება გვეწვევა და მოსახდენი მოხდება, შემდეგ უკვე ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ექნება თუ არა მას რაიმე გავლენა ჩვენი სულის შემდგომ მოძრაობებზე. ბედისწერის ლახვარი შესაძლოა კეთილი ნების გულს მოხვდეს, მაგრამ იმას მაინც ვერ აღკვეთავს, რომ ჩავლილმა მწუხარებამ თუ აღიარებულმა შეცდომამ მასში სინათლის წყარო არ გახსნას; ვერ აღკვეთავს, რომ სულმა თავისი ყოველი გამოცდილება აზრებად, გრძნობებად, ხელშეუხებ სიკეთეებად აქციოს. როგორიც უნდა იყოს ბედისწერის ძალმოსილება გარეთ, ის მუდამ ჩერდება, როცა შინაგანი ცხოვრების ერთ-ერთი მდუმარე მცველის ზღურბლზე აღმოჩნდება. და თუ მაღულ საბინადროში შესვლის უფლება მიეცემა, მაშინ იქ მხოლოდ კეთილისმქმნელ სტუმრად შეაღწევს, რათა გახევებული ატმოსფერო გამოიაცოცხლოს, თავისუფლება განაახლოს, სინათლე გაზარდოს, სიმშვიდე განავრცოს და თვალსანიერი გაანათოს.

XVI

ვთქვათ კიდევ ერთხელ: რას იზამდა პედისწერა, სულის ამორჩევაში რომ შემცდარიყო და ოიდიპოსისთვის დასაგები ხაფანგი ეპიკურესთვის, მარკუს ავრელიუსისთვის ან ანტონიუს ღვთისმოსავისთვის დაეგო? თანახმა ვარ ვიფიქრო, რომ ამ ბედისწერას შეეძლო ჩაეთრია, მაგალითად, ანტონიუსი და რომ ისიც მოკლავდა მამას და, იმავე არცოდნის საფუძველზე, დედასთან გაიყოფდა სარეცელს. მაგრამ, საბოლოოდ, მაინც რას შეარყევდა ბედისწერა კეთილშობილი ხელმწიფის სულში? ხომ არ დასრულდებოდა ეს ყველაფერი კვანძის ისეთივე გახსნით, როგორც დიდი ტრაგედიები მთავრდება ხოლმე, ანუ — დიდი უბედურებით, მაგრამ, ამასთანავე, მისგანვე შობი-

ლი და უკვე მისივე ნახევრად დამმარცხებელი დიდი სინათლითაც? ანტონიუსი ისევე იტირებდა, როგორც ყველა მამაკაცი ტირის. მაგრამ თვით უმძიმესი ცრემლებიც ვერ ჩაუქრობს სხივს იმ სულს, რომელსაც ეს სხივები სხვისგან არ უსესხია. ბრძენი ადამიანისთვის, მწუხარებიდან სასონარკვეთამდე გრძელი გზაა, რომელსაც, საბოლოოდ, სიბრძნე არასოდეს გადის. იმ სულიერ სიმაღლეზე, რომელზე დგომასაც თვით ანტონიუსის ცხოვრება გვიდასტურებს, უფროდაუფრო მზარდი აზრები და უფროდაუფრო კეთილშობილური გრძნობები ყველანაირ ცრემლს ასხივოსნებს. უბედურებას იგი თავისი სულის უერცეს და უწმინდეს ნაწილში მიიღებდა, უბედურება კი, წყლისა არ იყოს, იმ ჭურჭლის ფორმას ღებულობს, რომელშიც შევიდა. ჰო, ანტონიუსი შეეგუებოდა, — ვამბობთ ჩვენ. მაგრამ მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს სიტყვა ძალზე ხშირად მალავს იმას, რაც მხოლოდ დიდ გულში შეიძლება მოხდეს. პირველივე შემხვედრისათვის ადვილი ნარმოსადგენია, როგორ ეგუება ისიც. მაგრამ, ეჰა, რომ შეგუება არ არის ის, რაც ჩვენ გვანუგეშებს, განგვწმენდს და გვამაღლებს, არამედ ის აზრები და სათნოებანი, რომლის სახელითაც ჩვენ ქედს ვიდრეკთ. სწორედ აქ უნაზღაურებს სიბრძნე თავის ერთგულებს თითოეული მათგანის დამსახურებისამებრ.

არსებობს იდეები, რომლებსაც ვერანაირი კატასტროფა ვერ ხელყოფს. ჩვეულებრივ, საკმარისია, რომ იდეა ყოველდღიურ ამაოებაზე, განურჩევლობასა და ეგოიზმზე ამაღლდეს, რათა ადამიანი, ვისაც ეს იდეა კვებავს, თვითონაც აღარ იყოს მონყვლადი. სწორედ ამიტომ, ბედნიერებაა მის თავს თუ უბედურება, ყველაზე ბედნიერი მუდამ ის იქნება, ვისშიც ყველაზე დიდი იდეა ყველაზე დიდ სულისკვეთებასთან თანაარსებობს. ფატალობას რომ

მოესურვებინა, ანტონიუს ღვთისმოსავს, შესაძლოა, ინცესტიც ჩაედინა და მამის მკვლელადაც ქცეულიყო, მაგრამ მისი შინაგანი ცხოვრება ისე კი არ განადგურდებოდა, როგორც ოიდიპოსისა, არამედ თავს დამტყდარი უბედურებებითვე მომაგრდებოდა, ხოლო ბედისწერა გაქცევით უშველიდა თავს და იმპერატორის სასახლის ირგვლივ თავის ბადეებსა და დამსხვრეულ იარაღს დატოვებდა. რადგან ისევე, როგორც მაშინდელი კონსულებისა და დიქტატორების ტრიუმფი მხოლოდ რომში იყო შესაძლებელი, ბედისწერის ნამდვილი ტრიუმფიც მხოლოდ სულში შეიძლება მოხდეს.

XVII

სად ვეძებოთ ფატალობა „ჰამლეტში", „მეფე ლირსა" და „მაკბეტში"? განა ჰამლეტის ტახტი მოხუცი მეფის შუაგულ განუსჯელობაში არ დგას, ახალგაზრდა პრინცის წარმოსახვის ქვედა საფეხურებზე და კავდორის თენის[6] ავადმყოფური სურვილების მწვერვალზე? ნუ ვისაუბრებთ კავდორზე, ნურც კორდილიას მამაზე, რომლის აშკარა შეუგნებლობა აღარაივის ეეჭვება... მაგრამ ჰამლეტი? ბრძენია თუ არა ეს მოაზროვნე? საკმაოდ მაღლიდან უყურებს თუ არა ელსინორში მომხდარ ბოროტმოქმედებებს? თითქოს ხედავს კიდეც აზროვნების მწვერვალებს... მაგრამ განა ზოგიერთი გრძნობის, სიკეთის, ნდობის, შემწყნარებლობისა და სიყვარულის მწვერვალები აზრის მწვერვალებზე მაღლა არ დგანან სიბრძნის მთაგრეხილის სხივმოსილ ჯაჭვში? რა მოხდებოდა, თუ ჰამლეტიც ისეთი სიმაღლეებიდან შეხედავდა ელსინორის ბოროტმოქმედებებს, საიდანაც ამ უკანასკნელთ განჭვრეტდნენ, ვთქვათ, მარკუს ავრელიუსი ან ფენელონი[7]? და, უწინარეს ყოვლისა,

გაინა ხშირად არ ხდება, რომ დანაშაული, რომელიც პრინცს აღმატებული ძალმოსილების მზერით დასცქერის, ისევე ჩერდება წყვდიადში, როგორც ფუტკრები წყვეტენ ხოლმე მუშაობას სკაში დღის მზის პირველი სხივის შეჭრისას?

ყველა შემთხვევაში, ჭეშმარიტი ანუ შინაგანი ბედისწერა, რომელსაც პირისპირ შეეჩეხნენ კლავდიუსი და გერტრუდა[8] (ბედისწერას ხომ მხოლოდ მაშინ ხვდებიან, როცა ბორტებას სჩადიან), დამნაშავეთა სულებში თავის გზას დაადგებოდა. მაგრამ ნუთუ მაინც გამოვიდოდა, მაინც გაბედავდა და გადალახავდა იმ კაშკაშა და ბრალმდებელ ზღუდეს, რომელსაც ზემოთდასახელებულ ბრძენთაგან ერთ-ერთის უბრალო მუნყოფნაც კი სამუდამოდ აღმართავდა სასახლის შესასვლელთან? თუ ნაკლებად ბრძენთა ხვედრზე ნება-უნებლიეთ ზემოქმედებს ცხოვრების გზაზე შეხვედრილი ბრძენი ადამიანის ბედისწერა, მაშინ ამ უკანასკნელის ხვედრს იშვიათად თუ ეხება უფრო დაბლამდგომთა სვე-ბედი. გარდუვალობის საუფლოში მდინარეები ისევე არ უკუიქცევიან თავიანთი სათავისკენ, როგორც ამ ჩვენს დედამიწაზე. მაგრამ იმისათვის, რომ პირველ იდეასთან დაბრუნდეთ, თავი არა ელსინორში მყოფ ჰამლეტად, არამედ ისეთივე ძალუმ და მეუფე სულად წარმოიდგინეთ, როგორიც იყო იესო. ნუთუ ასეთ შემთხვევაშიც ყველაფერი ოთხი სიკვდილით დასრულდებოდა? ნუთუ ღრმა სიბრძნის გვერდით თვით ყველაზე მარჯვედ მოწყობილი დანაშაულიც კი, ცოტა არ იყოს, იმ წარმოდგენებს არ ემსგავსება, რომლებსაც საღამოობით ანყობენ ხოლმე მცირენლოვანი ბავშვებისთვის და რომელთა სიმწირესა და სიცრუეს მზის პირველივე სხივი გამოავლენდა? ნუთუ წარმოგიდგენიათ იესო ან, უბრალოდ, რომელიმე ბრძენი, რომელიც კი ცხოვრების გზაზე შეგხვედრიათ, ელსინორის თვით-

ნებურ წყვდიადში? განა ჰამლეტი, არსებითად, ბრმა აზრს არ მიჰყვება, აზრს, რომელიც ეუბნება, რომ შურისძიებაა მისი ერთადერთი მოვალეობა? მაგრამ ნუთუ ზეადამიანური ძალისხმევაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ შურისძიება არასოდეს არ არის ადამიანის *მოვალეობა?* ვიმეორებ: ჰამლეტი ბევრს ფიქრობს, მაგრამ ის ბრძენი არ არის. თითქოს არც კი ეჭვობს, სად გაბზარულა, სინამდვილეში, ბედისწერის ჯავშანი. ამ უკანასკნელის დასამარცხებლად ყოველთვის არ კმარა ამაღლებული აზრების არსენალი, რადგან ბედისწერამ იცის, როგორ დაუპირისპირდეს ასეთ აზრებს კიდევ უფრო მაღალი აზრებით... მაგრამ რომელი ბედისწერა დაპირისპირებია ნაზ, უბრალო, კეთილ და ლოიალურ აზრებს? არსებობს ბედისწერის დამორჩილების ერთადერთი გზა: ვიმოქმედოთ მუდამ იმ ბოროტების საპირისპიროდ, რაც მას სურს, რომ ჩაგვადენინოს. არ არსებობს აუცდენელი ტრაგედია. ელსინორის კატასტროფები მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მის მონაწილე არცერთ სულს თვალის გახელა არ სურს. მაგრამ ცოცხალი სული ყველა სხვას უპირისპირდება და თვალს ფართოდ ახელს. სად წერია, რომ ლაერტი, ოფელია, გერტრუდა, ჰამლეტი და კლავდიუსი მაინცდამაინც უნდა დახოცილიყვნენ, თუ არა ისევ თვით ჰამლეტის საბრალო დაბრმავებაში? მაგრამ რა იყო აუცდენელი ამ სიბრმავეში? ნუ შემოვუშვებთ ბედისწერას იქ, სადაც უკვე ერთ მართებულ აზრს მომაკვდინებელი ძალების განიარაღება ძალუძს. ბედისწერას უამისოდაც მშვენიერი ადგილი ეთმობა. მე მას ვპოულობ იმ კედელში, რომელიც თავზე მეცემა, შტორმში, რომელიც გემს შუაზე ხლეჩს, ეპიდემიაში, რომელიც მსხვერპლად იწირავს ჩემთვის საყვარელ ადამიანებს... მაგრამ ბედისწერა არასოდეს შედის იმათ სულში, ვინც მას არ მოუხმობს. ჰამლეტი უბედურია, რადგან არაადმიანურ ნყვდი-

ადში მიაბიჯებს და სნორედ მისივე არცოდნაა, მის ტრაგედიას რომ აუცდენელს ხდის. ამქვეყნად ფატალობა ყველაზე მეტად იმათ ემორჩილება, ვინც მისთვის ბრძანებების მიცემას ბედავს. ჰორაციოს თავად შეეძლო ბრძანებები მიეცა ბედისწერისთვის, მაგრამ მას არ აღმოაჩნდა თავისი ბატონის ჩრდილისგან თავდასახსნელად საჭირო ენერგია. საკმარისი იქნებოდა სულს გამბედაობა მოეკრიფა და ელსინორში ყველას გასაგონად დაეყვირა ჭეშმარიტება, რათა იქ მიმდინარე ამბავიც მთლიანად ცრემლებში და საშინელებაში არ დანთქმულიყო. მაგრამ თუ ბოროტი შემთხვევა სიბრძნის თითებში ლერწამივით მოქნილია, სამაგიეროდ შეუგნებლობის ხელებში იქცევა მომაკვდინებლად ხისტ ძელად. ვთქვათ კიდევ ერთხელ: აქ ყველაფერი ეკიდა არა ბედისწერაზე, არამედ მათ შორის ყველაზე უფრო ბრძენის სიბრძნეზე. და რადგან ყველაზე ბრძენი ჰამლეტი იყო, ამიტომაც — თვით თავისი მუნყოფნით — სნორედ ის გახდა ელსინორის გმირი. ჰამლეტის სიბრძნე კი მხოლოდ და მხოლოდ მისივე სულზე ეკიდა.

XVIII

თუ თქვენ უკუაგდებთ ყოველგვარ წარმოსახვით ტრაგედიას და რეალურ ისტორიაში მომხდარ რომელიმე დიდ დრამაში ჩაყვინთავთ, დაინახავთ, რომ ბედისწერას და ადამიანს იქ ერთნაირი ურთიერთობები, ერთნაირი ჩვევები, ერთნაირი მოუთმენლობები, ერთნაირი დაქვემდებარებები და ერთნაირი ამბოხებები აქვთ. დაინახავთ, რომ აქაც ყველაზე აქტიური ნაწილი იმისა, რასაც, ჩვენდა საამურად, „ფატალობად" მოვიხსენიებთ, ადამიანთა მიერ შექმნილი ძალაა. მართალია, იგი ვეებერთელაა, მაგრამ იშვიათად თუა გადაულახავი. მოცემულ მომენტში „ფატა-

ლობა“ ულმობელი და უძირო უფსკრულიდან კი არ ამოდის, არამედ მას ქმნის ენერგია, სურვილები, აზრები, ტანჯვა, თანამოძმეთა ვნებები, და ეს ვნებები ჩვენ უნდა შევიცნოთ, რადგან ისინი ჩვენსას ჰგავს. მაგრამ თვით ყველაზე უფრო უცხო მომენტებში, ყველაზე უფრო იდუმალ და გაუთვალისწინებელ უბედურებებში, ჩვენ თითქმის არასოდეს ვებრძვით უხილავ ან სრულებით უცნობ მტერს. ნუ განვავრცობთ ფატალობის საუფლოს ჩვენივე სიამოვნებისთვის. ნამდვილად ძლიერმა ადამიანებმა იციან, რომ არ იცნობენ ყველა ძალას, რომლებიც მათ გეგმებს უპირისპირდება, მაგრამ ამ ძალებს ისინი ისევე გაბედულად ებრძვიან, თითქოს სხვა არანაირი ძალა არ არსებობდეს, და ხშირად იმარჯვებენ კიდეც. ჩვენ განსაკუთრებით გავამყარებთ ჩვენს უსაფრთხოებას, მშვიდობასა და ბედნიერებას იმ დღეს, როცა ჩვენივე არცოდნა და დაუდევრობა *ფატალურად* აღარ მოიხსენიებს ყოველივე იმას, რისთვისაც ჩვენს ენერგიას და აზროვნებას *ბუნებრივი* და *ადამიანური* უნდა ეწოდებინა.

XIX

აი, ბედისწერის ერთი დაუვიწყარი მსხვერპლი: ლუი XVI. თითქოს არასოდეს ამაზე უფრო შეუბრალებლად არ მოუსურვებია ფატალობას საბრალო, ნესიერი, კეთილი, რბილი და სათნო ადამიანის უბედურება... მაგრამ თუ ამ ისტორიას უფრო ახლოდან შევხედავთ, მაშინ იმასაც ვიკითხავთ: რისგან დაგროვდა ამ ფატალობის შხამი, თუ არა თვით მსხვერპლის სისუსტეების, მერყეობების, პატარ-პატარა ორგულობების, არათანმიმდევრულობის, ამაოებისა და სიბრმავისაგან? თუ მართალია ის ამბავი, რომ კონკრეტული ადამიანის ცხოვრების ყველა გარემოებას გარკვეული

წინასწარგანსაზღვრულობა წარმართავს, მაშინ ეს უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს *ხასიათში* ძევს. მაგრამ განა ხასიათი არ არის ის, რაც კეთილი ნების ადამიანში ყველაზე უფრო იოლად უნდა გარდაიქმნას? განა, არსებითად, სწორედ ეს არ იცვლება ადამიანთა დიდ ნაწილში? გაქვთ თუ არა ოცდაათი წლის ასაკში იგივე ხასიათი, რაც ოცი წლის ასაკში გქონდათ? ეს ხასიათი უკეთესია ან უარესი იმისდა მიხედვით, თუ როგორ გაიმარჯვა თქვენში სიცრუემ და სიძულვილმა, უპატიოსნობამ და ბოროტებამ ან, პირიქით, ჭეშმარიტებამ, სიყვარულმა და სიკეთემ. და სიძულვილისა თუ სიყვარულის, ჭეშმარიტებისა თუ სიცრუის გამარჯვებაც თქვენს არსებაში განხორციელდა იმ მეტ-ნაკლებად ამაღლებული იდეის მიხედვით, ნელ-ნელა რომ შეიქმენით ბედნიერებაზე და ცხოვრების მიზანზე. სწორედ ჩვენი იდუმალი სურვილი წარმართავს ჩვენს ცხოვრებას. თუ საგნებს ბოროტების მხრიდან შეხედავთ, მაშინ ბოროტება ყველგან იმარჯვებს. მაგრამ თუ მზერა მიჩვეული გაქვთ იმაზე, რომ მუდმივად ხედავდეს უბრალოებას, სინრფელესა და ჭეშმარიტებას, მაშინ ყველაფრის ნიაღში მხოლოდ თქვენი საყვარელი საგნების ძლევამოსილ და მდუმარე გამარჯვებას იხილავთ.

XX

უპირველეს ყოვლისა, ნუ განვსჯით ლუი XVI იმ ხედვის წერტილიდან, რომელზეც ჩვენ ვდგავართ. დავაყენოთ თავი მის ადგილზე, მისი გაურკვევლობების, სიძნელეების, ბუნდოვანებების შუაგულში. ძალზე იოლი განსაჭვრეტია, რა უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც უკვე ყველაფერი გაირკვა. ჩვენც — ამ ჩვენს წუხილებში, მერყეობებში, საკუთარი მოვალეობის არცოდნაში — მანამდე არ უნდა განგვსაჯონ, ვიდრე

არ აჰყვებიან ჩვენს ბოლო ნაფეხურებს ქვიშის პატარა ბორცვზე, რომლის წვერიდანაც მომავლის დანახვას ვცდილობდით. ვიცით თუ არა ლუი XVI უკეთ, რისი გაკეთება გვმართებს ამ მომენტში? ვიცით თუ არა, რა უნდა მოვიშოროთ თავიდან და რა დავიცვათ? შევძლებთ კი ლუიზე უკეთ ცურვას ადამიანური გონების უფლებებსა და გარემოებათა უფლებებს შორის? განა კეთილსინდისიერი მერყეობა ხშირად მოვალეობის ყველა ნიშანს არ ატარებს? უბედური მეფის მაგალითმა კი, ამასობაში, შეიძლება ფრიად მნიშვნელოვანი რამ გვასწავლოს: ის, რომ დიდი და კეთილშობილი ეჭვით შეპყრობილებმა მუდამ პირდაპირ და გაბედულად უნდა ვიაროთ და უსასრულოდ გავცდეთ იმას, რაც კეთილგონივრული, რეალიზებადი და სამართლიანი გვგონია. იდეა, რომელსაც მოვალეობის, სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისგან ვიქმნით, — ეგზომ ნათელი, პროგრესული, დამოუკიდებელი, როგორადაც ის გვეჩვენება, — არასოდეს არ არის ისეთი, როგორიც სრულებით ბუნებრივად იქნება რამდენიმე წლის ან რამდენიმე საუკუნის შემდეგ. ამიტომ გონივრულია, რომ შეძლებისდაგვარი სისწრაფით ვიაროთ იმ ყველაფრის ბოლო ნერტილისკენ, რასაც ვხედავთ და რისი იმედიც გვაქვს. ლუი XVI რომ ისე მოქცეულიყო, როგორც ჩვენ მოვიქცეოდით მის ადგილზე, მაშინ ახლა, როდესაც უკვე ვიცით, რა უნდა ექნა, ანუ ვიცით, რომ გაბედულად უნდა უკუეგდო მეფურ ახირებათა ყოველგვარი სიგიჟე და ლოიალურად მიეღო ახალი ჭეშმარიტება და უზენაესი სამართალი, რომელსაც მას სთავაზობდნენ, — ახლა ჩვენ მოგვხიბლავდა მისი გენია. მართლაც: შესაძლოა, ლუი XVI, რომელიც არც ბოროტი იყო და არც იმბეცილი, თუნდაც ერთი წუთით ისევე დაინახა თავისი სიტუაცია, როგორც უანგარო ფილოსოფოსი დაინახავდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ისტორიულად ან ფსიქოლო-

გიურად ეს შეუძლებელი არ არის. დიდებული ეჭვებით გარემოცულებმა, ჩვენ საკმაოდ ხშირად ვიცით, სად არის მყარი წერტილი, მოვალეობის უცვლელი მწვერვალი, მაგრამ გვეჩვენება, რომ სადღეისო მოვალეობიდან იმ ძალზე მარტოხელა და მოელვარე მწვერვალამდე ისეთი მანძილია, რომლის აჩქარებული გავლა არაკეთილგონივრული იქნებოდა. და მაინც: განა კაცობრიობის ისტორია და მთელი ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილება არ გვიმტკიცებს, რომ მხოლოდ ყველაზე მაღალ მწვერვალს აქვს აზრი და გამართლება და რომ ყველაფერი იქ ასვლით უნდა დამთავრდეს მას შემდეგ, რაც ფრიად ძვირფასი დრო შუალედურ ბორცვებზე ასვლა-ჩამოსვლამ ნაიღო? რას ნარმოადგენს ბრძენი, გმირი, დიდი ადამიანი, თუ არა იმას, ვინც სრულებით მარტო და სხვებზე ადრე ავიდა უკაცრიელ ზეგანზე, ყველა რომ ხედავდა მეტნაკლები სიცხადით?

XXI

ჩვენ არ ვაცხადებთ, რომ ლუი XVI ასეთი კატეგორიის კაცი და გენიალური ადამიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მოვალეობაა გენიოსობა მაშინ, როდესაც ამდენი თანამემამულის ბედი შენს ხელშია. არც იმას ვაცხადებთ, რომ ჩვენ შორის საუკეთესონი არ ჩაიდენდნენ მის შეცდომებს, რასაც შედეგად იგივე უბედურებები მოყვებოდა. არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ უბედურებათაგან არცერთი არ ყოფილა ზეადამიანური ნარმოშობის და არც ზებუნებრივად თუ იდუმალად აუცდენელი. ისინი სხვა სამყაროდან არ მოსულან, საზარელ, გაუგებარ და ახირებულ ღმერთს არ გამოუგზავნია. მათ საფუძვლად დაედო სამართლიანობის აუღიარებელი იდეა, რომელმაც ცხოვრებაში მყისიერად შე-

მოაბიჯა, თუმცა კი ადამიანის გონებაში არასოდეს სძინებია. და რა არის ამქვეყნად უფრო დამამშვიდებელი, უფრო ახლობელი, უფრო ღრმად ადამიანური, ვიდრე საკუთრივ სამართლიანობის იდეა? ლუი XVI მშვიდი ბუნებიდან გამომდინარე, დასანანია, რომ ამ იდეამ სწორედ მისი მმართველობის დროს გამოიღვიძა. არსებითად, მას ბედისწერისთვის თითქმის სხვა არაფერი აქვს სასაყვედურო. და დიდი ნანილიც საყვედურებისა, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მისი მისამართით გამოვთქვამთ, ასეთი კატეგორიისაა.

თუმცა სრულებით კანონიერად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ერთი ენერგიული ქმედება, ლოიალური, უანგარო და კეთილად ნათელმხილველური სიბრძნის ერთი ნაბიჯი მოვლენათა მთელ მდინარებას შეცვლიდა. ორგულობის და დანაშაულებრივი სისუსტის გამომხატველი აქტი — ვარენში გაქცევა — ოდნავ ნაკლებად ბავშვურად, ნაკლებად აბსურდულად რომ ყოფილიყო ორგანიზებული, როგორც ამას რეალურ ცხოვრებასთან ახლოს მდგარი ნებისმიერი სხვა ადამიანი მოიმოქმედებდა, მაშინ ლუი XVI სიცოცხლე ნამდვილად არ დასრულდებოდა ეშაფოტზე. რომელიმე ღმერთმა უბიძგა თუ მისივე ბრმა შეშნყნარებლობამ მარი-ანტუანეტის მიმართ, რომ იმ დამღუპველი მოგზაურობის სამზადისიცა და მიმართულების შერჩევაც სულელ, პატივმოყვარე და მოუხერხებელ დე ფერსენს[9] მიანდო? დიდი საიდუმლოებით აღსავსე ძალა იყო თუ თვით მეფის სიმჩატე, უზრუნველობა, შეუგნებლობა, საკუთარი ვარსკვლავის მიტოვება და, იმავდროულად, გამოწვევა, — როგორც უდარდელები და სუსტები იქცევიან ხოლმე საფრთხეში მოხვედრისას, — რაც მას აიძულებდა, რომ ცხენების ყოველი გამოცვლისას სამგზავრო ეტლის ფანჯრიდან თავი გაუფრთხილებლად გამოეყო და სამჯერ თუ ოთხჯერ მნახველებს ეცნოთ? და გადამწყვეტ მომენტში, ვარე-

ნის იმ ურუანტელისმომგვრელ და დახუთულ ღამეში, — ერთ-ერთ იმ ისტორიულ ღამეთაგანში, როდესაც ფატალობა შეურყეველი მთასავით წამოიმართება ხოლმე ჰორიზონტზე, — განა ეს ფატალობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ მიტორტმანებდა ახალფეხადგმული ბავშვივით, რომელმაც არ იცის, თეთრი კენჭი წააქცევს თუ ბალახის ბღუჯა ბილიკის ერთ-ერთ მხარეს? სამგზავრო ეტლის ტრაგიკული შეჩერება შავ ღამეში, ახალგაზრდა დრუეს საშინელი შეძახილი — *„ერის სახელით!..“*, ეტლში მჯდარი მეფის მიერ გაცემული ბრძანება, მათრახის გატყლაშუნება, დიდი ძალვა... და ჩვენ — თქვენ და მე — ალბათ ქვეყანას აღარ მოვევლინებოდით, რაკი მსოფლიოს ისტორია უკვე სხვა იქნებოდა. ამას მოჰყვება მოწიწებით აღსავსე, შემკრთალ-შეყოყმანებული ქალაქის მერი, რომელიც მხოლოდ ერთ მბრძანებლურ სიტყვას ელოდება, რათა ყველა კარიბჭე გახსნას; შემდეგ — სასტუმრო, ბატონი სოსის — სოფლის ყოჩაღი მედუქნის ბუტიკი, დაბოლოს — გოგელასა და შუაზელის შესასვლელთან დახვედრილი ჰუსარები და ოცგზის გამეორებული სამხედრო სალამი: — განა ამ ყველაფერს ერთი „ჰო“ ან „არა“, ერთი ნაბიჯი, ერთი ჟესტი, ერთი მზერა არ წყვეტდა? სათითაოდ ჩააყენეთ თქვენთვის კარგად ნაცნობი ათი ადამიანი საფრანგეთის მეფის სიტუაციაში და თქვენ შეუცდომლად განჭვრეტთ, რითი დასრულდებოდა ის ათი ღამე. აი, თურმე სად ყოფილა ფატალობით დაფეხმძიმებული ის სამარცხვინო ღამე! შევსწრებივართ კი ოდესმე უფრო თვალნათლივ ამ დიდი და იდუმალი ძალის მორჩილებას, მის უმწეო და დაბნეულ მდგომარეობას, ძალის, ასე რომ გვანვება ხოლმე ჩვენს მეტისმეტად ქედდადრეკილ ნუთებში? გვინახავს კი თავისი ნათხოვარი, თითქოსდა შთამაგონებელი, არსებითად კი — შეცდომაში შემყვანი სამოსისგან ოდესმე ასე განძარცული, ღაპაღუპით

ცრემლჩამომდინარი, სიკვდილიდან სიცოცხლემდე და სიცოცხლიდან სიკვდილამდე ასგზის ზედიზედ ნასულ-დაბრუნებული, დაბოლოს, თავზარდაცემული ქალივით ჩავარდნილი ამ ბედკრული, მასზე ოდნავ უფრო მეტად არსებული და ოდნავ უფრო მეტად გაბედული კაცის მკლავებში, რათა დილამდე მუდარით ეთხოვა მისთვის გადაწყვეტილების მიღება, ეთხოვა არსებობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური აზროვნებისა და ნებელობის წიაღში თუ მოიპოვება?

XXII

მიუხედავად ამისა, მთელი ჭეშმარიტება აქ არ ძევს. მარგებელია საგნების ამგვარად წარმოდგენა, ფატალობის როლის ასეთი შემცირება, მისი შედარება დაბნეულ და შეყოყმანებულ ქალთან, რომელიც უნდა შეიფარო და გზაზე დააყენო. სახიფათო წუთის მოლოდინში ეს ჩვენ აღგვჭურვავს ნდობით, ინიციატივით, გაბედულებით, ურომლისოდაც რიგიანსა და სასიკეთოს ვერაფერს მოვიმოქმედებთ. მაგრამ ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ სხვა არაფერი არსებობს და რომ მხოლოდ საკუთარი ნება და აზროვნებაა ანგარიშგასაწევი. აზროვნება და ნებელობა, როგორც ძლევამოსილი ჯარისკაცები, უნდა შეეჩვიონ იმით ცხოვრებას, რაც მათ ომს აწყებინებს: უნდა ისნავლონ, როგორ იკვებონ იმ შეუცნობლით, მათზე რომ მეუფებს. ისინი არ გადიან უმისიო ადამიანთა ძალზე შეზღუდული ბედნიერების საზღვრებიდან, არ ტოვებენ ჩვეულებრივ აქტივობათა რკალს. თვითნებური უეჭველობით მიუყვებიან ნაცნობ ბილიკს, თუმცა არ წყვეტენ ფიქრს იმ შეუცნობელ სივრცეზე, რომელშიც ეს ბილიკი მიიკლაკნება. ისე უნდა ვიმოქმედოთ, თითქოს ყველაფერი ჩვენ გვექვემდე-

ბარება, თუმცა ის აზრიც უნდა დავუშვათ, რომ ჩვენც კეთილშობილად დავექვემდებარებით გზად შემოყრილ დიდ ძალებს. აუცილებელია ჩვენმა ხელმა იცოდეს, რომ ყველაფერი გათვალისწინებული გვაქვს, მაგრამ ჩვენს ფარულ, შეურყვნელ, ხელშეუხებელ იდეასაც არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ყოველივე დიადი თითქმის ყოველთვის გაუთვალისწინებელია. სწორედ ეს გაუთვალისწინებელი და შეუცნობელი აკეთებს იმას, რასაც ჩვენ ვერასოდეს გავბედავდით. მაგრამ გაუთვალისწინებელი და შეუცნობელი არასოდეს მოვა დასახმარებლად, თუ ჩვენი გულის სიღრმეში მის სახელზე აგებული საკურთხეველი არ ეგულება. დაუკვირდით იმ წილს, რომელსაც ნაპოლეონივით დიდი ნებელობით დაჯილდოებული ადამიანები *ილბალს* გადაუნახავდნენ ხოლმე თავიანთ უჩვეულო დემარშებში. ისინი, ვისაც არანაირი დიდსულოვანი იმედი არ გააჩნია, შემთხვევას საპყრობილეში ამწყვდევენ. სხვები შემთხვევას სთავაზობენ უსაზღვრო ველ-მინდორს, რომლის შემოვლა მათ, როგორც ადამიანებს, ჯერ კიდევ არ ძალუძთ, თუმცა არც მხედველობიდან არ კარგავენ.

XXIII

ისტორიის ეს კონვულსიური საათები ზღვაზე ატეხილ ქარიშხლებს ჰგავს. დაბლობებიდან მოსულები ზღვასთან გავდივართ, ნაპირის კლდეებიდან ვიყურებით, რაღაცას ველით და ვეება ზვირთებს ბავშვური ცნობისწადილით ვეკითხებით. აი, გამჭვირვალეკუნთებიანი ურჩხულივით მოიწევს ჩვენკენ სხვებზე სამგზის უფრო მაღალი და სამგზის უფრო გაშმაგებული ზვირთი. ჰორიზონტის სიღრმიდან იგი აჩქარებით მოიგრაგნება და თითქოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი რამ უნდა

გაგვიმხილოს. უკან იმსიღრმე კვალს ტოვებს, რომ, როგორც ჩანს, ჩვენკენ ოკეანის ერთ-ერთ საიდუმლოს მოაქანებს. და როგორც პაწია უზრუნველი ტალღები აგორდებიან ხოლმე ერთმანეთს უქარო და უღრუბლო დღეებში, ეს გამჭვირვალე და თვალჩაუნვდენი ზვირთებიც ასე აგორდებიან სხვა გამჭვირვალე და თვალჩაუნვდენ ზვირთებს. მათ არასოდეს ამოჰყოლია ერთი ცოცხალი არსება, ერთი ბალახი, ერთი ქვაც კი.

თუ ბრძენ ადამიანს რაიმე დათრგუნავდა (რომელიც ბრძენი არ ყოფილა, რაკი დათრგუნვის მოუღოდნელი მოტივი მის განცვიფრებას არ ასხივოსნებს და არც მის ცნობისწადილს იწვევს), ეს არის ის, რაც მრავლად მოიპოვება იმავე საფრანგეთის რევოლუციაში, ანუ — ლუი XVI უსასრულოდ უფრო ბნელი, უფრო გამსრესი და უფრო აუხსნელი ბედისწერა. მე ვფიქრობ ჟირონდისტებზე,[10] განსაკუთრებით კი — საკვირველ ვერნიოზე[11]. დღესაც კი, როცა ჩვენ უკვე ვიცით ყველაფერი, რასაც მომავალი მას უმალავდა, და როცა ვხვდებით, საითკენ მიანიშნებდა იმ გამორჩეული საუკუნის ინსტინქტური იდეა, — ალბათ, მაინც ვერ მოვიქცევით ვერნიოზე უფრო ბრძნულად და უფრო კეთილშობილურად. ყოვლისწამლეკავ კოცონში ჩავარდნილი ნებისმიერი ადამიანისთვის ყველა შემთხვევაში ძნელი იქნებოდა უფრო დიდი გონების შერწყმა უფრო დიდბუნებოვან ხასიათთან. მშვენიერი არსება შიშის, ქვენა აზრების, ცდომილებების, სისუსტეების გარეშე, როგორსაც ზოგჯერ გულის სიღრმეში ვქმნით ხოლმე ჩვენი უწმინდესი ძალებით, მთელი ჩვენი სიბრძნითა და სიყვარულით, — აი, ასეთი შეუსვრელი ლანდი ისურვებდა ჩამომჯდარიყო მის ახლოს, კონვენტის[12] უკვე დაცარიელებულ სკამებზე, „სადაც თითქოს სიკვდილის აჩრდილი ლივლივებდა ჰაერში", ჩამომჯდარიყო, რათა მისებრ

ეფიქრა, მისებრ ელაპარაკა, მისებრ ემოქმედა. მან შეამჩნია ის, რაც ტრაგიკული მომენტის მიღმა მარადიული და წარუხოცელი იყო; მან უერთგულა ჰუმანურობას და შემწყნარებლობას იმ საზარელ დღეებში, როცა ერთიცა და მეორეც სამართლიანობის იდეალის ყველაზე უარეს მტრებად მოჩანდნენ, სამართლიანობის, რომელსაც ვერნიომ ყველაფერი შეწირა. და „დიდი და კეთილშობილი ეჭვით შეპყრობილმა, მან პირდაპირ და გაბედულად იარა და უსასრულოდ გაცდა იმას, რაც კეთილგონივრული, რეალიზებადი და სამართლიანი ჩანდა". სიკვდილი — ძალმომრეობითი, თუმცა მოსალოდნელი — მას ჯერ კიდევ ნახევარი გზის გავლამდე შემოეყარა, ვინძლო ჩვენთვისაც ესნავლებინა, რომ საკმაოდ ხშირად ადამიანსა და ბედისწერას შორის მომხდარ ამ უცნაურ ბრძოლებში მაინცდამაინც სხეულის შენარჩუნებაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, არამედ ჩვენი ულამაზესი გრძნობებისა და საუკეთესო აზრების გადარჩენაზე.

„რა მნიშვნელობა აქვს ჩემს საუკეთესო აზრებს, თუ მე აღარ ვიქნები?" — იტყვიან ერთნი. „რაღა დარჩება ჩემგან, თუ ყოველივე, რაც მიყვარს, უნდა დამეღუპოს გულშიც და გონებაშიც ჩემი ფიზიკური სიცოცხლის გადარჩენის სანაცვლოდ?" — პასუხობენ მეორენი. და განა აქ გაკეთებულ არჩევანზე არ დაიყვანება მთელი ადამიანური მორალი, სათნოება და შემართება?

XXIV

მაგრამ რას წარმოადგენს, ბოლოს და ბოლოს, ეს სიბრძნე, რომელზეც ასე ვლაპარაკობთ? ნუ ვეცდებით მის განსაზღვრას მეტისმეტად ზუსტად, რადგან ეს მისი დატუსაღება იქნება. ვინც სიბრძნეს

სინჯვას დაუწყებს, იმ კაცს დაემსგავსება, რომელიც ჯერ სინათლეს ჩააქრობს, მერე კი მისი ბუნების შესწავლას შეუდგება. ასეთ შემთხვევაში, იგი მხოლოდ ჩამქრალ პატრუქსა და ნაცარს იპოვის. „ბავშვისთვის ნათქვამი ბრძნული სიტყვა ის სიტყვაა, რომელიც მას მუდამ ესმის და რომლის ახსნას არ ითხოვს", ამბობს ჟუბერტი.[13] მივიღოთ ეს სიტყვა, როგორც ბავშვი იღებს, სიტყვა, რომელიც ჩვენთან ერთად იზრდება. ვთქვათ სიბრძნეზე იგივე, რაც დიდი ხნის წინ თქმულა სიყვარულის შესახებ: „მისი უღრმესი უფსკრული მისი ულამაზესი ფორმაა". ის კი არ არის აუცილებელი, რომ სიბრძნეს ფორმა ჰქონდეს, არამედ ის, რომ მისი სილამაზე ისეთივე ცვალებადი იყოს, როგორც ცეცხლის ენების სილამაზე. ეს არ არის ტახტზე უძრავად წამომჯდარი ქალღმერთი. ეს მინერვაა, რომელიც თან გვახლავს, ჩვენთან ერთად ადის და ჩამოდის, ტირის და იცინის. მხოლოდ მაშინ ხართ ნამდვილი ბრძენი, თუ თქვენი სიბრძნე გამუდმებით იცვლება ბავშვობიდან მოყოლებული სიკვდილამდე. რაც უფრო მეტად ღრმავდება და მშვენიერდება აზრი, რომელსაც ბრძნულ სიტყვას ანიჭებთ, მით უფრო ბრძენდებით თავადაც. და სიბრძნისკენ სვლისას გავლილი თითოეული საფეხურიც სულის მზერაში ზრდის სივრცეს, რომელსაც სიბრძნე ვერასოდეს გასწვდება.

XXV

ბრძენობა საკუთარი თავის შეცნობას ნიშნავს. თუმცა როდესაც საკუთარ თავს უკვე საკმაოდ ფართოდ ვაცნობიერებთ, იმასაც ვამჩნევთ, რომ ჭეშმარიტი სიბრძნე ცნობიერებაზე უფრო ღრმაა. ხოლო ცნობიერების ზრდა მხოლოდ იმდენად არის სასურველი, რამდენადაც ამ დროს რიდე ეხდება

უფროდაუფრო მაღალ არაცნობიერს. და სწორედ ახალი არაცნობიერის სიმაღლეებზე თუ ვპოულობთ უწმინდესი სიბრძნის წყაროებს. არაცნობიერის სამემკვიდრო ყველა ადამიანს ერთნაირი აქვს, მაგრამ ამ საუფლოს ერთი ნაწილი ნორმალური ცნობიერების გამოღმაა, მეორე კი — გაღმა. ადამიანთა დიდი ნაწილი პირველ ზონას არ ტოვებს, ხოლო სიბრძნის მაძიებლები კი მანამდე არ ისვენებენ, სანამ მეორე ზონისკენ მიმავალ ახალ გზებს არ გახსნიან. თუკი მე მიყვარს და ჩემი სიყვარულით იმდენად სრული ცნობიერება მოვიპოვე, რამდენადაც კი ადამიანს ხელეწიფება, მაშინ ეს სიყვარული სულ სხვა ბუნების არაცნობიერით განათდება, ვიდრე ის არაცნობიერია, რიგით სიყვარულებს რომ აბნელებს. მეორე არაცნობიერი მხოლოდ ცხოველურს მოიცავს, პირველი კი — ღმერთსაც, თუმცა განცდაში ეს მხოლოდ მაშინ შემოდის, როცა ცხოველურის შეგრძნებას განერიდება. არაცნობიერიდან არასოდეს გამოვდივართ, მაგრამ შეგვიძლია გამუდმებით გავაუმჯობესოთ ხარისხი იმ არაცნობიერისა, ჩვენ რომ გველამუნება.

XXVI

ბრძენობა მხოლოდ საკუთარი გონების თაყვანისცემას არ ნიშნავს და არც მხოლოდ ამ გონების ჩვევას — იოლად სძლიოს მდაბალ ინსტინქტებს. ეს მეტისმეტად ბერწი გამარჯვებები იქნებოდა, თუ გონებას არ ასწავლიდნენ კიდევ უფრო დიდ დაქვემდებარებას სხვაგვარი ინსტინქტისადმი, რომელიც *სულის ინსტინქტია*. ყოველდღიური ძლევა კი მხოლოდ იმდენადაა ღირებული, რამდენადაც უფროდაუფრო ღვთაებრივ ინსტინქტს უფროდაუფრო თავისუფლად გამოვლენის საშუალებას აძლევს. ამდენად,

ეს გამარჯვებები თვითმიზანი არ არის. მათი დანიშნულებაა, განმინდონ ჩვენი სულის ბედისწერის — მუდამ განწმენდისა და სინათლის ბედისწერის გზა.

XXVII

გონება კარს უღებს სიბრძნეს, მაგრამ ყველაზე ცოცხალი სიბრძნე საკუთრივ გონებაში არ ძევს. ცუდ ბედისწერებს გონება კარს უკეტავს, კეთილმოსურნე ბედისწერების თვალსაწიერისკენ გამავალ მეორე კარს კი თვით სიბრძნე აღებს. გონება თავს იცავს, კრძალავს, უკუიქცევა, გამორიცხავს, ანგრევს, სიბრძნე კი უტევს, უბრძანებს, ნინ მიინევს, ამატებს, ზრდის და ქმნის. სიბრძნე ჩვენს სულს უფრო ეჭაშნიკება, ვიდრე ჩვენს გონებას. სიბრძნე გონებაზე უფრო მაღლამხედია. ნამდვილ სიბრძნეს უამრავი ისეთი რამის ქმნა სჩვევია, რასაც გონება ან არ ადასტურებს ან — მხოლოდ თანდათანობით. ამიტომ იყო, რომ ერთხელაც სიბრძნემ გონებას უთხრა, ბოროტებაზე სიკეთით უნდა უპასუხო და მტრები უნდა გიყვარდესო. იმ დღეს გონება თავისი საუფლოს უმაღლეს ნერტილზე ამაღლდა და სიბრძნის ეს მითითება დაუშვა. მაგრამ სიბრძნე ამითაც არ კმაყოფილდება და სრულიად მარტო განაგრძობს ძებნას გაცილებით დაშორებულ რეგიონებში.

XXVIII

მხოლოდ გონებას რომ ემორჩილებოდეს და მხოლოდ ინსტინქტთა რჩევების დამარცხებას კმარობდეს, მაშინ სიბრძნე მხოლოდ თავისი თავის მსგავსი იქნებოდა. იარსებებდა ერთადერთი სიბრძნე, რომელიც ადამიანს შემოვლილი ექნებოდა, რაკი გონებამ უკვე არაერთგზის შემოუარა თავის საბრძანისს.

მართალია, სიბრძნეს აქვს რამდენიმე მყარად ფიქსირებული მომენტი, მაგრამ მაინც არაფერი ისე არ განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც სოკრატესა და ქრისტეს, არისტიდესა[14] და მარკუს ავრელიუსის, ფენელონისა და ჟან-პოლის სიბრძნეთა ატმოსფერო. არაფერი ისე სრულად არ გადასხვაფერდებოდა, როგორც ერთი და იგივე მოვლენა, რომელიც ერთსა და იმავე დღეს ამ ადამიანთა სიბრძნის ცოცხალ წყლებში აღმოჩნდებოდა. მათივე გონების დამდგარ წყალში მოხვედრილი იგივე მოვლენა კი მუდამ უცვლელი და თავისივე თავის მსგავსი დარჩებოდა. წარმოიდგინეთ, რომ იესო და სოკრატე მეძავ ქალს შეხვედროდნენ. მათი გონება თითქმის ერთსა და იმავეს იტყოდა, მათი სიბრძნის მოძრაობები კი — მათივე სიტყვებისა და აზრების მიღმა — სხვადასხვა სამყაროს კუთვნილება იქნებოდა. ეს თვით სიბრძნის სიცოცხლეა, რომელსაც განსხვავებები დიახაც რომ სურს. ყველა ბრძენი ერთი და იმავე წერტილიდან — გონების ზღურბლიდან იწყებს. შემდეგ კი, იმ მომენტიდან მოყოლებული, სადაც გონება უკვე ურყევად იმარჯვებს, ანუ საიდანაც თავისუფლად შედიან აღმატებული ცნობიერების საუფლოში, — ისინი ერთმანეთს შორდებიან.

XXIX

დიდი სხვაობაა ორ გამოთქმას შორის: „ეს კეთილგონივრულია“ და „ეს ბრძნულია“. ის, რაც კეთილგონივრულია, უცილობლად ბრძნული არ არის, ხოლო ის, რაც ნამდვილად ბრძნულია, ცივი გონებისთვის თითქმის არასოდეს არ არის კეთილგონივრული. მაგალითად, გონება ქმნის სამართლიანობას, სიბრძნე — სიკეთეს, რომელიც, მოხუცი პლუტარქეს თქმით, „სამართლიანობაზე გაცილებით უფრო

შორს მიდის“. რაზეა დამოკიდებული გმირის მოქმედება — გონებაზე თუ სიბრძნეზე? შეიძლება ითქვას, რომ სიბრძნე არის ჩვენს სულიერ ცხოვრებასთან მისადაგებული უსასრულობის შეგრძნება. მართალია, მსგავსი შეგრძნება გონებასაც აქვს, მაგრამ მისთვის ეს გრძნობა მხოლოდ უსიცოცხლო კონსტატაციაა. თვით ამ გრძნობის დამსახურებით ხდება, რომ ცხოვრებაში მას არაევითარ ანგარიშს არ უნევენ. აი, სიბრძნე იმდენად უფროა სიბრძნე, რამდენადაც მის ქმედებაში უფრო ცოცხლად დომინირებს უსასრულობა.

გონებაში სიყვარული არ სახლობს, სიბრძნეში კი ბევრი სიყვარულია. და უმაღლესი სიბრძნეც არ განირჩევა იმისგან, რაც კი სიყვარულში უწმინდესია. მართლაც: სიყვარული უსასრულობის ყველაზე ღვთაებრივი ფორმაა. და რაკი ყველაზე ღვთაებრივია, ალბათ, სწორედ ამიტომაა ყველაზე ღრმად ადამიანურიც. ეგებ ისიც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ სიბრძნე არის ღვთაებრივი გონების გამარჯვება ადამიანურ გონებაზე?..

XXX

არ გვმართებს მეტისმეტი კეთილგონიერება, — მხოლოდ სიბრძნეს აქვს უფლება მოუწოდოს გონებას. ბრძენს ვერ ვუწოდებთ იმას, ვის გონებასაც ჯერ არ უსწავლია, რომ სიყვარულის პირველივე ნიშანს დაემორჩილოს. რას იზამდა იესო, რას იზამდნენ გმირები, მორჩილებაში რომ არ ჰყოლოდათ გონება? განა ჰეროიკული საქციელი მუდამ გონების საზღვრებს არ სცილდება? და, მიუხედავად ამისა, ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ გმირები ნაკლებად ბრძენები არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც არაფერს იქმან, რაკი მხოლოდ გონებას უსმენენ?

უნდა გავიმეოროთ: არა გონება, არამედ სიყვარული უნდა იყოს ის ლარნაკი, რომელშიც ჭეშმარიტი სიბრძნე აღმოცენდება. მართალია, სიბრძნის ფესვებთან გონება სახლობს, მაგრამ საკუთრივ სიბრძნე გონების ყვავილი არ არის. რადგან აქ ლაპარაკია (თუ სხვა მეტაფორას მივმართავთ) არა ლოგიკურ სიბრძნეზე, არამედ იმაზე, რომელიც სიყვარულის უსაყვარლესი დაა და რომელსაც ლოგიკური სიბრძნე მხოლოდ შვილიშვილად თუ ერგება.

თავიდან გონება და სიბრძნე ხელჩართულ ბრძოლაში არიან, მაგრამ სიბრძნე ბადებს მშვიდობას, რომელიც ბოლოს სიყვარულსა და გონებას შორისაც მყარდება. ეს მშვიდობა კი იმდენად უფრო ღრმაა, რამდენადაც გონება უფროდაუფრო მეტ უფლებას უთმობს სიყვარულს.

XXXI

სიბრძნე სიყვარულის შუქია, სიყვარული — სინათლის საზრდო. სიყვარული, რაც უფრო ღრმაა, მით უფრო ბრძენდება. თავის მხრივ, რაც უფრო მაღლდება სიბრძნე, მით უფრო უახლოვდება სიყვარულს. გიყვარდეთ და დაბრძენდებით, დაბრძენდით და გეყვარებათ. როცა ჭეშმარიტად გვიყვარს, ვუკეთესდებით კიდეც. უკეთესობისკენ სვლა დაბრძენებასაც ნიშნავს. არ არსებობს ადამიანი, რომლის სულში რაღაც არ უმჯობესდება, როცა მას მეორე ადამიანი უყვარს (თვით ვულგარული სიყვარულის შემთხვევაშიც კი). ხოლო ისინი, ვისაც განუწყვეტლივ უყვართ, მხოლოდ იმიტომ განაგრძობენ სიყვარულს, რომ სულ უფრო უკეთესები ხდებიან. სიყვარული ასაზრდოებს სიბრძნეს, სიბრძნე — სიყვარულს, და ეს სინათლის წრეა, რომლის ცენტრში შეყვარებულები ბრძენებს ეხვევიან. სიბრძნე და სი-

ყვარული ერთმანეთისგან განუყოფელია და სვედენ-ბორგის სამოთხეშიც ცოლი სხვა არაფერია, თუ არა „ბრძენის სიბრძნის სიყვარული“.

XXXII

„ჩვენი გონება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ნათელ იდეებშია“, ამბობს ფენელონი. ჩვენი სიბრძნე კი, — დავუმატებთ ჩვენ, — ანუ ყოველივე საუკეთესო, რაც კი სულში და ხასიათში გვაქვს, ჩვენს ჯერ კიდევ ბუნდოვან იდეებში დაბუდებულა. თუ ცხოვრებაში მხოლოდ ნათელი იდეებით ვხელმძღვანელობთ, მაშინ მცირედ სიყვარულს და მცირედ დაფასებას ვიმსახურებთ. არსებითად, არაფერია უფრო ბუნ-დოვანი, თუ არა მიზეზები, რომელთა გამო თავს ვირწმუნებთ, რომ უნდა ვიყოთ კეთილნი, სამარ-თლიანნი, დიდსულოვანნი; ყოველგვარ მოქმედე-ბაში შეძლებისდაგვარად კეთილშობილი გრძნობები და აზრები უნდა გვამოძრავებდეს. საბედნიეროდ, რაც უფრო მეტი ნათელი იდეა გვაქვს, მით მეტ პა-ტივს ვცემთ ჯერ კიდევ ბუნდოვან იდეებს. უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი შეძლებისამებრ ნათელი იდეა გვქონდეს, რათა ჩვენს სულში კიდევ უფრო მეტმა ბუნდოვანმა იდეამ გაიღვიძოს. ნათელი იდეები ზოგჯერ თითქოს ჩვენს გარეგან ცხოვრე-ბას წარმართავს, თუმცა შინაგან ცხოვრებას სათ-ავეში უეჭველად სხვა იდეები უდგას და ხილული ცხოვრებაც მუდამ უხილავის დაქვემდებარებით მთავრდება. მართლაც: ჩვენი ნათელი იდეების რა-ოდენობა, ხარისხი და ძალმოსილება განსაზღვრავს ჩვენივე ბუნდოვანი იდეების რაოდენობას, ხარისხსა და ძალმოსილებას. დიდად შესაძლებელია, რომ ჩვენ მიერ ასეთი გზნებით ნაძებნი საბოლოო ჭეშმარიტე-ბები თავიანთ ჟამს მოთმინებით ელიან ჩვენივე ბუნ-

დოვანი იდეების შუაგულში. ეს მოლოდინი უნდა შემოკლდეს. მშვენიერი ნათელი იდეა, რომელსაც ჩვენში ვაღვიძებთ, თავის მხრივ, ყოველთვის გამოაღვიძებს მშვენიერ ბუნდოვან იდეას. და როცა ეს უკანასკნელი განათდება თავისივე დაბერების კვალდაკვალ (განა სრულყოფილი სინათლე, როგორც ნესი, იდეების დაღლილობის ნიშანი არ არის?), ისიც, თავის მხრივ, ძილბურანიდან გამოიყვანს მორიგ ბუნდოვან იდეას, უფრო მშვენიერსა და მაღალს, ვიდრე ეს უკანასკნელი იყო თავის წყვდიადში. და, შესაძლოა, ჩაძინებული მწკრივების ასეთი თანმიმდევრული და ნირწაუმხდარი სინჯვა-სინჯვით, ერთ-ერთი ასეთი იდეა თავისი პატარა, თითქმის უხილავი ხელით დიდ ჭეშმარიტებას შეეხოს.

XXXIII

ნათელი იდეები, ბუნდოვანი იდეები, გული, აზროვნება, ნებელობა, გონება, სული: აი, არსებითად, სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე საგანს — ადამიანის სულიერ საუნჯეს გამოხატავენ. სული უეჭველად ჩვენი აზროვნების უმშვენიერესი სურვილია და, ვინ იცის, ეგებ ჩვენი სულის საუკეთესო სურვილი *ღმერთია?* ამ ყველაფერში იმდენი ბუნდოვანებაა, რომ, უკეთეს შემთხვევაში, შეგვიძლია ვცადოთ და წყვდიადი დიდი წრფეებით დავყოთ, ხშირად — თვით დასაყოფ სივრცეზე კიდევ უფრო ჩაბნელებულით. ალბათ, საკუთარი თავის შეცნობაა ჩვენთვის მისაღები ერთადერთი იდეალი. მაგრამ მაინც სადამდე უვრცელდება ასეთი დამოკიდებულება ამ ცოდნას, რომელიც ერთი შეხედვით მხოლოდ ჩვენს გონებაზე ჰკიდია? განა ყველაზე უკეთესი, ყველაზე სამართლიანი, ყველაზე ჭეშმარიტი, ერთი სიტყვით, ყველაზე განსულიერებული ის ადა-

მიანი არ უნდა იყოს, რომელიც ყველაზე ზუსტად აცნობიერებს თავის მდგომარეობას სამყაროში? თუმცა მას გულწრფელად უნდა სწამდეს, რომ ნამდვილად აცნობიერებს ამას. და ყველაზე უფრო პოზიტიურ მორალსაც ხომ ერთგვარი მისტიკური არაცნობიერის სახით გაუჟღინთავს მთელი მისი ფესვები? ჩვენი აზროვნების უმშვენიერეს სურვილს თვით აზროვნება გვამცნობს, თუმცა ამაოდ ნუ ვიფიქრებთ, რომ მოსავალი, რომელიც გზაზე გამოატარეს, ზედ გზაზევე აიღეს. ყველაზე სუფთა გონება — თვით მაშინაც კი, როცა საკუთარ სფეროს იკვლევს — ნამდაუნუმ ტოვებს ხოლმე ამ სფეროს.

მიუხედავად ამისა, სწორედ აზროვნებით ვიწყებთ ჩვენი ზემოთნახსენები სურვილის მორთვა-მოკაზმვას, დანარჩენი კი მთლიანად ჩვენზე არ არის დამოკიდებული. თუმცა ეს დანარჩენი ისევ-დაისევ აზროვნებამ უნდა აამოძრაოს. გონება — ჩვენი აზროვნების უფროსი ქალიშვილი — ჩვენი სულიერი ცხოვრების ზღურბლზე უნდა ჩამოჯდეს მას შემდეგ, რაც გახსნა მიწისქვეშა კარი, რომლის მიღმა პატიმრებს — ჩვენი არსების ცოცხალ და ინსტინქტურ ძალებს სძინავთ. ჰოდა, ზღურბლზე ზის, ლამპარი უჭირავს და ელოდება. თუნდაც მხოლოდ მისი მუნყოფნა ამ ზღურბლს უკვე მიუვალს ხდის ყოველივესთვის, რაც ჯერ კიდევ არ მიესადაგება სინათლის ბუნებას. მოშორებით, სადაც მისი სხივები ვერ აღწევს, უწინდებურად გრძელდება ბნელი ცხოვრება. გონებას ეს არ ადარდებს, პირიქით — ახარებს კიდეც. მან იცის, რომ ყოველივე ის, რაც განათებულ არეალში არ მოხვედრილა, — სიზმარი, აზრი, თვით მოქმედება, — მისთვის სასურველი ღვთის თვალში ვერაფერს დაამატებს და ვერაფერს გამოაკლებს იმ იდეალურ არსებას, რომელსაც იგი ქმნის. მისი ლამპრის ვალია, შეძლებისამებრ ნათ-

ლად და შორს ანათოს და არასოდეს დატოვოს თავი-
სი სადარაჯო პოსტი. გონება არ ყოყმანობს, როცა
ირგვლივ სხვა არაფერია, მდაბალი ინსტინქტებისა
და წყვდიადის გარდა. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება,
რომ ტყვეები — მასზე უფრო კაშკაშა ძალები — იღ-
ვიძებენ და ზღურბლს უახლოვდებიან. ისინი ავრცე-
ლებენ უფრო არამატერიალურ, უფრო გაბნეულ,
უფრო გაუგებარ სინათლეს, ვიდრე ის მკაფიო და
მკვრივი ცეცხლია, რომელიც გონების ლამპარში
ციმციმებს. ეს არის სიყვარულის, გამოუთქმელი
სიკეთის და კიდევ უფრო იდუმალი და უსასრულო
ძალები, რომლებიც გატარებას ითხოვენ. რა უნდა
გაკეთდეს ამ დროს? გონება ზღურბლზე ზის მაშინ,
როცა იქ დაჯდომის უფლება არ მოუპოვებია, რაკი
აქამდე ჯერ არ გაუბედავს გაეგო, რომ მის გარდა
ამქვეყნად სხვა რამეც არსებობს. ამიტომაც წუხს,
ეშინია და კარს კეტავს. და თუ ოდესმე გადაწყვეტს,
რომ ისევ გააღოს, იქ სხვას ვერაფერს ნახავს,
ბნელი საფეხურების ძირში დაყრილი ერთი მუჭა
მსუბუქი ნაცრის გარდა. მაგრამ თუ ძლიერი ხელი
არ აუკანკალდება (რადგან ამ ყველაფერმა, სულ
ცოტა, ის მაინც გააგებინა, რომ არანაირი სინათლე
სახიფათო არ არის და რომ გონებრივ ცხოვრებაში
თვით გონებაც კი შეიძლება სასნორზე შევაგდოთ
მასზე უფრო დიდი სინათლის სახელით), მაშინ —
ლამპრიდან ლამპრამდე — ზღურბლზე გაუგონარი
ცვლილებები მოხდება. რომელიღაც ციური ზეთის
წვეთები ადამიანური სიბრძნის ზეთს შეერევა და
როცა თეთრი უცნობები ჩაივლიან, გონების ლამ-
პრის ალი, აწ სამუდამოდ სახეცვლილი, უფრო მაღ-
ლა აიწევს და გაფართოებულ კარიბჭესაც უფრო
ძალუმად და წმინდად გაანათებს.

XXXIV

დავტოვოთ განყენებული სიბრძნე და დავუბრუნდეთ იმ სიბრძნეს, საფლავისკენ რომ მიაბიჯებს მრავალ ადამიანურ ბედისწერასთან ერთად. ნუთუ დასაშვებია იმის თქმა, რომ ბრძენკაცის ბედისწერა ერთია და ბოროტი ან შეშლილი ადამიანის ბედისწერა — მეორე? პირიქით: ყველა არსებობა განუწყვეტლივ ჰკვეთს ერთმანეთს და უამრავი თავგადასავლის ქსოვილშიც ოქროს ძაფები კანაფთან ერთად ჩაწნულან. არსებობს ოიდიპოსის ან ელსინორის პრინცის უბედურებებზე უფრო ნელი და ნაკლებად თავზარდამცემი შემთხვევები, რომლებიც სამართლიანობის, სიყვარულისა თუ ჭეშმარიტების წინაშე თვალებს არ ხრიან. ვინც სიბრძნის უპირატესობებზე ლაპარაკობს, მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფრო ბრძენი, როცა ალალად — სიმწრის განცდისა და ამპრატავნების გარეშე — აღიარებს, რომ სიბრძნე თითქმის არაფერს აძლევს მის ერთგულს იმაზე მეტს, რომ აღარ ეზიზღებოდეს უვიცნი თუ გულღვარძლიანნი. ხშირად ისეც ხდება, რომ ბრძენი ბევრს ვერაფერს ცვლის იმაში, რასაც ადამიანები ხედავენ. იქნებ იმიტომ, რომ მეტისმეტად შეაგვიანდა, ან იმიტომ, რომ ძალზე სწრაფად ჩაიარა და ღრმა კონტაქტში ვეღარ შევიდა, ან კიდევ იმიტომ, რომ მრავალი ადამიანის მიერ მრავალი დღის განმავლობაში დაგროვილი ძალების წინააღმდეგ მოუწია ბრძოლა. იგი გარეგან სასწაულებს არ ახდენს. ხელს მხოლოდ იმას ჰკიდებს, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება ცხოვრების ჩვეულებრივი წესებით. არც ის არის გამორიცხული, რომ თვითონაც დიდმა მორევმა ჩაითრიოს. მაგრამ თვით მაშინაც კი, როცა იღუპება, ბრძენს მაინც შეუძლია თქვას, რომ ამას ისე იქმს (როგორც ეს თითქმის ყოველთვის —

კატასტროფამდე მრავალი თვის, მრავალი წლის წინ ხდებოდა), რომ არასოდეს იქცევა საკუთარი სულის დაღუპვის უძლურ და სასონარკვეთილ მოწმედ. გარდა ამისა, ჩვენ გვესმის, რომ მავანის გადარჩენა მაინცდამაინც იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანი სიკვდილს ან გარეგან უბედურებებს გამოგლიჯონ ხელიდან, არამედ იმას, რომ უფრო ბედნიერი გახადონ მისივე შინაგანი გაუმჯობესების გზით. აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ზნეობრივ გადარჩენასთან. ეს კი — როგორც ყველაფერი, რაც ადამიანის პიროვნულ მწვერვალებზე ხდება — თითქოს ბევრი არაფერია. მაგრამ ნუთუ იმ კეთილ ავაზაკს ხსნა არ მოევლინა არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ კიდევ უფრო უნივერსალური აზრით? მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი მაინც არ ასცდებოდა, ის სამუდამოდ ბედნიერი ნავიდა, რაკი უკანასკნელ წამს შეიყვარეს და უსასრულოდ ბრძენმა ადამიანმა შეძლო მისთვის ეჩვენებინა, რომ არც ყაჩაღის სულია უსარგებლო, რომ ისიც კეთილია და რომ მის არსებობას დედამიწაზე შეუმჩნევლად არ ჩაუვლია...

XXXV

რაც უფრო ქვემოთ მოვუყვებით ცხოვრების კიბეს, მით უფრო მეტი მწუხარებისა და უძლურების საიდუმლოში შევდივართ. ამ დროს ვხედავთ, რამდენი სული დაყიალობს ჩვენ შორიახლო უმიზნოდ, რადგან მათ თავი უსარგებლო არსებებად მიაჩნიათ, ისეთებად, ვისთვისაც ზედაც არავის შეუხედავს და ვისაც არაფერი აქვს ისეთი, რის გამოც შეიყვარებდნენ. მაგრამ ხომ დაჰკრავს, ბოლოს და ბოლოს, ბრძენისთვის ის ჟამი, როცა უყურებს, ამართლებს და ამქვეყნად არსებული ყველა სული უყვარს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ სულს არსებობის იდუმალი

ჯილდო ებოძა? ჟამი, როდესაც ყოველგვარი სისუსტის, ბინიერებისა თუ სიცრუის სილრმეში ბრძენი ყოველგვარ ძალას, ჭეშმარიტებას და სათნოებას ხედავს? ეს ის ჟამია, როცა ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა მეგზურდაკარგული სიკეთე, ღალატი — ის ერთგულება, ბედნიერების გზას რომ ვეღარ პოულობს, სიძულვილი კი — ის სიყვარული, რომელიც ძრნოლით აღებს თავისი საფლავის კარს. ეჭვი არაა, სწორედ ამ დროს იქცევა კეთილი ავაზაკის ამბავი გულმართალი კაცის ირგვლივ მობოდიალე ყველა ადამიანის ამბად. და ადამიანთაგან ყველაზე უბრალოშიც კი, რომელიც ერთმა მზერამ, ერთმა სიტყვამ, ერთმა დუმილმა იხსნა, ნამდვილ, ბედისგან დაუძლეველ ბედნიერებას ღამის დადგომამდე დაავინყდება (სოკრატესი არ იყოს), რომ სასიკვდილო თასი მზის ჩასვლამდე შეისვა.

XXXVI

მაგრამ შინაგანი ცხოვრება, შესაძლოა, სულაც არ არის ის, რასაც მასზე ფიქრობენ. არსებობს იმდენივე ტიპის შინაგანი ცხოვრება, რამდენიც გარეგანია. ამგვარ ცხოვრებათაგან ყველაზე პატარები ისევე კარგად შედიან ამ მშვიდ საუფლოებში, როგორც დიდები, — და არა ყოველთვის აზროვნების კარიდან. ხშირად ისეც ხდება, რომ მავანი, რომელმაც ყველაფერი იცის, ამ კარზე ამაოდ აკაკუნებს, ხოლო ის, ვინც არაფერი არ იცის, მას შიგნიდან პასუხობს. რასაკვირველია, ყველაზე უტყუარი, ყველაზე ლამაზი და ყველაზე მტკიცე შინაგანი ცხოვრება ის ცხოვრებაა, რომელსაც ჩვენი ცნობიერება ნელ-ნელა აშენებს საკუთარ თავში ჩვენივე სულის ყველაზე ნათელი ელემენტებით. ბრძენია ის, ვინც ასეთ ცხოვრებას ყოველდღიურ შემთხვევითობებთან ათანხმებს.

ბრძენია ის, ვის სიბრძნესაც გზად შემოყრილი სიცრუე თუ ღალატი კიდევ უფრო წმენდს. ბრძენია ის, ვისშიც თვით ბოროტებაც კი იძულებულია, რომ სიყვარულის კოცონი კვებოს. ბრძენია ის, ვისაც უკვე ჩვევად აქვს, რომ თავის ტანჯვაში დაინახოს მხოლოდ სინათლე, და ვინც არასოდეს უყურებს ჩრდილს, რომელსაც ეს ტანჯვა მისივე მომყენებლებზე აფენს. კიდევ უფრო ბრძენია ის, ვის არსებაშიც სიხარულები და სევდები მხოლოდ ცნობიერებას კი არ განავრცობენ, არამედ იმასაც აჩვენებენ, რომ არსებობს ცნობიერებაზე აღმატებული რამ. აი, სად ვაღნევთ შინაგანი ცხოვრების მნვერვალებს, საიდანაც, ბოლოს და ბოლოს, ამ შინაგანობის გამცისკროვნებელ ცეცხლს ვეუფლებით. მაგრამ ეს მცირერიცხოვან ადამიანთა ხვედრია. შესაძლებელია ბედნიერად ცხოვრება უფრო ნაკლებად ციცაბო ხეობებშიც, სადაც ამ ცეცხლის ჩაბნელებული ფესვები მიმოიძვრის. მრავალმა უფრო ბნელმა ადამიანურმა ყოფიერებამაც იცის, სად შეაფაროს თავი. არსებობს ინსტინქტური შინაგანი ცხოვრების ფორმებიც. არიან სულები ინიციატივის ან აზროვნების გარეშე, რომლებიც ვერასოდეს იპოვიან მათივე სიღრმეში ჩამავალ ბილიკს და ვერასოდეს დაინახავენ, რას ატარებენ საკუთარ თავში, მაგრამ რომლებიც, მიუხედავად ამისა, იმ სულებივით იქცევიან, რომელთა აზროვნებას თავისი ყველა საუნჯე აწონილი აქვს. არიან ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ, რომ არსებობს უმაღლესი ცნობიერების ერთადერთი მყარი ვარსკვლავი, და რომლებსაც მხოლოდ სიკეთის სურვილი ამოძრავებთ ისე, რომ არც კი უწყიან — რატომ. მართლაცდა, მთელი შინაგანი ცხოვრება, უწინარეს ყოვლისა, ჯერ იქ იწყება, სადაც სული კეთილდება, და მხოლოდ შემდეგ იქ, სადაც განვითარებას იწყებს აზროვნება. საკმაოდ უცნაურია, რომ შეუძლებელია შინაგანი ცხოვრების

წარმართვა ბოროტების წიაღში. გარკვეული კეთილ-შობილების გარეშე ვერავინ იცხოვრებს შინაგანი ცხოვრებით. ასეთი ადამიანი ამაოდ ჩაუკვირდება თავის თავს; შესაძლოა, დაინახოს, რატომ არ არის კეთილი, მაგრამ ვერასოდეს მოიხვეჭს იმ ძალას, იმ თავშესაფარს, იმ საგანძურს, რომლებსაც ფლობს ნებისმიერი სხვა, ვინც კი თავის გულში უშიშრად შედის. შინაგანი ცხოვრება სულის გარკვეული ბედ-ნიერებით იქმნება, სული კი მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როცა შეუძლია სიყვარულით ატაროს რა-ღაც კრისტალურად წმინდა. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სული ცდება. მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიც კი, ის უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე მეორე სული, რომელსაც არ მიეცა არჩევანის გაკეთების შესაძლე-ბლობა.

XXXVII

ესეც მავანის ნაწილობრივი ხსნაა, თუ მოვახ-ერხებთ, რომ ბოროტება ოდნავ გადავაყვაროთ, რადგან ამით ისეთი თავშესაფრის აგებაში დავეხ-მარებით, რომელზეც ბედისწერა ხელებს დაიმტ-ვრევს. ეს თავშესაფარი ცნობიერების ან სიყვარუ-ლის მონუმენტია, სულერთია — რომლის, რადგან სიყვარული თავისი თავის ჯერ კიდევ სიბნელეში მძე-ბნელი ცნობიერებაა, ხოლო ჭეშმარიტი ცნობიერება — თავისი თავის სინათლეში მპოვნელი სიყვარული. სწორედ ამ თავშესაფრის უშინაგანეს ნიშაში აჩაღებს სული თავისი სიხარულის ფარულ ცეცხლს. სულის სიხარული, თავიდან რომ იშორებს ცუდი ბედის-წერებისგან დატოვებულ კაეშანს, როგორც ფიზი-კური ცეცხლი იშორებს ხოლმე მინიერ სნეულებებს, — სულის ეს სიხარული სხვა სიხარულებს არ ჰგავს. ის არც გარეგანი ბედნიერებიდან მოდის და არც

თვითმოყვარეობიდან. რადგან თვითმოყვარეობის ქვემოთ, — იმ თვითმოყვარეობის, სულის უკეთესობისკენ სვლასთან ერთად რომ მცირდება, — სახლობს წმინდად სიყვარულისმიერი სიხარული, რომელიც სულის გაკეთილშობილებასთან ერთად უფროდაუფრო იზრდება. არა, ამ სიხარულის სათავე მედიდურობა არ გახლავთ. არც იმიტომ გრძნობს სული თავს ბედნიერად, რომ საკუთარ სილამაზეს ულიმის. სულს, რომელმაც საკუთარი თავი რამდენადმე მაინც გააცნობიერა, აქვს უფლება იცოდეს, რომ ის მშვენიერია. მაგრამ სხვა ყველაფერი, რასაც ის ძალზე თვითნებურად უმატებს საკუთარი სილამაზის ცნობიერებას, შესაძლოა, სიყვარულის არაცნობიერიდან ამოაქვს. და თავისი თავის აღმომჩენი ცნობიერების უპირველესი მოვალეობაა გვასწავლოს პატივისცემა არაცნობიერისა, რომელსაც ჯერ გამჟღავნება არ სურს. თუმცა ზემოთნახსენები სიხარული სიყვარულს არ ართმევს იმას, რასაც ცნობიერებას ამატებს. პირიქით: თვით ცნობიერება საზრდოობს სიყვარულით და, თავის მხრივ, ზრდის ამ სიყვარულს. მზარდი გონება განიცდის ბედნიერებას, რომელიც არასოდეს სცოდნია ბედნიერ სხეულს. მაგრამ უკეთესობისკენ მსვლელ სულს აქვს სიხარულები, რომელსაც ვერასოდეს გაიგებს მზარდი გონება. მართალია, შინაგანი შენობის განსამტკიცებლად ასეთი გონება და ასეთი სული ერთობლივ შრომას უნდა მიეჩვიონ, მაგრამ ისეც ხდება, რომ ზოგჯერ ისინი ცალ-ცალკე მუშაობენ და ორ მშენებარე გალავანს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებს. თუ ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანი მოვა და მთხოვს ვურჩიო, რომელზე შეაჩეროს თავისი არჩევანი, ანუ თუ მკითხავს, რომელი თავშესაფარია უფრო ღრმა, უფრო მიუვალი და უფრო საამო, მე ვეტყვი, რომ თავისი ბედი იმ სავანეს მიანდოს, რომელშიც სული უკეთესდება.

XXXVIII

ბრძენი თუ შეიძლება რომ დაიტანჯოს? ნუთუ არანაირი ავდარი არ მოქუფრავს მისი საბინადროს ცას? ვერავინ დაუგებს ხაფანგს? ვერც ცოლი უღალატებს და ვერც მეგობრები? ნუთუ არასოდეს იქცევა სულმდაბლობად ის, რაც ბრძენს კეთილშობილებად მიაჩნია? სხვებივით დაიხოცებიან თუ არა მისი დედ-მამა, შვილები, ძმები? ანგელოზები დაიცავენ თუ არა ყველა გზას, რომლითაც მწუხარება ჩვენამდე მოდის? განა იესომ არ იტირა ლაზარეს საფლავთან? განა მარკუს ავრელიუსი არ დაიტანჯა თავისი ვაჟის, კომოტის, და ცოლის, ფაუსტინას გვერდით, როდესაც პირველში უკვე ურჩხული იღვიძებდა, მეორე კი სიყვარულზე სიყვარულით არ პასუხობდა? განა პაულიუს-ემილიანეც[15] (ისეთივე ბრძენკაცი, როგორც ტიმოლეონი[16]) არ ააქვითინა ბედისწერამ, როცა რომში ტრიუმფით შესვლამდე ხუთი დღით ადრე უფროსი ვაჟი დაეღუპა, სამი დღის შემდეგ კი — უმცროსიც? ნუთუ სიბრძნე მხოლოდ ასეთ თავშესაფარს სთავაზობს ბედნიერებას? ეგებ დავივიწყოთ ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვით, და ეგებ სიბრძნეც იმ ილუზიათაგანია, რომლებითაც ადამიანის სული იმ სურვილების გამართლებას ცდილობს, იმთავითვე უგუნურებად რომ მიიჩნევდა ცხოვრებისეული გამოცდილება?

XXXIX

სინამდვილეში, სიბრძნეც იტანჯება და ეს ტანჯვა მისი ერთ-ერთი ელემენტია. შესაძლოა, ბრძენი სხვებზე უფრო მეტადაც იტანჯება, რაკი ის უფრო დასრულებული ადამიანია. მეტად იტანჯება, რადგან რაც უფრო ნაკლებად მარტონი ვართ, მით მეტად

ვიტანჯებით, ადამიანი კი, რაც უფრო ბრძენია, მით ნაკლებად გრძნობს თავს მარტოდ. იგი ტანჯვას განიცდის თავის სხეულში, გულსა და გონებაში, რადგან სამივეს — სხეულს, გულსა და გონებას — აქვს თავთავისი მხარე, რომლებსაც ამქვეყნად არსებული ვერცერთი სიბრძნე ვერ შეედავება. გარდა ამისა, ჩვენ ტანჯვა კი არ უნდა ავიცდინოთ, არამედ ამ ტანჯვით მოგვრილი დათრგუნულობა და ბორკილები, რომლებსაც ჩვენს კარზე მოსული ბატონივით ვიღებთ და არა უფრო მნიშვნელოვანი პირის მიერ გამოგზავნილი შიკრიკივით, პირის, რომელიც მოსახვევში დგას და ჯერჯერობით თვალს ეფარება. რასაკვირველია, როგორც მის ნებისმიერ მეზობელს, ბრძენსაც ისევე ნამოახტუნებს აბეზარი შიკრიკის კაკუნი, რომლის ექო მთელ საბინადროს შეუზანზარებს. უნდა ჩამოვიდეს, კარი გაუღოს, დაელაპარაკოს. და, აი, ამ დილას მოულოდნელი უბედურების მაცნესთან ლაპარაკის დროს მასპინძელი რამდენჯერმე გახედავს მის მხარზემოთ ჰორიზონტის ნისლში გახვეულ დიდ იდეას, რომელმაც, შესაძლოა, ეს მაცნე გამოგზავნა. არსებითად, შუაგულ ბედნიერებაში მყოფებს გვგონია, რომ ბედისწერის მოულოდნელი დარტყმა მაინცდამაინც ვერაფერს გვავნებს. არადა, ვგრძნობ, რომ ასეთი დარტყმის შემდეგ პროპორციები შეიცვლება. ამასთანავე, არც ის მეეჭვება, რომ თუ ბედისწერას ჩვენი სიმხნეევის დაუშრეტელი კერიის ჩაქრობა სურდა, მაშინ უნდა ემარჯვა და გაეუფასურებინა ყველაფერი, რაც გულის სიღრმეში გვიყვარს, რასაც აღტაცებაში მოვყავართ, რასაც ვეთაყვანებით. და რომელი გარეშე ძალა გაგვიუფასურებს გრძნობას თუ იდეას, თუ მათ ჩვენ თვითონვე არ ჩამოვაგდებთ ტახტიდან? ფიზიკურ ტკივილს თუ არ ჩავთვლით, არსებობს კი ტკივილი, რომელიც, ჩვენი აზრების გარდა, რომელიმე სხვა გზას იპოვის ჩვენამდე მო-

სასვლელად? ტკივილი, რომელიც ჩვენს აზრებს ან იერიშის მომტანი იარაღით აღჭურვავს ან თავდასაცავით? ნაკლებად ვიტანჯებით თვით ტანჯვით, გაცილებით უფრო მეტად ვიტანჯებით იმით, თუ *როგორ* ვიღებთ ამ ნაღველს. „ის საკუთარმა თავმა გააუბედურა, — ამბობს ანატოლ ფრანსი ერთ-ერთი იმათგანის შესახებ, რომლებიც არასოდეს იყურებიან ტლანქი შიკრიკის მხარზემოთ, — ის საკუთარმა თავმა გააუბედურა, რადგან ყველა ნამდვილი უსიამოვნება შინაგანია და ჩვენგანვე მოდის. ვცდებით, როცა გვგონია, რომ ისინი გარედან მოდიან. მათ ჩვენში ვქმნით ჩვენივე არსით."

XL

მოვლენის რეალური ძალა მხოლოდ იმაშია, თუ *როგორ* მოვიაზრებთ ამ მოვლენას. თავი მოუყარეთ ათ ადამიანს, რომლებიც, პაულიუს-ემილიანესი არ იყოს, ორ შვილს დაკარგავენ თავიანთი ცხოვრების უმშვენიერეს წუთებში. შედეგად მიიღებთ ათ სრულებით განსხვავებულ კაეშანს. უბედურება მოდის, მაგრამ მხოლოდ იმას გვმართებს, რასაც ვეტყვით რომ დაგვმართოს. ის თესავს, აოხრებს და, საბოლოოდ, იმ მითითების მიხედვით იმკის, რომელსაც ჩვენს ზღურბლზე წარწერილს პოულობს. თუ ჩემი უღიმღამო მეზობლის ორი ვაჟი იმ მომენტში დაიღუპება, როდესაც მათ მამას იღბალი ეწევა და სურვილები აუსრულდება, ყველაფერი წყვდიადში დაინთქმება, ერთი ნაპერწკალიც კი არსად იელვებს, და ლამის თავისივე თავით გაბეზრებულ უბედურებას აღარაფერი დარჩება ზურგსუკან, ერთი მუჭა გაუფერულებული ფერფლ-ნაცრის გარდა. არ მჭირდება მისი მონახულება, უკვე ვიცი პატარ-პატარა რაღაცები, რაც მნუხარებამ დამართა. ეს უკანასკნელი

ხომ მუდამ მხოლოდ იმას გვიბრუნებს, რაც ჩვენივე სულისგან მიიღო ჩვენს ბედნიერ დღეებში.

XLI

მაგრამ ასეთივე უბედურება დაატყდა პაულიუს-ემილიანესაც. გარინდებულა თავზარდაცემული რომი, რომლის ქუჩებში ჯერ კიდევ ტრიუმფალური მარშის ექო ბუბუნებს. მართლაცდა, რა მოხდება? ღმერთებმა ბრძენი არაფრად ჩააგდეს და რითი უპასუხებს იგი? რა უქნა გმირმა მნუხარებას ან მნუხარებამ რა დამართა გმირს? თითქოს სწორედ ასეთ მომენტებში აცნობიერებს კაცობრიობა, რომ ბედისწერა კიდევ ერთხელ სცდის თავისი მკლავის ძალას და თუ ვერ არყევს იმას, რასაც უტევს, მაშინ თვით კაცობრიობისთვის შეიცვლება რაღაც. იმასაც შეხედეთ, რა მღელვარებით ეძებს ასეთ ჟამს კაცობრიობა თავისი ლიდერების თვალებში სიტყვა-გასაღებს უძლეველი მეტოქის წინააღმდეგ!

მაგრამ პაულიუს-ემილიანე მისივე მიერ მოხმობილი ხალხის შუაგულში გამოდის და სერიოზულად მიმართავს: „არასოდეს მშინებია იმის, რაც ადამიანთა მხრიდან შეიძლება მოვიდეს. აი, ღვთიურ საქმეთა შორის კი მუდამ მაშინებდა ბედის უკიდურესი მერყეობა და მისეულ დარტყმათა ამოუწურავი მრავალგვაროობა. ეს განსაკუთრებით ეხება ამ ომს, რომლის დროსაც ილბალი ზურგის ქარივით მინყობდა ხელს ყველა ჩემს ნამოწყებაში. გამუდმებით ველოდი ქარიშხლის ამოვარდნას და ჩემი ბედნიერების გადაყირავებას. დიახ, ერთ დღეში გადავცურე იონიის ზღვა ბრინდიდან კორსირამდე. შემდეგ ხუთი დღე დამჭირდა დელფოსში ჩასასვლელად, სადაც აპოლონს მსხვერპლიც შევწირე. კიდევ ხუთ დღეში მაკედონიამდე მივედით, სადაც ჩემი ჯარი განვწმინდე კიდეც სათანადო რიტ-

უალებით. დაუყოვნებლივ დავიწყე სამხედრო ოპერაციები და სულ რაღაც თხუთმეტ დღეში ომი დიდებული გამარჯვებით დავასრულე. ასეთი წარმატება ბედისადმი უნდობლობას აღმიძრავდა. მტრისაგან მოსვენებულს და უკვე ხიფათგამოვლილს, ქალღმერთის მერყეობისა მე სნორედ შინისკენ გზაზე მეშინოდა. და ეს მაშინ, როცა ასეთი წარმატებული ჯარი შევკრიბე, როცა ამდენი ნაალაფარი მომქონდა და ტყვე მეფეებიც მომყავდა!

როცა თქვენამდე მშვიდობიანად მოვაღწიე და სიხარულში, დღესასწაულებში და მსხვერპლშეწირვაში ჩაფლული ქალაქი დავინახე, ჩემი უნდობლობა ბედისნერის მიმართ მაინც არ ჩამცხრალა, რადგან ვიცოდი, რომ იგი ერთ-ერთი იმ წყალობათაგანი არ არის, არასოდეს არაფერი რომ არ ჩრდილავს, და რომ დიდ წარმატებას შურიც განუყრელად თან ახლავს. მტკივნეული მოუსვენრობით აღსავსე ჩემს სულს, რომელიც ცახცახით ელოდა, რა ჰქონდა რომს მისთვის სამომავლოდ გადანახული, მხოლოდ მაშინღა ჩამოეხსნა შიშები, როცა თვალი მოვკარი უბედურებადატეხილ ჩემს სახლს, საიდანაც იმ სადღესასწაულო დღეებში საკუთარი ხელით გავასვენე და დავფალი ორი ჭაბუკი ვაჟიშვილი — ჩემი ერთადერთი მემკვიდრეები. ახლა აქ ვარ, აწ სამშვიდობოს გასული და დიდ საფრთხეთაგან დაცული, და მტკიცედ მწამს, რომ თქვენს კეთილდღეობას დიდხანს ვერაფერი შეარყევს. ბედმა ჩემი წარმატებებისთვის უკვე საკმარისად მომიზღო და როგორც გამარჯვებულის, ისე ტყვის ხვედრში ადამიანური სიმყიფის გამაოგნებელი მაგალითი მიჩვენა. ეგაა, დამარცხებულ პერსევსს[17] შვილები ცოცხალი ჰყავს, გამარჯვებულ პაულიუს-ემილიანეს კი ორივე დაეღუპა."

XLII

აი, როგორ ხვდებოდნენ რომაელები უდიდეს მწუხარებას, რომელიც კი შეიძლებოდა დასტეხოდა ადამიანს თავის უმგრძნობიარეს მომენტში, ანუ უდიდესი ბედნიერების ჟამს. არსებობს თუ არა მწუხარების სხვაგვარი დახვედრაც? დიახ, არსებობს. ამ დახვედრის იმდენივე ფორმა არსებობს, რამდენი დიდსულოვანი იდეა თუ გრძნობაც არსებობს ამ მიწაზე. თითოეულ იდეას, თითოეულ გრძნობას აქვს თავისი ჯადოსნური ჯოხი, რომელიც ზღურბლზე ფეხშემომდგარ ტანჯვას სახესა და სამოსელს უცვლის. იობმა გვითხრა: „ღმერთმა მომცა და ღმერთმა წამართვა. კურთხეულ იყოს მისი სახელი!" ეს კი მარკუს ავრელიუსის სიტყვებია: „თუკი უფლება აღარ მაქვს, მიყვარდეს ისინი, ვინც აქამდე ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარდა, ეს ალბათ იმიტომ, რომ ამჯერად იმათი სიყვარული ვისწავლო, ვინც ჯერ არ მყვარებია".

XLIII

ნუ ვიფიქრებთ, რომ ისინი თავს ცარიელი სიტყვებით ინუგეშებდნენ. ასეთი სიტყვები ცუდად დამალავდნენ მით უფრო მტკივნეულ ჭრილობას, რაც უფრო მეტად სურთ მისი დამალვა. ჯერ ერთი, უკეთესია თავის დამშვიდება ფუჭი სიტყვებით, ვიდრე საერთოდ არდამშვიდება. მეორეც, თუ საჭიროა დავუშვათ, რომ ეს ყველაფერი ილუზიაა, მაშინ, იმავდროულად, იმის დაშვებაც სამართლიანი იქნება, რომ ილუზია ყოფილა ერთადერთი რამ, რასაც სული შეიძლება ფლობდეს და, ასეთ შემთხვევაში, კიდევ რომელი ილუზია გვაძლევს ამ ილუზიის შეზიზღების უფლებას?

რასაკვირველია, როცა ჩემ მიერ ნახსენები დიდად ბრძენი ადამიანები საღამოს შინ დაბრუნდებიან, კერიასთან მდგარ სავარძლებში კი შვილები აღარ დახვდებათ, მაშინ ისინი ნანილობრივ მაინც შეიცნობენ იმ მნუხარებას, რომელსაც მთლიანად იცნობენ სხვები, ვის არსებაშიც ეს ვარამი ერთ კეთილშობილ აზრსაც არ ბადებს. ტყუილუბრალოდ ნუ მივაწერთ ასეთებს იმ სათნოებას, რომელიც მათ არ გააჩნიათ. არსებობს გარეგანი ცრემლები, რომლებსაც ისინი ვერ იშრობენ. არსებობს საკრალური ნუთებიც, როცა ადამიანს თვით სიბრძნეც ვერ ამშვიდებს. მაგრამ — ვთქვათ ეს უკანასკნელად -- ტანჯვა კი არ უნდა ავიცდინოთ (ის აუცდენელია), არამედ უნდა ამოვირჩიოთ, *რა* დაგვიტოვოს ამ ტანჯვამ. ეგებ გვითხრან, რომ ეს არჩევანი, რომელსაც თვალი ვერ ხედავს, სინამდვილეში, საკმაოდ მცირე რამეა და ვერ გააუქმებს იმ ჭმუნვას, რომლის მიზეზი განუწყვეტლივ თვალწინ გვაქვს. მაგრამ განა ფიზიკურ და ინტელექტუალურ სიხარულებზე გაცილებით უფრო ღრმა სულიერი სიხარულებიც სწორედ ასეთი პატარ-პატარა რაღაცებისგან არ იქმნება? სიტყვებად რომ გვეთარგმნა ის ვრძნობა, რომელიც გმირს თავის გმირობას ადენინებს, ბევრს ვერაფერს მივიღებდით. ისეთივე პაწია რამ შეგვრჩებოდა ხელში, როგორც ის იდეა, რომელიც კატონ მცირემ[18] შექმნა მოვალეობისგან და რომელსაც, საბოლოოდ, მთელი იმპერიის შეზანზარება და სისხლიანი სიკვდილი მოჰყვა. მაგრამ განა ეს იდეა მაინც არ აღემატება ყველა იმ სახელმწიფოებრივ მოშლილობას და მისგანვე გამოწვეულ სიკვდილს? განა კატონი დღესაც მართალი არ არის? და ამ იდეის წყალობით, რომელიც ადამიანურ გონებას იმდენად უცხოდ ეჩვენება, რომ ვერც კი აუწონია თავის სასწორზე, — ამ იდეის წყალობით, ვისი ცხოვრება იყო უფრო შინაგანად,

უფრო კეთილშობილურად ბედნიერი, ვიდრე ისევ-დაისევ კატონის?

ყველაფერი, რაც ჩვენს არსებობას აკეთილშობილებს, რასაც თვითონვე ვცემთ პატივს ჩვენს არსებაში, ჩვენი სათნოების მოტივები და ის სენტიმენტალური საზღვრები, რომლებსაც ყველა ადამიანი თვითონვე უდგენს საკუთარ მანკიერებებსა და თვით დანაშაულებს, — ეს ყველაფერი ჩვენი გონების გადასახედიდან, მართლაცდა, მცირე რამედ ჩანს. მიუხედავად ამისა, სწორედ აქედან მოდის თითოეული ჩვენგანის სასიცოცხლო ორიენტირები. და რომელი ადამიანი იარსებებს ისე, რომ არ იხელმძღვანელოს რამდენიმე ჭეშმარიტებით, რომლებიც არ ექვემდებარებიან *გონებას?* თვით ყველაზე საბრალოებიც კი ემორჩილებიან ამ ჭეშმარიტებათაგან რომელიმეს. რაც უფრო დიდია მის ცხოვრებაში ასეთ ჭეშმარიტებათა რიცხვი, მით ნაკლებად საბრალოა ადამიანი. ის, ვისაც კაცი მოუკლავს, გეტყვით: „მართალია, მე ვკლავ, მაგრამ არ ვქურდობ". ვინც ქურდობს, სამაგიეროდ არ ღალატობს. ვინც ღალატობს, საკუთარ ძმას მაინც არ ღალატობს. ამრიგად, თითოეული მათგანის თავშესაფარი უკანასკნელი გადარჩენილი ზნეობრივი ღირებულებაა. ადამიანთაგან ყველაზე დაცემულსაც კი აქვს საკრალური ადგილი, ერთგვარი გასახიზნი საკუთარ სულში, რომელშიც ცოტაოდენ სუფთა წყალსა და ცხოვრების გასაგრძელებელ ძალას პოულობს. გონება არც ამ შემთხვევაშია ნუგეშისმცემელი და ამიტომაც უნდა შეჩერდეს ქურდის თუ მოღალატის ბოლო თავშესაფრის ზღურბლზე, ისევე როგორც ჩერდება ანტიგონეს მიერ გაღებული მსხვერპლის, იობისეული მორჩილებისა თუ მარკუს აერელიუსისეული სიყვარულის ზღურბლზე. ჩერდება, თავის თავს ანგარიშს აღარ უწევს, აღარაფერს ამტკიცებს და, ამასთანავე, გრძნობს: ახლა რომ აჯანყდეს, მაშინ

იმ სინათლეს აუჯანყდება, რომლის მარტოოდენ ხილულ ჩრდილსაც თვითონ წარმოადგენს, რადგან ისევე დგას ამ ყველაფრის შუაში, როგორც მზის გულზე გასული კაცი. დგას და ხედავს მინაზე განრთხმულ საკუთარ ჩრდილს, რომელიც შეუძლია აამოძრაოს და კონტურებიც შეუცვალოს ჩაჯდომა-ადგომით. ეს ჩრდილი ერთადერთი რამაა, რასაც ის ფლობს, რაზეც მეუფებს და რომელსაც შეუძლია ბრძანებები აძლიოს მზის დამაბრმავებელ სინათლეში. ასე მანიპულირებს ჩვენი გონება აღმატებულ ნათელში. მის მიერ დაფენილი ჩრდილი არ ზემოქმედებს გარემომცველ უძრავ ბრწყინვალებაზე. მარკუს ავრელიუსი და მავანი მოღალატე — ესოდენ ურთიერთდაშორებული არსებებიც კი — მისტიკურ წყალს ერთსა და იმავე წყაროდან ეწაფებიან, წყაროდან, რომელიც მათივე აზროვნებაში არ ჩქეფს.

საკმაოდ უცნაურია, რომ მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრების სამკვიდრო ჩვენივე გონება არ არის. ის კი, ვინც მხოლოდ და მხოლოდ გონების მიხედულებით იცხოვრებს, ადამიანთაგან ყველაზე საბრალო იქნება. არ არსებობს სათნოება, არც ესა თუ ის კეთილი აქტი, არც რაიმე კეთილშობილი აზრი, რომლის თითქმის ყველა ფესვი იმის გვერდით არ ჩადის, რაც შეგვიძლია გავიგოთ და ავხსნათ. მიუხედავად ამისა, განა ამპარტავნება არ იქნება, რომ ადამიანმა მთელი თავისი სათნოება, მთელი შინაგანი ცხოვრება, მთელი სიხარული ეძიოს ერთადერთ რამეში, რაც დანამდვილებით აქვს, ერთადერთში, რასაც შეუძლია სრულად მიენდოს, ანუ ისევდაისევ საკუთარ გონებაში? თუმცა ამას ამაოდ იზამს, — რომელიმე ყოვლად უმნიშვნელო მოვლენა მალე დაანახებს, რომ გონებას ვერასოდეს შეაფარებს თავს. ჩვენ ხომ კიდევ სხვანიც ვართ და არა მხოლოდ „კეთილგონიერი არსებები“.

XLIV

მაგრამ თუ ჩვენი გონება არ ირჩევს, რა მოგვიტანოს ტანჯვამ თუ მწუხარებამ, მაშ, ვინ ირჩევს? ვინ და, ჩვენი განვლილი ცხოვრება, რომელმაც სული ჩამოგვიყალიბა. სიბრძნის ნაყოფებს დღიდან დღემდე არ ვკრეფთ. თუ ჩემი ცხოვრება პაულიუს-ემილიანესას არ ჰგავდა, მაშინ მისი მანუგეშებელი ვერცერთი აზრი მე ვერ მანუგეშებს, თუნდაც დედამიწის ყველა ბრძენი შეიკრიბოს და დღედაღამ მიჩიჩინოს პაულიუსის აზრები. ჩვენი ცრემლების შესაშრობად მოსული ანგელოზები ზუსტად იმ ფორმასა და სახეს იღებენ, რაც გვითქვამს, გვიფიქრია და, უნინარეს ყოვლის, გვიკეთებია მწუხარების მოსვლის წინაჟამს. როდესაც ორმოცწლიანი თანაცხოვრების შემდეგ თომას კარლაილს[19] — „შავ“ ბრძენს — მეუღლე, ჯენი უელჩი გარდაეცვალა (ადამიანი, რომელიც მას ულრმესი სიყვარულით უყვარდა), მისმა ნაღველმაც დაუჯერებელი სიზუსტით მიიღო მათი გარდასული სიყვარულის ფორმა. ამიტომაც იყო ეს მწუხარება ესოდენ ღრმა, მტანჯველი და, იმავდროულად, მანუგეშებელიც თავისი საყვედურების, სინაზისა და სინანულების მთელი სიდიადით, როგორც ლოცვა და ჭვრეტა ჩაბნელებული ზღვის ნაპირზე. გარკვეულწილად, ეს არის თითოეული ჩვენგანის გარდასული დღეების გაერთიანებული ხატება, მოსიყვარულე ან არაკეთილმოსურნე ერთგულებით რომ იბადება ჩვენი გულის ჭმუნვაში. თუ ცხოვრებაში სხვა არაფერი დამრჩენია, დაბინდული და არცთუ დიდსულოვანი მოგონებების გარდა, მაშინ იმ გარდაუვალი წამის დადგომისას, როცა მოგონებები ცრემლებად იქცევიან ხოლმე, ჩემი ცრემლებიც დაბინდული და არადიდსულოვანი იქნება. ჩვენს ცრემლებს, თავისთავად, ფერი არ აქვთ, ვინძლო ჩვენივე სულის

წარსული აირეკლონ. და ის, რასაც ირეკლავენ, ჩვენთვის გამოგზავნილი სასჯელი ან საჩუქარია. ერთადერთი რამ არსებობს, რაც არასოდეს გვექცევა ტანჯვად: — ჩვენ მიერ ჩადენილი სიკეთე. როცა საყვარელ არსებას ვკარგავთ, უნუგეშო ცრემლებს იმ მომენტების გახსენება გვაყრევინებს, როცა ის ადამიანი *არასაკმარისად გვიყვარდა.* სიცოცხლეში მისთვის მუდამ ღიმილით რომ გვემზირა, მაშინ არ გვეცოდინებოდა ის ყველაფერი, რასაც მწუხარება გვაკლებს ხოლმე, და ისეთი ცრემლებით ვიტირებდით, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენილი ექნებოდა ცოტაოდენი გარდასული ალერსი და სათნოებანი. რადგან ჭეშმარიტი სიყვარულის მოგონებები — სიყვარულის, რომელიც ყველა სხვა სათნოებას მოიცავს — ისეთსავე კეთილისმქმნელ ცრემლებს გვაღვრევინებს, როგორიც თვით ამ მოგონებების სათავეში მყოფი უმშვენიერესი საათები იყო. არაფერია მწუხარებასავით გულმართალი და, როგორც სასხმელი ფორმა ელოდება დამდნარ ბრინჯაოს, მთელი ჩვენი ცხოვრებაც ასე ელის, რომ ჭმუნვის საათმა დაჰკრას და გასამრჯელო გადაგვიხადოს.

XLV

აქ, სადაც ბედისწერის ტახტის ყველაზე მძიმე საყრდენია, კიდევ ერთხელ ვხედავთ, რაოდენ იზღუდება მისი ძალმოსილება იმ ადამიანებში, რომლებიც მასზე უკეთესნი ხდებიან. ის ხომ ბარბაროსი იყო და ბარბაროსად დარჩა და, ამდენად, ზოგიერთ ადამიანს მაინც ჩამორჩება სიმაღლით. თავის იარაღებს ის ჩვეულებრივ ცხოვრებაში პოულობს, იარაღებს, რომლებიც შენელებულად მოქმედებენ. იგი გარეგნულადაც გვიტევს, როგორც ოიდიპოსის დროს გვიტევდა. ისრებს ზუსტად თავის პირდაპირ

ისვრის, როგორც ბრმა მოისარი. და როდესაც მიზნის მისაწვდომად მშვილდს ოდნავ უფრო მაღლა მიმართავს, ისრები უსიცოცხლოდ ცვივიან ძირს.

ტანჯვა, სინანული, ცრემლები, მწუხარება და ყოველივე დანარჩენი: აი, იმ საგანთა აღმნერი ერთმანეთის მსგავსი სახელები, რომლებიც არასოდეს ჰგვანან ერთმანეთს. თუ ამ სახელების სულამდე ჩავაღწევთ, აღმოვაჩენთ, რომ ისინი თვით ჩვენივე შეცდომების ნაკვალევისთვის გვინოდებია. იქ კი, სადაც ჩვენი შეცდომები კეთილშობილია (კეთილშობილი შეცდომებიც ისევე არსებობს, როგორც პატარა სათნოებები), ჩვენი უბედურება უფრო ახლოს იქნება ჭეშმარიტ ბედნიერებასთან, ვიდრე იმათი ბედნიერება, ვინც ცნობიერების გაუფართოებლადაა ბედნიერი. ნუთუ გჯერათ, რომ თავის სულში დიდი და ნაზი ყვავილივით გაფურჩქნილ მწუხარებას კარლაილი მის ჩელსიელ მეზობელთა უსინათლოუჰორიზონტო ბედნიერებაზე გაცვლიდა? და განა ერნესტ რენანის[20] კაეშანიც, რომელმაც იგი ღვიძლი დის, ჰენრიეტას დაღუპვის შემდეგ მოიცვა, თავისი სულით უკეთესი არ იყო, ვიდრე ამ სევდის არარსებობა ათასობით ადამიანში, რომლებსაც არასოდეს სცოდნიათ დის სიყვარული? ვინ უნდა შევიბრალოთ: ის, ვინც ზოგჯერ, ღამღამობით, უსასრულო ზღვის პირას ტირის, თუ ის, ვინც თავის პატარა ოთახში მთელი სიცოცხლე უმიზეზოდ იცინის? ბედნიერება. უბედურება. ერთი ნუთით ჩვენი თავიდან რომ გავსულიყავით და გმირთა მწუხარება დაგვეგემოვნებინა, რამდენი ჩვენგანი დაუბრუნდებოდა დაუნანებლად თავის შეზღუდულ ბედნიერებას?

მაშ, სიმართლეა თუ არა ის, რომ ბედნიერება თუ უბედურება — თუნდაც გარედან მოსული — მხოლოდ *ჩვენში* არსებობს? ყოველივე გარემომცველი ან ანგელოზად იქცევა ან დემონად ჩვენი გულის მდ-

გომარეობისდა მიხედვით. ჟანა დ'არკს წმინდანების ხმა ესმის, მაკბეტს — კუდიანების, და ეს ყოველთვის ერთი და იგივე ხმაა. ბედისწერა, რომელზე ჩივილიც ასე გვსიამოვნებს, შეიძლება არ იყოს ის, რაც წამის წინ გვეგონა. მას მხოლოდ ის იარაღები აქვს, რომლებსაც ჩვენ თვითონვე ვუწვდით. ის არც სამართლიანია, არც უსამართლო და არასოდეს გამოაქვს განაჩენი. ის, რასაც ღმერთად მივიჩნევთ, მხოლოდ და მხოლოდ შენიღბული მაცნეა. ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ დღეს იგი უბრალოდ გვაფრთხილებს, რომ ახლოვდება საათი, როცა ჩვენი თავი ჩვენვე უნდა განვსაჯოთ.

XLVI

ისიც სიმართლეა, რომ მეორე რანგის ადამიანები თავიანთ თავს თვითონვე არ განსჯიან. ნამდვილად ასეა, რადგან ისინი უარს ამბობენ იმაზე, რომ შემთხვევამ განსაჯოს. ასეთები თითქმის უცვლელ ბედისწერას ექვემდებარებიან. ეს უკანასკნელი ხომ მხოლოდ მას შემდეგ იცვლება, როცა ადამიანი საკუთარი თავის განსჯას იწყებს. იმის ნაცვლად, რომ მეცვალონ გზად შემოყრილი მოვლენა, ამ უკანასკნელთან პირველივე შესება მათ თვითონვე ცვლის. მეყსეულად იღებენ იმ უბედურების სახეს, რომელზეც თავად გოდებენ, ყოვლად საბრალო და ყოვლად ჩვეულებრივ სახეს. ყველაფერს, რაც ემართებათ, ბედისწერის სუნი უდის. ერთისთვის ეს პროფესიაა, რომელსაც ის გულში იკრავს, მეორისთვის — მეგობრობა, რომელიც კარს ულებს, მესამისთვის — ქალი, რომელსაც ხვდება. მათთვის *შემთხვევა* და *ბედისწერა* იდენტური ტერმინებია. შემთხვევა კი იშვიათად თუ იქცევა ხელშემწყობ ბედისწერად. ყველაფერს, რასაც ჩვენს შიგნით ჩვენივე სულის

ძალმოსილება არ განაგებს, განაგებს მტრული ძალები. დაცარიელებული გული ან გონება ფატალურ გავლენათა რეზერვუარად იქცევა. შექსპირის ოფელია და გოეთეს მარგარიტა ბედისწერამ იმსხვერპლა, რადგან ისინი იმდენად მყიფენი აღმოჩნდნენ, რომ მათი თანდასწრებით გაკეთებული ნებისმიერი ჟესტი თვით ბედისწერის ჟესტად იქცეოდა. რამდენადმე მაინც რომ ჰქონოდათ სოფოკლეს ანტიგონეს ძალა, ნუთუ ეს ქალები ვერ შეცვლიდნენ არათუ მხოლოდ საკუთარ, თვით ჰამლეტის და ფაუსტის ხვედრსაც? და ვენეციელ მავრსაც დეზდემონას ნაცვლად კორნელის პოლინა რომ ჰყოლოდა ცოლად, ნუთუ ფიქრობთ, რომ დეზდემონას ბედისწერა ერთი წამით მაინც გაჭაჭანდებოდა პოლინას ნათელი სიყვარულის სიახლოვეში? სად იმალებოდა ბნელი ფატალობა — მათ სხეულში თუ მათ სულში? და თუ სიმართლეა ის, რომ ზოგჯერ სხეული საკუთარი ძალაუნარის ზღვარს აღნევს, სულს ხომ მაინც ყოველთვის შეუძლია დამატებითი ძალის გამოძებნა? გულდასმით ჩავუკვირდეთ: ადამიანთა უმეტესობისთვის ნარმოსადგენია ერთადერთი რეალური ბედისწერა, — ის, რომელიც იტყოდა: „დღეიდან დაწყებული, შენი სული ველარ მომაგრდება და ველარ გაიზრდება“. მაგრამ არსებობს კი ბედისწერა, რომელსაც ჩვენთან ასეთი ლაპარაკის უფლება ჰქონდეს?

XLVII

ამავე დროს, სათნოება საკმაოდ ხშირად ისჯება და ზოგჯერ თვით სულის ძალაც კი თავისივე უბედურების მოსვლას აჩქარებს. რაც უფრო მეტად გვიყვარს, მით მეტ სივრცეს ვუთმობთ კეთილშობილ ჭმუნვას. თუმცა ბრძენ ადამიანს უყვარს ამ სივრცის გაზრდა: ის ხომ მშვენიერია!

ჰო, უნდა ვთქვათ, რომ ბედისწერა მუდამ უკუ-ნეთის სიღრმეში არ რჩება. არის მომენტები, როცა მას ყველაზე წმინდა მსხვერპლი სჭირდება, მსხვერ-პლი, რომელსაც დღისით-მზისით შეიპყრობს თა-ვისი დიდი და გაყინული ხელებით. ახლახან ვახსენე ტრაგიკული სახელი ანტიგონე და, ალბათ, სწორედ მასზე მეტყვიან: „ხომ ხედავთ: ძლიერი სულის მიუხე-დავად, ბედისწერამ მაინც იპოვა მსხვერპლი, ამაოდ რომ ეძებდით აქამდე...“. ამას ვერ უარვყოფთ. ანტი-გონე გულცივი ღმერთის ნადავლია, რადგან ამ ქალს ნებისმიერ სხვა ქალზე სამგზის უფრო ძლიერი სული აღმოაჩნდა. იგი იღუპება, რადგან ბედისწერამ ისეთ ვითარებაში მოახვედრა, როცა მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა სიკვდილსა და იმას შორის, რასაც თვი-თონვე მიიჩნევდა თავის წმინდათაწმიდა დაძმურ მოვალეობად. იგი უცებ ემწყვდევა სიკვდილსა და სიყვარულს -– ყველაზე უფრო წმინდა და სრულე-ბით უანგარო სიყვარულს შორის, რაკი საქმე ეხება იმ აჩრდილს, რომელსაც ის ვეღარასოდეს შეხვდება დედამიწაზე. რატომ მიამწყვდევს ამ ქალს ბედის-წერა ასეთ მომაკვდინებელ კუთხეში, როგორსაც მის ზურგსუკან ქმნის *სიკვდილი* და *მოვალეობა?* — მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებზე აღმატებული ან-ტიგონე ხედავს მოვალეობის გადაულახავ ზღუდეს, რომელსაც მისი საბრალო და, ისმენე, ვერ ამჩნევს თვით მაშინაც კი, როცა ამ ზღუდის წინ დააყენებენ. იმ მომენტში, როდესაც ორივენი სასახლის ზღურ-ბლზე დგანან, მათ ირგვლივ ერთი და იგივე ხმები გაისმის. მაგრამ ანტიგონეს მხოლოდ ციდან ჩამო-სული ხმა ესმის და სწორედ ამიტომაც კვდება. ხოლო ისმენე არც ეჭვობს, რომ არსებობს კიდევ სხვა ხმა, გარდა იმისა, რომელიც ქვემოდან მოდის, და ამი-ტომაც ცოცხალი რჩება. ჩაუნერგეთ ანტიგონეს ცოტაოდენი ოფელიასეული ან მარგარიტასეული

უძლურება და ბედისწერა სიკვდილს აღარაფერს ანიშნებს იმ მომენტში, როცა ოიდიპოსის ქალიშვილი კრეონტის სასახლის შესასვლელში გამოჩნდება. ბედისწერა ანტიგონეს მხოლოდ იმიტომ იპყრობს, რომ მას ძლიერი სული აქვს.

ბედისწერა სინამდვილით მოქმედებს. აი, გულმართალი კაცის, გმირის და ბრძენის ნუგეში! ბედისწერა მხოლოდ იმ სიკეთით მეუფებს მათზე, რომლის კეთებას თვითონვე აიძულებს. სხვა ადამიანები ჰგვანან ქალაქებს ას-ასი კარით, საიდანაც ბედისწერა მათში იჭრება ხოლმე. მაგრამ გულმართალი კაცი დაკეტილი ქალაქია, რომელსაც ერთადერთი და ისიც სინათლის კარი აქვს, კარი, რომელსაც ბედისწერა მხოლოდ იმ შემთხვევაში გააღებს, თუკი ზედ სიყვარულს დააკაკუნებინებს. სხვა ადამიანებს იმას უშვრება, რაც მოესურვილება. არადა, თუკი თავისუფალია, ბედისწერას მხოლოდ ცუდის ქმნა სურს. მაგრამ თუ მართალი კაცის დაპყრობა სურს, მაშინ სიკეთის ქმნაც უნდა ინებოს. ასეთ დროს, მარტო წყვდიადის დახმარებით ვეღარ შეუტევს. გულმართალი ადამიანი საკუთარი სინათლის თავშესაფარშია და მისი დამარცხება მხოლოდ უფრო ძლიერ სინათლეს თუ ძალუძს. ამ შემთხვევაში, ბედისწერა თავისი მშვენიერებით მსხვერპლს უნდა აღემატოს. ჩვეულებრივ ადამიანებს იგი მწუხარებასა და სხვების უბედურებას შორის აყენებს, მაგრამ გმირსა და ბრძენს მხოლოდ პირად ტანჯვასა და სხვათა ბედნიერებას შორის თუ მოიხელთებს. პირველებზე თავდასხმისას ის ყოველგვარ სიმახინჯეს მიმართავს, ხოლო მეორეებს მხოლოდ ამქვეყნად უმშვენიერეს საგანთა დახმარებით თუ გაუმკლავდება. პირველების საწინააღმდეგოდ უამრავი იარაღი არსებობს, თვით გზაზე აკრეფილი ქვებიც კი. მეორეთა მოსანადირებლად ბედისწერას ერთადერთი

მახვილი აქვს: მსხვერპლისა და მოვალეობის მხურ-ვალე მახვილი. ანტიგონეს ამბავი ამონურავს ბრძენ ადამიანზე ბედისწერის მეუფების მთელ ისტორიას. იესო, რომელიც ჩვენთვის აღესრულება, სოკრატე, რომელიც არ ჩუმდება, მოწყალების და, რომელიც ავადმყოფის სასთუმალთან კვდება, უბრალო გამ-ვლელი, რომელიც იღუპება მეორე გამვლელის გადასარჩენად, — თითოეულ მათგანს არჩევანი უნდა გაეკეთებინა და თითოეული ანტიგონეს დიად ჭრილობას ატარებს. რასაკვირველია, მშვენიერი განსაცდელები სინათლეშიც არსებობს და სახი-ფათოა ბრძენად ყოფნა იმისთვის, ვისაც საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა აშინებს. თუმცა ვისაც ეს აშინებს, ისინი — როცა საზეიმო საათი დაჰკრავს — სათანადო სიბრძნეს ვერ გამოიჩენენ.

XLVIII

როცა წარმოვთქვამთ სიტყვას „ბედისწერა", არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამ დროს რაღაც ბნელს, თავზარდამცემსა და მომაკვდინებელს არ წარმოიდგენდეს. ადამიანთა ფიქრში, *ბედისწერა* მხოლოდ სიკვდილისაკენ მიმავალი გზაა. უმეტეს შემთხვევაში, ის მხოლოდ სახელია, რომელშიც ჯერ კიდევ არმოსულ, თუმცა უკვე გზაში მყოფ სიკვდილს ვგულისხმობთ. ის არის მომავალში წარმოსახული აღსასრული და ცხოვრებაზე დაფენილი სიკვდილის აჩრდილი. „თავის ბედისწერას ვერავინ გაექცევა", ვამბობთ ჩვენ და ვფიქრობთ მახეზე, გზის მოსახ-ვევში რომ დაუგიათ მოგზაურისთვის. მაგრამ თუ მოგზაური ბედნიერებას ენევა, მაშინ ბედისწერას ან აღარ ვახსენებთ ან ისე მოვიხსენიებთ, თითქოს უკვე სხვა ღმერთზე ვლაპარაკობდეთ. და მაინც: ნუთუ დაუშვებელია, რომ იმან, ვინც ცხოვრების გზას მი-

უყვება, უბედურებაზე უფრო დიდი და სიკვდილზე უფრო მნიშვნელოვანი ბედნიერება იპოვოს? ნუთუ შეუძლებელია, რომ ისეთ ბედნიერებას გადაეყაროს, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ, რომელიც თავისი ბუნებით უფრო ნაკლებად თვალშისაცემია, ვიდრე უბედურება, და რომელიც, რაც უფრო მაღლდება, მით უფრო უხილავი ხდება? თუმცა ამას არავითარ ანგარიშს არ ვუნევთ. თუ ეს რაღაც უბადრუკი შემთხვევაა, მთელი სოფელი, მთელი ქალაქი მოიყრის თავს. მაგრამ თუ ეს არის კოცნა, მშვენიერების სხივი, რომელმაც უნდა დაგვატყვევოს, ან სიყვარულის სხივი, რომელმაც გული უნდა გაგვინათოს, მაშინ ამას არავინ უყურებს. თუმცა ამბორი ისეთივე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სიხარულისთვის, როგორც ჭრილობა -— ტკივილისთვის. ჩვენ სამართლიანად არ განვსჯით, რადგან თითქმის არასოდეს ვაკავშირებთ ბედისწერას ბედნიერებასთან. და თუ უშუალოდ სიკვდილს არ ვუიგივებთ, ესეც იმიტომ, რომ თვით მასზე უფრო დიდ უბედურებას გავუტოლოთ.

XLIX

მართალია, მე ოიდიპოსის, ჟანა დ'არკის ან აგამემნონის ხვედრზე გელაპარაკებით, მაგრამ თქვენ ამ სამი ადამიანის ცხოვრებას ვერ დაინახავთ, დაინახავთ მხოლოდ უკანასკნელ ბილიკებს, რომლებმაც თითოეული მათგანი თავის აღსასრულამდე მიიყვანა. ალბათ, თქვენთვის აღნიშნავთ კიდეც, რომ არცერთს არ ერგო ბედნიერი ხვედრი, რაკი არცერთი არ მოკვდა ბედნიერი სიკვდილით. მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ სიკვდილი არასოდეს არ არის ბედნიერი იმათ თვალში, ვინც ჯერ არ კვდება. არადა, ჩვენ სწორედ ისე ვმსჯელობთ, თითქოს სიკვდილი ყველაფერს ნთქავდეს. და თუ ოცდაათწლიან ბედ-

ნიერ ცხოვრებას შემთხვევითი სიკვდილი წყვეტს, ოცდაათივე წელი მნუხარების წყვდიადში დანთქმულად გვესახება.

L

ამ გზით, ბედისწერას სულ ტყუილუბრალოდ ვუკავშირებთ სიკვდილს თუ უბედურებას. როდის უკუვაგდებთ იდეას, რომ სიკვდილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლე? მავანის ხვედრის ანონ-დანონისას, რატომ ვუყურებთ მას ყოველთვის მხოლოდ ცრემლების და არასოდეს — ღიმილის მხრიდან? ვინ გვითხრა, რომ სიცოცხლე სიკვდილის დახმარებით უნდა შევაფასოთ და არა პირიქით? ვწუხვართ სოკრატეს, დუნკანის[21], ანტიგონეს, ჟანა დ'არკის და სხვა არაერთი მართალი ადამიანის ხვედრის შემხედვარენი, რაკიღა მათი აღსასრული მოულოდნელი ან სასტიკი იყო, და ჩვენთვის აღვნიშნავთ, რომ სიბრძნე თუ სათნოება უბედურებას ვერ უმკლავდება. მაგრამ, ჯერ ერთი, თქვენ არც ბრძენი ყოფილხართ და არც სამართლიანი, თუ სიბრძნეში და სამართლიანობაში სხვა რამეს ეძებთ, საკუთრივ სიბრძნისა და სამართლიანობის გარდა. მეორეც, საკითხავია: რა უფლებით ვახდენთ ადამიანის მთელი არსებობის ფოკუსირებას მაინცდამაინც სიკვდილის წამში? რატომ მეუბნებით: ანტიგონეს და სოკრატეს სიბრძნე-სათნოებამ ეს ადამიანები გააუბედურა, რაკი ორივეს უბედური აღსასრული წილხვდაო? არადა, ბრძენზე საუბარი მისი დაბადების წუთიდან უნდა დაგეწყოთ. ჩვენ ბედნიერებს ან უბედურებს სწორედ ის გვხდის, რასაც დაბადებიდან სიკვდილამდე ვიქმთ. ადამიანის ბედნიერება-უბედურება და ჭეშმარიტი ხვედრი მის გარდაცვალებამდე განვლილ დღეებშია საძებნი.

ცოტა არ იყოს, ისე ვმსჯელობთ, თითქოს ბრძენ ადამიანს (რომლის საშინელი სიკვდილის ამბავი მატიანემ გადმოგვცა) ისე გაეტარებინოს თავისი არსებობა, რომ ძნელი განსაჭვრეტი არ უნდა ყოფილიყო მისი ნაღვლიანი ფინალი. სინამდვილეში კი, ბრძენს გაცილებით ნაკლებად აწუხებს სიკვდილის იდეა, ვიდრე მავან უკეთურს. სოკრატეს მაკბეტივით არ ეშინოდა, ყველაფერი ცუდად დასრულდებაო. და თუ ყველაფერი ცუდად მთავრდება, ეს ყოველგვარ მოლოდინს ეწინააღმდეგება, და სოკრატესაც ისე არ გაუტარებია ცხოვრება, რომ კავდორის თენივით წინდანინ მომკვდარიყო. თუმცა ძალზე ხშირად სადღაც სიღრმეში გვგონია, რომ სულ რამდენიმე საათით პირგახსნილი ჭრილობა მთელი დანარჩენი ცხოვრების მშვიდობას აქარწყლებს.

LI

მე არ ვამბობ, რომ ბედისწერა სამართლიანია, ანუ კეთილებს აჯილდოვებს და ბოროტებს სჯის. რომელ სულს დაერქმეოდა კეთილის სახელი, ჯილდო რომ გარანტირებული იყოს? მაგრამ ჩვენ თვით ბედისწერაზე უფრო უსამართლონი გამოვდივართ, რაკი მას განვსჯით. ბრძენ ადამიანს მხოლოდ უბედურების კუთხით ვხედავთ, ყველაფერი ვიცით ამ უკანასკნელის შესახებ, მაგრამ არაფერი ვუწყით მის ბედნიერებაზე, რადგან ზუსტად ისეთივე ბრძენი ან ისეთივე გულმართალი უნდა ვიყოთ, რომ მისი ბედნიერება შევიცნოთ.

როცა სულმდაბალი ადამიანი ბრძენკაცის ბედნიერების ანონას ცდილობს, ეს უკანასკნელი წყალივით ეღვრება თითებშუა. მეორე ბრძენის ხელებში კი იგივე ბედნიერება ოქროსავით მკვრივი და მბრწყინავი ხდება. ბედნიერების გარდა, სხვა არაფერი

გვაქვს, რის გაგებასაც შევძლებდით. ხშირად ხდება, რომ ბრძენის უბედურება სხვა ადამიანის უბედურებას ჰგავს, აი, მის ბედნიერებას კი არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც არაბრძენი „ბედნიერებას“ უწოდებს. ბედნიერებაში გაცილებით უფრო მეტი უცნობი მიწაა, ვიდრე უბედურებაში. უბედურებას მუდამ ერთი და იგივე ხმა აქვს, ბედნიერება კი მით უფრო ნაკლებად ხმაურობს, რაც უფრო ღრმავდება.

როდესაც უბედურებას სასწორის ერთ თასზე ვდებთ, თითოეული ჩვენგანი მეორე თასზე დებს იმ იდეას, თვითონვე რომ შეუქმნია ბედნიერების შესახებ. ველური ადამიანი ამ თასზე დადებდა ალკოჰოლს, დენთსა და ბუმბულებს, ცივილიზებული კაცი — ცოტაოდენ ოქროს და ზარხოშის რამდენიმე დღეს, ბრძენი კი — უამრავ ისეთ რამეს, რაც თვალით არ ჩანს, შესაძლოა — მთელ თავის სულს და მის მიერვე განწმენდილ უბედურებასაც კი.

LII

არაფერია ბედნიერებასავით სამართლიანი, არაფერია, უფრო ერთგულად რომ იღებდეს ჩვენი სულის ფორმას, უფრო ზედმიწევნით რომ ავსებდეს სიბრძნის მიერ მისთვის გახსნილ სივრცეებს. თუმცა, ამასთანავე, არაფერია ბედნიერებასავით უხმო. მწუხარების ანგელოზი ყველა ენაზე ლაპარაკობს და ყველა სიტყვა იცის, ბედნიერების ანგელოზი კი მხოლოდ მაშინ აღებს პირს, როცა ისეთ ბედნიერებაზე უნდა ილაპარაკოს, თვით ველურიც რომ გაიგებდა. უბედურებამ თავისი ბავშვობა რამდენიმე საუკუნის წინ დატოვა, ბედნიერებას კი თითქოს ისევ თეთრ სახვევებში ძინავს.

რამდენიმე ადამიანმა ბედნიერებას მიაგნო, მაგრამ სად არიან ისინი, რომლებიც ამ თავის ნეტარე-

ბაში მათი სულის გამცისკროვნებელი მთავარანგელოზის მაგივრად ილაპარაკებენ? საიდან მოდის ეს უსამართლო დუმილი? ბედნიერებაზე ლაპარაკი ხომ ცოტათი მის სნავლებასაც ჰგავს? მისი სახელის ყოველდღიური ხსენება ხომ მისი მოხმობაა? და განა ბედნიერთა ერთ-ერთი მშვენიერი მოვალეობა ის არ არის, რომ სხვებსაც ასწავლონ ბედნიერად ყოფნა? ეჭვი არაა, ჩვენ ამას ვსწავლობთ და არაფერი ისე იოლად არ ისწავლება, როგორც ბედნიერება. თუ თქვენ იმ ადამიანთა შორის ცხოვრობთ, რომლებიც საკუთარ არსებობას ლოცავენ, თქვენც მალევე დალოცავთ თქვენსას. ღიმილი ისევე გადამდებია, როგორც ცრემლები, „ბედნიერად" კი ზოგ ეპოქას ხშირად მხოლოდ იმიტომ მოიხსენიებენ, რომ იმ დროს მცხოვრები ზოგიერთი ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობდა. როგორც წესი, ჩვენ ბედნიერება კი არ გვაკლია, არამედ *ბედნიერების მეცნიერება*. არაფერია შეძლებისდაგვარად ბედნიერად ყოფნა, თუ ამას არ ვაცნობიერებთ. ხოლო უმცირესი ბედნიერების შეგნება უფრო მეტს ნიშნავს ჩვენი ნეტარებისთვის, ვიდრე თვით უდიდესი ბედნიერება, რომელსაც ჩვენი სული უყურადღებოდ ტოვებს. ძალიან ბევრ ვინმეს წარმოუდგენია, რომ ბედნიერება რაღაც სხვა რამეა და არა ის, რაც მათ უკვე აქვთ. ამიტომაც იმათ, ვინც მას უკვე ფლობს, უპრიანია გვიჩვენონ, რომ ისეთს არაფერს ფლობენ, რასაც თითოეული ადამიანი საკუთარ გულში არ ატარებს.

ბედნიერად ყოფნა ნიშნავს, რომ უკან გქონდეს ჩამოტოვებული ბედნიერების მოუსვენრობა. საჭიროა, რომ შესაშური, გაცისკროვნებული, ზეადამიანური ხვედრით დაჯილდოებულმა ადამიანმა დროდადრო უბრალოდ გვითხრას: „მე მივიღე ყველაფერი, რასაც თქვენი სურვილები დღიდან დღემდე უხმობენ. მაქვს სიმდიდრე, ჯანმრთ-

ელობა, სიჭაბუკე, დიდება, ძალა და სიყვარული. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ. არა იმ საჩუქრების გამო, რაც ღიბალმა ჩემთვის გაიმეტა, არამედ იმით, რომ ამ ძღვენმა თვით ბედნიერებაზე უფრო მაღლა ხედვა მასწავლა. ჩემს საოცარ მოგზაურობებში, გამარჯვებებში, ძალასა და სიყვარულში მშვიდობა და ნეტარება ვიპოვე, რადგან ამ ყველაფერმა მასწავლა, რომ ჭეშმარიტი მშვიდობა და ნეტარება თვით მათში არ ძევს. ყველა ეს გამარჯვება თავდაპირველად მხოლოდ ჩემში არსებობდა, მათი განხორციელების შემდეგაც ისევდაისევ ჩემშია და ვიცი, რომ ცოტა მეტი სიბრძნე რომ მქონოდა, ეს ყველაფერი მაინც დამრჩებოდა, ოღონდ — ამდენი ბედნიერების გარეშე. ჰოდა, დღეს კიდევ უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე გუშინ ვიყავი, რადგან ახლა უკვე ვიცი, რომ ბედნიერებას აღარ ვსაჭიროებ იმისთვის, რომ სული გავითავისუფლო, ფიქრი დავიმშვიდო და გული გავინათო."

LIII

ბრძენმა ადამიანმა ეს ისეც იცის, ზეადამიანური ბედნიერებისგან სწავლებას აღარ საჭიროებს. ეს იცის გულმართალმაც, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად ბრძენია და ცნობიერებაც ნაკლებ განვითარებული აქვს. აღსანიშნავია, რომ სამართლიანი ან კეთილი საქციელი მის ჩამდენს უყალიბებს ერთგვარ დაუნაწევრებელ, ღრმა აზროვნებიდან მომდინარე შეგნებაზე უფრო ქმედით, უფრო თავდადებულ, უფრო დედობრივ თვითშეგნებას, განსაკუთრებით კი — ბედნიერების სპეციფიკურ ცნობიერებას. უმაღლესი კატეგორიის აზრები თითქმის ყოველთვის ბუნდოვანი და ცვალებადია და შეიძლება ამაოდაც დაშვრნენ. კეთილისმქმნელი ქმედება კი მყარია და

პერმანენტული. ღრმა აზრი რამდენადმე დეკორატიულია, ხოლო გულმოწყალების აქტი თუ ჰეროიკული ვალის აღსრულება თვითშეგნებიდან მოდის, ანუ მოქმედებაში მყოფი ბედნიერებაა. მარკუს ავრელიუსი, რომელიც მომაკვდინებელ შეურაცხყოფას პატიობს, ვოშინგტონი, რომელიც პოსტიდან მიდის, როდესაც მისი დიდება სადაცაა მისივე ხალხის ცდომილების წყაროდ უნდა იქცეს, და ვინმე საზიზღარი და მანკიერი ადამიანი, რომელიც შემთხვევით აღმოაჩენს გრავიტაციის დიდ კანონს, — ყველა ესენი ერთნაირად ბედნიერები ვერ იქნებიან.

არსებობს გრძელი გზა, რომლის ნაპირებს ხეთა მწკრივივით მიუყვება ზამთრის არმოშიში მარტოხელა სიხარულები, წყურვილმოკლული გულის წყურვილმოკლული აზროვნება. ბედნიერება არის მცენარე, რომლის ფესვები გაცილებით მეტად არის გადგმული სულიერ ცხოვრებაში, ვიდრე ინტელექტუალურში. ცნობიერება და, განსაკუთრებით, ბედნიერების ცნობიერება თავის საუკეთესო საუნჯეს მეტწილად აზროვნებაში არ მალავს. ის კი არა, სათნოების ამა თუ იმ კონკრეტული აქტის გაუვლელად, ზოგჯერ აზროვნების ყველაზე მაღალი და ყველაზე მანუგეშებელი მხარეებიც კი ვერ ყალიბდებიან თვითშეგნებად. საკმარისი არ არის ახალი ჭეშმარიტების აღმოჩენა იდეების თუ ფაქტების სამყაროში. ჭეშმარიტება ჩვენთვის მხოლოდ იმ მომენტიდან ცოცხლდება, როცა ჩვენს სულში რაღაცას გადაასხვაფერებს, განწმენდს, შეარბილებს. შინაგანი სრულქმნა: — აი, რა არის თვითშეგნების ჭეშმარიტი არსი, მისი უმნიშვნელოვანესი აქტივობა. არიან ძალზე გონიერი ადამიანები, რომლებიც თავიანთ გონიერებას არასოდეს ახმარენ შეცდომის აღმოჩენას ან ლმობიერების გრძნობის ნაქეზებას. ეს უფრო ხშირად ქალებში ხდება. ერთნაირი ინტელექ-

ტუალური ძალმოსილების მქონე ქალისა და მამაკაცის შემთხვევაში, ქალი გაცილებით ნაკლებად ახმარს ამ ძალმოსილებას საკუთარ თვითშეგნებას. მართლაც: აზროვნება, რომელიც თვითშეგნებისკენ არ მიდის, თითქოს სიცარიელეში მოქმედებს. ჩვენი ტვინის მთელი ძალმოსილება, რომელიც მეყსეულად არ გროვდება ჩვენივე გულის უწმინდეს ლარნაკებში, ნამდვილად შეიძლება წახდეს და დაიკარგოს. ყველა შემთხვევაში, ეს ძალმოსილება ბედნიერებას არ ხმარდება, პირიქით — ეგების წყალს უბედურების წისქვილზეც კი ასხამს. შესაძლოა, მავანს ერთობ მაღალი და ძალუმი აზროვნება ჰქონდეს, მაგრამ ბედნიერებას მაინც ვერასოდეს მიაგნოს. მაგრამ შეუძლებელია, რომ ნაზი, წმინდა და კეთილი სულის ადამიანს უბედურების მეტი არაფერი განეცადოს. ისიც სიმართლეა, რომ აზროვნებისა და თვითშეგნების საზღვრები ყოველთვის ისე მკაფიოდ გამიჯნული არ არის, როგორც აქ აღვნიშნავთ, და რომ ხშირად მშვენიერი აზრიც თავისთავად კარგი საქმეა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მშვენიერი აზრი, რომელიც კეთილშობილი ქმედებიდან არ მოდის ან თვითონვე არ შობს მას, ბევრს ვერაფერს გვმატებს. აი, კეთილი საქციელი კი, თუნდაც არავითარ აზრს არ დაუდოს სათავე, კეთილისმქმნელი ნვიმასავით მუდამ გამოგვიცოცხლებს ხოლმე ბედნიერების განცდას.

LIV

„უარი უნდა თქვა ბედნიერებაზე, რომ აქამდე მიხვიდე! — შესძახა რენანმა მარკუს ავრელიუსის განდგომილებაზე საუბრისას. — ვერასოდეს გავიგებთ იმას, რითაც ეს საბრალო გული იტანჯებოდა, რა სიმნარესაც ეს ფერმკრთალი, ყოველთვის

მშვიდი და თითქმის მომღიმარი შუბლი მალავდა. რასაკვირველია, ბედნიერებასთან დამშვიდობება სიბრძნის დასაწყისია და კვლავ ბედნიერების პოვნის უსანდოესი გზა. არაფერია უფრო საამო, როგორც სიხარულის დაბრუნება მასზე უარის თქმის შემდეგ; არაფერია უფრო ცოცხალი, ღრმა, მომხიბლავი, როგორც აღტაცება განხიბლულისა."

ასე აღნერს ერთი ბრძენი მეორეს. და მაინც: ნუთუ რენანის და მარკუს ავრელიუსის ბედნიერება მხოლოდ სიხარულის დაბრუნებასა და განხიბლულის აღტაცებაში მდგომარეობს? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ნაკლები სიბრძნე უნდა ვარჩიოთ — ნაკლებად განვიხიბლებით. მაგრამ მაინც რა სურს სიბრძნეს, რომელიც თავის თავს განხიბლულად აცხადებს? რას ეძებს, თუ არა ჭეშმარიტებას, და როგორია ეს ჭეშმარიტება, რომელმაც ასე დაანგრია ნრფელ გულში თვით ჭეშმარიტების სიყვარული?

თუ ჭეშმარიტება გასწავლით, რომ ადამიანი ბოროტია, ბუნება — უსამართლო, სამართლიანობა — უსარგებლო, სიყვარული კი — უძლური და თუ, იმავდროულად, არ ჩაგაგონებთ უფრო დიდ ჭეშმარიტებასაც, რომელიც ნინა ჭეშმარიტების ხელით ჩამქრალ ათას ეფემერულ სინათლეზე უფრო კაშკაშა და უფრო დღეგრძელ სინათლეებს აანთებს, მაშინ უნდა აღიაროთ, რომ ის თქვენ არაფერს გასწავლით. ჭეშმარიტებას საზღვრები არ აქვს და ამიტომ სიბრძნესაც არასოდეს არა აქვს უფლება ქედმაღლობის პირველივე გზაჯვარედინზე გაშალოს განხიბვლისა და განდგომილების პატარა საბრალო კარავი. ეს ხომ გაუგონარი და საკმაოდ მყიფე ქედმაღლობაა: თავი დაკმაყოფილებულად გამოვაცხადოთ იმით, რომ ამქვეყნად ვერაფერი გვაკმაყოფილებს! ამგვარი კმაყოფილება სხვა არაფერია, თუ არა უკმაყოფილება, რომელსაც ფეხზე წამოდგომის ძა-

ლაც კი აღარ აქვს, უკმაყოფილება კი, არსებითად, გაგების უსურვილობას ნიშნავს.

როცა ადამიანი წარმოიდგენს, რომ ბედნიერებაზე უარის თქმა მისი მოვალეობაა, განა ამ დროს ისეთ რამეზე არ ამბობს უარს, რაც ჯერ კიდევ *ბედნიერება* არ არის? და, გარდა ამისა, მაინც რომელ ბედნიერებებს უნდა დავემშვიდობოთ იმ დამშვიდობებით, რომელსაც ასე აკლია სისადავე? რა თქმა უნდა, ნამდვილად უნდა მოვერიდოთ ყოველგვარ ბედნიერებას, რომელსაც სხვებისთვის ცუდი მოაქვს. მაგრამ რამდენად შესაძლებელია, რომ ბრძენმა ადამიანმა ხანგრძლივად იხაროს სხვებისთვის ცუდის მომტანი ბედნიერებით? მან ხომ, არსებითად, დაკმაყოფილების სხვა, აღმატებული წყაროები შეიცნო...

ნურასოდეს გავიზიარებთ ისეთ სიბრძნეს და ისეთ ბედნიერებას, რაღაცის ზიზღს რომ ეფუძნება. ზიზღი და განდგომილება — ზიზღის ხეიბარი ვაჟი — მხოლოდ მოხუცებისა და სუსტების თავშესაფარს გვთავაზობენ. ჩვენ მხოლოდ მაშინ გვექნებოდა სიხარულის შეზიზღების უფლება, თუ ისიც კი აღარ გვეცოდინებოდა, რომ *გვე ზიზღება*. მაგრამ რამდენადაც ზიზღმა თუ განდგომამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ან აზრი მაინც აგვიმოძრაოს გულის სიღრმეში, ამდენად, ჯერ კიდევ გვჭირდება ის სიხარული, რომელიც უარვყავით.

ვერიდოთ სულში სათნოების ზოგიერთი პარაზიტის შეშვებას. განდგომილება ხომ ხშირად პარაზიტია და სხვა არაფერი. თვით მაშინაც, როცა არ გვასუსტებს, შინაგან ცხოვრებას მაინც გვიფორიაქებს. როცა რომელიმე პატარა ცხოველი სკაში შეიპარება, ფუტკრები ერთიანად წყვეტენ მუშაობას. სწორედ ასევე, როდესაც სულში ზიზღი ან განდგომილება შემოდის, ამ სულის ყველა ძალა და სათნოება თავ-

თავის საქმიანობას წყვეტს, რათა ქედმაღლობის ხელით მოყვანილ საგანგებო სტუმარს გარშემოერტყას. რადგან იმდენად, რამდენადაც ადამიანმა იცის, რას განუდგა, ამ განდგომილების სიხარულიც მეტწილად ქედმაღლობიდან იშვება. მართლაც, თუ რამეს უნდა განვუდგეთ, უწინარეს ყოვლისა — ქედმაღლობის ბედნიერებას, ყველაზე მაცდურსა და ყველაზე ცარიელს.

LV

რაოდენ ხელსაყრელია და, იმავდროულად, რაოდენ დაცლილი ყოველგვარი გაბედულებისა და ენერგიისგან დაცლილი ეს „ხიბლი"! მაგრამ რა ვუწოდოთ კაცს, რომელიც უარს ამბობს ბედნიერებაზე და ურჩევნია დღესვე დაკარგოს ეს ბედნიერება იმის შიშით, ვაითუ ხვალ დავკარგო შემთხვევის ნებითო? ნუთუ სიბრძნის ერთადერთი დანიშნულება ისაა, რომ უსმინოს გაურკვეველ მომავალში გახმიანებულ ნაბიჯებს იმ ტანჯვისა, რომელიც შეიძლება არც კი მოვიდეს, და არ მიაყურადოს ბედნიერების ფრთების ფართქუნს, დღესვე რომ ავსებს მთელ სივრცეს?

ვეძებოთ ჩვენი ბედნიერება განდგომილებაში მაშინ, როდესაც სხვაგან ვეღარსად ვპოულობთ. ადვილია ბრძენობა, როცა იმ ბედნიერებით კმაყოფილდები, რომელსაც ბედნიერების არარსებობაში პოულობ. მაგრამ ბრძენი იმისთვის არ შექმნილა, რომ უბედური იყოს. უფრო დიდებულია და უფრო ადამიანური, რომ ბრძენად დარჩე თვით ბედნიერებაში. სიბრძნის უზენაესი მიზანიც ისაა, რომ ცხოვრებაში ბედნიერების მყარი წერტილი იპოვოს. მაგრამ ამ წერტილის ძებნა განდგომილებაში და სიხარულზე უარის თქმაში, ეს იგივეა, რაც მისი ძებნა სიკვდილში. იოლია საკუთარი თავის ბრძენად მიჩნევა, როცა

ადგილიდან არ ვიძვრით. მაგრამ ნუთუ ადამიანი იმისთვის შეიქმნა, რომ გაუნძრევლად იყოს? უნდა ამოვირჩიოთ: სიბრძნე ან ჩვენი მისწრაფებებისა და გრძნობების, მთელი ჩვენი აზრებისა და სურვილების საპატიო მეუღლე უნდა იყოს ან კიდევ, სიკვდილის მელანქოლიური საცოლე. ჯობს უძრავი სიბრძნე საფლავს გადავუნახოთ, სხვაგვარი სიბრძნე კი — იმ სახლს, რომელშიც კერია ჯერ კიდევ ღვივის.

LVI

გარემომცველ ბედნიერებებზე უარის თქმა კი არ გვაბრძენებს, პირიქით: დაბრძენებასთან ერთად ჩვენდაუნებურად უკუვაგდებთ იმ ბედნიერებებს, რომლებიც ჩვენამდე ვეღარ მაღლდებიან. ასე ტოვებს ხოლმე ზრდაში წასული ბავშვი ძველ სათამაშოებს: ვეღარ ართობს და იმიტომ. და როგორც ეს ბავშვი ზოგიერთ რამეს თამაშით უკეთ ითვისებს, ვიდრე სავალდებულო მეცადინეობით, ასევე სიბრძნეც უფრო სწრაფად მიაბიჯებს ბედნიერებაში, ვიდრე უბედურებაში. უბედურებისეული გაკვეთილები სულის მხოლოდ ერთ რომელიღაც ნაწილს ანათებენ. და ის, ვინც უბედურებამ დააბრძენა, ჰგავს მიჯნურს, რომლის სიყვარულიც უპასუხოდ დატოვეს. ასეთ კაცს არ ეცოდინება სიბრძნეში ის, რაც მიჯნურს არ ეცოდინება თავის უიღბლო სიყვარულში.

„ნამდვილად იმდენი სიხარულია ბედნიერებაში, რამდენსაც საერთოდ მიანერენ?“ — ჰკითხა ერთხელ ორ ბედნიერ სულს ხანგრძლივი უსამართლობით ცოტა არ იყოს დანაღვლიანებულმა ფილოსოფოსმა. არა, მთლად ასეც არ არის. ბედნიერება ერთდროულად მეტად შესაშურიც არის და ნაკლებადაც. ის ხომ სრულებით სხვა რამეა, ვიდრე ისინი ფიქრობენ, ვინც არასოდეს ყოფილა ბოლომდე ბედნიერი. მხიარუ-

ლად ყოფნა ისევე არ ნიშნავს ბედნიერებას, როგორც ბედნიერება არ ნიშნავს მუდმივ მხიარულებას. აქ მხოლოდ პატარ-პატარა სიხარულებია, რომლებიც ილიმებიან და თვალებს ამ ღიმილის დამთავრებამდე ხუჭავენ. მაგრამ განსაზღვრულ სიმაღლეზე მყოფი მუდმივი ბედნიერებაც არანაკლებს იწონის, ვიდრე კეთილშობილი სევდა. ბრძენი ადამიანები გვასწავლიან, რომ არ გვმართებს ბედნიერად ყოფნა, რათა მას დღემუდამ მიველტვოდეთ. მაგრამ თუ ბრძენი არასოდეს ყოფილა ბედნიერი, საიდან ეცოდინება, რომ სიბრძნე ერთადერთი რამაა, რაც ბედნიერების დროს არც სევდიანდება და არც იღლება? ბედნიერებასთან ნაზიარებმა მოაზროვნეებმა უფრო ინტიმურად შეიყვარეს სიბრძნე, ვიდრე იმათ, ვინც უბედურებაში იცხოვრა. ის სიბრძნე, რომელსაც უბედურებისა სნამს, დიდად განსხვავდება მეორე სიბრძნისგან, რომელიც ბედნიერების წიაღში ვითარდება. პირველი ბედნიერებაზე ლაპარაკით გვანუგეშებს, მეორე კი მხოლოდ თავისივე თავზე ლაპარაკობს. უბედური ადამიანის სიბრძნის სამიზნე ბედნიერებაა, ბედნიერის კი — ისევდაისევ სიბრძნე. თუ სიბრძნის მიზანი ბედნიერების პოვნაა, მაშინ მხოლოდ ბედნიერად ყოფნის ძალით მოვიპოვებთ ცოდნას, რომ ეს მიზანი საკუთრივ სიბრძნეშია.

LVII

გზად შეხვედრილი პირველივე სული ბედნიერების სავანე ვერ იქნება. ბედნიერებას ისევე სჭირდება გამბედაობა, როგორც უბედურებას. ეგებ ბედნიერების გაგრძელება მეტ ძალასაც კი საჭიროებს, ვიდრე უბედურად დარჩენა, რადგან ჯერარარსებულის მოლოდინი გულს მეტ სიხარულს აძლევს, გულს, რომელსაც ნანატრ-ნასურვების მხოლოდ

მთლიანად დაუფლება თუ აბრძენებს. მხოლოდ უწყვეტი ბედნიერების მწვერვალიდან ჩანს ამ გულის სურვილები, გულის, რომელიც თითქოს მხოლოდ შიშით და იმედით იკვებება და რომელიც ასე ცუდად იკვებება იმით, რაც აქვს, — თვით მაშინაც კი, როცა ყველაფერი აქვს.

ხშირად ვხედავთ ბედნიერებისგან დამარცხებულ ძლიერ და ზნეობრივი კეთილგონიერებით აღსავსე ადამიანებს. რაკი ბედნიერებაში ვერ იპოვეს ყველაფერი, რასაც ეძებდნენ, ისინი ამ ბედნიერებას არც ისე იცავენ და არც ისე ენერგიულად ინარჩუნებენ, როგორც ამას ცხოვრება მოითხოვს. ო, ნამდვილად ბრძენი უნდა იყო და აღარ გაგიკვირდება, რომ ბედნიერებას სევდაც მოაქვს ხოლმე. თუმცა ნურც ეს სევდა გადაგვხრის აზრისკენ — როგორც ჩანს, ჯერჯერობით ნამდვილად ბედნიერნი მაინც არ ვართო! ბედნიერებაში საუკეთესო ხომ ის თვალსაჩინოებაა, რომ ბედნიერება კი არ გათრობს, არამედ გაფიქრებს. ბედნიერება უფრო მისაწვდომი ხდება და უფრო ხშირად გვსტუმრობს მას შემდეგ, რაც გავიგეთ, რომ ერთადერთი ნიჭი, რომლითაც ის საამისოდ მზადმყოფ სულს მოსავს, ესაა ცნობიერების გაფართოების ნიჭი, რომელსაც სული სხვაგან ვერსად მოიპოვებდა. ადამიანის სულისთვის ბედნიერების ფასის ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისით დატკობა. ბევრი რამის ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა ხანგრძლივად გიყვარდეს. კიდევ უფრო მეტი უნდა იცოდე იმის მისახვედრად, რომ უქარიშხლო ბედნიერების მყარი და ურყევი ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ცნობიერების სიღრმეში მყოფი ძალაა, რომელსაც შეუძლია ბედნიერი გვამყოფოს თვით შუაგულ უბედურებაშიც კი. თქვენს თავს მანამდე ვერ უწოდებთ ბედნიერს, სანამ ბედნიერებას იმსი-

მაღლეზე არ აუყვანიხართ, საიდანაც მზერა უსასრულობაში იკარგება, თუმცა, იმავდროულად, არ იკარგება თვით სიცოცხლის სურვილი.

LVIII

ჩვენ ვიცნობთ მარადიულის, უსასრულოსა და საყოველთაოს დიადი გრძნობით გამსჭვალულ ღრმა მოაზროვნეებს — პასკალს, ჰელოს, შოპენჰაუერს, რომლებიც არ ტოვებენ ბედნიერი ადამიანების შთაბეჭდილებას. მაგრამ შევცდებოდით, თუ წარმოვიდგენდით, რომ კაცობრიული სევდის გამოხატვა ყოველთვის პირად სასოწარკვეთასაც გულისხმობს. არაინსტინქტური, არაეგოისტური, არაულიმღამო აზრის სიმაღლიდან განჭვრეტილი ადამიანური ტრაგედიის თვალსანიერი, არსებითად, ხილული ბუნების თვალსანიერს ჰგავს. ყოველივეს შემდეგ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს ჰორიზონტის თავზე მოსრიალე ღრუბლების შეფერილობას — პირქუშია ის თუ ნათელი. მოგზაურს ის ამშვიდებს, რომ ისეთ სიმაღლეზე ავიდა, საიდანაც დაუსაზღვრავი სივრცე იშლება. აუცილებელი არ არის, რომ თეთრმა აფრებმა განუნყვეტლივ ისრიალონ ტალღებზე, ვინძლო ზღვა საკვირველი და იდუმალებით აღსავსე გვეჩვენოს. და დღევანდელი შტორმიც ისევე ვერ გვისუსტებს სულის ცხოვრებას, როგორც წყნარი და ნათელი დღე. აი, ჩვენი პაწია, სულმოკლე, დავრდომილი, ფარღალალა აზრების ოთახში გამოკეტვა კი სულს სწორედაც რომ გვიდუნებს. და ეს მაშინ, როცა ჩვენი საბინადროს ირგვლივ გაბრდღვიალებული ცა და ოკეანე გადაშლილა!

მაგრამ, ალბათ, არის სხვაობა მოაზროვნესა და ბრძენს შორის. ისეც ხდება, რომ მწვერვალებზე ასულ მოაზროვნეს სევდა შეიპყრობს, ბრძენს კი

იქ ისე ბუნებრივად და ადამიანურად ეღიმება, რომ მთის ძირში ყვავილივით ჩამოვარდნილ ამ ღიმილზე თითქოს მის ყველაზე უფრო მოკრძალებულ თანამოძმესაც მიუნვდება ხელი. მოაზროვნე ხსნის „ხილულიდან უხილავისკენ მიმავალ გზას“, ბრძენი კი — გზას, რომელიც იმას, რაც დღეს გვიყვარს, აკავშირებს იმასთან, რაც ხვალ უნდა შეგვიყვარდეს. ეს ის ბილიკებია, რომლებიც იქიდან, რაც დღეს აღარ გვანუგეშებს, ადის იქითკენ, სადაც კიდევ ხანგრძლივი ნუგეში გველის. აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი, რომ ადამიანზე, ღმერთზე, ბუნებაზე ცოცხალი და გაბედული მოსაზრებები გვქონდეს. ან რას წარმოადგენს ღრმა აზრი, რომელსაც ნუგეში და თანადგომა არ მოაქვს? ზოგიერთი ისეთი აზრისა არ იყოს, ჯერ ჩვენს ყოველდღიურობაში რომ არ გამჯდარა, — ამ „ღრმა აზრსაც“ ხომ მოაზროვნე ჯერჯერობით მთლიანად ვერ ფლობს? უფრო იოლია დაღონება და ამ დაღონებაში ჩარჩენა, ვიდრე დაუყოვნებლივ ნაბიჯის გადადგმა, რაც გარკვეული ხნის შემდეგ ყოველთვის დაღონებიდან გასვლით მთავრდება. უფრო იოლია ღრმა ჩანდე შენს უნდობლობასა და წყვდიადში, ვიდრე იმ ნდობასა და ნრფელ ნათელში, სადაც ადამიანებმა უნდა იცხოვრონ. ვართ კი დარწმუნებული იმაში, რომ, მთელი ადამიანური საძმოს სახელით, მაქსიმალურად ჩავუღრმავდით ცხოვრების სევდას? ნუთუ აზროვნების ბოლო საფეხური ისაა, რომ იაზროვნო, ნუგეშით კი ვერავინ ანუგეშო? მხოლოდ იმას კი ნუ მეუბნებით, რატომ ჩივიხართ, — ჯობს მარტივად გამაგებინოთ თქვენი უფრო ღრმა და უფრო ძალუმი მოტივები, რომელთა გამო ინსტინქტურად არ უკუაგდებთ თქვენსავე მიერ „გასაჩივრებულ“ არსებობას.

რომელი ჩვენგანი არ ხედავს — ყოველგვარი ძებნის გარეშე — უამრავ მიზეზს იმისთვის, რომ

თავი ბედნიერად ვერ იგრძნოს? ჰოდა, ბრძენმაც ამ მიზეზებს შორის უმაღლესები უნდა მიგვითითოს, რადგან ასეთები ყველაზე ახლოს დგანან იმ ნერტილთან, სადაც საპირისპიროთი უნდა შეიცვალონ, ანუ, ბოლოს და ბოლოს, თავი ბედნიერად გვაგრძნობინონ. ეგაა, ყველა ის მიზეზი, რომლებიც სიდიადისა და ბედნიერების მარცვალს არ ატარებს (გონებრივ ცხოვრებაში ნამდვილად აღმოჩნდა უამრავი სივრცე, სადაც სიდიადე და ბედნიერება ერთმანეთს თანხვდება), ჩამოთვლას არ იმსახურებს. ბედნიერი იმისთვის უნდა იყო, რომ სხვებიც გააბედნიერო. სხვები იმისთვის უნდა გააბედნიერო, რომ შენი ბედნიერებაც გაგრძელდეს. ჯერ იმისთვის გავიღიმოთ, რომ ღიმილი ჩვენმა ძმებმაც ისწავლონ, მათი მომღიმარი სახეების დანახვაზე კი უფრო რეალურადაც გავიღიმებთ. „არ შემფერის, რომ ტკივილი მივაყენო ჩემს თავს: მე, რომელსაც საკუთარი ნებით არავისთვის მიმიყენებია ტკივილი“, — აი, მარკუს ავრელიუსის ერთ-ერთი უმშვენიერესი სტრიქონი. განა საკუთარი თავისთვის ტკივილის მიყენებით და, იმავდროულად, სხვებისთვის ტკივილის მიყენების სნავლით ნაკლებად ბედნიერები არ ვიქნებით, ვიდრე შეგვეძლო რომ ვყოფილიყავით?

LIX

პატარა აზრი, რომელიც კმაყოფილ მზერას, კეთილისმქმნელ საქციელს ან ბედნიერ წუთთაგან ყველაზე მშვიდსა და მოკრძალებულს რაღაც მშვენიერთან, მყართან და მარადიულთან აკავშირებს, — ასეთი პატარა აზრი უფრო ღირებულია და ცხოვრების საიდუმლოებებისთვის გაცილებით უფრო ძნელად „დასაცინცლავი“, ვიდრე დიდი და ბნელი მედიტაცია, რომელიც მწუხარებას, სი-

ყვარულს, სასონარკვეთას განუხრელად აჯაჭვავს სიკვდილთან, ბედისწერასთან თუ ჩვენი არსებობის თანმხლებ ინდიფერენტულ ძალებთან. დე, მოჩვენებითობა ნუ შეგვაცდენს! ჰამლეტი, რომელიც უფსკრულის პირას გოდებს, რატომღაც უფრო ღრმად და უფრო მიმზიდველად გვესახება, ვიდრე ანტონიუს ღვთისმოსავი, რომელიც იმავე ძალებს მშვიდად უყურებს, იღებს და მშვიდადვე უსვამს კითხვებს, იმის ნაცვლად, რომ წყევლა-კრულვა შეუთვალოს და მათში შეძრწუნების მოტივები ეძებოს. ყველაფერი, რასაც დღის განმავლობაში ვშვრებით, ნაკლებად დიადი ჩანს, ვიდრე ღამით ჩადენილი უმცირესი ქმედება, მაგრამ ადამიანი დღისით მუშაობისთვის გაჩნდა და არა წყვდიადში სამოქმედოდ.

LX

გარდა ამისა, თვით უმცირესი მანუგეშებელი აზრიც კი ატარებს ისეთ ძალას, როგორიც არასოდეს არა აქვს უდიდეს ჩივილს ან უმშვენიერეს მელანქოლიურ იდეას. დიდი იდეა, ღრმა და სევდიანი, ესაა ენერგია, რომელიც თავისივე საკნის კედლებს ანათებს და რომელსაც ფრთები სიბნელეში უცვდება. ხოლო რწმენით ნასაზრდოები, გარდაუვალი კანონების გიჟმაჟურად უგულებელმყოფელი თვით ყველაზე მოკრძალებული აზრი უკვე ის ქმედებაა, რომელიც საყრდენ წერტილს ეძებს, რათა ფრთები შეისხას საარსებოდ. ცუდი არ იქნება, ხანდახან ჩვენივე თავის წინაშე ვაღიაროთ, რომ დიდბუნებოვანი და უანგარო აზრი მშვენიერი რამაა, მაგრამ რეალობა მოქმედებით იწყება. კაცმა რომ თქვას, მთელ ჩვენს ბედისწერას ჩვენი აზრების სწორედ ის ნაწილი შეადგენს, რომლებსაც — დანარჩენი უსრული, ბუნდოვანი, თითქმის გაურკვევე-

ლი აზრებით აჩქარებულებს — აღმოაჩნდათ ძალა ან, ბოლოს და ბოლოს, დანებდნენ საჭიროებას, რომ მოვლენებად, ფესტებად, გრძნობებად, ჩვევებად ქცეულიყვნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ყველა აზრი უნდა უკუვაგდოთ. ჩვენი აზრები ჩვენს რეალურ ცხოვრებას ისე შემოხვევიან გარს, თითქოს ქალაქისთვის ალყა შემოურტყამთო. ალბათ, ქალაქის აღების შემდეგ ჯარისკაცთა დიდი ნაწილი გარეთ დარჩება. უწინარეს ყოვლისა, არ შეუშვებენ დამხმარე ჯარებს, ბარბაროსებს, ყველა ჯურის უყოფაქცევო ბანდას, ერთი სიტყვით — ყველას, ვინც მეტისმეტად ადვილად მიეტანებოდა ძარცვა-გლეჯას, ცეცხლსა და სისხლს. ისიც მოსალოდნელია, რომ ჯარების ორმა მესამედმა საერთოდ არ მიიღოს მონაწილეობა გადამწყვეტ ბრძოლაში. თუმცა საკმაოდ ხშირად დგება გამოუყენებელი ძალების საჭიროებაც: ქალაქი აშკარად არ შეირყეოდა და არასოდეს გახსნიდა ჭიშკარს, თუ მისი მკვიდრნი არ დაინახავდნენ, რომ მომხდურთა ჯარი მთელ გარემომცველ ველ-მინდორს ფარავს, ქალაქის კედლებთან მოსული ნაწილები კი კარგად დისციპლინირებულია. იგივე ხდება ჩვენს გონებრივ ცხოვრებაშიც. ის აზრები, რომლებიც რეალობად ვერ იქცნენ, სულაც არ გაისარჯნენ ამაოდ. ისინი უბიძგებდნენ ან ზურგს უმაგრებდნენ წარმატებულ აზრებს, რომლებმაც მათი წყალობით მოახერხეს და ბოლომდე განახორციელეს თავიანთი მისია. და ამიტომაც ჩვენი ბუნდოვანი და დანაღვლიანებული იდეების მჭიდრო რიგების წინ ყოველთვის უნდა ვაკონტროლოთ უფრო სარწმუნო, უფრო ადამიანურ, უფრო მარტივ და ცხოვრებაში უფრო გაბედულად შემოსაბიჯებლად მზადმყოფ აზრთა გუნდები.

LXI

არამიწიერი სიკეთის უწმინდესი წადილით შეპყრობილნი, ამაოდ მოვინდომებდით გარკვეულ რეალობებზე აღმატებას. ერთი კონკრეტული ჟესტი ათას განზრახვაზე მეტი ღირს. არა იმიტომ, რომ ჩვენს განზრახვებს არავითარი ღირებულება არ გააჩნია. სიკეთით, სიმამაცით, სამათლიანობით დატვირთული უმცირესი ჟესტიც კი ათასობით კეთილ განზრახვას აღემატება.

ქირომანტები ამტკიცებენ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ჩვენივე ხელისგულზე წერია. „ცხოვრებაში" ისინი გულისხმობენ გარკვეულ მოქმედებებს, რომლებიც — შესრულებამდე თუ შესრულების შემდეგ — წარუშლელად აღიბეჭდება ჩვენს კანზე. აი, ჩვენი აზრები და განზრახვები კი ჩვენს ხელისგულზე არავითარ კვალს არ ტოვებს. შემიძლია დიდხანს ვატარო გულში მკვლელობის, ღალატის, გმირობისა თუ მსხვერპლის გაღების გეგმები, — ჩემი ხელისგულიდან მაინც ვერავინ ვერაფერს შეიტყობს. მაგრამ თუ შემთხვევით ან შეცდომით მოვკალი ვინმე ქუჩის მოსახვევში, სადაც მომეჩვენა, რომ ეს ადამიანი მემუქრებოდა, ან თუ იმავე ქუჩაზე ჩავლილმა, ცეცხლმოდებულ სახლში დარჩენილი ახალშობილი ვიხსენი, მაშინ ხელისგულზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში წარუხოცელად დამრჩება ერთი ადამიანის მოკვდინების ან მეორის გადარჩენის კვალი.

ნაკლებად მნიშვნელოვანია, ილუზიებში არიან ქირომანტები თუ არა. აღნიშნულ სხვაობას დიდი ჭეშმარიტება უდევს საფუძვლად. ამა თუ იმ აზრმა, შესაძლოა, მთელი სიცოცხლე სამყაროს ერთ წერტილში მამყოფოს, მოქმედება კი მუდამ თითო საფეხურით ამწევს ან ჩამომწევს ადამიანთა იერარქიულ კიბეზე. აზრი იზოლირებული და ალალბედზე მოწანწალე ძა-

ლაა, რომელიც დღეს გამოჩნდა და ხვალ შეიძლება გაქრეს. მოქმედება კი გულისხმობს იდეებისა და სურვილების მუდმივ არმიას, რომელმაც იცის, დიდი ძალისხმევის შემდეგ როგორ მოიხვეჭოს საყრდენი წერტილი რეალობაში.

LXII

აი, ჩვენ აქ ვართ, გვარიანად შორსმყოფნი კეთილშობილი ანტიგონესა და უნაყოფო სათნოების მარადიული პრობლემისგან. აშკარაა, რომ ბედისწერა — თუ ამ სიტყვას ჩვეულებრივად ანუ მხოლოდ სიკვდილისაკენ მიმავალი გზის მნიშვნელობით გავიგებთ — სათნოებას არ სწყალობს. ამ უფსკრულთან მისულებს (თითქოს ეს ცენტრალური აუზია, რომელშიც საბოლოოდ იწმინდება ან იმღვრევა აქამდე მოსულ ადამიანთა სული თუ გონება), გვაიძულებენ ამოვირჩიოთ ორში ერთი: ან გავამართლოთ შემთხვევა ან სამუდამოდ შევრისხოთ. მოვალეობისთვის შენირულ ადამიანთა უმრავლესობა შეგვიძლია ანტიგონეს ტიპის მსხვერპლს მივაკუთვნოთ. რომელი ჩვენგანი არ შესწრებია დასჯილი გმირობის არა ერთსა და ორ შემთხვევას თავის სიახლოვეში? ერთხელ სამუდამო სარეცელს მიჯაჭვულმა ერთმა ჩემმა მეგობარმა თითით მიჩვენა ყველა მისახვევ-მოსახვევი, რომლებზეც ბედისწერამ ატარა, ვიდრე ერთ უცხო ქალაქში ჩაიყვანდა და მის მოსაკვდინებლად მომზადებულ მონამლულ წყალს დაალევინებდა. არაფერი იყო ამ ნაამბობში ისე თვალშისაცემი, როგორც ბედისწერის ხელით ადამიანის სიცოცხლის გარშემო აურაცხელი ძაფისგან მოქსოვილი ხლართი. თვით უმცირეს შემთხვევასაც კი თითქოს შეუდარებელი შორსჭვრეტისა და ბორიტგანზრახვის ბეჭედი ესვა. არადა, ჩემი მეგობარი იმიტომ აღმოჩნდა იქ, რომ აღესრულებინა

ერთ-ერთი იმ მოვალეობათაგანი, რომლებსაც მხოლოდ ბრძენი, გმირი ან წმინდანი თუ ხედავს თავისი ცნობიერების ჰორიზონტზე. რა პასუხი უნდა გავცეთ ასეთ შემთხვევას? ამ მომენტს მალე დავუბრუნდებით, ჯერჯერობით კი გავჩუმდეთ. თუ გადარჩებოდა, მეორე დღესვე უნდა გამგზავრებულიყო სხვა ქალაქში, სადაც სხვა მოვალეობა უხმობდა. არც კი უკითხავს საკუთარი თავისთვის — კიდევ უნდა ვუპასუხო თუ არა მოვალეობის ხმობასო. არიან ადამიანები, რომლებიც ასე ემორჩილებიან თავიანთი გულის თითოეულ ჩურჩულ-ბრძანებას. ასეთებს სრულებით არ ადარდებთ ბედის უსამართლობა თუ სათნოების დაუნახაობა, მხოლოდ ადამიანთა უსამართლობა აინტერესებთ და თითქოს თავის თავს ეუბნებიან — სხვები ჯერ არ გვიყურებენო.

ნუთუ ნამდვილად არასოდეს არ უნდა იყოყმანოს ადამიანმა და ისე ბუნებრივად აკეთოს თავისი მოვალეობა, რომ არც კი ფიქრობდეს ამაზე? მოგვეთხოვება თუ არა, რომ ისეთ წერტილამდე ავმაღლდეთ, საიდანაც *მოვალეობა* უკვე ჩვენი უკეთილშობილესი გრძნობების არჩევანად კი აღარ ჩანს, არამეო ჩვენი შინაგანი ბუნების მდუმარე აუცილებლობად?..

LXIII

არიან ისეთებიც, რომლებიც ელოდებიან, შეკითხვებს სვამენ, მსჯელობენ, წონიან და მხოლოდ შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას. ისინიც მართლები არიან. რა მნიშვნელობა აქვს, მოვალეობას ინსტინქტურად ასრულებ თუ შეგნებული გადაწყვეტილების საფუძველზე? ჩვეულებრივ, ინსტინქტით ნაკარნახევი ჟესტები, ბავშვის ჟესტებისა არ იყოს, ოდნავ ბუნდოვანი, გულუბრყვილო, მოულოდნელი სილამაზით ხასიათდება და ეს უფრო მეტად გვხიბლავს. მაგრამ,

შეორეს მხრივ, განა გააზრებული კეთილი ნებიდან მომდინარე ჟესტებს უფრო სერიოზული და მტკიცე მშვენიერების ბეჭედი არ აზის? ბევრ გულს არ ეგოძა გულუბრყვილო მომხიბლაობის ნიჭი, ხოლო იმათში, ვისაც ეგოძა, ტყუილუბრალოდ დავუწყებდით ძებნას ჩვენს მოვალეობათა ყველა წეს-კანონს. მაგრამ გააზრებული კეთილი ნება — თვით მაშინაც კი, როცა არავითარი ილუზია აღარ აქვს — ხედავს უამრავ ნაკლებად მაცდუნებელ მოვალეობას, რომელსაც ვერ ხედავს ინსტინქტი. და ადამიანის ზნეობრივი ღირებულებაც განა იმ მოვალეობათა რიცხვით არ ფასდება, რომლებსაც იგი ამჩნევს და რომელთა აღსრულებაც დაუზარებლად განუზრახავს?

კარგია, რომ უმრავლესობა მეტისმეტი ჩაძიებით არ ახორციელებს თვითგამოკითხვას (საკმაოდ დიდხანს უნდა უსვამდე კითხვებს საკუთარ თავს საიმისოდ, რომ ცნობიერების პასუხები, ბოლოს და ბოლოს, ინსტინქტის პასუხებს დაემსგავსოს); კარგია, რომ უმრავლესობა მოვალეობის სახელით გასაღები მსხვერპლის ინსტინქტს ელოდება. ასეთები ღახუჭული თვალებით მიჰყვებიან სინათლეს, რომელიც მაო წინ მათსავე საუკეთესო წინაპრებს მიაქვთ. მაგრამ საბოლოო იდეალი ამაში არ არის. ის, ვინც თანამოძმისთვის სულ მცირე რამეს იმეტებს და იცის, რას და რატომ იმეტებს, ზნეობრივ იერარქიაში უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე ის, ვინც უკანმოუხედავად თმობს სიცოცხლეს.

LXIV

ქვეყანა სავსეა სუსტი და კეთილშობილი ადამიანებით, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოვალეობის უმაღლესი გამოხატულება *თვითშეწირვაა.* ქვეყანა სავსეა მშვენიერი სულებით, რომლებმაც არ უწყიან,

რა გზას დაადგნენ, მსხვერპლად საკუთარი სიცოცხლის მიტანას აპირებენ და ეს უზენაეს სათნოებად ითვლება.

არადა, უზენაესი სათნოება ეს კი არ არის, არამედ იმის ცოდნა, რა არის რეალურად გასაკეთებელი, და იმის არჩევის უნარი, თუ, სახელდობრ, რას მიუძღვნა შენი სიცოცხლე. მხოლოდ დროებითი ამბავია, რომ თითოეული ჩვენგანის მოვალეობა ის არის, რასაც თვითონ მიიჩნევს თავის მოვალეობად. ნათელი მოვფინოთ თვით *მოვალეობის იდეას:* — აი, ჩვენი უპირველესი მოვალეობა! სიტყვა „მოვალეობა“ ხშირად შეიცავს უფრო მეტ ცდომილებას და ზნეობრივ დაუდევრობას, ვიდრე საკუთრივ სათნოებებს. კლიტემნესტრა თავის ცხოვრებას იმას უძღვნის, რომ შური იძიოს აგამემნონზე, რომელმაც იფიგენია მოკლა. ორესტი კი თავს იმისთვის გადადებს, რომ კლიტემნესტრას მიუზღას სამაგიერო აგამემნონის მოკვლისათვის. არადა, საკმარისი იქნებოდა, მავან ბრძენს ჩაევლო და ეთქვა — მიუტევეთ თქვენს მტრებსო — და შურისძიების ყველა მოვალეობა ერთიანად ამოიშლებოდა ადამიანთა ცნობიერებიდან. ეგებ საკმარისი აღმოჩნდეს, რომ ერთხელ სხვა ბრძენმაც ჩაიაროს, ვინძლო ასევე გაუქმდეს თვითშენირვისკენ მომწოდებელ სხვა მოვალეობათა უმრავლესობაც. მანამდე კი, განდგომილებასთან, რეზინაციასთან და თვითშენირვასთან დაკავშირებული ზოგიერთი იდეა დიდ მანკიერებებზე და თვით ბორტმოქმედებებზე უფრო მეტად შრეტს კაცობრიობის უმშვენიერს სულიერ ძალებს.

LXV

დიახ, რეზინაცია კარგია და აუცილებელი ცხოვრების დიდი და გარდაუვალი მოვლენების წინაშე. მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც

და როდესაც ბრძოლა შეიძლება, რეზინაცია სხვა არაფერია, თუ არა შენიღბული უვიცობა, უძლურება თუ სიზარმაცე. იგივე ითქმის თვითშენირვაზეც, რაც ხშირად მარტოდენ დასუსტებული, ჯერ კიდევ სიცარიელეში მოქანავე ფარხმალდაყრილი მკლავია. კარგია, როცა იცი, როგორ გაიღო მსხვერპლი მარტივად და ამით ადამიანებს ნამდვილი ბედნიერება მიანიჭო. მაგრამ არც ბრძნულია და არც სასარგებლო, რომ ცხოვრება თვითშენირვის ძიებას მიუძღვნა და ამ ძიებაში დაინახო სულის ხორცზე გამარჯვების საუკეთესო გზა. აქვე სასხვათაშორისოდ დავძენ, რომ, როგორც წესი, სულის ხორცზე გამარჯვებას უსასრულოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო ეს ვითომცდა გამარჯვებები, უხშირეს შემთხვევაში, სხვა არაფერია, თუ არა სრული ცხოვრებისეული კრახი. თვითშენირვა შეიძლება იყოს ყვავილი, რომელსაც სათნოება ჩავლისას ნყვეტს, მაგრამ ის ხომ გზას ამისთვის არ გასდგომია! მძიმე შეცდომას ვუშვებთ, თუ სულის მშვენიერებას თვითშენირვისკენ სწრაფვის ხარისხით განვსაზღვრავთ, — სულის ნაყოფიერი სილამაზე მისივე ცნობიერებაში, მის ამაღლებასა და მისი სიცოცხლის ძალმოსილებაშია. მართალია, არსებობენ სულები, რომელთაც სიცოცხლის შეგრძნება მხოლოდ თვითშენირვისას აქვთ, თუმცა ისიც სიმართლეა, რომ იმავე სულებს არ შესწევთ განსხვავებული შინაგანი ცხოვრების მოძიების ძალა. საერთოდ, გაცილებით იოლია თვითშენირვა, ანუ საკუთარი შინაგანობის დატოვება სხვის სასარგებლოდ, ვიდრე ინდივიდუალური სულიერი ბედისწერის აღსრულება და ბოლომდე მიყვანა იმ საქმისა, რომლისთვისაც ბუნებამ შეგვქმნა. მთლიანობაში, გაცილებით იოლია სხვებისთვის თავის დადება მორალურად და თვით ფიზიკურადაც, ვიდრე იმის სწავლა, თუ *როგორ იცხოვრო*

ადამიანებისთვის. უამრავი ვინმე მთელ თავის ინიციატივას, მთელ თავის არსებობას ასე აძინებს ვითომცდა თვითშეწირვისთვის მუდმივი მზადყოფნის იდეაში. ცნობიერება, რომელიც თვითშეწირვის იდეას ვერ გაცდა და რომლის მოთხოვნილებაც იმით ამოიწურება, რომ მუდმივად ეძებოს შესაძლებლობა გასცეს, რაც კი მოეპოვება, ის ცნობიერებაა, რომელსაც თვალები დაუხუჭავს და მთის ძირას ჩაუძინია. თვითგაცემა კარგია და, სხვათა შორის, მხოლოდ თვითგაცემის ძალით თუ ვეუფლებით რაღაცას. მაგრამ ბევრს ვერაფერს აძლევ თანამოძმეებს მათში მხოლოდ თვითგაცემის სურვილის ჩანერგვით. მაშ, ვიდრე გავცემდეთ, მიღება ვცადოთ, და ნუ ვიფიქრებთ, რომ გაცემის დროს მიღება აღარ გვევალება. რაღაც უნდა ვაკეთოთ და ასე ველოდოთ თვითშეწირვის ჟამს. ბოლოს და ბოლოს, ეს ჟამი დაჰკრავს, ოღონდ დროს ნუ დავკარგავთ მისი გამუდმებული ძებნით ცხოვრების ციფერბლატზე.

LXVI

მსხვერპლიც არის და მსხვერპლიც. აქ მე ძლიერთა მსხვერპლზე არ ვლაპარაკობ. ანტიგონესი არ იყოს, ასეთებმა იციან უარის თქმა საკუთარ თავზე იმ მომენტში, როცა ბედისწერა, რომელიც თვალნათლივ იღებს თანამოძმეთა ბედნიერების სახეს, ძლიერ ადამიანებს პირად ბედნიერებაზე და პირად ცხოვრებაზე უარის თქმას უბრძანებს. მე ვლაპარაკობ სუსტთა მსხვერპლშეწირვაზე, — მსხვერპლზე, ბავშვური კმაყოფილებით რომ იკეტება საკუთარ ამაოებაში და იმით კმაყოფილდება, რომ ბრმა ძიძასავით გვარწიოს განდგომილებისა და უსაგნო ტანჯვის მჭლე მკლავებში. მოვუსმინოთ, რას გვეუბნება ამ თემაზე ჩვენი დროის შესანიშნავი მოაზროვნე

ჯონ რასკინი:

„ღმერთის ნებაა ის, რომ ჩვენ ჩვენივე თანამოძმეთა ბედნიერებით და სიცოცხლით ვცხოვრობთ და არა მათი უბედურებითა და სიკვდილით. შესაძლოა, ამა თუ იმ მიზეზით, შვილი მშობლებს უნდა მოუკვდეთ, მაგრამ, განგების ჩანაფიქრით, ბავშვმა მათთვის უნდა იცოცხლოს. არა მსხვერპლად ქცევით, არამედ თავისი ძალით, თავისი სიხარულით, თავისი სიცოცხლის ძალმოსილებით უნდა იქცეს იგი მშობლების სულიერ განახლებად და, ასე ვთქვათ, მძლე ისრად გოლიათის ხელში. იგივე ითქმის ყველა სხვა ჭეშმარიტ ადამიანურ ურთიერთობებზეც. ადამიანები ერთმანეთს თავიანთი სიხარულებით ეხმარებიან და არა ტანჯვა-წამებით. ისინი იმ მიზნით კი არ შექმნილან, რომ ერთმანეთისთვის დაიხოცონ, არამედ იმისთვის, რომ ერთმანეთი განაძლიერონ. და არასწორი გამოყენებით წამხდარ უმშვენიერეს საგანთა შორის, მე მგონი, ერთ-ერთი ყველაზე საბედისწეროა ერთგვარი შეუგნებელი და მეტისმეტად ნაზი თვითშენირვა. მეტისმეტად კარგად დაარნმუნეს ზოგიერთი სული საკუთრივ ტანჯვის სათნოებაში. ასეთები ისე ილებენ ტკივილსა და მწუხარებას, როგორც თავიანთ გარდაუვალ ხვედრს, და არ ესმით, რომ მათი მარცხი ნაკლებად სავალალო არ არის, რადგან ეს კიდევ უფრო ფატალურია მათი მტრებისთვის, ვიდრე თვით მათთვის.“

LXVII

გვეუბნებიან: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. მაგრამ თუკი თქვენ თქვენი თავი შეზღუდულად, ბავშვურად და შიშნეულად გიყვართ, მაშინ მოყვასიც ასე გეყვარებათ. მაშ, ისნავლეთ, როგორ გიყვარდეთ საკუთარი თავი ფართოდ, ჯან-

საღად, ბრძნულად და დასრულებულად. ეს უფრო ძნელი განსახორციელებელია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს. ძლიერი და გამჭრიახი სულის ეგოიზმი უფრო ქმედითად მონყალეა, ვიდრე ბრმა და უღონო სულის ერთგულება. ვიდრე სხვებისთვის დაიწყებდეთ არსებობას, ჯერ თქვენთვის უნდა არსებობდეთ; ვიდრე თავს გასცემდეთ, ჯერ მოიპოვეთ ეს თავი. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი ცნობიერების ერთი ნანილაკის მოპოვება, საბოლოო ჯამში, ათასგზის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი თქვენი არაცნობიერის გაცემა.

ამქვეყნად ყველა სიდიადე თითქმის მხოლოდ იმ ადამიანებმა შექმნეს, რომლებსაც თავის შენირვა აზრადაც არ მოსვლიათ. პლატონს აზროვნებაზე უარი არ უთქვამს იმ მიზეზით, რომ თავისი ცრემლები იმათ ცრემლებში შეერია, ვინც მაშინდელ ათენში იტანჯებოდა; ნიუტონს თავისი განაზრებანი არ მიუტოვებია, ეგების სადმე გულმოწყალების ან სევდის საგანი ვიპოვოო; განსაკუთრებით კი მარკუს ავრელიუსს (რადგან აქ საქმე გვაქვს ყველაზე ხშირ და ყველაზე სახიფათო ზნეობრივ მსხვერპლთან), — მარკუს ავრელიუსს არ ჩაუქრია თავისი სულის სინათლე, აქაოდა უფრო მეტად გაებედნიერებინა ნაცზე დაბლამდგომი ფაუსტინას სული. ის, რაც სამართლიანია პლატონის, ნიუტონის თუ მარკუს ავრელიუსის არსებობაში, ასევე სამართლიანია ყველა სულის ყოფიერებაში, რადგან თითოეულს თავის სფეროში იგივე მოვალეობები აქვს თავისი თავის მიმართ, რაც უდიდეს ადამიანთა სულებს. კიდევ ერთხელ ვთქვათ დარწმუნებით, რომ ჩვენი სულის ძირითადი მოვალეობაა იყოს შეძლებისამებრ სრულქმნილი, ბედნიერი, დამოუკიდებელი და დიადი. ეგოიზმი ან ქედმაღლობა აქ არაფერ შუაშია. ჩვენ ვერ გავხდებით ქმედითად დიდსულოვანნი და ჭეშმარიტად მოკრძა-

ლებულნი, თუკი თავს ნათლად, დარწმუნებულად და მშვიდად არ ვიგრძნობთ. ამ მიზანს თვით მსხვერპლის გაღების ვნებაც კი შეიძლება შევწიროთ, რადგან ეს უკანასკნელი არათუ გაკეთილშობილების საშუალება, თვით მისი ნიშანიც კი არ უნდა იყოს.

LXVIII

დე, ვიცოდეთ, როცა ეს საჭიროა, როგორ შევთავაზოთ მწუხარებაში მყოფ თანამოძმეებს ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი დრო, ჩვენი ცხოვრება. ეს გულისხმობს რამდენიმე საგანგებო საათის საგანგებო მიძღვნას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრძენმა იმისთვის უგულებელყოს საკუთარი ბედნიერება და ყოველივე გარემომცველი, ვინძლო მეტ-ნაკლები შემართებით შეეჭიდოს ამ ერთ თუ ორ საგანგებო საათს. ზნეობრივ ჭრილში, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მივხედოთ ჩვენს ყოველდღიურ მოვალობებს, იმ ძმურ-მეგობრულ ქმედებებს, ბოლო რომ არ უჩანს. ამ თვალსაზრისით, ცხოვრების ჩვეულებრივ სვლაში, ერთადერთი რამ, რაც სულ ახლიდან და ახლიდან შეგვიძლია გავუნაწილოთ ბედნიერ თუ უბედურ სულებს, ჩვენს პარალელურად რომ მოაბიჯებენ იმავე გზებზე, ესაა ჩვენივე სულის ძალა, რწმენა, მშვიდი თვითმყოფადობა. ამიტომაც ხდება, რომ კაცთაგან ყველაზე თავმდაბლები საკუთარ სულს უნდა გაუფრთხილდნენ, უნდა გაზარდონ იგი, თითქოს ერთ დღესაც ამ სულს ღმერთის სანუგეშებლად ან გასართობად მოუხმობენო. როდესაც ლაპარაკია სულის შემზადებაზე, მაშინ ის მუდამ ღვთაებრივი მისიისთვის უნდა მზადდებოდეს. მხოლოდ ამ სფეროში და ამ პირობით თუ ამზადებს ადამიანი ჭეშმარიტ ძღვენს, რათა აღასრულოს მართლაცდა უზენაესი თვითშენირვა. და როცა ამის დრო დაჰკრავს, ნუთუ ფიქრობთ, რომ

ის, რასაც სოკრატე ან მარკუს ავრელიუსი გასცემს, — რომელთაგან თითოეულმა ათასი ცხოვრება იცხოვრა, რაკი არაერთხელ დალაშქრა მეცნიერების დარგები, — ნუთუ ფიქრობთ, რომ ეს ათასგზის არ აღემატება იმ ყველაფერს, რისი გაცემაც შეუძლია იმას, ვისაც ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს საკუთარ ცნობიერებაში? ნუთუ მიგაჩნიათ, რომ თუ ღმერთი არსებობს, იგი ჩვენ მიერ გაღებულ მსხვერპლს ჩვენივე ფიზიკური სისხლით წონის, ხოლო სულის სისხლს კი, ანუ ჩვენს სათნოებას, ჩვენს თვითგანცდას, მთელ ჩვენს შინაგან ცხოვრებას და წლების მანძილზე დაგროვილ ჩვენს ძალმოსილებას აინუნშიც არ აგდებს?

LXIX

სული თვითშეწირვით არ დიადდება. ზრდასთან ერთად, მას მზერიდან ისევე ეკარგება ეს იმპულსი, როგორც მთაზე ასულ მოგზაურის თვალს — ხეობაში დარჩენილი ყვავილები. თვითშეწირვის ვნება შინაგანი მოუსვენრობის კარგი ნიშანია, მაგრამ საჭირო არ არის მოუსვენრობის შენარჩუნება თვით მისივე სახელით. გამოღვიძებული სულებისთვის ყველაფერი მსხვერპლშეწირვაა. ცოტა რამესღა ჰქვია მსხვერპლის სახელი იმ სულისთვის, ვინც ისეთი ცხოვრება იპოვა, რომლისთვისაც თავდადება, შებრალება და თვითგანდგომა აუცილებელი ფესვები კი აღარ არის, — უხილავი ყვავილებია. სინამდვილეში, უამრავი ადამიანი განიცდის საჭიროებას, რომ თუნდაც უმიზეზოდ დაანგრიოს თავისი კუთვნილი ბედნიერება, სიყვარული, იმედი, ვინძლო თავისი თავი საზვარაკე ცეცხლის ენებში გახვეული იხილოს. ასეთებს, გეგონებათ, ხელში ისეთი ლამპა უჭირავთ, რომლის გამოყენება არ იციან და რომლის

საწვავს, როცა ღამდება და სინათლე ეხარბებათ, სხვათა ცეცხლზე ასხამენ.

ისე ნუ მოვიქცევით, როგორც შუქურის მცველი (ლეგენდის პერსონაჟი), რომელიც ოკეანის გასანათებელი დიდი ფარნებისთვის განკუთვნილ საწვავს მეზობლად მდგარი ქოხმახების ღარიბ ბინადრებს ურიგებდა. საკუთარ წიაღში ყოველი სული მეტ-ნაკლებად აუცილებელი შუქურის მცველია. ყველაზე უპრეტენზიო, პატარ-პატარა დედობრივ მოვალეობებში დანთქმული ქალი თავის საწვავს ღარიბებს ურიგებს, მისი შვილები კი მთელი ცხოვრება წვალობენ იმის გამო, რომ მათი დედის სული ისეთი განათებული არ არის, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენს გულში მანათობელმა არამატერიალურმა ძალამ ჯერ საკუთარი თავისთვის უნდა ანათოს. მხოლოდ ამ ფასად თუ გაანათებს სხვებისთვის. ნუ გასცემთ თქვენი პატარა ლამპის მკვებავ ზეთს, გაეცით მხოლოდ ზემოთ მოქცეული ალი.

LXX

უეჭველია, ალტრუიზმი იყო და რჩება კეთილშობილი სულების შინაგანი სიმძიმის ცენტრად. სუსტი სულები სხვებში იკარგებიან, ძლიერები კი სხვებში თავიანთ თავს პოულობენ. აი, კარდინალური სხვაობა. ჯობს, საკუთარი თავი გიყვარდეს მოყვასში, ვიდრე საკუთარი თავივით გიყვარდეს იგი. არის სიკეთე, რომელიც ზოგიერთ ადამიანს წინ უძღვის, არის ისეთიც, კაცს უკან რომ მოჰყვება. არის სიკეთე, რომელიც გვფიტავს, არის, რომელიც გვკვებავს. ნუ დავივიწყებთ: სულთა ურთიერთობაში მუდამ ისინი არ არიან დიდსულოვნები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გასცემენ. ძლიერი სული განუწყვეტლივ იღებს (თვით უღარიბესი სულებიდანაც), სუსტი სული კი

ყოველთვის გასცემს (თვით უმდიდრესი სულებისთვისაც). მაგრამ არსებობს ისეთი გაცემაც, რომელიც მხოლოდ ნირწამხდარი გაუმაძღრობიდან მოდის. თვით ღმერთს რომ აეწონა, შეიძლებოდა დაგვენახა, როგორ გავცემთ აღებისას და როგორ ვართმევთ გაცემისას. ხშირად ხდება, რომ ერთ-ერთი ყოვლად უფერული სული ზრდას მხოლოდ იმ დღიდან იწყებს, როდესაც მის გამომფიტავ მეორე სულს ხვდება.

LXXI

რატომ არ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი უპირველესი მოვალეობა ნამდვილად არ არის ყველა მოტირალთან ერთად ტირილი, ყველა ტანჯულთან ერთად ტანჯვა ან გულის შეთავაზება გვერდით ჩავლილისთვის, რომელიც ამ გულს ან ჩაწიხლავს ან მოეფერება? ცრემლები, ურვა, ჭრილობები ჩვენ ვერც ნაგვადგება, თუმცა ვერც მხნეობას ნაგვართმევს. დე, ნურასოდეს ნუ დავივიწყებთ: როგორიც უნდა იყოს ჩვენი მისია ამ მინაზე, ჩვენი ძალისხმევისა და იმედების საბოლოო მიზანი, ჩვენი სევდა-ნაღველის და სიხარულების შედეგი, — უწინარეს ყოვლისა, ჩვენ მაინც სიცოცხლის ბრმა მატარებლები ვართ. აი, რას ვფლობთ სრული გარკვეულობით, რა არის ადამიანური მორალის ერთადერთი მყარი წერტილი. ჩვენ სიცოცხლე მოგვეცა, არც კი ვიცით — რა მიზნით, მაგრამ აშკარაა, რომ არა მის შესასუსტებლად ან დასაკარგად. ყველაფერთან ერთად, ამ პლანეტაზე ჩვენ სიცოცხლის სრულებით სპეციფიკურ სახეს წარმოვადგენთ: ესაა აზრის, გრძნობების სიცოცხლე. ამიტომაც არის, რომ ყველაფერი, რაც აზრთა და გრძნობათა მგზნებარებას ამცირებს, ამორალური ჩანს. მაშ, ვეცადოთ, რომ ეს სულისკვეთება მოძრაობაში მოვიყვანოთ, გავამშვენიეროთ, გავა-

ფართოვოთ. უპირველეს ყოვლისა, გავზარდოთ ჩვენი რწმენა ადამიანის სიდიადეში, ძალმოსილებასა და ბედისწერაში. მართალია, არანაკლებ შემეძლო მეთქვა საპირისპიროც: მის სიპატარავეში, სისუსტეში და უბედურებაში. დიდ უბედურებაში ყოფნის იდეა ისევე იტაცებს გონს, როგორც დიდ ბედნიერებაში ყოფნისა. ყოველივეს შემდეგ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანი გვეჩვენება საკვირველად თუ სამყარო, მთავარი ისაა, რომ აღტაცების მიზეზი გვქონდეს და ხოტბა შეევასხათ უსასრულოს ჩვენეულ ცნობიერებას. ჩვენ მიერ აღმოჩენილი ერთი ვარსკვლავი არაერთ სხივს უმატებს ადამიანის აზრებს, მისწრაფებებს, გაბედულებას. გარესამყაროს მთელი მშვენიერება უკვე ჩვენს გულში ზის, ხოლო რაც ჩვენში დიადი და სათაყვანოა, იმას სხვებშიც ვპოულობთ. თუ ამ დილით გაღვიძებული ჩემი სული თავის მოსიყვარულე ფიქრებში პოულობს იდეას, რომელიც მას ოდნავ უფრო აახლოვებს ღმერთთან, ანუ, როგორც ზემოთ ვთქვით, მის სურვილთაგან უმშვენიერესთან, მაშინ იგივე იდეას მე იმ საბრალოშიც ვხედავ, რომელიც ერთი წუთის შემდეგ ჩემს ფანჯრებქვეშ ჩაივლის და რომელიც მე უფრო მეტად მიყვარს, რათა უკეთ შევიცნო.

ნუ ვიფიქრებთ, რომ ასეთი სიყვარული უსარგებლოა. მხოლოდ ნელ-ნელა გაღრმავებული სიყვარულის წყალობით დაინახავს ადამიანი ერთ მშვენიერ დღეს, თუ რა უნდა მოიმოქმედოს. ჭეშმარიტი ზნეობა გაცნობიერებული და უსასრულო სიყვარულიდან უნდა იშვას. გაკეთილშობილება დიდად სამადლო საქმეა, მაგრამ მე თქვენ ვერ გაგაკეთილშობილებთ, თუ მანამდე თვითონ არ გამივლია ეს გზა; ვერც თქვენით აღვფრთოვანდები, თუ ჯერ ჩემში არ ვიპოვე აღფრთოვანების საგანი. თუ მე კეთილშობილ საქციელს ჩავიდენ, ამის საუკეთესო ანაზღაუ-

რება ის უფროდაუფრო ბუნებრივი, უფროდაუფრო უდავო უეჭველობა იქნება, რომ თქვენც შეძლოთ იგივე ნაბიჯის გადადგმა. ყოველი აზრი, რომელიც ჩემს გულს ზრდის, იმავდროულად ზრდის ჩემში სიყვარულს და პატივისცემას ადამიანის მიმართ. მაგრამ თუ თქვენს შესაყვარებლად — რაკი თქვენი სიყვარული ჯერ კიდევ უფრთოა — მე ფრთები უნდა ნავაჭრა ჩემსას, ამას მოჰყვება ორგზის უფრო მეტი უსარგებლო ცრემლი და ჩივილი ხეობის სიღრმეში, სიყვარული კი მწვერვალისკენ ერთ ნაბიჯსაც ვეღარ გადადგამს. გვიყვარდეს მუდამ იმ უმაღლესი წერტილიდან, რომლის მიღწევაც შევძელით. ნუღარ გვეყვარება სიბრალულით, თუკი სიყვარულით შეგვიძლია გვიყვარდეს; ნუ ვაპატიებთ სიკეთით, თუკი შეგვიძლია ვაპატიოთ სამართლიანობით; ნუ ვისწავლით ნუგეშისცემას, თუკი შეგვიძლია პატივისცემა ვისწავლოთ. ო, დაუღალავად გავაუმჯობესოთ ადამიანებისაკენ მიმართული ჩვენი სიყვარულის ხარისხი! მწვერვალებზე აღებული ამ სიყვარულის ერთი ფიალა ბანალური ქველმოქმედების ცისტერნებიდან ამოღებულ ას ფიალას უდრის. რა ბედენაა, თუ ის ადამიანი, რომელიც თქვენ აღარ გიყვართ შემბრალე სიყვარულით ან მხოლოდ იმიტომ, რომ ცრემლებს ღვრის, ვერასოდეს მიხვდება, რომ ამჯერად სნორედ მისი და თქვენივე თავის გაკეთილშობილების მიზეზით გიყვართ! თქვენ მოიმოქმედეთ ის, რაც საუკეთესოდ მიგაჩნდათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს საუკეთესოც შეიძლებოდა ჯერჯერობით არაფერში გამომდგარიყო. განა ამ ცხოვრებაში ყოველთვის ისე არ უნდა ვიქცეოდეთ, თითქოს ჩვენი გულის უზენაესი სურვილის მოწადინე ღმერთი თვალმოუშორებლად გვჭვრეტს?

LXXII

მაგრამ დავუბრუნდეთ დიდ არათანმიმდევრულ კანონებს. ბევრი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ერთ თავზარდამცემ კატასტროფაში[22] ბედისწერამ კიდევ ერთხელ და მანამდე არნახული სიცხადით გამოამჟღავნა ის, რასაც ადამიანები ბედის უსამართლობად, დაბრმავებად თუ თავკერძობად მოიხსენიებენ. ამ შემთხვევაში ბედისწერა თითქოს იმისთვის გამოჩნდა, რომ არაორაზროვნად დაესაჯა გარეგან სათნოებათაგან ერთადერთი, რომელიც გონებამ შემოგვინახა, ანუ მოყვასის სიყვარული. მოსალოდნელია, რომ ტერიტორიაზე, სადაც იმ დღეს ბედისწერა დაეშვა, რამდენიმე ნაწილობრივ უმწიკვლო პიროვნებაც იმყოფებოდა. ისიც უეჭველი ჩანს, რომ იქ, სულ ცოტა, ერთი ჭეშმარიტად გულმართალი და ყოვლად უანგარო ადამიანიც იყო. სნორედ ამ კაცის მუნყოფნა, რაც თითქმის დამტკიცებულია, მთელი თავისი მართებულებით ბადებს საზარელ კითხვას, რომელიც არ შეგვიძლია არ დავსვათ. რომ არა ეს ადამიანი, შეგვეძლო გვეფიქრა: არ ვიცით, რომელმა აღმატებულმა სამართლიანობამ შვა ესოდენ გაუგონარი უსამართლობაო. შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ის, რასაც იქ „ქველმოქმედებად“ ნათლავდნენ, სინამდვილეში შეიძლებოდა მხოლოდ გამუდმებული უსამართლობის ერთობ თავხედური ყვავილი ყოფილიყო. ადამიანი ვერაფრით ვერ იჯერებს, რომ ყოველივე გარეგანში სხვა არაფერია მხედველობაში მისაღები და დასაპირისპირებელი, ბრმა მოვლენების და ძალების — წყლის, ცეცხლის, ჰაერის, მიზიდულობისა და ზოგიერთი სხვა კანონის — გარდა. ჩვენ განვიცდით საჭიროებას მივუტევოთ შემთხვევას. და როცა მას ფორმალურად ვადანაშაულებთ, განა ამასაც ისე არ ვშვრებით, თითქოს წარსულში ან მო-

მავალში მაინც ვპატიობდეთ იმ მძიმე გაკვირვებით, რომელსაც ვგრძნობთ ხოლმე კეთილი კაცის მიერ ჩადენილი სულმდაბალი და მანკიერი ქმედების შეტყობისას? გვიყვარს თვით ჩვენზე უფრო სამართლიანი იდეალური შემთხვევითობის წარმოდგენა. და როცა ის უპატიებელ უსამართლობას სჩადის, გაოგნებიდან გამოსვლის შემდეგ გულის სიღრმეში მაინც ნდობას ვუცხადებთ და თან ვფიქრობთ, რომ ჩვენ არ ვიცით ყველაფერი, რაც მან იცის, და რომ იგი ჩვენთვის შეუცნობელ კანონებს ემორჩილება. ქვეყანა ხომ მეტისმეტად ბნელად წარმოგვიდგებოდა, თუ შემთხვევითობა თავისი არსით უზნეო აღმოჩნდებოდა. როგორიც უნდა ყოფილიყო ჩვენი საკუთარი ზნეობა თუ სამართლიანობა, ეს ამბავი ყოველგვარი ზნეობის და სამართლიანობის უარყოფად მოგვეჩვენებოდა. ჩვენ უკუვაგდებთ პოზიტიური რელიგიების მიერ შემოთავაზებულ დასჯა-დასაჩუქრების შეზღუდულ და მდაბიურ მორალს. ეგაა, ერთი რამ გვავიწყდება: შემთხვევითობა სამართლიანობის ელემენტარული გრძნობით რომ იყოს დაჯილდოებული, მაშინ ჩვენი ნაოცნებარი მაღალი და უანგარო ზნეობა ველარასდროს განხორციელდებოდა. თუ დარწმუნებული არ ვართ, რომ შემთხვევას, თავისთავად, არანაირი სამართლიანობა არ ახასიათებს, მაშინ სრულებით არ ვიმსახურებთ, რომ სამართლიანები ვიყოთ. ჩვენ უარვყოფთ წმინდანთა იდეალს და გვჯერა, რომ ამა თუ იმ მოვალეობის შესრულებას რაიმე ჯილდოს იმედით (თუ არ ჩავთვლით საკუთრივ მოვალეობის შესრულებით მოგვრილ კმაყოფილებას) ყოვლადბრძენი ღმერთის თვალში დაახლოებით იგივე ღირებულება უნდა ჰქონდეს, რაც ბოროტების კეთებას გამორჩენის მიზნით. ნებაყოფლობით ჩავაგონებთ ჩვენს თავს, რომ თუ ღმერთი ისეთივე მაღალია, როგორც მისივე მიერ ადამიანთა მოდგმის საუკეთესო

წარმომადგენელთა გულებში ჩადებული იდეა, მაშინ მან უნდა უკუაგდოს ყველა, ვისაც კი მისი გულის მოგება სურს, ანუ ვინც ისე არ იქმს სიკეთეს, თითქოს უფალი საერთოდ არ არსებობდეს, და ვისაც სათნოება თვით ღმერთზე უფრო მეტად არ უყვარს. მაგრამ, რეალობაში, თვით ყველაზე უმნიშვნელო მოვლენის წინაშეც კი ვამჩნევთ, რომ ბავშვობის დროინდელ „პრაქტიკული ზნეობის" ტრაქტატებს ვერ გავცდენივართ, ტრაქტატებს, რომლებშიც ყველა დანაშაული სამაგალითოდ არის დასჯილი. არადა, პირიქით, „დასჯილ სათნოებათა კრებულები" უფრო დაგვჭირდებოდა: ისინი უფრო მეტად წაადგებოდა ჭეშმარიტ სულებს და სიკეთის ძალაენერგიასაც უკეთ განავრცობდა. არ დაგვავიწყდეს, რომ საკუთრივ შემთხვევითობის ამორალური ბუნებიდან უნდა დაიბადოს უფრო მშვენიერი მორალი. აქაც, ისევე როგორც ყველგან, რამდენადაც უფრო მიტოვებულად გრძნობს ადამიანი თავს, მით მეტად პოულობს თავის შინაგან ძალას. შემთხვევის მიერ ჩადენილ დიდ უსამართლობებში ყველაზე მეტად გვანუხებს მაღალზნეობრივი კანონის უარყოფა. მაგრამ ამ უარყოფიდან დაუყოვნებლივ იბადება აღმატებული ზნეობრივი კანონი. სასჯელისა და ჯილდოს პრიციპის უკუგდებასთან ერთად იშვება სიკეთის სიკეთისთვისვე ქმნის აუცილებლობა. დე, ნურასოდეს შეგვაწუხებს ზნეობრივი კანონის მოჩვენებითი გაქრობა. ყოველთვის დარჩება თადარიგში კიდევ უფრო დიდი კანონი. ყველაფერი, რასაც ბედისწერის ზნეობრიობას ვამატებთ, ჩვენი უწმინდესი ზნეობრივი იდეალიდან მოგვაქვს. რაც უფრო მეტად ვრწმუნდებით ბედისწერის უსამართლობაში, მით უფრო ვწმენდთ და ვაფართოებთ ჩვენს წინ გადაშლილ უკეთესი ზნეობის ველ-მინდვრებს. ნუ წარმოვიდგენთ, რომ სათნოებას საძირკველი გამოეცლება,

რაკი ღმერთი უსამართლო გვგონია. სნორედ თავისი ღმერთის აშკარა უსამართლობაში იპოვის ადამიანური სათნოება ურყევ საძირკველს.

LXXIII

შევეგუოთ ბუნების გულგრილობას ბრძენი ადამიანის მიმართ. ეს განურჩევლობა მხოლოდ იმიტომ გვეუცხოვება, რომ არასაკმარისად ბრძენნი ვართ. სიბრძნის ერთ-ერთი მოვალეობა ხომ ის არის, რომ საკმარისად ზუსტი და საკმარისად მოკრძალებული წარმოდგენა შეიქმნას იმ ადგილის შესახებ, რომელიც ადამიანს უჭირავს სამყაროში.

ადამიანი ისეთივე დიდი ჩანს თავის სფეროში, როგორც ფუტკარი — ფიჭის უჯრედზე. მაგრამ აბსურდი იქნებოდა წარმოგვედგინა, რომ სკაში დედა ფუტკრის გმირული შრომის გამო კიდევ ერთი ყვავილი გაიშლება ველებზე. ნუ დავიპატარავებთ თავს სამყაროს გაზრდის ხარჯზე. საკუთარი თავი გვეჩვენება დიადი თუ დანარჩენი სამყარო, ჩვენს სულში უწინდებურად იტრიალებს უსასრულობის განცდა — ყოველგვარი სათნოების სისხლი სისხლთაგანი.

რას წარმოადგენს სათნოების აქტი ისეთს, რომ საგანგებო დაჯილდოებას ველოდოთ? ეს ჯილდოები ჩვენშივე უნდა ვიპოვოთ და არა მიზიდულობის კანონებში. სიკეთისთვის გასამრჯელოს ითხოვენ მხოლოდ ისინი, ვინც სიკეთის რაობა არ იცის. უწინარეს ყოვლისა კი, ნუ დაგვავიწყდება, რომ სათნოების აქტი ყოველთვის ბედნიერების აქტია. ის სხვა არაფერია, თუ არა ხანგრძლივი ბედნიერ-კმაყოფილი შინაგანი ცხოვრების ყვავილი, და მუდამ გულისხმობს ჩვენი სულის ყველაზე მშვიდობიან მთებზე გატარებულ გრძელ საათებსა და დღეებს. ვერანაირი

სიკვდილისშემდგომი ანაზღაურება ვერ შეცვლიდა სიცოცხლეშივე მიღებულ მშვიდ ჯილდოს. ზემოხსენებულ კატასტროფაში დაღუპული გულმართალი კაციც (რომელზეც მე კიდევ ვისაუბრებ) მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა იქ, რომ მისმა სულმა სიკეთეში ისეთი სიცხადე და მშვიდობა ჰპოვა, როგორსაც ვერავითარი ბედნიერება, დიდება და სიყვარული ვერ მისცემდა. თუ ზოგჯერ ასეთ ადამიანთა წინაშე ცეცხლის ფარდა იხსნებოდა, წყლები უკუიქცეოდნენ, სიკვდილი ყოყმანობდა, მაშ, ამიერიდან რა ელით გმირებს და გულმართლებს? სად იქნება ბედნიერება იმ სათნოებისა, რომელიც მხოლოდ იმიტომ არის სავსებით ბედნიერი, რომ კეთილშობილი და ანკარაა, და რომელიც იმიტომ არის კეთილშობილი და ანკარა, რომ არანაირ ანაზღაურებას არ ელის? არსებობს სიხარული, რომელსაც ადამიანი განიცდის სიკეთის კეთებისას გარკვეული მიზნით; არსებობს ღვთიური სიხარული სიკეთის ქმნისა ყოველგვარი მოლოდინის გარეშე. როგორც წესი, ადამიანებმა ვიცით, რატომ ჩავდივართ ბოროტებას. ნაკლებად გვესმის, რისთვის ვიქმთ სიკეთეს, — მით უფრო ნაკლებად, რაც უფრო წმინდაა ეს სიკეთე. იმის გასაგებად, თუ რა ღირებულება აქვს გულმართალს, ვკითხოთ, რატომ არის ასეთი. სავარაუდოა, რომ ვისაც ყველაზე ნაკლები სათქმელი ექნება, ყველაზე გულმართალიც ის აღმოჩნდეს. შესაძლოა, რაც უფრო მეტად იზრდება აზროვნება, მით თითქოს უფრო მცირდება გმირობის ჩასადენი მიზეზები, თუმცა, იმავდროულად, აზროვნება ხედავს, რომ სხვა იდეალი არ მოეპოვება, უფროდაუფრო ფარული და უანგარო გმირობის გარდა.

ასეა თუ ისე, ის, ვისაც სურს სათნოება იმით გაზარდოს, რომ ამ უკანასკნელს კვერი დაუკრას ბედისწერამაც და ქვეყნიერებამაც, ჯერ სათნოების არსს

ვერ ჩანვდენია. მხოლოდ მაშინ ვმოქმედებთ უდავოდ რიგიანად, როდესაც მხოლოდ ჩვენთვის და ყოველ-გვარი მოლოდინის გარეშე ვმოქმედებთ (გარდა იმისა, რომ უკეთ და უკეთ გავიგოთ, რას წარმოადგენს სიკეთე, „რომლის ერთადერთი მოწმე — ჩვენივე გულია", როგორც ამბობს სენ-ჟუსტი). ღვთის თვალში, შესამჩნევი განსხვავებაა ორგვარ სულს შორის: იმას, ვინც დარწმუნებულია, რომ სათნო ქმედებიდან გამოსული სხივები უსაზღვროებამდე ივრცობა, და იმას, რომლის აზრით ეს სხივები, როგორც ჩანს, იმისთვის არ შექმნილა, რომ საკუთარი გულის კიდეებს გაცდეს. ერთობ პატივმოყვრულმა — თუ არა საეჭვო — ჭეშმარიტებამ რაღაც მომენტში შეიძლება უფრო ძლიერი ტალღა ააგოროს. მაგრამ უფრო მოკრძალებული და უფრო ადამიანური სიმართლე, საბოლოოდ, უფრო დამთმენ და დარბაისლურ ძალას იძლევა. რომელია უმჯობესი: იმ ჯარისკაცად ყოფნა, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი თითოეული დარტყმა მომავალ გამარჯვებას განაპირობებს, თუ იმად, რომელმაც მხოლოდ ის იცის, რომ ხელჩართულ ბრძოლაშია და მაინც იგივე შეუპოვრობით იბრძვის? კეთილი კაცი მოყვასს არასოდეს მოატყუებს, თუმცა საკმაოდ მიდრეკილია იმ აზრისკენ, რომ ცოტაოდენი თავის მოტყუება იდეალური აქტია.

მაგრამ დავუბრუნდეთ მართალი კაცის გულგატეხილობას. ვფიქრობ, სათნოება სარგებლის მომტანი რომ ყოფილიყო, ჩვენ შორის საუკეთესონი სხვა ბედნიერებას დაუწყებდნენ ძებნას, და ღმერთიც — თუ ასეთებს ხშირად დაასაჩუქრებდა — ამით სიცოცხლის დიდ მიზანს წაართმევდა. როგორც ჩანს, არაფერია აუცილებელი, არაფერია გარდაუვალი, და თუ სულს აღარ ექნება სიხარული სიკეთის კეთებისა თვით სიკეთისთვის, მაშინ სხვა, კიდევ უფრო წმინდა

სიხარულს იპოვის. მაგრამ ჯერჯერობით ეს მისი უმშვენიერესი სამკაულია და უმიზეზოდ ნუ შევეხებით. ნურც სათნოების ტრაგედიებს შევეხებით იმის რიდით, რომ, იმავდროულად, შეიძლება მისეული ბედნიერების უნათლეს არსს შევეხოთ. სულებს, რომლებიც ამ ბედნიერებას რეალურად აგემოვნებენ, ისევე განაცვიფრებდათ, მათი დაჯილდოება რომ გვეფიქრა, როგორც სხვა სულებს განაცვიფრებდათ, უბედურების დასჯა რომ განგვეზრახა. მხოლოდ ისინი ჩივიან დღემუდამ, ვინც თვითონ არ ცხოვრობს სამართლიანად.

LXXIV

ინდური სიბრძნე სიმართლეს ღაღადებს: „იმუშავე, როგორც მუშაობენ პატივმოყვარენი; პატივი ეცი ცხოვრებას, როგორც პატივს სცემენ ისინი, ვისაც ცხოვრება სურთ; იყავ ბედნიერი, როგორც ისინი, ვინც სიცოცხლის ბედნიერებისთვის ცხოვრობს“.

და ეს არის ადამიანური სიბრძნის ცენტრალური მომენტიც: იმოქმედო ისე, თითქოს ყოველი ქმედება თავის თავში არაჩვეულებრივ და მარადიულ ნაყოფს ატარებდეს, თუმცა ისიც იცოდე, რომ სამყაროს ნინაშე სამართლიანი ქმედება ბევრი არაფერია; გქონდეს დისპროპორციის განცდა და, მიუხედავად ამისა, მაინც ისე იარო, თითქოს პროპორციები ადამიანურ ფარგლებს არ სცილდებოდეს; არ დაკარგო მხედველობიდან დიადი სფერო, თუმცა კი იმოძრაო პატარაში ისეთი ნდობით, სერიოზულობით, თვითრწმენითა და სიამოვნებით, თითქოს ეს პატარა იმ დიდსაც მოიცავდეს.

გვჭირდება თუ არა ილუზიები სიკეთის ჩვენეული სურვილის შესანარჩუნებლად? რომ გვჭირდებოდეს, მაშინ ისიც უნდა გვეღიარებინა, რომ ეს

სურვილი თანხმობაში ვერ მოდის ადამიანურ ბუნებასთან. კეთილგონივრული არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ გულს ხანგრძლივად სჯერა ისეთი საგნების, რომლებისაც გონებას აღარ სწამს. აი, გონებას კი შეუძლია გულში არსებული საგნებისა სჯეროდეს. ბოლოს და ბოლოს, გონება იქითკენ მიდის, რომ ყოველთვის, როცა მის საუფლოში ღამე ეშვება, უფროდაუფრო მარტივად პოულობს თავშესაფარს გულში. ეს იმიტომ, რომ გულთან მიმართებაში გონება გამჭრიახი, თუმცა სრულებით ნორჩი ქალიშვილია, რომელსაც ხშირად სჭირდება თავისი ბრმა და მომღიმარი დედის რჩევები. დგება მომენტი, როცა სულიერი მშვენიერება ინტელექტუალურზე უფრო აუცილებელი ხდება; როცა გონების ყველა მონაპოვარი სულის სიდიადეში უნდა ჩაიღვაროს, რათა უმწეოდ არ დაიშრიტოს ველზე იმ მდინარესავით, რომელმაც ზღვამდე ვერ მიაღწია.

LXXV

ოღონდ ნურაფერს გავაზვიადებთ სიბრძნესთან დაკავშირებით, თუნდ თავად სიბრძნეს. თუ გარეგანი ძალები ყოველთვის არ ჩერდებიან კეთილი კაცის ზღურბლთან და შიგნითაც იჭრებიან, მაშინ შინაგან ძალთა უმრავლესობა მაინც მას ექვემდებარება. ადამიანთა თითქმის ყველა ბედნიერება და უბედურება შინაგანი ძალებიდან მოდის. ზემოთ ჩვენ ვთქვით: სადაც ბრძენი ჩაივლის, იქ მრავალი ტრაგედია აღარ ხდებაო. თვით თავისი უბრალო მუნყოფნითაც კი იგი უმეტესწილად აუქმებს ცდომილებიდან თუ ბოროტებიდან შობილ ტრაგედიებს. აუქმებს საკუთარ თავშიც და თავის ირგვლივაც. ადამიანები, რომლებიც უამრავ სისულელეს ან ბოროტებას ჩაიდენდნენ, ამას აღარ შვრებიან, რადგან მარტივი და

ცოცხალი სიბრძნით აღსავსე პიროვნებას გადაეყარნენ. დედამიწის მკვიდრთა უმრავლესობა წვრილმანი ბუნებისაა და, შემთხვევისდა მიხედვით, ან მტანჯველ ნაკადში უნდა მოხვდეს ან მშვიდობიანში. ვთქვათ, ჟან ჟაკ რუსოს გარშემო ყველაფერი ოხრავს და მზაკვრობს, ყველგან ხრიკი და ქვენა აზრია. ჟან-პოლის ირგვლივ კი ყველაფერი ლოიალურია, ყველაფერი კეთილშობილი და ნათელი ჩანს, ყველაფერი მშვიდდება და ყველაფერს სიყვარული გარემოიცავს. იმას, რასაც საკუთარ თავში ვფლობთ, იმავდროულად, ირგვლივ მყოფებშიც ვეუფლებით. გულმართალი კაცის გარშემო იქმნება დიდი, მშვიდობიანი წრე, რომლის სიღრმეში ბოროტების წვერდაჩლუნგებული ისრები ვეღარ აღწევს. ასეთი კაცის სულიერი შეჭირვებები ადამიანებზე აღარ არის დამოკიდებული. მართლაც, ადამიანთა სიბოროტე მხოლოდ იმ სფეროებში თუ აგვატირებს, სადაც არც ჩვენ დაგვიკარგავს მტრების ატირების სურვილი. თუ შურის ისრები ჯერ კიდევ გვესობა და გვასისხლიანებს, ეს იმიტომ, რომ ჩვენც შეგვეძლო იგივე ისრები გვეტყორცნა. თუ ღალატი ცრემლებს გვადენინებს, ესეც იმიტომ, რომ ჩვენც ძალგვიძს ვუღალატოთ. სულს მხოლოდ იმ შეურაცხმყოფელი იარაღით თუ დაჭრიან, რომელიც მას ჯერ თვითონვე არ მოუსროლია სიყვარულის კოცონში.

LXXVI

რაც შეეხება სიკეთის ტრაგედიებს, ისინი თამაშდება ისეთ სცენაზე, რომელიც ბრძენისთვის და არაბრძენისთვის ერთნაირი იდუმალებითაა მოცული. ჩვენ მხოლოდ კვანძის გახსნას ვხედავთ, მაგრამ არ ვიცით, რომელ წყვდიადში ან რომელ სინათლეში გამოინასკვა ეს კვანძი. გულმართალი კაცი ვე-

რაფერს შეპირდება თავის თავს, გარდა იმისა, რომ ბედისწერა მას გულმოწყალების ან სამართლიანობის რომელიმე აქტში წაასწრებს. ასეთი კაცი ყოველთვის მხოლოდ მადლიან (ქრისტიანთა გამოთქმით), ანუ შინაგანი ბედნიერების მდგომარეობაშია. ეს კი უკვე კარის დაკეტვას და ყოველგვარი ცუდი შინაგანი ბედისწერისა და გარეგან შემთხვევითობათა უმრავლესობის არშემოშვებას ნიშნავს.

რამდენადაც უფრო მაღლდება მოვალეობასთან და ბედნიერებასთან დაკავშირებული ჩვენი იდეა, მით მეტად ინმინდება ზნეობრივი ტანჯვის საუფლოც. და განა ეს არ არის ბედისწერის ყველაზე ტირანული საუფლო? საბოლოო ჯამში, ჩვენი ბედნიერება ჩვენს შინაგან თავისუფლებაზე ჰკიდია. ეს უკანასკნელი იზრდება, როცა სიკეთეს ვიქმთ, და მცირდება, როცა — ბოროტებას. არა მეტაფორულად, არამედ სრულებით რეალურად თავისუფლდება მარკუს ავრელიუსი ყოველ ჯერზე, როდესაც შემწყნარებლობის საკითხში ახალ ჭეშმარიტებას პოულობს, როცა მიუტევებს ან თუნდაც, უბრალოდ, აზროვნებს. კიდევ უფრო პირდაპირი გაგებით აკაბალებს მაკბეტი თავის თავს ყოველ ახალ დანაშაულთან ერთად. და ყველაფერი, რაც მართებულია სამეფო კარზე მომხდარ დიდ დანაშაულში ან ჰეროიკული ცხოვრების დიდ სათნოებაში, არანაკლებ ითქმის ყოვლად ჩვეულებრივი ცხოვრების ყველაზე მოკრძალებულ შეცდომათა და უცნობ სათნოებათა შესახებაც. ჩვენ ირგვლივ ყველგან ბავშვი-ავრელიუსებია, ისევე როგორც მაკბეტები, რომლებიც თავიანთი ოთახიდან არ გამოდიან. რა არასრულყოფილიც უნდა იყოს ჩვენი იდეა სიკეთის შესახებ, როგორც კი ერთი წამით განვეშორებით, მაშინვე არაკეთილმოსურნე გარეგანი ძალების სამიზნე ვხდებით. ჩემი გულის დუმილში ჩამარხულმა უბრალო სიცრუემ საკუთარი თავის მიმართ,

შესაძლოა, ისეთი დამლუპველი დარტყმა მიაყენოს ჩემს შინაგან თავისუფლებას, როგორიც საჯაროდ ჩადენილმა ღალატმა. და როგორც კი ჩემი შინაგანი თავისუფლება მოწყლულია, ბედისწერა ჩემს გარეგან თავისუფლებას ისევე უახლოვდება, როგორც მტაცებელი — მსხვერპლს, დიდხანს რომ უთვალთვალებდა მანამდე.

LXXVII

არსებობს თუ არა ტრაგედია, რომელშიც სრულყოფილად ბრძენი და სრულყოფილად მშვენიერი ადამიანი ისევე ღრმად იტანჯებოდეს, როგორც მავანი უკეთური? როგორც ჩანს, ამქვეყნად ბოროტება თავის სასჯელს უფრო მტკიცედ ამკვიდრებს, ვიდრე სათნოება — მისეულ ჯილდოს. ამავე დროს, დანაშაულს თავისი თავის ხმამაღლა დასჯა სჩვევია, სათნოება კი თავის მოქმედებას დუმილში — მისივე ბედნიერების დახურულ ბაღში — ინაზღაურებს. ბოლოს და ბოლოს, ბოროტება მოვა და თავის კატასტროფებსაც მოიყოლებს, სათნოების აქტი კი მხოლოდ ადამიანური არსებობის უღრმესი კანონებისადმი მიტანილი უენო ზვარაკია. და, ალბათ, სწორედ ამიტომ გვეჩვენება, რომ დიდი სამართლიანობის სასნორი უფრო ხალისიანად იხრება წყვდიადის, ვიდრე სინათლის მხარეს. მაგრამ თუ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რეალურად არსებობდეს „ბედნიერება დანაშაულში", ნუთუ უფრო ხშირად შევხვედრივართ „უბედურებას სათნოებაში"? უწინარეს ყოვლისა, გვერდზე გადავდოთ ფიზიკური ტკივილები, ყოველ შემთხვევაში — ისინი მაინც, რომელთა სათავე შემთხვევითობის უღრან ტყეებში ჩაკარგულა. თქმა არ უნდა: ჯალათთა ხროვა თვალის დაუხამხამებლად დააკრავდა სპინოზას ნამების საწოლზე, ისევე რო-

გორც ვერაფერი დააბრკოლებდა ყველაზე მძიმე სნეულებებს — თავს დასტეხოდნენ სხვა დიდებულ ადამიანებს. ეს არის ტკივილის არა ადამიანური, არამედ ცხოველური მხარე. ამასთანავე, ისიც გავითვალისწინოთ, რომ ბედისწერის საუფლოში და, კონკრეტულად, ფიზიკური ტკივილის ზონაში სიბრძნე თავის უნორჩეს დას — მეცნიერებას აგზავნის. თუმცა, ყოველივეს მიუხედავად, ამ სამფლობელოში მუდამ იქნება მიუწვდომელი კუნჭული, სადაც ფათერაკი იმეფებს. ყოველთვის იარსებებს შეუმცირებელი უსამართლობის მსხვერპლი, რომელიც იმას მაინც გვასწავლის, რომ პოზიტიური, ადამიანური და კეთილშობილი სიბრძნე ცოტაოდენი მისტიკური სიბრძნითაც უნდა შევავსოთ.

მხოლოდ იმ დღიდან გავხდებით ჭეშმარიტად სამართლიანნი, როდესაც სამართლიანობის მოდელს მარტოოდენ საკუთარ თავში მოვიძიებთ. არადა, ბედისწერის უსამართლობა ადამიანს მისთვის კუთვნილ ადგილზე აბრუნებს ბუნებაში. ჰოდა, ადამიანსაც დიდად ვერაფრად წაადგება, რომ ჯერაც დედის მძებნელი ბავშვივით დღენიადაგ თვალები აცეცოს. ნუ ვირწმუნებთ, რომ ამ გულგატეხილობებმა მორალურად უნდა დაგვჯაბნოს. რაოდენ ნირწამხდენიც უნდა იყოს, ჭეშმარიტება გარდაქმნის იმათ მხნეობას, ვინც *იცის* ამ ჭეშმარიტების მიღება. ყველა შემთხვევაში, დამთრგუნველი ჭეშმარიტება (დამთრგუნველი თუნდაც იმიტომ, რომ *ის ჭეშმარიტებაა*) ყოველთვის მეტად ფასობს, ვიდრე გამამხნევებელ სიცრუეთაგან საუკეთესო. მაგრამ არ არსებობს დამთრგუნველი ჭეშმარიტება, არსებობს მხოლოდ არაჭეშმარიტი მხნეობა. ის, რაც სუსტებს არყევს, ძლიერებს განამტკიცებს.

აი, რას წერდა ერთი ქალი:

„ჩვენი სიყვარულის დღეზე ვფიქრობდი. იმ დღეს

ზღვაზე გამავალ დიდ ფანჯარასთან ვიდექით და ჰორიზონტიდან მომავალ უამრავ თეთრ ნავს გავყურებდით. ყველა მათგანი მორჩილად უნდა გაჩერებულიყო ნავმისადგომში, რომელსაც ჩვენ გადავცქეროდით... ახლაც თვალწინ მიდგას ის ყველაფერი!.. გახსოვს თუ არა ის ერთადერთი ნავი, რომელსაც თითქმის შავი აფრა ჰქონდა და რომელიც პორტში უკანასკნელი შემოვიდა? ის თუ გახსოვს, რომ უკვე ჩვენი წასვლის დრო იყო (რაც ასე გვემძიმებოდა) და რომ გამგზავრების სიგნალად სწორედ იმ ნავის შემოსვლა მივიღეთ? იმ დამთხვევაში, რომ ბოლო ნავი თალხი ფერისა იყო, ჩვენ შეგვეძლო მელანქოლიის საბაბი გვეპოვა. მაგრამ როგორც შეყვარებულებმა, რომლებმაც ცხოვრება „მიიღეს", ეს ფაქტიც ღიმილით მივიღეთ და კიდევ ერთხელ ამოვიცანით ერთმანეთი."

სწორედ ასე უნდა ვიქცეოდეთ მთელ ცხოვრებაში. არც ისე იოლია გაღიმება ყოველთვის, როცა შავაფრიანი ნავი მოგადგება. მაგრამ შესაძლებელია ცხოვრებაში ისეთი რამეც ვიპოვოთ, რაც ჩვენზე მეუფებს, ოღონდ ისევე არ გვანაღვლიანებს, როგორც ამ წერილის დამწერ ქალბატონზე მეუფებდა სიყვარული, მაგრამ არ ანაღვლიანებდა. რაც უფრო ფართოვდება ადამიანის აზრი და გული, მით ნაკლებს ლაპარაკობს უსამართლობაზე. ნუგეშისმომცემი იქნებოდა ჩვენი თავისთვის გვეთქვა: რამდენადაც ამ სამყაროს ნაყოფები ვართ, იმდენად ყოველივე სამყაროსეული ჩვენს სასიკეთოდ ხდებაო. სამყაროს კანონი, სასტიკი რომ გვგონია, როგორც ჩანს, უფრო შეესატყვისება ჩვენს არსებას, ვიდრე ყველა საუკეთესო კანონი, რომლებიც კი შეგვეძლო წარმოგვედგინა. როგორც ჩანს, მოვიდა დრო, როცა ადამიანმა უნდა ისწავლოს თავისი სიამაყის თუ სიხარულების ცენტრის სხვაგან — არა საკუთარ თავში — მოძებნა. როცა თვალები გვეხილება, ჩვენზე უფროდაუფრო დიდი ძა-

ლის მეუფებას ვგრძნობთ, თუმცა, პარალელურად, იმ უეჭველობასაც ვიძენთ, რომ თვითონვე ვხდებით ამ ძალის ნაწილი. და როცა გვირტყამს, მაშინაც ისე შევხარით მას, როგორც ყრმა ტელემაქე შეეხეროდა მამისეული მკლავის ძალას.

ნელ-ნელა შევეჩვიოთ იმას, რომ ბუნების შეუცნობლობასაც იმავე ცნობისნადილითა და კმაყოფილი განცვიფრებით შევხედოთ, როგორც ზოგჯერ ჩვენივე არაცნობიერის ნინაღუდგომელ მოძრაობებს ვუყურებთ ხოლმე. მერე რა, რომ ხანდახან ჩვენი გონების პატარა ლამპარს მიმოვატარებთ იმაში, რასაც სამყაროს თუ ჩვენს საკუთარ არაცნობიერს ვუნოდებთ? ორივე თანაბრად ინტიმურად გვეკუთვნის.

„საკუთარი ძალმოსილების გაცნობიერების შემდეგ, — ამბობს გუიო[23], — ადამიანის ერთ-ერთი უმაღლესი პრივილეგიაა თავისივე უძლურების გაცნობიერება (ყოველ შემთხვევაში — ინდივიდუალურის). თვით იმ დისპროპორციიდან, რომელიც არსებობს იმ უსასრულობას (რომელიც გვანადგურებს) და იმ არარაობას (რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ) შორის, ერთგვარი სიდიადის გრძნობა გვიჩნდება. გვიჯობს, მთამ გაგვსრისოს, ვიდრე ქვამ; გვირჩევნია, ათასი კაცის ნინააღმდეგ ბრძოლაში მოვკვდეთ, ვიდრე ერთის. ჩვენი უსაზღვრო უძლურების სარკეში ჩახედვის შემდეგ აზროვნება დამარცხების სინანულისგან გვათავისუფლებს."

ვინ იცის? არის მომენტები, როცა ის, რაც გვამარცხებს, თითქოს ჩვენი არსების დამარცხებულ ნაწილზე უფრო ახლობელი ხდება. არაფერი ისე იოლად არ იცვლის კერას, როგორც თვითმოყვარება, რადგან ინსტინქტი გვაფრთხილებს, რომ ყველაფერი უწინდებურად ჩვენს განკარგულებაში რჩება. ძლევამოსილი მეფის ირგვლივ მყოფ კურტიზანთა თვითმოყვარება უფრო ბრნყინვალე თავშესაფარს ეძებს ამ მე-

ფის ყოვლისშემძლეობაში და ძრწოლისმომგვრელი ტახტის სიმაღლიდან მათ თავებზე დამტყდარი დამცირებაც მით უფრო ნაკლებად უმსხვრევს სიამაყეს, რაც უფრო მაღლიდან ატყდებათ. ბუნება, რომლის გულგრილობა უფროდაუფრო კლებულობს, საკმარისად უკიდეგანო აღარ მოგვეჩვენება. უსასრულოს ჩვენეულ განცდას თავისუფლად სამოძრაოდ მთელი თავისი უსასრულობა, მთელი თავისი განურჩევლობა სჭირდება... და ჩვენი სულის რომელიღაც კუნჭულსაც მუდამ ერჩივნება, რომ ზოგჯერ უსაზღვრო სივრცეში იტიროს, ვიდრე მუდმივად ბედნიერი იყოს დასაზღვრულში.

ბედისწერა რომ უცვლელად სამართლიანი ყოფილიყო ბრძენი ადამიანის მიმართ, ეს დიდებული იქნებოდა თვით თავისი არსებობის ფაქტით. მაგრამ რამდენადაც ბედისწერა განურჩეველია, ეს კიდევ უკეთესია და ეგებ უფრო დიადიც. ნებისმიერ შემთხვევაში, ამით სამყაროს ის მნიშვნელობა უბრუნდება, ჩვენს ქმედებებს რომ ერთმევა. აქ ჩვენ არაფერს ვკარგავთ, რადგან ბუნების კუთვნილება იქნება ის თუ მისივე გულის ნაწილი — ბრძენისთვის არავითარი სიდიადე არ იკარგება. ასე რატომ უნდა გვადარდებდეს უსასრულობის ამბავი? — ყოველივე მისეული, რაც კი ადამიანს შეიძლება ეკუთვნოდეს, მხოლოდ და მხოლოდ იმისი იქნება, ვინც უსასრულობას თაყვანს სცემს.

LXXVIII

ბალზაკის რომანი თუ გახსოვთ, სახელად „პიერეტა“, ციკლიდან „უცოლო კაცები“? არა, ეს თხზულება ბალზაკის ერთ-ერთი შედევრთაგანი არ არის და მეც ამ კუთხით არ მიხსენებია. მასში მოთხრობილია ნაზ და უმანკო ბრეტონელ ობოლ გოგონაზე,

რომელსაც თავისი ბოროტი ვარსკვლავი საყვარელ პაპა-ბებიას მოწყვეტს და პროვინციულ ქალაქში მცხოვრები ბიძისა და მამიდის ნაღვლიან სახლში ჩამარხავს. წარსულში გალანტერიით მოვაჭრე ბატონი როგრონი და მისი და, ქალბატონი სილვია, მკაცრი და უფერული ბურჟუები, ბრიყვულად პატივმოყვარენი და ძუნწები, მოუსვენარი, უოჯახო, პირქუში და ინსტინქტურად მოძულე ადამიანები არიან.

მათთან დასახლებისთანავე იწყება უწყინარი და მოსიყვარულე პიერეტას წამება. არ აყოვნებს არც ფულთან დაკავშირებული ამაზრზენი მომენტები: ყველაფერში მომჭირნეობა, არავითარი ქორწინება, მიდრეკილებების ალაგმვა, მემკვიდრეობაზე უარის თქმა და ა.შ. მეზობლები — როგრონების მეგობრები — აუღელვებლად ესწრებიან ქალიშვილის ხანგრძლივ წამებას და მათი ინსტინქტიც ძლიერის მხარეს იკავებს. ყველაფერს აგვირგვინებს პიერეტას შესაბრალისი სიკვდილი, როგრონების ტრიუმფი, გულისამრევი ადვოკატი და ყველა ის ადამიანი, ვინც მათ გვერდში ედგა. თითქოს თვით შემთხვევითობაც კი როგრონების მხარეზე იყო და საგანთა მდინარებაში თავისი ნების საწინააღმდეგოდ ჩათრეული ბალზაკიც ამ ამბავს ისეთი ფრაზით ამთავრებს, თითქოს სინანულს გამოთქვამსო: „ჩვენში დარჩეს და, კანონიერება საუცხოოდ მოერგებოდა საზოგადოებრივ თაღლითობას, — რომ არა ღმერთი.“

აუცილებელი არ არის, რომ მსგავსი ტრაგედიები მაინცდამაინც რომანებში ვეძებოთ. ასეთი ამბები ყოველდღიურად ხდება ადამიანთა სამყაროში. და ამჯერად ბალზაკს მეც მხოლოდ იმიტომ მოვუხმე, რომ ამ რომანში მწვერვალურად ვლინდება უსამართლობის ტრიუმფის ყოველდღიური ამბავი. არაფერია ასეთ მაგალითებზე უფრო ზნეობრივი და, ალბათ, მორალისტთა უმეტესობა ამაოდ შეა-

ასუსტებდა მათში მოცემულ დიდ სნავლებას იმით, რომ შეძლებისამებრ შეეცდებოდა ბედისწერისთვის მისეულ უსამართლობათა მიტევებას. ზოგს იმის იმედი აქვს, რომ დაჩაგრულ უმანკოებას ისევდაისევ ღმერთი შეეწევა. სხვები იმასაც გვეუბნებიან, რომ ბალზაკის რომანში ყველაზე უფრო შესაბრალებელი თვით მსხვერპლი არ არის. და ამის მთქმელნი, ალბათ, რამდენიმე თვალსაზრისით მართლებიც არიან. პატარა პიერეტას, დევნილსა და უბედურს, აქვს ისეთი სიხარულები, რომლებიც უცნობია მისი ჯალათებისთვის. იგი ტირილის დროსაც კი ნაზი, მოსიყვარულე და ალერსიანი რჩება და ამ ცრემლებში მეტი ბედნიერებაა, ვიდრე ციე, ეგოისტურ, ღვარძლიან ღიმილში. სევდისმომგვრელია, როცა სიყვარულზე სიყვარულით არ გპასუხობენ, მაგრამ კიდევ უფრო გულდასაწყვეტია, როცა საერთოდ არავინ გიყვარს. ან როგორ შეედაროს როგორნების გონჯი კმაყოფილება, მათი პანია, სულმდაბალი და გონებაშეზღუდული იმედები ამ უსამართლობის შეწყვეტის მომლოდინე გოგონას დიდ იმედს? არაფერი გვანიშნებს, რომ ფერმკრთალი პიერეტა მის ირგვლივ მყოფებზე უფრო ჭკვიანია. მაგრამ ის, ვინც უსამართლობაში იტანჯება, ამ ტანჯვაში იქმნის ჰორიზონტს, რომელიც მანამდე ივრცობა, სანამ მხოლოდ მაღლამდგომი სულისთვის ნიშნეულ სიხარულებს არ შეეხება (თითქოს ასე ეხება მინა ცას თვალსაწიერზე, თუნდაც მთის წვერიდან არ ვუყურებდეთ). ჩვენ მიერ ჩადენილ უსამართლობას მალე დავყავართ პატარ-პატარა მატერიალურ სიხარულებამდე და, რამდენადაც უფრო მეტად ვეძლევით მათ, მით მეტად გვშურს ჩვენი მსხვერპლის უნარი — უფროდაუფრო ცოცხლად შეეხაროდეს ყველაფერ იმას, რაც ვერ ნავართვით, რასაც ვერ მივნვდით, რაც მატერიასთან უშუალო შეხებაში არ

მოდის. უსამართლობის აქტი ყურთამდე უღებს მსხვერპლს იმ კარს, რომელსაც ჯალათი თავის სულში კეტავს. და ადამიანი, რომელიც იტანჯება, მის მტანჯველზე უფრო სუფთა ჰაერით სუნთქავს. ასჯერ უფრო მეტად განათებულა დეენილის გულის სიღრმე მდევნელის გულის სიღრმესთან შედარებით. და განა ბედნიერების მთელი სიჯანსაღე ჩვენს შიგნით არსებულ სინათლეზე არ ჰკიდია? ადამიანი, რომელიც ტკივილს გვაყენებს, თავის თავში იმდენ ბედნიერებას აქრობს, რამდენსაც ჩვენში ვერ ჩააქრობს.

საქმე არჩევანზე რომ მიმდგარიყო, რომელი ჩვენგანი არ ისურვებდა უფრო პიერეტას ადგილზე ყოფნას, ვიდრე როგორნებისაზე? ბედნიერების ჩვენეულმა ინსტინქტმა იცის: შეუძლებელია, გულმართალი ადამიანი უფრო ბედნიერი არ იყოს, ვიდრე ის, ვისაც ბრალი მიუძღვის, — მიუძღვის თუნდაც სამეფო ტახტის სიმაღლიდან. ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ როგორნებმა თავადაც არ უწყიან, რა უსამართლობას სჩადიან. მერედა რა! გაუცნობიერებელ ბოროტებაში სული ისევე იხუთება, როგორც გაცნობიერებულში. და პირიქით: მას, ვინც იცის, რომ ბოროტებას იქმს, ზოგჯერ საკნიდან თავის დაღწევის სურვილი უჩნდება. სხვები იქვე კვდებიან ისე, რომ აზრშიც კი არასოდეს დასხლტომიან კედლებს, ეგზომ ნაღვლიანად რომ მალავენ მათგან ადამიანის ჭეშმარიტ რაობას.

LXXIX

რისთვის ვეძებოთ სამართლიანობა იქ, სადაც ის ვერ იქნება? ან კი არსებობს სადმე, თვინიერ ჩვენი სულისა? ენა, რომელზეც ის მეტყველებს, თითქოს ადამიანური გონების ბუნებრივი ენაა. მაგრამ როგორც კი სამყაროში მოგზაურობას გადაწყვეტს,

უკვე სხვა სიტყვები უნდა ისწავლოს. არ არსებობს იდეა, რომელზეც სამყარო უფრო ნაკლებად ფიქრობდეს, ვიდრე სამართლიანობაზე ფიქრობს. ის მხოლოდ წონასწორობაზე ზრუნავს. და რასაც ჩვენ სამართლიანობას ვუწოდებთ, მხოლოდ და მხოლოდ წონასწორობის კანონთა ადამიანური ტრანსფორმაციაა (როგორც თაფლია ყვავილთა წვენის ტრანსფორმაცია). ადამიანის გარეთ არავითარი სამართლიანობა არ არსებობს, თვით ადამიანში კი სამყარო არასოდეს ირცხვენს თავს უსამართლობის ჩადენით. სხეულს შეუძლია დატკბეს შეუფერებელი სიამეებით, სული კი მხოლოდ მისივე სათნოებით მიღებულ კმაყოფილებას აღიარებს. ჩვენს შინაგან ბედნიერებას წონის მოსამართლე, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი მოისყიდის. ამის მცდელობა ხომ იგივეა, რომ კიდევ რაღაც წაართვა უკანასკნელ ჭეშმარიტ ბედნიერებას, რომელიც ამ მოსამართლემ სასწორის მანათობელ თასზე უნდა დადოს. აშკარად გულგამგმირავია უწყინარი ადამიანის დაჩაგვრა და დედამიწაზე მისთვის გამოყოფილი მცირეოდენი წლების დაბნელება, როგორც ამას როგორნები სჩადიან. მაგრამ არ გვმართებდა ლაპარაკი უსამართლობაზე, თუკი როგორნების ქმედება მათ შინაგან ნეტარებასა და მშვიდობას ჰგვრიდა, აზრსა და ზნეს უმაღლებდა, ანუ იმასვე აძლევდა, რასაც სათნოება, მედიტაცია და სიყვარული აძლევდა სპინოზას ან იმავე მარკუს ავრელიუსს. ისიც მართალია, რომ ბოროტების კეთება ადამიანს გარკვეულ ინტელექტუალურ სიამოვნებას ჰგვრის. მაგრამ ეს ბოროტება უცილობლად ზღუდავს აზრს, რომელიც პირადულ-ეფემერულ საზღვრებს ვეღარ სცილდება. უსამართლობის ჩადენით ჩვენ ვამჟღავნებთ, რომ ჯერ არ მიგვიღწევია იმ ბედნიერებისთვის, რომლის მიღწევაც ადამიანს ხელენიფება. ვთქვათ უკანასკნელად:

თვით ბოროტებაშიც მოიძიება გარკვეული თავისუფლება, საკუთარი არსების გარკვეული გაფურჩქნა, რასაც უკეთური ადამიანი ესწრაფვის. ამ გაფურჩქნის დროს მას შეუძლია თავი ბედნიერადაც კი იგრძნოს... მაგრამ იგრძნობდა თუ არა თავს ბედნიერად ასეთი გაფურჩქნის წუთში სხვა გაფურჩქნისა და სხვა სიმშვიდის მცნობელი მარკუს ავრელიუსი? ავიღოთ ბავშვი, რომელსაც ჯერ ზღვა არ უნახავს და რომელიც დიდი ტბის პირას მიიყვანეს. მას ჰგონია, რომ ზღვას ხედავს და სიხარულით ტაშსაც შემოჰკრავს. ის მეტს აღარ ითხოვს. მაგრამ ნუთუ იმიტომ, რომ ნამდვილი ზღვა არ არსებობს?

ბედნიერია თუ არა ის, ვინც ბედნიერებას არ იმსახურებს და ვისი „ბედნიერებაც" დამოკიდებულია უამრავ პატარ-პატარა ტრიუმფზე, რომლებიც შურმა, პატივმოყვარეობამ, გულგრილობამ უნდა მოუტანოს ყოველდღიურად? თქვენთვისაც ისურვებდით თუ არა ცხოვრების მისეულ ცნობიერებას, მისი სულისთვის დამაკმაყოფილებელ რელიგიას, მისი საწუხარ-საზრუნავის შესატყვის სამყაროს? არადა, განა ეს ყველაფერი არ ქმნის მეტ-ნაკლებად ფართო და მეტ-ნაკლებად ღრმა კალაპოტს, რომელშიც ბედნიერება მიედინება? შეიძლება მასაც იგივე საგნები სწამს, რაც ბრძენს: რომ ღმერთი არსებობს ან არ არსებობს; რომ ყველაფერი ამ ცხოვრებით მთავრდება ან რომ არსებობა სიკვდილის შემდეგაც გრძელდება; რომ მხოლოდ მატერია ან მხოლოდ სული არსებობს... მაგრამ ნუთუ ფიქრობთ, რომ ეს საგნები მას *იმნაირადვე* სწამს, როგორც ბრძენს ან გულმართალს? ბედნიერება, რომელსაც იმაში ვპოულობთ, რაც გვწამს, ანუ ბედნიერება, როგორც ცხოვრების გარკვეულობა, შინაგანი ყოფიერების რწმენა და სიმშვიდე, არა ფარხმალდაყრილი, არამედ აქტიური, ბუნების კანონებისთვის კითხვების დამსმელი და ამ

კანონებთან სისხლხორცეულ თანახმიერებაში მყოფი არსებობა, — ასეთი ბედნიერება ხომ იმით უფრო განისაზღვრება, *როგორ* გვწამს, ვიდრე იმით, თუ *რა* გვწამს? მე შემიძლია სწორედაც რომ რელიგიურად და უსასრულოდ მწამდეს, რომ ღმერთი არ არსებობს; რომ ჩემს მოსვლას ამქვეყნად სხვა მიზანი არა აქვს, თვინიერ ამ მოსვლისა; რომ ჩემი სულის არსებობა ამ უკიდეგანო ქვეყანას ერთი დღემოკლე ყვავილის არსებობაზე მეტად არ სჭირდება. ამავე დროს, თქვენ შეიძლება წვრილმანურად გწამდეთ, რომ ერთადერთ და ყოვლისშემძლე ღმერთს უყვარხართ და გმფარველობთ. მე მაინც თქვენზე ბედნიერი ვიქნები, თუკი ჩემი გაურკვევლობა თქვენს რწმენაზე უფრო დიდი, უფრო სოლიდური და უფრო კეთილშობილურია, თუ ამ გაურკვევლობამ უფრო სიღრმისეულად გამოპკითხა ჩემს სულს, უფრო ფართო თვალსანიერი მოიარა, უფრო მეტი რამ შეიყვარა. ასეთ შემთხვევაში, ღმერთი, რომელიც მე არ მწამს, უფრო ძალუმი და მანუგეშებელი იქნება, ვიდრე ის, რომელიც თქვენ გწამთ, თუკი დავიმსახურე, რომ ჩემი ეჭვი უფრო ვრცელ და უფრო წმინდა აზრ-გრძნობებს ეყრდნობოდეს, ვიდრე თქვენი უეჭველობის მამოძრავებელი აზრ-გრძნობებია. ვთქვათ კიდევ ერთხელ: საგულისხმოა არა რწმენა ან ურწმუნობა, არამედ იმ მიზეზთა კეთილსინდისიერება, მასშტაბი, უანგარობა და სიღრმე, რომელთა გამოც ჩვენ გვწამს ან არა გვწამს.

LXXX

ამ მიზეზებს კი არ ვირჩევთ, არამედ ვიმსახურებთ, როგორც ჯილდოს და საზღაურს. ხოლო ისინი, რომლებსაც ვირჩევთ ხოლმე, შემთხვევის ხელით ნაყიდი მონებია: მათ ცოცხლებიც კი არ ერქმით, არაფერთან არ არიან კავშირში და თვალი

სულ გაქცევისკენ უჭირავთ. ხოლო დამსახურებული მიზეზები ფიქრიანი და ერთგული ანტიგონეებივით გვიმხნევებენ ნაბიჯებს. თუმცა მათ ჯერ სულში არ ვუშვებთ. ჯერ საკმაოდ დიდხანს უნდა იცხოვრონ ჩვენში, იქ გაატარონ ბავშვობა, ყველა ჩვენეული ფიქრით, ყველა მოქმედებით უნდა იკვებონ და იქვე დაიგროვონ წრფელი და სიყვარულით აღსავსე ცხოვრების ათასი მოგონება. ზრდასთან და სულის თვალსაწიერის გაფართოებასთან ერთად ფართოვდება ბედნიერების ჰორიზონტიც, რადგან ჩვენი ბედნიერება მხოლოდ ჩვენივე გრძნობებითა და აზრებით დაკავებულ სივრცეში თუ იმოძრავებს. მას ფიზიკური სივრცე არ სჭირდება, სულიერი კი არასოდეს არ არის საკმარისად დიდი. მუდამ უნდა ვეცადოთ მის გაზრდას — მანამდე, სანამ ჩვენი ბედნიერება აღარ მოგვთხოვს სხვა საკვებს, გარდა საკუთრივ იმ სივრცისა, რომელსაც თვითვე პოულობს ზრდა-ამაღლებასთან ერთად. აი, მაშინ კი ადამიანი იწყებს ბედნიერად ყოფნას საკუთარი არსების ნამდვილად ადამიანურ და ხელშეუხებელ ნაწილში. ყველა სხვა ბედნიერება, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა გაუცნობიერებელი ფრაგმენტები ამ ბედნიერებისა, რომელიც მედიტაციაშია, იყურება და ვერანაირ სამანს ველარ ხედავს ვერც თავის თავში და ვერც ყოველივე გარემომცველში.

LXXXI

ეს სივრცე დღიდან დღემდე ბოროტებაში მომწყვდეულა, რადგანაც ადამიანის გრძნობები და აზრები ძალაუნებურად ბოროტებაში ემწყვდევიან. მაგრამ რამდენადმე ამაღლებული კაცი უკეთურებას აღარ იქმს, რადგან ბოროტება, საბოლოო ჯამში, მხოლოდ შეზღუდული აზრიდან და უღიმღამო

გრძნობიდან იბადება. ასეთი კაცი ბოროტებას აღარ ჩაიდენს, რადგან მისი ფიქრები ამაღლდა და განიწმინდა. ეს ფიქრები თვითონაც იწმინდება იმის გამო, რომ ამ ადამიანს აღარ ძალუძს ბოროტების ჩადენა. ამგვარად, ჩვენი მოქმედებები და ჩვენი აზრები — მას შემდეგ, რაც მოიპოვებენ აუმღვრეველ ცას, სადაც დაუბრკოლებლად იშლება ჩვენი სულის სიცოცხლე — ფრინველის ორი ფრთასავით განუყოფელნი არიან ერთმანეთისგან. ხოლო ის, რაც ფრინველისთვის წონასწორობის კანონია, ადამიანისთვის სამართლიანობის კანონი ხდება.

LXXXII

ვინ გვეტყვის: ეგებ ის უბადრუკი სიამოვნება, უკეთური რომ პოულობს ბოროტებაში, მანამდე ეხება სულს, სანამ მასში არ გაკრთება სიკეთის თუ გულმონყალების სუსტი და ბუნდოვანი სურვილი, შორეული აღთქმა თუ შესაძლებლობა?

ვიდრე მსხვერპლს ხელში ჩაიგდებდეს, ეგებ ბოროტი ადამიანი მხოლოდ იმ წამში ამჩნევს თავისი მავნე სიხარულის უფრო ნათელ და უფრო სასარგებლო მხარეს, როცა ფიქრობს, რომ შეეძლო მიეტევებინა? თითქოს თავისი ტრიუმფის გასანათებლად ზოგჯერ ბოროტებას სიკეთის სხივი სჭირდება. შეუძლია კი ადამიანს, ისე იღიმოს სიძულვილში, რომ ჯერ სიყვარულში არ სურდეს გაღიმება? მაგრამ სიძულვილის ღიმილი წამიერია. შეგვეძლო გვეთქვა, რომ არ არსებობს სული, რომელშიც ბედნიერების კიბე ზუსტად იმავე ნიშნულებს არ ატარებდეს, რასაც სამართლიანობის ან გულმოწყალების კიბე. აქ მე ერთმანეთს ვამთხვევ ორ სიტყვას, რადგან გულმოწყალებაც და სიყვარულიც სამართლიანობაა, რომელსაც სხვა აღარაფერი აქვს დასათვლელი, ძვირფასი ქვების გარდა. კაცი,

რომელიც ბედნიერების მომკას ბოროტებაში აპირებს, ამით ადასტურებს, რომ ისეთი ბედნიერი არ არის, როგორც მეორე ადამიანი, რომელიც მას ამ საქმიანობაში ხედავს და არ ამართლებს. არადა, მასაც იგივე მიზანი აქვს, რაც გულმართალს. ისიც ბედნიერებას ეძებს, ეძებს — ვერც კი ვიტყვი — რომელიღაც სიმშვიდეს თუ გარკვეულობას. მაშ, რისთვის დავსაჯოთ? იმისთვის ხომ არ დავსჯით ღარიბს, სასახლეში რომ არ ცხოვრობს და, სვეგამწარებული, უბადრუკ ქოხმახში შეყუჟულა. იმის თვალში, ვინც უხილავს ხედავს, ყველაზე უსამართლო კაცის სულსაც კი მუდამ სამართლიანობის უმწიკვლო სამოსი აცვია, მუდამ ამ უკანასკნელის ატრიბუტებს ატარებს და მუდამ მის წმინდა აქტივობაში იქნება. იგი მუდამ აწონ-დაწონის მშვიდობას, სიყვარულს, სიცოცხლის ცნობიერებას, მიწის თუ ცის ღიმილებს ან იმას, რაც ამ ღიმილებს აუქმებს, ამდაბლებს, შხამავს, და ამ ყველაფერს ისეთივე ზრუნვით ახორციელებს, როგორითაც წმინდანის, გმირის, მოაზროვნის სული იზამდა. შესაძლოა, არაფერს ვაშავებთ, რომ იმ სამყაროს სამართლიანობა გვაღელვებს, რომელსაც სულაც არ აღელვებს თავისი თავი, ისევე როგორც ფუტკარი არ აშავებს, როცა თაფლს არა მისივე მიერ შექმნილ ფიჭაში დებს. მაგრამ იმაში კი ვცოდავთ, რომ გარეგანი სამართლიანობა გვსურს: ის ხომ არ არსებობს. უნდა ვიმყოფინოთ ის სამართლიანობა, რომელიც ჩვენშია. ჩვენს თავს ჩვენ თვითონვე განვსჯით, უფრო კი — ჩვენი ბედნიერება განგვსჯის.

LXXXIII

ისიც შეგვეძლო გვეთქვა, რომ, ბოროტებისა არ იყოს, სიკეთესაც აქვს თავისი დამარცხებები და განხიბვლები. ეგაა, ეს დამარცხებები და განხიბვლები აზრს

არ გვიბნელებს და გვიუქმებს, პირიქით: გვინათებს და გვიმშვიდებს. სათნოების აქტი შეიძლება სიცარიელეში დაინთქას, მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ ასეთ დროს ვზომავთ სულისა და ცხოვრების სიღრმეებს. და სათნოებაც იმ სიცარიელეში ხშირად ჩვენს აზრებზე უფრო ძალუმად მანათობელი ქვასავით ვარდება. როდესაც ქალბატონი როგორნის ბოროტი გეგმა იფუშება პიერეტას უმანკოების წინაშე, ბურჟუა ქალის სული კიდევ უფრო პატარავდება. მაგრამ როდესაც ტიტუსის[24] ერთ-ერთი სიკეთე ეფინება უმადურ ადამიანს, რომელზეც არც მიტევება ჭრის, არც სიყვარული, ამას ტიტუსის მზერა მიტევებაზე უფრო შორს, სიყვარულზე უფრო შორს გადააქვს. არასასურველია, რომ ადამიანი რამეში ჩაიკეტოს, თვით სიკეთეშიც კი. დე, სათნოების უკანასკნელი ეესტი იმ ანგელოზის ეესტი ყოფილიყოს, რომელიც კარს აღებს.

კურთხეულ იყოს ეს დამარცხებები! თუკი შემთხვევა ისურვებდა, რომ ყოველ ჯერზე, როცა კი მტერს მივუტევებდით, ეს უკანასკნელი მეგობრად ქცეულიყო, ჩვენ იმის უცოდნელად მოვკვდებოდით, თუ რა ანათებს ჩვენს წინდაუხედავ, თუმც დაუნანებელ გულმოწყალებას. ისე მოვკვდებოდით, რომ არ მოგვეცემოდა საშუალება გაგვეზომა ჩვენი ცხოვრების გარემომცველი ძალები თვით ჩვენივე სულში არსებული უდიდესი ძალის დახმარებით. სიკეთის აქტის უსარგებლობა, ამაღლებული ან, უბრალოდ, კეთილსინდისიერი აზრის აშკარა არაქმედითობა უამრავ საგანს იმისგან განსხვავებულ სხივს აფენს, რაც შეიძლებოდა სასარგებლო სიკეთეს მოეფინა. რასაკვირველია, დიდი სიხარული იქნებოდა, რომ მუდამ სიყვარულის უცვლელი ტრიუმფი აღგვენიშნა. მაგრამ ამ ილუზიის გავლით ჭეშმარიტებამდე მისვლის კიდევ უფრო დიდი სიხარულიც არსებობს. აი, რას ამბობს მოაზროვნე, რო-

მელიც სიკვდილმა მეტისმეტად ადრე ნაგვართვა:

„ძალზე ხშირად — მთელი ისტორიის მანძილზე — ადამიანი თავის ღირსებას ცდომილებებში ხედავდა, ხოლო ჭეშმარიტებას, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის დამცრობაში. ჭეშმარიტება ყოველთვის არ ღირს ოცნებად, — იმიტომ, რომ ის სინამდვილეა. აზრის საუფლოში არაფერია ჭეშმარიტებაზე უფრო ზნეობრივი."

და ეს ჭეშმარიტება მწარე არ არის. ბრძენისთვის არცერთი ჭეშმარიტება არ არის მწარე. მასაც შეეძლო ეოცნება, რომ სათნოებას მთები გადაედგა და რომ სიყვარულს სამარადისო სილბო შეეტანა ყველა თანამოძმის სულში. მაგრამ დღეს იგი შეიცნობს, რომ ჯობს ასე არ იყოს. და არა მისივე სიამაყის ხელით აქ აკრეფილ სიამოვნებათა მიზეზით. ბრძენი თავის თავს სამყაროზე მაღლა კი არ აყენებს, პირიქით — უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს. მის სულში არსებულ ლტოლვას სამართლიანობისკენ ამ ლტოლვის მიერ მოტანილი სულიერი ნაყოფებისთვის კი აღარ ავითარებს, არამედ ყოველივე არსებულის პატივისცემის ნიშნად და მისივე აზროვნებაში ამავე სამართლიანობით შობილი მოულოდნელი ყვავილებისთვის. ბრძენი არ წყევლის უმადურს, თვით უმადურებასაც კი; თავის თავს არ ეუბნება: „მე ამ ადამიანზე უკეთესი ვარ" ან „მე ამ მანკიერებაში არ ჩავეფლობი". უმადურება მას ასწავლის, რომ სიკეთეში არსებობს უფრო ტევადი სიხარულები, უფრო ნაკლებად პირადული და საყოველთაო სიცოცხლესთან უფრო თანახმიერი, ვიდრე ის სიხარულებია, რომელსაც იგი აღიარებისგან ელოდა. ურჩევნია სცადოს იმის გაგება, რაც *არის*, ვიდრე იმის დაჯერება, რაც მას *სურს*, რომ იყოს. დიდხანს ისე იცხოვრა, როგორც თავისი ქოხიდან ბრწყინვალე სასახლეში გადაყვანილმა ღატაკმა. გაღვიძებისთანავე მოუსვენრად იწყებდა ბოდიალს ვეებერთელა დარბა-

ზებში და თავისი ციცქნა ოთახის გახსენებას ცდილობდა. ნეტავ სად იდგა კერია და სანოლი, მაგიდა, ჯამი და ტაბურეტი? სადღაც იქვე იპოვა თავისი ღამის ლამპა, რომლის მბჟუტავი ალი სასახლის მაღალ თაღებს ვეღარ წვდებოდა და მხოლოდ უახლოეს სვეტამდე თუ აღწევდა. მაგრამ ნელ-ნელა მან თვალი შეაჩვია ახალ სამყოფელს. უამრავი დარბაზი შემოიარა. ყველაფერს, რასაც ლამპა ვერ ანათებდა, ისეთივე სიხარულით ათვალიერებდა, როგორც დანარჩენს, რასაც ლამპა ასე თუ ისე ჰყოფნიდა. თავდაპირველად სურდა, დარბაზიდან დარბაზში გასასვლელი უამრავი კარი ცოტა უფრო დაბალი ყოფილიყო, კიბეები — არა ასეთი განიერი, დერეფნები — ისეთი, სადაც მზერა არ ჩაიკარგებოდა. მაგრამ თანდათან ყველაფერს შეეჩვია და შეიგრძნო აქაურობის სიდიადე და მშვენიერება, რომლებიც მისი ოცნებებისგან განსხვავებული აღმოჩნდა. თავი ბედნიერად იგრძნო, როცა დარწმუნდა, რომ აქაც ყველაფერი მაგიდასთან და სანოლთან არ მიჭუჭყნულიყო, როგორც თავის ძველ ქოხში. ნეტარებდა, რომ სასახლე მისი უბედურების უღიმღამო თარგზე გამოჭრილი არ აღმოჩნდა. მან შეძლო ხედვის გაფართოება და იმით აღტაცება, რასაც მისი სურვილი უპირისპირდებოდა.

ყოველივე არსებული ბრძენ ადამიანს ანუგეშებს და განამტკიცებს, რადგან სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ აღმოაჩინოს და მიიღოს *ყოველივე არსებული.*

LXXXIV

სიბრძნე როგორნებსაც კი არ უკუაგდებს. ცხოვრება თავის შიშველ მოცემულობაში მას კიდევ უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე სამართლიანობა ან სათნოება. და თუ ისე მოხდა, რომ დიდი და ძალ-

ზე განყენებული სათნოება ვიწრო კედლებს შორის მოფუსფუსე პანია ცხოვრების გვერდით აღმოჩნდა, მაშინ სიბრძნე არჩევს თვალი მიაპყროს სწორედ ამ ცხოვრებას და არა დიდ, უძრავად გარინდებულ და მედიდურად განკერძოებულ სათნოებას.

უწინარეს ყოვლისა კი, სიბრძნეს არაფერი ეზიზღება. არაფერია ამქვეყნად მისთვის სრულებით საზიზღარი, თვით ზიზღის ჩათვლით. ძალზე ხშირად ხდება, რომ მათ, ვინც აზროვნებენ, ეზიზღებათ ისინი, ვინც ცხოვრებაში უაზროდ მიხტუნაობს. რაღა თქმა უნდა, აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს და, პირველ ყოვლისა, შეძლებისამებრ ხანგრძლივად და შეძლებისამებრ ღრმად უნდა ვიაზროვნოთ. მაგრამ გარკვეული გაზვიადება იქნება იმის დაჯერებაც, რომ ზოგადი იდეებით მანიპულირების მეტ-ნაკლები უნარი ადამიანებს ასე ძირეულად განასხვავებს ერთმანეთისგან. მთლიანობაში, უდიდეს მოაზროვნეებსა და პროვინციაში მცხოვრებ წვრილ ბურჟუებს შორის ხშირად იმდენივე სხვაობაა, რამდენიც ორ ჭეშმარიტებას შორის, რომელთაგან ერთი პერიოდულად თავის ფორმულას პოულობს, მეორე კი ვერასოდეს ვერ იღებს სათანადო სახეს. ეს განსხვავება დიდია, როგორც ღრმა თხრილი, მაგრამ არა როგორც უფსკრული. რაც მეტად მაღლდება აზრი, მით უფრო პირობით-დროებითად ესახება ზღვარი აზროვნების გარეშე მცხოვრებ და მუდმივი აზროვნების წიაღში მყოფ ინდივიდებს შორის. პატარა ბურჟუა ახირებების, სასაცილო მისწრაფებების, შეზღუდული, წვრილმანი და ხშირად საკმაოდ მდაბალი იდეების გროვაა. მიუხედავად ამისა, დააყენეთ იგი ბრძენი ადამიანის გვერდით რომელიმე საჭირბოროტო ცხოვრებისეულ ვითარებაში — მწუხარების, სიკვდილის, სიყვარულის, კონკრეტული გმირობის გარემოებებში — და ნახავთ, რომ ბრძენი

არაერთგზის მიუტრიალდება თავის მოკრძალებულ კომპანიონს, როგორც არანაკლებ ადამიანური და სარწმუნო ჭეშმარიტების მფლობელს.

არის მომენტები, როცა ბრძენი აცნობიერებს თავისი სულიერი საუნჯის ამაოებას; როდესაც ხედავს, რომ სხვა ადამიანებისგან მას მხოლოდ ზოგიერთი ჩვევა, ზოგიერთი სიტყვა თუ განასხვავებს; როდესაც ეჭვი შეაქვს თავისი სიტყვების ღირებულებაში. ეს სიბრძნის ყველაზე ნაყოფიერი წუთებია. *აზროვნებდე* ხანდახან ნიშნავს *ცდებოდე* და მოაზროვნეს, რომელიც ცდება, სწორი გზის საპოვნელად ხშირად იქ დაბრუნება სჭირდება, სადაც მდუმარე, მაგრამ საჭირო ჭეშმარიტების ირგვლივ ერთგულად ჩამომსხდარან არამოაზროვნენი. ასეთები ადამიანთა მოდგმის კერიას ინახავენ. ბრძენკაცებს კი ჩირაღდნები უჭირავთ. და როცა გაიშვიათებულ ჰაერში ჩირაღდნის ალი ბუუტვას იწყებს, ამ დროს კეთილგონივრულია კერიასთან მიახლოება. თითქოს ეს კერია ადგილს არასოდეს იცვლის, ქვეყნებთან ერთად გადაადგილდება და თავისი პანია ცეცხლით კაცობრიობის რეალურ-მიწიერ დროს აღნიშნავს. ჩვენ ზედმიწევნით ვიცით, რას აძლევს ინერტული ძალა მოაზროვნეს, ხოლო იმას, თუ, თავის მხრივ, რითი უბრუნებს მოაზროვნე, ვარაუდს ვერ ვუნევთ. ქვეყანაში, სადაც მხოლოდ მოაზროვნეები იარსებებდნენ, არა ერთი და ორი ჭეშმარიტება დაიკარგებოდა. სინამდვილეში, მოაზროვნე მხოლოდ მაშინ განაგრძობს მართებულ აზროვნებას, როცა არ კარგავს კონტაქტს იმათთან, ვინც არ აზროვნებს.

შეზიზღება იოლი საქმეა, უფრო ძნელია *გაგება*. ჭეშმარიტი ბრძენის შემთხვევაში, ზიზღს ადრე თუ გვიან გაგება ენაცვლება. ყველა ის აზრი, რომელიც ზიზღით გადაუფრენს მიწაზე დარჩენილთა მრავალრიცხოვან უენო ჯგუფს და რომელიც არ ცნობს

ამ ჯგუფში ჩაძინებულ ათასობით და-ძმას, ხშირად სხვა არაფერია, თუ არა ბედნავსი ან უნაყოფო ოცნება. კარგი იქნებოდა, დროდადრო გაგვხსენებოდა, რომ სულიერ ატმოსფეროში, ისევე როგორც გარეგან-ზედაპირულში, ალბათ, სუნთქვის გასაგრძელებლად ჟანგბადზე უფრო მეტად აზოტი გვჭირდება ხოლმე.

LXXXV

მესმის, რატომ ეშურებიან ბალზაკის მსგავსი მოაზროვნეები უპირატესად ასეთ პატარა ცხოვრებათა აღწერა-გადმოცემას. არაფერი ისე მარადიულად არ ჰგავს თავის თავს, როგორც ადამიანთა ეს პატარ-პატარა ყოფიერება. იმავდროულად, საუკუნიდან საუკუნემდე არაფერი ისე სიღრმისეულად არ იცვლება, როგორც მათი გარემომცველი ატმოსფერო. იგივე ჟესტები სხვა ცის ქვეშ! თუმცა — იმ ცის, რომელსაც თვით ჟესტების შეცვლის შემთხვევაში განსხვავებულად ვერ დავინახავდით. დიდი ჰეროიკული აქტი ჩვენს მზერას მთლიანად ატყვევებს, ხოლო უმნიშვნელო სიტყვები და მოძრაობები ჩვენს ყურადღებას მათი გარემომცველი ჰორიზონტისკენ მიმართავს. და განა ადამიანური სიბრძნის მანათობელი წერტილიც მუდამ ჰორიზონტზე არ ციმციმებს? თუ საგნებს ბუნებრიობის პოზიციებიდან შევხედავთ, ამ სულთა ზოგადი მდაბიურობა ნამდვილად უფერული აღარ გამოჩნდება სწორედ იმით, რომ ის ზოგადი და საყოველთაოა.

მეორეს მხრივ კი, ნუ დავივიწყებთ, რომ სხვა ადამიანის სულს მხოლოდ იმ სიმაღლემდე ვიცნობთ, სადამდეც ჩვენსას, და რომ, რაოდენ პატარაც არ უნდა ჩანდეს თავიდან, არ არსებობს ადამიანი, რომელიც იმდენადვე არ ამოყვინთავს სიბნელიდან,

რამდენადაც დაიკლებს თვით ჩვენი გარემომცველი სიბნელე. რასაც ვხედავთ, მაინცდამაინც ის კი არ უნდა გადიდდეს, რათა შევიყვაროთ, — რაც არ გვიყვარს, ცეცხლის აწევით უნდა გავანათოთ, ვინძლო ეს ცეცხლი სიყვარულამდე ამაღლდეს. ყოველდღიურად თითო სხივი გამოვასხივოთ: — აი, ერთადერთი, რაც უნდა ვისურვოთ. მნიშვნელობა არა აქვს, რას დაეცემა ეს სხივი. არ არსებობს საგანი, რომელსაც მზერა თუ აზრი დაეცემა და რომელიც იმაზე მეტ საუნჯეს არ შეიცავდეს, ვიდრე ამ მზერას თუ აზრს შეუძლია გაანათოს. არ არსებობს იმდენად პატარა საგანი, რომელიც სულის მიერ მისთვის გაცემულ მთელ სინათლეზე საგრძნობლად დიდი არ იყოს.

LXXXVI

თუ გამაღიზიანებელ დეტალებს მოვაშორებთ, განა სნორედ ჩვეულებრივ ბედისნერებში არ იკითხება ადამიანურ ბედისნერათა ძირითადი არსი? საუცხოო სანახავია მწვერვალებზე გამართული დიდი სულიერი ბრძოლები. დაკვირვებული თვალი დიდხანს ისიამოვნებს უკაცრიელ პლატოზე მდგარი დიდებული ხის ცქერით, მაგრამ ამ ჭვრეტის ბოლოს კვლავტყესმიადგება,ტყეს,რომელშიცჩვეულებრივი ხეები დგას, თუმცა — აურაცხელი. შესაძლოა, ეს ვეებერთელა ტყე მხოლოდ ყოვლად უბრალო ღეროებისა და ტოტებისგან შედგება, მაგრამ განა სიღრმე და გონება არა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ *ტყეა*? ბოლო სიტყვა არასოდეს დარჩება რჩეულს და გამონაკლისს. და ის, რასაც დიადს ვუწოდებთ, მხოლოდ უფრო ნათელი და ყოველივე ნორმალურის უფრო მეტად მიმღები ცნობიერება უნდა იყოს. მარგებელია იმათი ყურება, ვინც მწვერვალებზე იბრძვის. ასევე აუცილებელია არ დავივინყოთ

ისინიც, ვისაც ქვემოთ გადაშლილ ველებზე ძინავს. როცა მათ ვხედავთ და ვხედავთ იმასაც, თუ ჩვენ თვითონ რამდენი ბრძოლა დაგვჭირდა, რომ მათი შეზღუდული ბედნიერება მარტოხელა მებრძოლთა ბედნიერებისგან გაგვერჩია, ამ დროს, ალბათ, უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ ბრძოლას, ეგაა — უფრო მეტად მოგვნონს. რაც უფრო შეუმჩნეველია ჯილდო, მით უფრო სასურველია. არა იმ მიზნით, რომ ორგული კარისკაცივით ფარულად დავეწაფოთ ბედნიერების მრავალ წყალობას, არამედ იმიტომ, რომ მის მიერ სხვების უჩუმრად ჩვენთვის ნაბოძები სიხარულები, ალბათ, ერთადერთი სიხარულებია, რომლებიც ბედნიერებას ჩვენი თანამოძმეებისგან არ წაურთმევია. ამ დროს მათ აღარ ვუყურებთ და საკუთარ თავსაც აღარ ვეუბნებით: „რარიგ შორსა ვარ ამ ადამიანებისგან!“ პირიქით, მაშინ უბრალოდ ვაღიარებთ: „ამაღლებასთან ერთად, ასე მგონია, ნაკლებად ვშორდები ჩემს ყველაზე მრავალრიცხოვან და ყველაზე უბრალო თანამოძმეებს. განუსაზღვრელი იდეალისკენ გადადგმულ ჩემს ნაბიჯებს მე იმ ნაბიჯებთან ერთად ვითვლი, რომლებიც მაახლოვებს მათთან, ვინც ასე მეზიზღებოდა ჩემივე უმეცრებითა და პატივმოყვარეობით აღსავსე პირველ დღეებში“.

LXXXVII

მაინც რას ჰქვია *პატარა ცხოვრება?* ასე ვუნოდებთ ხოლმე თავისი თავის ვერგამცნობიერებელ არსებობას, რომელიც ერთ ადგილზე ილევა და იშრიტება ოთხი-ხუთი ადამიანის ნრეში და რომლის გრძნობები, აზრები, სურვილები, მისწრაფებები მხოლოდ უმნიშვნელო საგნებს უკავშირდება. მაგრამ იმისთვის, ვინც ამ ცხოვრებას უმზერს, — თვით იმ

ფაქტით, რომ იგი მას უმზერს, — ყველაფერი დიადი ხდება. ცხოვრება, თავისთავად, არც დიდია და არც პატარა. ეს *ჩვენ* ვიყურებით ფართოდ ან ვიწროდ. ესაა და ეს. ხოლო ყოფიერება, რომელიც ადამიანებს დიდად და ამაღლებულად ესახებათ, სწორედ ის არსებობაა, რომელმაც ჩვევად აქცია, რომ თავის თავს ფართო რაკურსით უყუროს. თუ თქვენ არასოდეს უყურებთ თქვენივე არსებობას გვერდიდან, მაშინ აუცილებლად შეზღუდულად იცხოვრებთ. მაგრამ ის, ვინც თქვენს ამნაირ ყოფას დაუკვირდება, თვით ამ ყოფიერების უღიმღამობაშიც კი შენიშნავს თვალსანიერის რომელიღაც ელემენტს, რომელიღაც უფრო მყარ საყრდენ ნერტილს, რომლიდანაც მისი აზრი უფრო ადამიანური და უფრო ურყევი ძალით ამაღლდება.

ერთი შეხედვით გვგონია, რომ ჩვენს გარშემო ისეთი დაჩლუნგებული, ჩაკეტილი, მონოტონური არსებობაა, როგორც მავანი შინაბერას, გონებაშეზღუდული მოხელის, თავისივე ოქროების ტყვეობაში მყოფი ძუნწის ცხოვრება, რომელიც არაფრით არ ეხმიანება ჩვენს სულს, ჩვენს პერმანენტულ გრძნობას, მარადიულ ინტერესს, ამოუწყავ კაცთმოყვარებას. მაგრამ, დე, ვინმემ ბალზაკივით თვალგახელილმა და მიყურადებულმა შეაბიჯოს ადამიანურ არსებობათა შუაგულში... და მაშინ საბრალო პროვინციულ სახლში შობილი გრძნობაც ისევე შორს განივრცობა, მთელ ადამიანურ ცხოვრებას ისეთივე ღრმა და ძალმოსილ სათავეებამდე აამღელვარებს, როგორც რომელიმე ხელმწიფის დიდბუნებოვანი ლტოლვა, ტახტის სიმაღლიდან რომ ასხივებს მთელ მის ისტორიას.

„არსებობს პატარა ქარიშხლები, — ამბობს ამასთან დაკავშირებით ბალზაკი „ტურსის კიურეში“ (უბრალო მოკვდავებზე შექმნილ ამბავთაგან ყველაზე ჩინებულში), — არსებობს პატარა ქარიშხ-

ლები, რომლებიც იმდენ ვნებებს აღძრავენ სულებში, რამდენიც უდიდესი საზოგადოებრივი ინტერესების მართვას დასჭირდებოდა. განა შეცდომა არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ დრო მხოლოდ იმ გულებისთვის მიჰქრის, რომლებიც ცხოვრების ამწენავ-ამდულებელ დიდ გეგმებს ემსხვერპლებიან? აბატ ტრუბეტის საათებიც ისეთი გაცხოველებით მიედინებოდნენ, ისეთი მშფოთვარე აზრებით დატვირთულები მიჰქროდნენ, ისეთი ღრმა იმედებითა და უსასოობით დანაოჭებულიყვნენ, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო პატივმოყვარე ადამიანის, აზარტულ თამაშობათა მოთამაშის ან მიჯნურის სასტიკი საათები. ერთმა უფალმა იცის, რა ფასად გვიჯდება ჩვენი გამარჯვება ადამიანებზე, საგნებზე, თვით საკუთარ თავზე. მართალია, ჩვენ მუდამ არ ვიცით, საით მივდივართ, მაგრამ მოგზაურობის ქანცგაცლა მაინც კარგად მოგვეხსენება. ოღონდ თუ ისტორიკოსს აქვს უფლება, მიატოვოს თავისი თხრობა და ერთი წუთით კრიტიკოსის როლი იკისროს, თუ იგი გთავაზობთ, თვალი შეავლოთ ამ შინაბერებისა და ორი აბატის პირად ცხოვრებას, რათა სწორედ მათ ყოფიერებაში იპოვოთ იმ უბედურების მიზეზი, გულისგულში რომ ამახინჯებს თითოეულს, მაშინ, ეგების, თვალნათლივ დარწმუნდეთ, რომ ადამიანს უცილობლად სჭირდება გარკვეული ვნებები იმ თვისებათა განსავითარებლად, რომლებიც მის ცხოვრებას აკეთილშობილებენ, თვალსაწიერს უფართოვებენ და ყველა არსებისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ ეგოიზმს უცხრობენ."

ბალზაკი არ ტყუის. სინათლე მუდამ თვით სინათლისთვის კი არ უნდა გვიყვარდეს, არამედ იმ საგნებისთვისაც, რომლებსაც ის ანათებს. დიდებულია მწვერვალებზე დანთებული კოცონი, მაგრამ იქ ბევრი ვერავინ ადის და ბრბოს შუაგულში დანთე-

ბულ პატარა ცეცხლს ზოგჯერ უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს. სწორედ პატარა ცხოვრებებში ჭვრეტენ დიდები თავიანთ არსს და თავიანთ გრძნობებსაც იმ პატარ-პატარა გრძნობების ნახვის შემდეგ იფართოვებენ. შეზღუდული გრძნობები საძაგელ სახეს კი არ ღებულობენ, არამედ უფროდაუფრო ნაკლებ თანახმიერებაში არიან ჩვენ მიერ შეცნობილი ჭეშმარიტების სიდიადესთან. დასაშვებია, რომ ადამიანმა ჩვეულებრივ ცხოვრებაზე უკეთეს ყოფიერებაზე იოცნებოს, მაგრამ, ვფიქრობ, დაუშვებელია ამ ოცნების აგება ყოველდღიურ ცხოვრებაში არარსებული ელემენტებით. ჩვენ გვგონია, რომ კარგია ცხოვრების ზემოთ ყურება, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, რომ ჩვენი სულისთვის ზუსტად თავის პირდაპირ ცქერა გვესნავლებინა და — რათა საბოლოოდ იქ განეთავსებინა თავისი სურვილ-ოცნებები — მხოლოდ იმ მწვერვალების იმედით ყოფილიყო, მკაფიოდ რომ იკვეთებიან ჰორიზონტზე და მკვეთრად გამოირჩევიან მათ ზემოთ მანათობელი ღრუბლებისგან?

LXXXVIII

ეს ყველაფერი გვაბრუნებს ნერტილთან, რომელიც დიდი ხნის წინ დავტოვეთ. ჩვენ ერთხანს შევჩერდით გარეგან ბედისნერასთან, თუმცა არის სხვა ცრემლებიც, გარდა იმისა, რასაც გარეგანი სევდა-ნაღველი გვაღვრევინებს. ბრძენმა, რომელიც ჩვენ გვიყვარს, ადამიანურ ვნებათა შუაგულში უნდა იცხოვროს, რადგან ჩვენი გულის ცეცხლია ერთადერთი საკვები, რომლითაც სიბრძნე ხანგრძლივ და უსაფრთხო საზრდოობას შეძლებს. ჩვენი ვნებები არიან მუშები, რომლებსაც ბუნება ჩვენივე ცნობიერების ანუ ჩვენი ბედ-

ნიერების სასახლის ასაგებად გვიგზავნის. ხოლო ის, ვისაც არ სჯერა ამ მუშების და ფიქრობს, რომ მათ გარეშე შეძლებს ყოფიერების ქვების აზიდვას, ვერსად შეაფარებს სულს, ვინრო, ციცი და ცარიელი სენაკის გარდა.

ბრძენად ყოფნა ვნების უქონლობას კი არ ნიშნავს, არამედ იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა განიწმინდოს ვნებები. ყველაფერი დამოკიდებულია იმ პოზიციაზე, რომელსაც დღეთა კიბეზე დავიკავებთ. ერთისთვის ზნეობრივი სისუსტეები და ჩავარდნები ის საფეხურებია, რომლებსაც იგი ქვემოთ მოუყვება; მეორეს იგივე საფეხურები ზემოთ მიუძღვის. შესაძლოა, ბრძენკაცი ბევრ ისეთ რამესაც შვრებოდეს, რასაც არაბრძენი იქმს. თუმცა ამ უკანასკნელის ვნებები მუდამ უფრო ინსტინქტში ეფლობა, ხოლო ბრძენისა კი, საბოლოოდ, მისივე ცნობიერების მივარდნილ კუნჭულს გაანათებს ხოლმე. აუცილებელი არ არის, რომ ბრძენს, ვთქვათ, შეშლილივით უყვარდეს. მაგრამ თუ მაინც ასე უყვარს, მაშინ შეიძლება სიბრძნის ისეთ საფეხურზე ავიდეს, სადაც ვერასოდეს ავიდოდა მხოლოდ ბრძნულად შემყვარებელი. უძრაობასა და სიცარიელეში ხარობს არა სიბრძნე, არამედ ყველაზე უფრო უსარგებლო ჯურის ქედმაღლობა. მხოლოდ იმის ცოდნა არ კმარა, რა უნდა ვქნათ, ან იმის უტყუარი განჭვრეტა, როგორ მოიქცეოდნენ გმირები. ეს ცოდნა შეგვეძლო გარეგნულადაც შეგვეძინა რამდენიმე საათში. არ კმარა არც მხოლოდ კეთილშობილურად ცხოვრების განზრახვა, მერე კი ამ განზრახვის აღსასრულებლად საკუთარ სენაკში გამოკეტვა. ამნაირად მიღებული სიბრძნე ისევე ვერ წარმართავს და ვერ გაამშვენიერებს თქვენს სულს, როგორც სხვებისგან მიღებული რჩევები ვერ წარმართავდა და ვერ გაამშვენიერებდა.

„უნდა ვეძებოთ ყვავილი, მდუმარებაში რომ გაიშლება ქარიშხლის შემდეგ, არა მანამდე", ამბობს ინდური ანდაზა.

LXXXVIX

რაც უფრო გულმართლად ვინაცვლებთ ნინ ყოფიერების ბილიკებზე, მით მეტად გვჯერა ცხოვრების ყველაზე უბრალო და ყოველდღიური კანონების სიმართლის, მშვენიერებისა და სიღრმის. სწორედ ასეთი ზოგადობა, ასეთი საყოველთაობა, ასეთი ყოველდღიური ხასიათი გვასწავლის მათ პატივისცემას. უფროდაუფრო ნაკლებად ვეძებთ უჩვეულოს, რადგან დროულად ვცნობთ, რომ ბუნების მშვიდ და მონოტონურ სვლაში ყველაზე უჩვეულო რამ თვით ჩვენი უმეცრებისა და პატივმოყვარეობის ბავშვური მოთხოვნებია. მიმდინარე საათებიდან ჩვენ აღარ ველით უცხო და განსაცვიფრებელ ხდომილებებს, რადგან ასეთები მხოლოდ იმათ ემართებათ, ვისაც ჯერ საკუთარი თავის ან ცხოვრების რწმენა არ მოუხვეჭია. აღარ ველოდებით, გულხელდაკრეფილნი, ზეადამიანურ მოვლენას, რადგან ვგრძნობთ, რომ იგი ადამიანის ყველა ქმედებაშია. ამიერიდან აღარ ვითხოვთ, რომ სიყვარული, მეგობრობა და სიკვდილი წარმოსახვითი სამკაულებით მორთულნი, სასწაულებრივი ნიშნებითა და დამთხვევებით გარშემორტყმულნი მოგვეელინონ, — სადღეისოდ ჩვენ უკვე ვიცით, როგორ მივიღოთ ისინი მთელი მათი უბრალოებით და სიშიშვლით. დაბოლოს, ვირწმუნებთ თავს იმაში, რომ ვაჟკაცურად და მთლიანად მიღებულ არსებობაშიც მოეძებნება ექვივალენტი ჰეროიკას და ყოველივე იმას, რაც სუსტთა, შეუგნებელთა და მშფოთვარეთა თვალში დიადსა და უჩვეულოს შეადგენს. საკუთარი თავი სამყაროს რჩეულ

და უნიკალურ შვილად კი აღარ მიგვაჩნია, არამედ ცნობიერებას ვიფართოებთ, ხოლო ღიმილს და სიმშვიდეს იმ ყველაფრით ვინათებთ, რასაც ქედმაღლობას ვართმევთ.

ამ წერტილამდე მოსულებს, წმინდა ტერეზას თუ ჯვრის ხუანის[23] საკვირველი თავგადასავლები, მისტიკოსთა ექსტაზები, ლეგენდარული სიყვარულების ზებუნებრივი გამოვლინებები, ალექსანდრე მაკედონელის თუ ნაპოლეონის ვარსკვლავი ბავშვურ ილუზიებად გვეჩვენება წრფელი და ადამიანური სიბრძნის კეთილ და ჯანსაღ ლოიალობასთან შედარებით. ეს სიბრძნე არ ოცნებობს იმაზე, რომ ადამიანებს აღემატოს და ისეთი რამ განიცადოს, რასაც ისინი არ განიცდიან. მან იცის, როგორ იპოვოს ყველას მიერ ყოველთვის განცდილში ის, რაც გულისა და აზრის გაფართოებას სჭირდება. ჭეშმარიტ ადამიანად ჩამოყალიბება იმით არ ხდება, რომ საკუთრივ ადამიანისგან განსხვავებული რამ ვისურვოთ. რამდენი ვინმე ხარჯავს თავის სიცოცხლეს გაურკვეველი კომეტის მოლოდინში და არასოდეს უყურებს სხვა ვარსკვლავებს, რაკი მათ ყველა ხედავს და რაკი ისინი აურაცხელია! ხშირ შემთხვევაში, უჩვეულოს ნდომა ჩვეულებრივი სულების დიდი სნეულებაა. პირიქით: საკუთარ თავს უნდა ვუთხრათ, რომ რაც უფრო მეტად გვეჩვენება ჩვენს თავს გადამხდარი ამბები ნორმალურად, საყოველთაოდ, ერთსახოვნად, რაც უფრო უკეთ ვამჩნევთ და მეტად გვიყვარს ცხოვრების სიღრმეები და სიხარულები ისევდაისევ ამ საყოველთაობაში, მით მეტად ვუახლოვდებით ჩვენი მამოძრავებელი დიადი ძალის სიმშვიდეს და ჭეშმარიტებას. არაფერია, მაგალითად, ისეთი ჩვეულებრივი, როგორც ოკეანე, ჩვენი პლანეტის ორი მესამედი რომ დაუფარავს. მაგრამ, იმავდროულად, არაფერია მასზე უვრცესი. არ

არსებობს ადამიანში აზრი, გრძნობა, მშვენიერი თუ დიადი ქმედება, რომელიც ყველაზე ჩვეულებრივი ყოფიერების უბრალოებაშიც არ დასტურდებოდეს. ხოლო ის ყველაფერი, რაც ასეთ ყოფიერებაში თავის ადგილს ვერ პოულობს, ჯერ კიდევ სიზარმაცის, უვიცობისა და მზვაობრობის სიცრუეებია.

XC

ამ ყველაფრით იმის თქმა ხომ არ გვსურს, რომ ბრძენი ამ ცხოვრებიდან სხვას არაფერს უნდა ელოდეს, გარდა იმისა, რასაც დანარჩენი ადამიანები ელიან, რომ მას ულიმლამობა უნდა უყვარდეს, მცირედით უნდა დაკმაყოფილდეს, სურვილები შეიზღუდოს და თავისი ბედნიერებაც იმით შეშინებულმა დასაზღვროს, ვაითუ ბედნიერებას ვერ შევნვდეო? პირიქით: სიბრძნე, რომელიც მეტისმეტად იოლად ამბობს უარს რომელიმე ადამიანურ იმედზე, კოჭლია და ავადმყოფური. ადამიანის არაერთი კანონიერი სურვილი შესანიშნავად უძლებს გონების უმკაცრეს გამოცდას. მაგრამ თავი უბედურად არ უნდა ვიგრძნოთ, თუკი გარშემომყოფნი ჩვენს ბედნიერებაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავენ. ცუდი არ იქნებოდა გვერწმუნა, რომ ადამიანურ ბედნიერებაში ყველაზე შესაშური მისი ყველაზე უბრალო მომენტებია. ბრძენი სწავლობს, როგორ გამოაცოცხლოს და როგორ უყვარდეს სიცოცხლის მდუმარე სუბსტანცია. მხოლოდ ამ მდუმარე სუბსტანციაშია ურყევი სიხარული. რაც შეეხება უჩვეულო სიხარულებს — ისინი ვერასოდეს ბედავენ ჩვენს გვერდით ყოფნას კუბოს კარამდე.

მნიშვნელოვანია, რომ სხვა დღეებივით ძმურად მივიღოთ და გულში ჩავიკრათ ის დღეც, რომელიც გვიახლოვდება და გვშორდება რაიმე უჩვეულო სიხა-

რულისა თუ იმედის გარეშე. ვიდრე ჩვენამდე მოვიდოდა, ამ დღემაც იგივე სივრცეები და სამყაროები მოიარა, რომლებიც სხვამ, — გამორჩეულმა, — სამეფო ტახტზე ან დიდი სიყვარულის კალთაში რომ მოგვისნრო. ეს დღე თავისი მოსასხამის ქვეშ, ეგების, ნაკლებად ბრნყინვალე წუთებს მალავს, სამაგიეროდ — უფრო მორიდებულად ერთგულებსაც. უსიტყვოდ გასულ კვირაში იმდენივე მარადიულ წუთს ვითვლით, რამდენსაც სხვა კვირაში, ხანგრძლივ შეძახილებში რომ ჩაიგრიალა. არსებითად, რასაც ესა თუ ის წუთი გვეუბნება, იმას თვითონვე ვეუბნებით საკუთარ თავს. წუთი, თავისთავად, მერყევი და გაუბედავი მოგზაურია, რომელიც გაიხარებს ან მოიღუშება იმისდა მიხედვით, მომღიმარი დახვდებათ მასპინძელი თუ კოპებშეკრული. მან კი არ უნდა მოგვიტანოს ბედნიერება, ჩვენ თავად უნდა გავაბედნიეროთ: ის ხომ ჩვენს სულში თავშესაფარს ეძებს. ბრძენიც ის არის, ვისაც ყოველთვის მოეპოვება ამ მოგზაურისთვის რაღაც სასიხარულო და დამამშვიდებელი. ჩვენში ბედნიერების უმარტივესი საბაბები უნდა დაგროვდეს. ამიტომაც ხელიდან ნუ გავუშვებთ ბედნიერად ყოფნის ნურცერთ შანსს. ჯერ ისეთი ბედნიერების განცდას შევეცადოთ, როგორადაც ის ადამიანებს ესმით, რათა შემდეგ უკვე შეგნებულად ვარჩიოთ ჩვენებურად გაგებული ბედნიერება. აქაც იგივე ხდება, რაც სიყვარულში. ოდესმე მაინც უნდა გყვარებოდათ ღრმა სიყვარულით, რათა იცოდეთ, როგორ გიყვარდეთ მაშინ, როდესაც კიდევ შეგიყვარდებათ. ზოგჯერ კარგია ბედნიერების ხილულად გამოვლენა, რათა გავიგოთ, როგორია მისი უხილავი ფორმები. და ეგებ აუცილებელი არც არის ყური დავუგდოთ მაინცდამაინც ხმამაღლა მოლაპარაკე მთვრალ წუთებს, რათა უამისოდაც დაეეუფლოთ მუდამ ხმადაბლა

მოჩურჩულე წუთების ენას. მხოლოდ ასეთები არიან მრავლად, ამოუწურავად, მხოლოდ ისინი არ გვიღალატებენ და არ გაგვექცევიან თავისივე სიმრავლის გამო, და ბრძენიც მხოლოდ მათი იმედით თუ იქნება. ბედნიერად ყოფნა, ესაა თვითწრთვნა იმაში, რომ გამოვავლინოთ უამრავ უსახელო წუთში ჩამალული ღიმილი და მათი იდუმალი სამკაულები, რომლებიც ისევდაისევ *ჩვენშია.*

XCI

მაგრამ არაფერი ისე არ უპირისპირდება ჩვენ მიერ ნაგულისხმევ სიბრძნეს, როგორც ფლიდი სიფრთხილე. უკეთესი იქნებოდა, რომ ამაოდ გვეფართხალა ცოტაოდენი ბედნიერების ირგვლივ, ვიდრე კერიის გვერდით გვძინებოდა იმ იდეალური ბედნიერების მოლოდინში, რომელიც არასოდეს არ მოვა. იმის სახურავზე, ვინც სულ სახლში ზის, როგორც წესი, ისეთი სიხარულები ცვივა, რომელიც არავის არაფრად სჭირდება. ნურც იმას დავარქმევთ ბრძენს, ვინც, მაგალითად, გრძნობების სფეროში იმაზე უსასრულოდ შორს არ მიდის, რის მოლოდინსაც გონება კარნახობს ან გამოცდილება ურჩევს. ნურც იმ ადამიანს ვუწოდებთ ბრძენს, რომელიც თავის მეგობართან არ იხსნება ამ მეგობრობის დასასრულის წინათგრძნობით, და ნურც იმ მიჯნურს, რომელიც მთელი არსებით არ ეძლევა სიყვარულს მასში მთლიანად დანთქმის შიშით.

ჩვენს თავს უნდა ვუთხრათ, რომ ოცი უბედური შემთხვევაც კი ბედნიერებისთვის განკუთვნილი ჩვენი ენერგიის მხოლოდ მოკვდავ ნაწილებს თუ ნაგვართმევს და, საბოლოო ჯამში, მთელი სიბრძნე მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერების ერთგვარი განწმენდილი ენერგიაა. ბრძენობა, უწინარეს ყოვლისა,

იმის სწავლაა, როგორ იყო ბედნიერი და, იმავდროულად, უფროდაუფრო ნაკლები ყურადღება მიაქციო იმას, თუ რას ნარმოადგენს ბედნიერება თავისთავად. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ადამიანი შეძლებისამებრ დიდხანს იყოს შეძლებისამებრ ბედნიერი, რადგან ის ადამიანი, ვინც საკუთარი თავიდან ბედნიერების კარით გააბიჯებს, ათასგზის უფრო თავისუფალია, ვიდრე ის, ვინც სევდის კარიდან გადის. ბრძენ ადამიანს სიხარული გულსაც უცისკროვნებს და სულსაც, სევდა კი ხშირად ოდენ გულს თუ ანათებს. ადამიანი, რომელიც არასოდეს ყოფილა ბედნიერი, იმ მოგზაურს ჰგავს, რომელსაც მხოლოდ ღამღამობით უმოგზაურია.

გარდა ამისა, ბედნიერებაში უფრო ღრმა და უფრო კეთილშობილი, უფრო წმინდა და უფრო ვრცელი თავმდაბლობაა, ვიდრე უბედურებაში. არსებობს თავმდაბლობა, რომელიც უნდა ჩავწეროთ ისეთი პარაზიტი სათნოებების სიაში, როგორიცაა ბერნი თავგანნირვა, სიმორცხვე, თვითნებური უმანკოება, ბრმა განდგომილება, ბნელი მორჩილება, მონანიების ციებ-ცხელება და სხვები, რომლებიც ადამიანური ზნეობის ცოცხალ წყლებს კიდევ დიდხანს მიაქცევენ იმ ჩაძინებული ჭაობისკენ, რომლის გარშემო დღემდე დაწანწალებენ ჩვენი მოგონებები. მე არ ვლაპარაკობ ფლიდ თავმდაბლობაზე, რომლის უკანაც, უმეტესწილად, მხოლოდ გამორჩენა დგას ან, უკეთეს შემთხვევაში, ქედმაღლური მორჩილება და დღევანდელი ამაოების მიერ ხვალინდელი ამაოებისთვის მიცემული ერთგვარი მევახშური სესხი. მაგრამ ზოგჯერ თვით ბრძენიც წარმოიდგენს ხოლმე, რომ უპრიანი იქნება ოდნავ პატარა გამოჩნდეს თავისივე თვალში და არ მიანეროს თავის თავს ის ღირსებები, რომელთაც ნამდვილად ფლობს სხვა ადამიანებთან შედარებით. თავისი სინრფელის მიუხედავად, ასეთი

თავმდაბლობა ჩვენს შინაგან ლოიალობას — ყველაზე უნინარესად პატივსაცემს — ართმევს იმას, რასაც ჩვენივე ცხოვრებისეული პოზიციის სილბოს ამატებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს თავმდაბლობა ამყლავნებს ცნობიერების გარკვეულ მორიდებულობას, არადა, ბრძენის ცნობიერებას არ უნდა ახასიათებდეს რამენაირი მორცხვობა თუ მორიდებულობა.

თუმცა ამ მეტისმეტად პირადული თავმდაბლობის გვერდით არსებობს ზოგადი თავმდაბლობაც, მაღალი და მტკიცე, რომელიც იმ ყველაფრით საზრდოობს, რასაც ჩვენი გონება, სული და გული ითვისებს. ეს თავმდაბლობა ზედმინევნით გვიჩვენებს, რისი მოლოდინი და იმედი შეიძლება ჰქონდეს ადამიანს; მხოლოდ იმიტომ გვაპატარავებს, რომ უფრო დიდი გახადოს ყველაფერი, რასაც ვუყურებთ; გვასწავლის, რომ ადამიანის მნიშვნელობა იმაში კი არ მოიძიება, რაც იგი არის, არამედ იმაში, რისი დანახვაც მას ძალუძს, რის დაშვება-გაგებასაც ცდილობს. მართალია, ამ თავმდაბლობის საუფლოს კარს მწუხარებაც გვიღებს, მაგრამ ამ დროს მას მეტისმეტად პირდაპირ მივყავართ — ვერც კი გეტყვით — რომელი იმედისკენ, რომლის ზღურბლზე ტყუილუბრალოდ ვკარგავთ უამრავ დღეს; ზღურბლზე, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ ბედნიერებას სხვა აღარაფერი ესაქმება, გარდა იმისა, რომ მდუმარედ მოიაროს ყოვლად მიუწვდომელი ბილიკები. ეს მაშინ, როცა ბრძენი შეძლებისდაგვარად ბედნიერია და, იმავდროულად, იმდენად ცოტას ითხოვს და ისეთი თავმდაბალია, როგორც არავინ. და რაკი იცის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ფლობს ყველაფერს, რისი ფლობის უნარიც ადამიანს შესწევს, ახლაღა იწყებს გაგებას, რომ მთელ მის მონაპოვარს ერთადერთი რამ ანიჭებს ღირებულებას: ის, თუ როგორ წარმოუდგება ყოველივე დანარჩენი, რასაც ადამიანი

ვერასოდეს დაეუფლება. ამგვარად, მხოლოდ ხანგრძლივი ბედნიერების კალთაში ვიძენთ ცხოვრების თვითმყოფად ხედვას. ბედნიერი თვით ბედნიერებისთვის კი არ უნდა ვიყოთ, არამედ იმისთვის, რომ ვისწავლოთ, როგორ ვხედავდეთ თვალნათლივ იმას, რასაც ყოველთვის დაგვიმალავს ბედნიერების ამაო და ერთობ პასიური ლოდინი.

XCII

თუმცა დავტოვოთ ეს თემა და დავუბრუნდეთ, რასაც ცოტა ხნის წინ ვამბობდით. ჩვენი გულის საუფლოში, რომელიც თითქმის ყველა ადამიანისთვის ის საუფლოა, სადაც ყოფიერების მოსავალი იკრიფება, არ არსებობს უსარგებლო დანაზოგები. უმჯობესი იქნება, ამ საუფლოში საერთოდ არაფერი გაკეთდეს, ვიდრე გაკეთდეს სანახევროდ. და ყოველთვის უცილობლად კარგავენ ხოლმე იმას, რისთვისაც ვერ ბედავენ გარისკვას. სინამდვილეში, ვნებას მხოლოდ ის მიაქვს ჩვენგან, რაც გვეგონა რომ დავუმალეთ, და მუდამ ის ნაწილი გვერთმევა, რომელიც გვგონია რომ ჩვენთვის გადავინახეთ. სხვათა შორის, ჩვენს სულში არსებობს ზოგიერთი ისეთი ღრმა სამალავი, სადამდე ჩასვლას მხოლოდ სიყვარული თუ გაბედავს. და მხოლოდ იგივე სიყვარულს თუ ამოაქვს იქიდან მოულოდნელი საუნჯე, რომლის ელვარებას მხოლოდ იმ წამში ვამჩნევთ, როდესაც ჩვენი ხელებიდან საატრფოს ხელებში გადადის. მართლაც: დროდადრო თითქოს გასაცემად გახსნის წამს გამოასხივებენ ხოლმე ჩვენი ხელები უცხო სინათლეს, რომელიც ისეთ გაუმჭვირ სხეულებშიც შედის, სადაც თვით იდუმალი სხივებიც კი ვერ აღწევს.

XCIII

რისთვის ვინაღვლოთ დაუსრულებლად საკუთარი შეცდომებისა და დანაკარგების გამო? რაც უნდა მოხდეს, ყველაზე სევდიანი საათის ბოლო წუთებში, კვირის დამლევს თუ წლის დასასრულს საკუთარ თავში შებრუნებულ კეთილ კაცს ყოველთვის გამოუჩნდება ღიმილის მიზეზი. ნელ-ნელა იგი იმასაც სწავლობს, როგორია სინანული უცრემლოდ. იგი ოჯახის მამაა, რომელიც საღამოს სამუშაოს ამთავრებს და შინ ბრუნდება. შეიძლება ამ დროს ბავშვები ტირიან, უხეშ ან სახიფათო თამაშებს თამაშობენ, ავეჯი მიუწევმოუწევიათ, ჭიქა გაუტეხავთ, ლამპა გადაუბრუნებიათ... რა ქნას ოჯახის მამამ — სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს? თეორიული მორალით, რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა ბავშვები წყნარად ყოფილიყვნენ, ეწერათ ან ეკითხათ. მაგრამ საყვედურის საყვედურზე მფრქვეველი რომელი გონიერი მამა არ მიაბრუნებს რაღაც მომენტში თავს და არ გაიღიმება უჩუმრად? ის არ მოსთქვამს ცხოვრების პატარ-პატარა გიჟმაჟური გამოვლინებების გამო. არაფერია დაკარგული, რადგან შეუძლია დაბრუნდეს და რადგანაც მუდამ თან ატარებს თავისი საბინადროს გასაღებს. საკუთარ თავში ჩასვლის სიკეთე თვით ჩასვლაში უფროა, ვიდრე იმის შემოწმებაში, რა მოიმოქმედა ან რას მიაღწია ჩვენმა სულმა, გულმა თუ გონებამ ჩვენს არყოფნაში. და თუ საათებმა ჩვენს ზღურბლზე თავიანთი იდუმალი ქამრების შეუხსნელად ჩაიარეს, თუ ოთახები ისეთივე ცარიელი დაგვხვდა, როგორიც ნასვლისას დავტოვეთ, თუ ხელიც არ გაუნძრევიათ იმათ, ვისაც იქ უნდა ემუშავა, მაშინ ჩვენი დაბრუნებული ნაბიჯების ხმიერი ულერა რაღაცას მაინც გვამცნობს ჩვენი საბინადროს სივრცის, მისი მოლოდინის და ჩვენდამი ერთგულების შესახებ.

XCIV

უღიმღამო დღეები მხოლოდ ჩვენშივე არსებობს. მაგრამ თვით ყველაზე უღიმღამო დღეებშიც კი ყოველთვის მოიძებნება ადგილი უფრო მაღალი ბედისწერისთვის, რადგან ასეთი ბედისწერა გაცილებით უფრო სრულად იშლება ჩვენში, ვიდრე ევროპის ზედაპირზე გაიშლებოდა. ბედისწერის ადგილი იმპერიის სივრცეში არ არის, ჩვენს გულშია. ჩვენი ჭეშმარიტი ბედისწერა ცხოვრების ჩვენეულ ხედვაშია, — იმ წონასწორობაში, რომელიც მყარდება ცის გადაუწყვეტელ კითხვებსა და მიწის ბუნდოვან პასუხებს შორის. გაშლა-გავრცობასთან ერთად, ეს კითხვები უფრო მშვიდობიანი ხდება, და ყველაფერი, რაც ბრძენს შეიძლება გადახდეს, ამ კითხვებს უფროდაუფრო ზრდის, პასუხებს კი უფროდაუფრო მშვიდობიანს ხდის.

ნუ ილაპარაკებთ ბედისწერაზე, როცა რომელიმე მოვლენა ისე გაგახარებთ ან ისე დაგამწუხრებთ, რომ არაფერს შეცვლის თქვენსა და სამყაროს ურთიერთობაში. ერთადერთი, რაც სიყვარულის, დიდების, ყოველგვარი თავგადასავლისა და ყველნაირი ადამიანური ვნების ჩავლის შემდეგ გვრჩება, ესაა უსასრულობის უფროდაუფრო გაღრმავებული გრძნობა. თუ ეს არ გვრჩება, მაშინ საერთოდ არაფერი გვრჩება. მე ვუსმენ გრძნობას და არა აზრთა სიმრავლეს, რადგან, ამ შემთხვევაში, აზრები მხოლოდ ურიცხვი საფეხურებია, რომლებსაც იმ გრძნობისაკენ მივყავართ, რომელზეც ახლა ვლაპარაკობ. არავითარი ბედნიერება არ არის „ბედნიერებაში", თუკი არ გვეხმარება, რომ სხვა რამეზეც ვიფიქროთ და რამდენადმე მაინც გავაცნობიეროთ ის იდუმალი სიხარული, რომელსაც სამყარო განიცდის თავისი არსებობის გამო.

განსაზღვრულ სიმაღლეზე ასულ ბრძენს ყოველგვარი მოვლენა დაამშვიდებს, რადგან მოვლენა, რომელიც თავდაპირველად მასაც ისევე აწუხებს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, ყველა სხვა მოვლენის მსგავსად იმით ამთავრებს, რომ ყოფიერების დიდ განცდას თავის წონასაც ამატებს. საკმაოდ ძნელია წაართვა კმაყოფილების გრძნობა იმას, ვინც იცის, როგორ აქციოს ყველაფერი უანგარო განცვიფრებად. ძნელია წაართვა კმაყოფილების გრძნობა ისე, რომ იდეამ, რომელიც შეიძლება ამ კმაყოფილებიდან მოდიოდეს, მაშინვე არ შვას უფრო მაღალი აზრი, მფარველი შუქივით რომ შემოეხვევა ამ ადამიანს. მშვენიერი ბედისწერა ისაა, რომელშიც არცერთი ხდომილება — ბედნიერი თუ უბედური — ისე არ ჩაივლის, რომ არ ჩაგვაფიქროს, სულის სამოძარო სივრცე არ გაგვიფართოვოს, არ გაზარდოს ცხოვრებასთან ჩვენეული მიმართების სიმშვიდე. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბედისწერა გაცილებით უფრო რეალურად იკითხება იმაში, თუ რა თვალით ვუყურებთ ღამეულ ცას, გულგრილ ვარსკვლავებს, გარშემომყოფ ადამიანებს, ჩვენში შეყვარებულ ქალს და ჩვენშივე მოფუთფუთე ათასობით აზრს, ვიდრე იმ ხდომილებაში, რომელიც ჩვენი სიყვარულისგან გვწყვეტს, სადმე ტრიუმფალურ შესვლას გვიმზადებს ან სამეფო ტახტზე ავყავართ.

XCV

ერთხელ ერთი კაცი ეკითხებოდა ქალს, რომელიც ქალთა შორის უმშვენიერეს, მრავალმხრივ და, მათ შორის, სინორჩითა და ფიზიკური სილამაზით დაჯილოდებულ არსებად მიაჩნდა:

„რას აპირებთ? რანაირ ადამიანს შეიყვარებდით?

გამოსავალს ვერ ვხედავ. არ არსებობს ბედისწერა, რომელიც თქვენი სულის სიმაღლეზე იდგეს.“

რა გაეგებოდა ამ კაცს? სიმაღლე ბედისწერას კი არა, სულს უნდა ჰქონდეს. ალბათ, ადამიანთა კვალობაზე, ეს კაციც სამეფო ტახტზე, ტრიუმფებზე, საოცარ ფათერაკებზე ფიქრობდა. მაგრამ იმას, ვისთვისაც *საგნები* შეადგენს ადამიანის ბედისწერას, ნარმოდგენაც არა აქვს ამ უკანასკნელზე. ან, საერთოდ, რატომ უნდა გვეზიზღებოდეს დღევანდელი დღე? მისი სიძულვილი ნიშნავს, რომ საერთოდ ვერაფერი გაგვიგია. ეს ხომ საკუთარი თავის უცხოთესლად გამოცხადებას ნიშნავს. საერთოდ რისი გაკეთების იმედი გაქვთ წუთისოფელში, თუ თავი მის მკვიდრად არ მიგაჩნიათ? დღევანდელ დღეს გუშინდელთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ *არსებობს* და *ჩვენთვის* არის შექმნილი. როგორიც უნდა იყოს, დღევანდელი დღე გუშინდელზე უფრო გრძელია და, ამდენად, უფრო ვრცელი და მშვენიერიც.

ხომ არ ფიქრობთ, რომ ჩემ მიერ ნახსენები ქალი ვენეციის, ფლორენციის ან რომის უმშვენიერესი ბედისწერა იქნებოდა? იქ გამართულ დღესასწაულებს დაესწრებოდა, სრულქმნილი ლანდშაფტების ფონზე ისეირნებდა, პრინცებს, მეფეებს, მთელ ელიტას, ალბათ, თავის ფერხთით დაჩოქილს ნახავდა, ერთი გაღიმებით გააბედნიერებდა უამრავ ადამიანს, მთელი ეპოქის აზრს შეარბილებდა და გააკეთილშობილებდა. დღესდღეობით კი მთელი მისი ცხოვრება, როგორც ჩანს, ოთხი-ხუთი ადამიანის წრეში ჩაივლის, — ვინც მას იცნობს და ვისაც უყვარს. იქნებ სახლიდანაც კი არ გადის და მისი არსებობა, მისი აზრი და ძალა არავითარ შესამჩნევ და ხანგრძლივ კვალს არ ტოვებს. იქნებ მთელი მისი მშვენიერება, ძალმოსილება, ენერგია მასშივე იმარხება, — მასში და მასთან დაახლოებულ კიდევ რამდენიმე ადამი-

ანში. ისიც შესაძლებელია, რომ მისმა სულმა თავისი არხი მოძებნოს. ჩვენს დროში სასარგებლო და ღირსსახსოვარი ცხოვრებისაკენ გამავალი კარიბჭე სხვაგვარ ანჯამებზე ჰკიდია და სხვანაირი ჭრიალით იღება. შესაძლოა, ეს კარიბჭე ნაკლებად მონუმენტურია, მაგრამ ასეთ კარიბჭეთა რიცხვი დღეს უფრო მეტია და გასვლითაც უფრო ჩუმ ბილიკებზე გადის, — ჩუმზე, რამეთუ უფრო შორს მიმავალზე.

მაგრამ, ვთქვათ, ყველაფერი მართლაცდა წყდიადს მოუცავს. ნუთუ ეს ბანოვანი უბედისნეროდ დარჩება, რაკი მის სამკვიდროში ერთი სხივიც არ შეიჭრება? ნუთუ შეუძლებელია, რომ ბედისნერა თავისთავად იყოს სრული და მშვენიერი? შეჩერდება თუ არა ნამდვილად ძლიერი სული თავის გარდასულ ტრიუმფებთან, თუ ამ გამარჯვებებმა ცხოვრებაზე არ ჩააფიქრა, არ გაზარდა მასში ადამიანური არსებობის კეთილშობილური თავმდაბლობა, უფრო ღრმად არ შეაყვარა დუმილი და მედიტაცია, რომლის დროსაც ვკრეფთ დიდების, სიყვარულის, ენთუზიასტური მხურვალებით სულ რამდენიმე საათში დამნიფებულ ნაყოფებს? რა დარჩება იმ დღეასაწაულებისა და იმ გმირულ, კეთილისმქმნელ თუ ჰარმონიულ ქმედებათა შედეგად, თუ არა რამდენიმე აზრი, მოგონება, ერთი სიტყვით — რამდენადმე უფრო გაფართოებული ცნობიერება და, რაკი უფრო მეტ საგნებთან მოუნია შეხება, ამ მინაზე ადამიანის მდგომარეობის უფრო დამშვიდებულ-გაფართოებული განცდა? აი, დგება მომენტი, როცა დიდების, სიყვარულის თუ ძალმოსილების ბრწყინვალე სამოსელს ვიხდით და მოსვენების საათი მოდის. არადა, განა ეს ჟამი ყოველ საღამოს არ რეკავს, ყოველ საღამოს და ყოველ ჯერზე, როცა მარტონი ვრჩებით? რა მიგვყვება ჩვენს განმარტოებაში, სადაც მთელი ცხოვრების ბედნიერება, საბოლოოდ, აზრის, მოხ-

ვეჭილი რწმენის, ცნობიერების სასწორზე იწონება? სად ბუდობს ჩვენი ჭეშმარიტი ბედისწერა — ჩვენ ირგვლივ მიმდინარე ამბებში თუ ჩვენს სულში?

„რაოდენ ძალმოსილიც უნდა იყოს დიდებისა თუ ძალაუფლების ბრწყინვა, რომლითაც ადამიანი ტკბება, მის სულს მალე გამოაქვს განაჩენი ყოველი ჯურის გარეგან მოქმედებასთან დაკავშირებული გრძნობებისთვის, სწრაფადვეამჩნევს, რა არარაობაა სინამდვილეში, და ვერაფერს პოულობს სანაცვლოს, ახალს თუ აღმატებულს თავის ფიზიკურ უნართა განხორციელებისას, — ამბობს მოაზროვნე, — მთელი დედამინაც რომ ჰქონდეს პირად საკუთრებაში, მეფეც სხვა ყველასავით განწირულია — იცხოვროს პატარა ნრეში, რომლის კანონებსაც ემორჩილება და რომელში მიღებულ პირად შთაბეჭდილებებზეც მისი ბედნიერება ჰკიდია."

..და რომელ შთაბეჭდილებებსაც ის მოგვიანებით იხსენებს, — დავამატებთ ჩვენ, — რადგან ამ შთაბეჭდილებებმა იგი უკეთესი გახადა. ის სულები ხომ, რომლებზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, მთელი განვლილი ცხოვრებიდან მხოლოდ იმ ხდომილებებს იტოვებენ, რომლებიც მათ ოდნავ მაინც გაზრდის, რამდენადმე კიდევ სრულქმნის. მაშ, ნუთუ შეუძლებელია, რომ სადმე, ნებისმიერ დუმილში, ვიპოვოთ ერთადერთი უცვალებელი სუბსტანცია, რომელიც უკეთილშობილესი გარეგანი არსებობის სიღრმეში რჩება? ჩვენ ხომ მხოლოდ იმდენად ვფლობთ რაიმეს, რამდენადაც ის წყვდიადსა და დუმილშიც მოგვყვება...

მაგრამ ძალზე შორს ნუ გავყვებით ამ გზებს, — მეტისმეტად თეორიულ სიბრძნემდე მიგვიყვანენ. თუ მშვენიერი გარეგანი ბედისწერა გარანტირებული არ გვაქვს, მაინც უნდა გვქონდეს მისი მოსვლის იმედი და ყველაფერი ვიღონოთ საამისოდ, თითქოს ამას ჩვენთვის უზენაესი მნიშვნელობა ჰქონდეს. ბრძენის

დიდი მოვალეობაა, რომ დიდების, მოქმედების, ბედნიერების, სიყვარულის ყველა ტაძარზე და ყველა სამყოფელზე დააკაკუნოს. თუ დიდი ძალისხმევის და ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ მაინც არცერთი კარი არ გაიხსნა, მაშინ ეგებ თვით ძალისხმევასა და მოლოდინში ჰპოვოს ნაძებნი სინათლე და ემოცია.

„მოქმედება ნიშნავს ჩვენივე აზროვნებისთვის გამოცდილების უვრცესი ველების დამატებას", — თქვა სადღაც ბარესმა.[26]

მოქმედება — დავამატებთ ჩვენ — ნიშნავს უფრო სწრაფ და უფრო სრულ აზროვნებას, რასაც საკუთრივ აზრი ვერ იზამს. მოქმედება აღარ გახლავთ მარტოდენ ტვინით აზროვნება, ესაა აზროვნება მთელი არსებით. მოქმედება ნიშნავს აზრის ყველა უღრმესი წყაროს დაკეტვას ოცნებაში იმისთვის, რომ ეს წყაროები რეალობაში გაიხსნას. თუმცა მოქმედება მაინცდამაინც ტრიუმფით სვლას არ ნიშნავს. მოქმედება მცდელობა, დალოდება, მოთმინებით ყოფნაა. მოქმედება ნიშნავს აგრეთვე მოსმენას, მობილიზებას, დადუმებას.

იმ ქალისთვის, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ათენში, ფლორენციაში თუ რომში მართლაც შეიძლებოდა ეარსება აღმაფრენის ისეთ მოტივებს ან სილამაზის თუ ჰეროიკის ისეთ ხდომილებებს, როგორსაც იგი დღესდღეობით ვერ იპოვიდა. გარდა ამისა, მისთვის იარსებებდა საკუთარ მოქმედებათა ძალისხმევა და მოგონება — ცოცხალი და მშვენიერი ძალა, რადგან ძალისხმევა, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, და მოგონება ყოველივე იმისა, რაც მოგვიმოქმედებია, ზოგჯერ ჩვენში უფრო მეტ რამეს გარდაქმნის, ვიდრე თვით უმაღლესი რამ აზრი, რომელიც, მორალური თუ ინტელექტუალური თვალსაზრისით, ათას ასეთ ძალისხმევად თუ მოგონებად ელირებოდა. დიახ, და ესაა ერთადერთი რამ, რის გამოც შეი-

ძლებოდა დაუდგრომელი და კაშკაშა ბედისწერის შეგვშურებოდა, რაკი ის ავრცობს და აღვიძებს ისეთ გრძნობებს და ენერგიას, რომლებიც უამისოდ ვერასოდეს დაუსხლტებოდნენ ძილს ან ერთობ უშფოთველ ყოფიერებას. მაგრამ იმის ცოდნა ან თუნდაც დაგულება, რომ ეს გრძნობები და ენერგიები ჩვენში თვლემენ, განა უკვე იმ საუკეთესოს გაღვიძებას არ უდრის, რაც მათ აქვთ? განა ეს უკვე არ ნიშნავს, რომ ერთი ნამით შევხედოთ მშვენიერ ბედისწერას იმ სიმაღლეებთან, სადაც ის მხოლოდ თავის უკანასკნელ დღეებში ავა, და რომ წინდანინ მოვწყვიტოთ ყვავილი, რომლის მოწყვეტას ის მხოლოდ მრავალი ქარიშხლის შემდეგ თუ შეძლებს?

XCVI

გუშინ საღამოს სენ-სიმონის გადაკითხვისას, სადაც თითქოს კოშკის სიმაღლიდან დაჰყურებ ველზე ამოძრავებულ ასობით ადამიანურ ბედისწერას, მე მივხვდი, რომ ადამიანის ინსტინქტი მშვენიერ ბედისწერას მოუხმობს. შესაძლოა, სენ-სიმონმა თვითონვე არ იცის, რა უყვარს და რა აღაფრთოვანებს ზოგიერთ გმირში, რომელთა მიმართ ერთგვარ მორჩილ და გაუცნობიერებელ პატივისცემას განიცდის. ბევრი სათნოება, რომლებსაც იგი მოწიწებით უყურებს, სადღეისოდ მკვდარია, და ბევრი თვისება, რომლებსაც ხოტბას ასხამს, დღეს მეტისმეტად მცირე ჩანს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საგანგებოდ არ განიხლავს და, არსებითად, არც ამართლებს მათ მამოძრავებელ იდეას, ოთხი-ხუთი სერიოზული, კეთილმოსურნე და ღირსშესანიშნავი სახე მისთვისვე ანგარიშმიუცემლად გაიელვებს დიდი ხელმწიფის ირგვლივ მოზიმზიმე ჯინჯილებიან ბრბოში. ესაა ფენელონი, შევრესისა და ბოვილიერის ჰერცო-

გები და ბატონი დოფინი. ეს კაცები დანარჩენ ადამიანთა უმრავლესობაზე ბედნიერები არ არიან. მათ არავითარი განსაზღვრული წარმატებისთვის არ მიუღწევიათ და არანაირი ბრწყინვალე გამარჯვება არ მოუპოვებიათ. სხვა ადამიანთა დარად, მათაც აქვთ თავ-თავისი ნაღველი და ისინიც იმის მოლოდინში ცხოვრობენ, რასაც, მე მგონი, თვით ამ მოლოდინის გამო თუ ერქმის ბედნიერება. ფენელონს თავს ატყდება გულისწყრომა იმ საკმაოდ უღიმღამო, თუმცა ფრთხილი და შორსმჭვრეტელი, მედიდური, უნდობელი და პომპეზური, პატარა საგნებში დიდი და დიდ საგნებში წვრილმანი სულისა, როგორიც იყო ლუი XIV. ფენელონს ასამართლებენ, სდევნიან და გადასახლებაში აგზავნიან. მნიშვნელოვანი მოვალეობის მიუხედავად, შევრესისა და ბოვილიერის ჰერცოგები სასახლის კარზე ერთგვარ ნინდახედულ და ნებაყოფლობით განმარტოებაში ცხოვრობენ. ვერც ბატონი დოფინი სარგებლობს მეფის კეთილგანწყობით, ძლიერი და მოშურნე პოლიტიკური ინტრიგის სამიზნე ხდება, ინტრიგის, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ამსხვრევს მის ახალგაზრდა სამხედრო დიდებას. იგი გარემოცულია გულისწყრომით, დაბრკოლებებით და უბედურებით, რასაც, როგორც ჩანს, პატივმოყვრულ და პირმოთნე სამეფო კარზე ვერაფერი გამოასწორებს, რაკი ეს ყველაფერი იმჟამინდელი მორალის შესატყვის პროპორციებს იღებს. მადამ დოფინის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ (ქალის, რომელიც მას სიგიჟემდე უყვარდა) კვდება თვით ბატონი დოფინიც. ვინ იცის, ეგებ ისიც იმ ქალივით მოწამლეს — დოფინი მეხდარტყმულივით იცელება სწორედ მაშინ, როცა თითქოსდა სამუდამოდ ზურგშექცეული მეფის ნყალობა დილის სხივებივით ეფინება მისი სასახლის საფეხურებს.

აი, ის სევდა-ვარამი, იმედგაცრუება და არეულო-

ბა, რომლითაც საესე იყო ამ ადამიანთა ცხოვრება. და მაინც, როცა ვუყურებთ მათ მდუმარე და ცალკე მდგომ ჯგუფს სხვების ცვალებად-ახირებული ელვარების ფონზე, ეს ოთხი ბედისწერა ნამდვილად დიდებული და შესაშური ჩანს. ყოველგვარ ბედუკულმართობაში მათ ყველგან დაჰყვებათ საერთო სინათლე, რომელიც ფენელონის დიდი სულიდან ასხივებს. იგი არ ღალატობს აღტაცების, სიწმინდის, სამართლიანობის, სინაზისა და სიყვარულის მაღალ იდეებს, დანარჩენი სამნი კი თავიანთ მასწავლებელსა და მეგობარს არ ღალატობენ.

რა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში იმას, რომ ფენელონის მისტიკურ იდეებს ჩვენ აღარ ვიზიარებთ? რა მნიშვნელობა აქვს თუნდ იმას, რომ აზრები, რომლებიც ჩვენ ულრმესი და საუკეთესო გვგონია და რომლებზეც ვაყრდნობთ ჩვენს ბედნიერებას და ჩვენი ცხოვრების ყველა უეჭველობას, ზურგსუკან ნანგრევებად გვექცევა და მომავალში ღიმილს მოჰგვრის იმათ, ვინც თავის აზრებს უფრო ჰუმანურად და საბოლოოდ ჩამოყალიბებულად მიიჩნევს? ჩვენს ცხოვრებას გაცილებით ნაკლებად აკეთილშობილებს და ანათებს ჩვენი აზრები, ვიდრე საკუთრივ *გრძნობები*, რომლებსაც ეს აზრები ჩვენში აღვიძებენ. აზრი შეიძლება მიზანია, მაგრამ ამ მიზანზეც იგივე ითქმის, რაც მოგზაურობათა უმრავლესობაზე: ეს არის ტრაექტორია, ეტაპები, გზად გადამხდარი ამბები, ის, რასაც მოულოდნელად გადავეყრებით ხოლმე, რაც ყველაზე მეტად გვაინტრიგებს. აქ, ისევე როგორც ყველგან, უმთავრესია ადამიანური გრძნობის სიწრფელე. არასოდეს არ ვიცით, ვტყუვდებით თუ არა ამა თუ იმ აზრში, მაგრამ სიყვარული, რომლითაც იგი შევიყვარეთ, ყოველთვის თავზე დაგვეცემა და ცდომილება მისი სინათლისა თუ ძალის ერთ წვეთსაც კი ვერ შეინირავს. რაც შეადგენს

და კვებავს იმ იდეალურ არსებას, რომლის შექმნასაც თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავში ცდილობს, ანუ რაც ამ არსების კონტურებს მოხაზავს, იმდენად იდეების ერთობლიობა არ არის, რამდენადაც ის წმინდა მისწრაფება, ერთგულება, უანგარობა, რომლითაც ჩვენ ამ იდეებს ვეკვლებით და ველოლიავებით. თუ როგორ და რამდენად გვიყვარს ჩვენ მიერ ჭეშმარიტებად მიჩნეული ღირებულება თვით ჭეშმარიტებაზე უფრო მნიშვნელოვანია. განა აზრზე და აზროვნებაზე უფრო მეტად *სიყვარული* არ გვსრულყოფს? დიდი ცდომილების ერთგული სიყვარული, უმეტესწილად, უფრო ღირებულია, ვიდრე დიდი ჭეშმარიტების ნვრილმანი მსახურება.

ეს ვნება და ეს სიყვარული, სხვათა შორის, ისევე შეიძლება არსებობდეს ეჭვში, როგორც რწმენაში. არსებობს ისეთი მგზნებარე, ისეთი დიდსულოვანი ეჭვები, რომლებიც თვით უმშვენიერეს რწმენასაც არაფრით ჩამოუვარდება. ჩვენ მიერ უმაღლესად, უწმინდესად თუ უბუნდოვანესად მიჩნეულ აზრში საუკეთესო სწორედ ის არის, რომ იგი რაღაცისადმი განუსაზღვრელი სიყვარულის შესაძლებლობას გვთავაზობს. თუკი მე ვეძლევი ადამიანს, ღმერთს, სამშობლოს, სამყაროს, თვით ცდომილებას, მაშინ ის ლითონი, რომელსაც, ადრე თუ გვიან, ჩემი გარდასული სიყვარულის ფერფლში იპოვიან, ამ სიყვარულის საგნიდან მომდინარე კი არ იქნება, არამედ თვით სიყვარულიდან. წარუშლელ კვალს მხოლოდ გულითადი სიყვარულის უბრალოება, მხურვალება და სიმტკიცე ტოვებს. ყველაფერი მიდის, იცვლება, ეგებ იღუპება კიდეც — ჩვენი გულის ამ სიღრმის, ამ სიმტკიცის, ამ ნაყოფიერების თვინიერ.

XCVII

„არასოდეს არავის შეუნარჩუნებია სულში ასეთი მშვიდობა“, ამბობს სენ-სიმონი ინტრიგებით, გულისნყრომითა და ხაფანგებით გარემოცულ ორ ადამიანთაგან ერთ-ერთზე. შემდეგ ლაპარაკობს მეორის „ბრძნულ სიმშვიდეზე“ და ეს ბრძნული სიმშვიდე მთლიანად მსჭვალავს იმას, რასაც სენ-სიმონი „პანანინა გუნდს“ უწოდებს. ეს, მართლაცდა, პანანინა გუნდია, საუკეთესო აზრთა ერთგულების, მეგობრობის, კეთილსინდისიერების, საკუთარი თავის პატივისცემისა და შინაგანი სიამოვნების პატარა გუნდი, რომელიც თავისთვის მიაბიჯებს უბრალო და მშვიდ სინათლეში, ვერსალის ყველა იმ ამბიციით, ამაოებით, სიცრუითა და ღალატით გარემოცული.

ისინი არ არიან წმინდანები, ამ სიტყვის გავრცელებული აზრით, ტყეში ან უდაბნოში არ გახვეწილან და არც ვიწრო სენაკებში უძღებნიათ თავმისადრეკი. ისინი ბრძენი ადამიანები არიან, ცხოვრების საზღვრებს არ ტოვებენ, რეალობაში რჩებიან. ნუ დავიჯერებთ, რომ მათი ხსნა მათივე ღვთისმოსაობაა და რომ მათი სულის ნავსაყუდელი მხოლოდ ღმერთშია. საკმარისი არ არის ღვთის სიყვარული და მისი შეძლებისდაგვარი მსახურება ადამიანის სულის განსამტკიცებლად და დასამშვიდებლად. ღმერთს მხოლოდ ადამიანებთან კონტაქტის დროს შეძენილ-განვითარებული აზროვნებითა და გრძნობებით თუ შევიყვარებთ. ადამიანის სული, ყოველივეს მიუხედავად, მუდამ ღრმად ადამიანური რჩება. შეგვიძლია მრავალი უხილავი საგნის სიყვარული ვასწავლოთ, მაგრამ მარტივი ადამიანური გრძნობა და სათნოება მას უფრო ქმედითად ასაზრდოებს, ვიდრე ყველაზე ღვთაებრივი გზნება. როცა ნამდვილად მშვიდ და ჯანსაღ სულს ვხედავთ, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ თავის სიმშ-

ვიდესა და სიჯანსაღეს იგი ადამიანურ სათნოებებს უნდა უმადლოდეს. რომ შეიძლებოდეს გარდასულ ადამიანთა გულის საიდუმლოში ჩახედვა, ეგების დაგვენახა, რომ ფენელონის შინაგანი სიმშვიდის წყარო, გადასახლებაში ყოფნის ყოველ საღამოს რომ ეწაფებოდა, გაცილებით უფრო მეტად ჩქეფდა მის ერთგულებაში უბედური მადამ გიონისადმი, მის სიყვარულში არაღიარებული და დევნილი დოფინისადმი, ვიდრე სიკვდილისშემდგომი ანაზღაურების მოლოდინში, ანუ უფრო ადამიანურად ნაზ, ადამიანურად ლოიალურ, ადამიანურად უსაყვედურო ცნობიერებაში, ვიდრე მის ქრისტიანულ იმედებში.

XCVIII

„პაწანინა გუნდის" საკვირველი უსაფრთხოება! არცერთი სათნოება არ ანთებს აქ დამაბრმავებელ კოცონს მთის თხემზე, ყველა ცეცხლი სულში და გულში რჩება. არც სხვა გმირობა ხდება, გარდა ნდობის, სიწრფელისა და სიყვარულის, რომლებსაც ახსოვთ და ითმენენ. არიან ადამიანები, რომელთა სათნოებას რაღაც მომენტში გაღებულ-დაკეტილი კარის ხმა გამოხდება ხოლმე. არიან სხვებიც, ვისი სათნოებაც ჰგავს მდუმარე მხევალს, რომელიც არასოდეს გამოდის სახლიდან, ხოლო გარედან შემოსული და შემციცვნული ადამიანები მას მუდამ ყურადღებიანს და მოფუსფუსეს ხედავენ კერიასთან.

იქნებ მშვენიერ ცხოვრებაში ნაკლები ჰეროიკული ნუთი უნდა იყოს და მეტი დარბაისლური, თანაბარი და წმინდა საათი? იქნებ პირდაპირი და ბოლომდე სამართლიანი სული ნაზ და ერთგულ სულზე უფრო ძვირფასია? თუ ასეთი სულის შემთხვევაში ნაკლებად უნდა ველოდეთ სითამამეს ან არსებობის მძაფრ ფათერაკებში გამოვლენილ ენთუზიაზმს, სა-

მაგიერად მეტი რწმენითა და უეჭველობით დაევენ-დობით ორდინარულ სიტუაციებში. და როგორი უცნ-აური, აწეწილი, დიდებულიც არ უნდა იყოს ცხოვრე-ბა მთლიანობაში, რომელი ადამიანის ცხოვრება არ მიმდინარეობს ორდინარულ სიტუაციებში თითქმის თავიდან ბოლომდე? თუ ჩავუფიქრდებით და, გან-საკუთრებით, თუ თვითონვე ვმონანილეობთ მათში, — რომელია ყველაზე კაშკაშა მოვლენების ყველაზე გადამწყვეტი მომენტები? განა არ გვანცვიფრებს, როცა უმნვერვალესი წუთის დიდ ფეიერვერკში თვით უმშვიდესი წუთის ყველა ჩვევასა და რეფლექ-სიასაც ვხედავთ? მუდამ უნდა ვუბრუნდებოდეთ ნორმალურ ცხოვრებას: იქ, სადაც მყარი ნიადაგი და პირველყოფილი კლდეა. სავალდებულო არ არის ყოველდღიურად სიკვდილის, უბედურების, სასო-წარკვეთის საზღვრებამდე მისვლა, მაგრამ ეგების აუცილებელია, რომ ყოველი დღის ყველა სევდიან წუთში შემეძლოს ჩემს თავს ვუთხრა: „სადღაც არსე-ბობს შენს სულთან ახლომდგომი სული — მდუმარე, ერთგული, უგრძნობელი ყოველივე ისეთის მიმართ, რაც ჭეშმარიტებასთან შეუსაბამოდ მიგაჩნია, — სული უცვლელი, შეურყეველი."

რა თქმა უნდა, დიდებულია ხან აქ და ხან იქ ჰეროიკული თუ ერთობ დიდსულოვანი აქტის განხ-ორციელება. მაგრამ კიდევ უფრო საქებარია — და ამას უფრო მუდმივი ძალვა სჭირდება — არასოდეს ვაცდუნებინოთ თავი მდაბალ აზრს და ვეწეოდეთ ნაკლებად გოროზ, თუმცა არანაკლებ საიმედო ცხოვრებას. დე, ჩავდოთ ზოგჯერ ჩვენს მედიტა-ციებში სრულქმნილების ჩვენეული სურვილი ყოველ-დღიური ჭეშმარიტების დონეზე იმის დასანახად, რომ დროდადრო დიდი სიკეთის ქმნა უფრო იოლია, ვიდრე უმცირესი ბოროტების არქმნა, პერიოდული გაღიმება, ვიდრე არასოდეს ტირილი.

XCIX

სენ-სიმონის თქმით, ამ ადამიანებს თავშესაფარი ერთმანეთში ჰქონდათ, უფრო კი — თითოეული მათგანი საკუთარ თავში ატარებდა „თავის მტკიცე კლდეს". და ამ კლდის შეურყეველ ნანილს ზუსტად იმდინვე სივრცე ეჭირა, რაც თითოეულის გულის უმნიკელობას.

„მტკიცე კლდე" ათასი შრისგან შედგება, მაგრამ განა მისი ცენტრალური პლატო ყოველთვის ის არ არის, რაც ჩვენს არსებაში *უმნიკელოდ* მიგვაჩნია? ისიც მართალია, რომ ამ უკანასკნელს ხშირად საკმაოდ უხეში გემოვნება აქვს და რომ არ დაიარება ამქვეყნად ავაზაკი, ყოველ საღამოს ერთი წამით მაინც რომ არ ადიოდეს იმ საბრალო ნაყარნუყარზე, რასაც თვითონ მიიჩნევს „უმნიკელოდ". მაგრამ ამჯერად მე ოდნავ უფრო მაღალ სათნოებაზე ვლაპარაკობ და არა მკაცრად აუცილებელზე. ყველაზე ჩვეულებრივმა ადამიანმაც მშვენივრად იცის, რას წარმოადგენს არაჩვეულებრივი სათნოება. განსაკუთრებით ეს ითქმის ყველაზე მოულოდნელ ზნეობრივ სილამაზეზე: ყველაზე შეზღუდული ადამიანიც კი ვერასოდეს განაცხადებს გულწრფელად — ვერაფერი გავუგეო. ასევე ყველაზე ადვილად ესმით ხოლმე მავანის ყველაზე დიდბუნებოვანი საქციელიც. ალბათ, აუცილებელი არ არის იმ საგნის სიმაღლეზე დგომა, რომელსაც აღტაცებაში მოვყავართ, — აუცილებელი ისაა, რომ არასოდეს ჩაგვეძინოს იმაში, რაც ნამდვილად გასაკიცხია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ბრძენთა თავშესაფარს. ცხოვრებაში მრავალ ბედნიერებას და უბედურებას შემთხვევითობა განსაზღვრავს, მაგრამ ჩვენი შინაგანი მშვიდობა არასოდეს არ არის დამოკიდებული შემთხვევაზე. ვიცი, რომ არსებობენ მშენებელი

სულები, არსებობენ მნგრეველები და კიდევ ისეთებიც, ცხოვრებას სხვათა ჭერქვეშ, თავშესაფრიდან თავშესაფრამდე წანწალში რომ ატარებენ. მაგრამ თუ იოლი არ არის სულის ინსტინქტის გარდაქმნა, მაშინ უპრიანი იქნება, რომ იმათ, ვინც არ აშენებს, ქვების ქვებზე დაწყობის სიხარული მაინც გაიგონ. აზრები, კავშირები, სიყვარულები, რწმენები, განხიბვლები, თვით ეჭვები — მშენებლობისთვის ყველაფერი გამოდგება. იმით კი, რასაც ქარიშხალი მოანგრევს და ძირს ჩამოყრის, სჯობს მოშორებით უფრო მოკრძალებული და ცხოვრების მოთხოვნებთან უკეთ მისადაგებული ნაგებობა აიგოს.

რომელ სევდას, რომელ სინანულს, რომელ განხიბვლას ძალუძს შეურყიოს სახლი იმას, ვისაც არ გადაუყრია ის ყველაფერი, რაც ამ სევდაში, სინანულში თუ განხიბვლაში ბრძნული და მდგრადია? და, გარდა ამისა, განა უმართებულო იქნებოდა გვეთქვა, რომ შინაგანი ბედნიერების ფესვები დიდი ხის ფესვებს ჰგავს? ქარიშხლით გატანჯული მუხები ხშირად ყველაზე ძალუმ და ყველაზე მკვებავ ფესვებს იდგამენ მარადიულ ნიადაგში. და ბედისწერამაც, უსამართლოდ რომ გვანჯღრევს და გვეჯაჯგურება, ისევე არ უწყის, რა ხდება ჩვენს სულში, როგორც ქარიშხალმა არ იცის არაფერი მიწის ქვეშ მიმდინარე ამბებზე.

C

საინტერესო იქნებოდა, აქ ჭეშმარიტი ბედნიერების ძალა და იდუმალი მშვენიერება მოგვეხელთებინა. როცა „პანანინა გუნდის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი გაივლის ხოლმე სასახლის კარის ბედნიერ და ტრიუმფალურ ბრბოში, რომელსაც თავისი ინტრიგებით, რევერანსებით, პაწია სიყვარ-

ულებით თუ პაწია გამარჯვებებით ვერსალის მარმარილოს კიბეები და დიდებული აპარტამენტები გადაუჭედავს, მაშინ სენ-სიმონის ხმაურიან თხრობაში რაღაცნაირი მდუმარება შემოდის. რაიმე საგანგებო აღნიშვნის გარეშე, დგება მომენტი, როდესაც თითქოს მშვიდი და ძლიერი სულის სიმაღლიდან ვზომავთ ყველა ამ მჭლე პატივმოყვარეობას, ყველა ამ თავადურ, თუმცა ხანმოკლე დაკმაყოფილებას, ამ ვითომცდა თამამად მეტყველ, თუმცა ნყვდიადში მოცახცახე სიცრუეებს. თითქოს აკრძალულ თამაშებში, რომლის დროსაც ბავშვები ყვავილებს გლეჯენ ან თელავენ, ხილის მოსაპარად ემზადებიან, ჩუმად აწვალებენ უწყინარ ცხოველს, — თითქოს სნორედ იმ დროს და იმ ადგილას მღვდელი ან მოხუცი კაცი ჩაივლის, თუმცა აზრადაც არ მოსდის მათი დატუქსვა. თამაში უცებ ნყდება, ჩაძინებული შეგნება იღვიძებს და უხერხულ-შეცბუნებული მზერები უნებლიეთ მიაჩერდებიან დავინყებულ მოვალეობას, რეალობას, ჭეშმარიტებას.

მაგრამ, როგორც ნესი, უფროსები ბავშვებზე მეტ ხანს არ აყოვნებენ მზერას იმ მოხუცზე, მღვდელზე თუ, საერთოდ, რეფლექსიაზე, რომელმაც მათ ჩაუარა და სადაცაა თვალს მიეფარება. არა უშავს — მათ ის უკვე *დაინახეს*. ადამიანის სული ხომ, თავისთავად, იმდენად კეთილშობილია, რომ როგორც არ უნდა დახუჭონ თვალები, საითკენაც არ უნდა მიაბრუნონ მზერა, კაცთა უმეტესობას იგი არ სურს, რაკი სიმშვიდეს ურღვევს. სული კი მაინც ადვილად ამჩნევს ყველაფერს, რაც აღემატება იმ უსარგებლო წამს, რომლითაც მის დაინტერესებას ცდილობენ. ამაოდ ავჩურჩულდით ბრძენის ზურგსუკან, ბრძენის, რომელიც უკვე თვალთახედვიდან გვეკარგება: — ისე, რომ თვითონაც არ უნყოდა, ცდომილებათა და ამაოებათა ჯუნგლში მან ისეთი ხნული გაავლო,

რომელიც უფრო ნელა წაიშლება, ვიდრე შეიძლება გვეგონოს. მერე კი ამწვანდება, განსაკუთრებით — მოულოდნელ ცრემლიან წამში. სხვებზე ოდნავ უფრო სუფთა, ოდნავ უფრო ცოცხალი სული სენსიმონის ნაამბობში საკმაოდ იშვიათად ტირის. თუ იტირებდა და — მხოლოდ ერთ-ერთი იმათგანის გვერდით, რომელსაც ასე ჩავლილს ნახავდა იმ ოდნავ დაძაბულ დუმილსა და თითქმის არაკეთილმოსურნე განცვიფრებაში, უმნიკვლო ადამიანის ნაბიჯებს რომ თანსდევს ხოლმე ამ ნუთისოფელში.

არასოდეს ვუსვამთ საკუთარ თავს შეკითხვებს ბედნიერების შესახებ იმ დღეებში, როცა თავს ბედნიერად ვგრძნობთ. მაგრამ, აი, დაჰკრავს ტკივილის წამი და ჩვენ იოლად ვიხსენებთ ადგილს, სადაც იმალება სულის მშვიდობა, რომელიც არც მზის სხივზეა დამოკიდებული, არც უარყოფილ კოცნაზე და არც მეფისგან მიღებულ საყვედურზე. ამ დროს არ ვაკითხავთ იმათ, რომლებიც იმნაირადვე არიან ბედნიერნი დღეს, როგორც ჩვენ ვიყავით გუშინ, — ბოლოს და ბოლოს, ვიცით, რა დარჩება ამ ბედნიერებისგან მას შემდეგ, რაც შემთხვევა მცირეოდენ მოუთმენლობას გამოიჩენს. თუ გსურთ, გაიგოთ, სად იმალება ყველაზე სარწმუნო ბედნიერება, თვალმოუშორებლად უყურეთ ნუგეშმონყურებულ საბრალოთა დემარშებს. მწუხარება ჰგავს ჯადოსნურ ჯოხს, რომელსაც უწინდელ დროში საგანძურის ან მიწისქვეშა წყლების მაძიებლები იყენებდნენ — მწუხარეს იგი იმ საბინადროს შესასვლელს უჩვენებს, სადაც ულრმესი მშვიდობა სუნთქავს. და ეს იმდენად მართალია, რომ ხანდახან საკუთარ თავსაც უნდა ვკითხოთ: შეგვიძლია თუ არა ბოლომდე ვენდოთ ჩვენი სიმშვიდის ხარისხს, ჩვენს აუღელვებლობას, ჩვენი სინრფელის თანახმიერებას ყოფიერების დიად კანონებთან, ჩვენი სიხარულის

მდგრადობას, ვინძლო გულმწუხარეთა ინსტინქტმა არ აიძულოს ისინი კარზე მოგვიკაკუნონ, რაკი, როგორც ჩანს, ვერ ცნობენ მარადუქრობელი ლამპის მშვენიერ, მდგრად და უშფოთველ სხივს — ამ კარის ზღურბლზე ჩაძინებულს.

დიახ, მხოლოდ იმათ აქვთ უფლება, თავი სამშვიდობოზე იგულვონ, ვისთანაც ყველა მტირალი ისურვებდა სატირლად მისვლას. ასე რომ, მთელ დედამინაზე არსებობენ ადამიანები, რომელთა შინაგან ღიმილს მხოლოდ იმ მომენტიდან ვამჩნევთ, როცა ცრემლები ჩვენს მზერას თავიანთ უიდუმალეს სათავემდე ჩარეცხავენ და გვასწავლიან, თუ როგორ შევნიშნოთ ჩვენს გვერდით მყოფი ბედნიერება, შობილი არა რომელიმე ცალკეული ნუთის ბრწყინვიდან თუ კეთილმოსურნეობიდან, არამედ თვით ცხოვრების უფრო გაფართოებული მიღებიდან. აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეში, შეგრძნებებს სურვილი და აუცილებლობა გვიმახვილებს. დამშეული ფუტკარი თაფლს ყველაზე ღრმა გამოქვაბულშიც პოულობს. გულამოსკვნით მტირალი სული ამჩნევს სიხარულს, რომელიც განმარტოებაში ან ყველაზე უფრო შეუღწევ მდუმარებაში შეყუჟულა.

CI

როგორც კი ადამიანში ცნობიერება იღვიძებს და მოძრაობაში მოდის, ბედისწერაც იწყება. ლაპარაკია არა სულთა უმრავლესობის გამოფიტულ და პასიურ ცნობიერებაზე, არამედ აქტიურზე, რომელიც იღებს მოვლენას, როგორიც არ უნდა იყოს ის, როგორც დედოფალი მიიღებდა ძღვენს თუნდაც ციხეში ჩამწყვდევის შემდეგ. თუ თქვენს ცხოვრებაში არაფერი ხდება, თქვენს ცნობიერებას მაინც ძალუძს შექმნას დიდი მოვლენა და, ასე თუ ისე, დააფიქსიროს

რამენაირი ხდომილების არარსებობა. მაგრამ, ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც იმაზე მეტი რამ არ ხვდებოდეს ცხოვრების გზაზე, ვიდრე თვით ყველაზე ხარბ და ყველაზე დაუღალავ ცნობიერებას სჭირდება.

ამნუთას თვალწინ მიდგას ბიოგრაფია ერთ-ერთი ისეთი ძალუმი და მგზნებარე სულისა, რომლის გვერდით თითქოსდა ფერმკრთალდება კაცთა ბედნიერების თუ უბედურების განმსაზღვრელი ყველა ფათერაკი და ამბავი. ლაპარაკია ამ საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებ, ყველაზე უჩვეულო და უდავო გენიალობით დაჯილდოებულ ქალზე, ემილი ბრონტეზე. მან ერთადერთი წიგნი დაგვიტოვა: რომანი "Wuthering Heights". ეს უცნაური სახელი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ქარიშხლიანი მწვერვალები".

ემილი იყო ქალიშვილი ინგლისელი კლერიკალის, ღირსი პატრიკ ბრონტესი — ყველაზე უფრო ცარიელი, ხეშეში, პრეტენზიული, ეგოისტი არსების, როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. ეს ადამიანი ცხოვრებაში ორად ორ რამეს ანიჭებდა მნიშვნელობას: თავისი ბერძნული პროფილის სიწმინდეს და თავისი მომნელებელი სისტემის უსაფრთხო მუშაობას. რაც შეეხება ემილის საბრალო დედას, მან, როგორც ჩანს, თავისი ცხოვრება ქმრის პროფილით აღფრთოვანებასა და მათი საერთო-ცოლქმრული მომნელებელი სისტემის პატივისცემაში გაატარა. თუმცა რისთვისღა გავიხსენოთ მისი არსებობა, თუკი ეს ქალი ემილის დაბადებიდან ორიოდე წლის შემდეგ გარდაიცვალა? მიუხედავად ამისა, ერთსაც დავამატებთ: ალბათ, ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უფერულ ადამიანთა ცხოვრებაში ქალი თითქმის ყოველთვის აღემატება კაცს, რომელთანაც მას თანაცხოვრებამ მოუნია. პატივმოყვარე და ვეგეტატიურ ქმარს დაქვემდებარებ-

ული ცოლის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ აღმოაჩინეს მთელი დასტა წერილებისა, რომლებშიც ეს მარადჩაკლული ქალი სავსებით საღად განსჯიდა თავისი ქმრის გულგრილობას, ფუქსავატობას და ეგოიზმს. მართალია, სხვების ნაკლოვანებათა შემჩნევა არ გულისხმობს, რომ ჩვენ თვითონ ამ ხარვეზებისგან თავისუფალნი ვართ, მაგრამ, აი, სათნოების აღმოჩენა კი, ალბათ, მაინც მოითხოვს სათნოების მარცვლის ტარებას საკუთარ თავში. ასეთები იყვნენ ემილის მშობლები. ერთი ძმა და ოთხი და ემილისთან ერთად შეჰყურებდა ერთსახოვანი საათების ტაატით სვლას. მთელი ოჯახის და, მასთან ერთად, ემილის არსებობამაც იორკშირის ბუჩქნარებში მდებარე პატარა, ბნელ, ეულ, უნუგეშო და უნაყოფო სოფელ ჰავორთში ჩაიარა.

არავის ჰქონია უფრო მიგდებული, ნაღვლიანი, მონოტონური ბავშვობა და ახალგაზრდობა, ვიდრე ემილის და მის ოთხ დას. არ გადახდენიათ ერთი პატარა ბედნიერი ან რამდენადმე მოულოდნელი თავგადასავალიც კი, რომელიც — მომდევნო ნლებით კიდევ უფრო გაზრდილ-გამშვენიერებული — ცხოვრების მომღიმარი მოგონების ერთადერთ ამოუნურავ საუნჯედ იქცეოდა. პირველიდან უკანასკნელ დღემდე განუხრელად მეორდებოდა ერთი და იგივე: ადგომა, სახლის საქმეები, გაკვეთილები, მუშაობა მოხუცი მამიდას გვერდით, ერთობლივი საუზმე-სადილი, ხელიხელჩაკიდებული და თითქმის ყოველთვის მდუმარე სეირნობა აყვავებულ ან თოვლით დაფარულ ბუჩქნარში. შინ სხვა არაფერი ელოდათ, მამის სრული განურჩევლობის გარდა, მამის, რომელსაც თითქმის ვერასოდეს ხედავდნენ, რომელიც საჭმელს თავის ოთახში მიირთმევდა და მხოლოდ საღამოობით ჩამოდიოდა ქვემოთ, რათა საერთო სალონში ხმამაღლა ეკითხა ინგლისის სა-

პარლამენტო დებატების გულისგამანვრილებელი ანგარიშები. სახლს კი, ამასობაში, ყოველი მხრიდან სასაფლაოს სიჩუმე ერტყმოდა და ჩრდილოეთის სასტიკი ქარი ზამთრიდან გაზაფხულამდე ნეწავდა ბუჩქების ამარა დარჩენილ ხრიოკ ველ-ბორცვებს.

ცხოვრებისეულმა შემთხვევითობამ (არ არსებობს ცხოვრება შემთხვევის განსაზღვრული ძალისხმევის გარეშე) ემილი სამჯერ თუ ოთხჯერ მონყვიტა ამ უდაბნოს, რომელიც მან შეიყვარა და — ყველა იმათსავით, ვისაც მეტისმეტად დიდხანს უცხოვრია ერთსა და იმავე ადგილას — მიიჩნია ერთადერთ გარემოდ, სადაც ცა, მინა, მცენარეები რეალური და საუცხოო იყო. მაგრამ რამდენიმე კვირის არყოფნის შემდეგ ემილი ნაღვლიანდებოდა, მგზნებარე თვალები ებინდებოდა, რის გამოც რომელიმე დას უნდა ეზრუნა და სასწრაფოდ დაებრუნებინა პასტორის განმარტოებულ სახლში.

1843 წელს ოცდახუთი წლის ემილი სამუდამოდ დაბრუნდა შინ. არანაირი ამბავი, არავითარი ღიმილი, სიყვარულის არავითარი იმედი მთელი თავისი არსებობის მანძილზე! ბოლოს კი — ეს საბოლოო დაბრუნება მშობლების სახლში. რომელიმე უბედურების, რომელიმე გულნაკლულობის მოგონებაც კი არ შემოუნახავს, — ისეთი, რომელიც ძალზე სუსტ ან ძალზე მცირედმომთხოვნ სულებს აფიქრებინებს, რომ პასიური ბედნიერება იმით, რაც თავის თავს ანგრევს, უკვე სათნოების აქტია, რომ უმოქმედობა ცრემლებში უკვე ამ უმოქმედობის პატიებაა და რომ მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც გასაკეთებელი იყო, რაკი თავიანთი ტანჯვიდან ყველა შესაძლებელი სევდა და ყველა რეზინაცია გამონურეს.

ემილის უნარსულო, უმოგონებო თუ ურეზინაციო სულის გლუვი და ქალწულებრივი კედლები კი არაფერს ებმის და არაფერს უკავშირდება. არაფერი

უსწრებდა წინ ამ საბოლოო დაბრუნებას, არაფერი მოჰყოლია შემდეგაც, ძმის მომვლელად ქცეული დის საბრალო და ნაღვლიანი ამბების გარდა, ძმის — ამ თითქმის შეშლილი, გამოუსწორებელი ლოთისა და ოპიუმისტის — რომლის სიცოცხლე სიზარმაცემ და დიდმა უიღბლო სიყვარულმა იმსხვერპლა. მერე კი, დეკემბრის ერთ ნაშუადღევს, როცა დაბადებიდან ოცდამეცხრე წელი უახლოვდებოდა, პატარა კლერიკალის ცარცით შეთეთრებულ მოსაცდელ ოთახში ემილი თავის გრძელ შავ თმას ბუხართან ივარცხნიდა და სავარცხელი ცეცხლში ჩაუვარდა. მის ამოსაღებად ქალს ძალა არ ეყო და სიცოცხლეზე კიდევ უფრო უხმაურო სიკვდილმაც ბედის მიერ მისთვის დატოვებული ორი დის სუსტ მკლავებში მოუსწრო.

CII

„ბედისწერის დიად მუხლებზე მდგომი, მე ვერ ვხედავ შენს არსებობაში ვერც სიყვარულის ნიშანს, ვერც დიდების ნაპერწკალს, ვერც მომღიმარ წუთს!“ — შესძახებს უძირო სევდით შეპყრობილი მის მერი რობინსონი ემილის ცხოვრების გადმოცემისას. მართლაც, თუ გარედან შევხედავთ, ვერსად ვიპოვით ამ ცხოვრებაზე უფრო პირქუშ, უფერულ, ამაო და გაყინულ არსებობას.

მაგრამ რომელი მხრიდან უნდა შევხედოთ ადამიანის ცხოვრებას, რათა ვიპოვოთ მისი ჭეშმარიტება, ვიმსჯელოთ მასზე, გავამართლოთ და გვიყვარდეს? თუ ერთი წამით მოვაშორებთ მზერას უშენ ადგილზე განცალკევებით მცხოვრებ პატარა კლერიკალს, მერე კი ამ მზერას ჩვენი გმირი ქალის — ემილის სულს მივაპყრობთ, უკვე სხვა სურათს დავინახავთ. იშვიათად თუ მოიხელთება სულის ცხოვრება იმ სხ-

ეულში, რომელსაც არაფერი გადახდენია. უფრო ხშირად იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ სულის პირადი ცხოვრება ვერ წარიმართება კვირის თუ წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენებისგან სრულებით დამოუკიდებლად. ემილის ნიგნში — ვნებების, სურვილების, რეალიზაციების, განაზრებების და მისი სულის იდეალის, მისი ნამდვილი ისტორიის ამ პანორამაში — უფრო მეტი ენერგია, მეტი ვნება, მეტი თავგადასავალი, მეტი მხურვალება და მეტი სიყვარულია, ვიდრე რიგრიგობით აღებულ ოც გმირულ ცხოვრებას, ოც ბედნიერ თუ უბედურ ბედისწერას დასჭირდებოდა.

მისი საბინადროს ზღურბლზე არასოდეს არაფერი მომხდარა. მაგრამ არ არსებობს მოვლენა, რომელიც შეუდარებელი ძალით, სილამაზით, სიზუსტითა და მოცულობით არ მომსდარიყოს *მის გულში*. თითქოს არასოდეს არაფერი გადახდენია... მაგრამ განა უფრო პირადულად და უფრო რეალურად არ შეემთხვა ყველაფერი, ვიდრე ადამიანთა დიდ უმრავლესობას, რაკი ყოველივე, რაც ემილის ირგვლივ ხდებოდა, რასაც ამჩნევდა და რაც ესმოდა — აზრებად, გრძნობებად, დამთმენ სიყვარულად, აღფრთოვანებად თუ თაყვანისცემად ექცეოდა?

რა ბედენაა, ესა თუ ის ამბავი ჩვენ გადაგვხდება თუ ჩვენს მეზობელს? ღრუბლიდან ჩამოსული წყალი იმისია, ვინც მას დააგროვებს, ხოლო ბედნიერება, სილამაზე, სასარგებლო მოუსვენრობა თუ სულის მშვიდობა — იმისი, ვინც აზროვნების უნარი გამოიმუშავა. ემილის არასოდეს სნვევია სიყვარული, ერთხელაც კი არ გაუგონია მიჯნურის საოცარი ნაბიჯების ხმა და, მიუხედავად ამისა, ქალმა, რომელიც ქალწულად გარდაიცვალა ოცდახრა წლის ასაკში, იცოდა, რა იყო სიყვარული, გველაპარაკა მასზე, გაუგონარ საიდუმლოებებში შეაღწია იქა-

მდე, რომ ისინი, ვისაც ყველაზე ძლიერად ჰყვარებია, ხანდახან საკუთარ თავს ეკითხებიან — ნეტავ ჩვენს გრძნობას რაღა დავარქვათო? ამ ქალისგან ხომ ისეთი სიყვარულის სიტყვები, აღმაფრენები თუ საიდუმლოები ესმით, რომლის გვერდით ყველაფერი მქრქალი და შემთხვევითი ჩანს.

სად მოისმინა, თუ არა თავისივე გულში, ქალის ბაგიდან გადმოსული ეს შეუდარებელი სიტყვები, ქალის, რომელიც თავის ძიძას ესაუბრება იმ ადამიანის შესახებ, ვისაც ყველა დევნის, ვინც ყველას ეზიზღება და ვისაც მხოლოდ იგი აღმერთებს?

„ჩემი დიდი უსიამოვნებები ამქვეყნად სწორედ ეს უსიამოვნებები იყო: ყველას იმთავითვე ჩავუკვირდი, ყველა იმთავითვე ვიგრძენი. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი აზრი *ის* არის. ყველაფერი რომ დაღუპულიყო და მხოლოდ *ის* გადარჩენილიყო, მე არსებობას გავაგრძელებდი. მაგრამ თუ ყველაფერი დარჩებოდა და *ის* განადგურდებოდა, სამყარო ჩემთვის ერთ ვეებერთელა უცნობად იქცეოდა, რომელთანაც მე საერთო აღარაფერი მექნებოდა. ჩემი სიყვარული იმ სხვის მიმართ, ვის შესახებაც შენ საუბრობ, ტყის ფოთლებივითაა: დრო მას ისევე გადაასხვაფერებს, როგორც ზამთარი — ხეებს. აი, *მის* მიმართ კი ჩემი სიყვარული ისეთივეა, როგორც მარადიული და მინისქვეშა კლდეები: ისინი ხილულ კმაყოფილებას ბევრს ვერაფერს იძლევიან, მაგრამ გარდაუვლად საჭირონი არიან. მე თვითონ *ის* ვარ. *ის* მუდამ, მუდამ ჩემს ფიქრშია, ოღონდ არა როგორც სიამოვნება, — მე თვითონაც ხომ ყოველთვის არ ვარ სიამოვნება საკუთარი თავისთვის. მე *ის* იმიტომ კი არ მიყვარს, რომ ლამაზი მეჩვენება, არამედ იმიტომ, რომ *ის უფროა „მე", ვიდრე მთელი ჩემი არსება*, და რა მატერიისგანაც არ უნდა იყოს შექმნილი ჩვენი სულები, მისი და ჩემი სული *ერთი და იგივე სულია...*"

ემილი სიყვარულის გარეგან რეალობებს ისეთი უმანკოებით უტრიალებს, რომ ამან შეიძლება ღიმილი მოგვგვაროს. მაგრამ საიდან შეიტყო ეს *შინაგანი რეალობები*, რომლებიც ეხება ყველაფერ იმას, რაც სიყვარულში ყველაზე უფრო ღრმა, ყველაზე ალოგიკური, ყველაზე გაუთვალისწინებელი, ყველაზე დაუჯერებელი და ყველაზე მარადიულად მართალია? ვგონებ, მთელი ოცდაათი წელი უნდა გაგვეტარებინა უმხურვალეს კოცნათა ბორკილებში, რათა გაგვეგო ის, რაც ემილიმ იცის; რათა გაგვებედა და ასეთი უტყუარობით, ასეთი უცდომელი სიზუსტით გვეჩვენებინა ბედისწერით ერთმანეთისთვის შობილი ორი ადამიანის ტანჯვის მომტანი სინაზის და ბედნიერების მომტანი სისასტიკის, სიკვდილის მხმობელი ნეტარების და სიცოცხლესთან მიმბმელი მწუხარების, სურვილით გათანგული უკუგდების და უკუგდებით მთვრალი სურვილის, სიძულვილით აღსავსე სიყვარულის და სიყვარულის სასწორზე მოქანავე სიძულვილის ყველაზე უფრო ნინააღმდეგობრივი მოძრაობები...

CIII

არადა, ჩვენთვის ემილის შესაბრალისი ცხოვრების ყველა მომენტი ცნობილია და ვიცით, რომ მას არავინ ჰყვარებია და არც იგი ჰყვარებია არავის. მაშ, ნუთუ სიმართლეა ის, რომ ადამიანის არსებობის უკანასკნელი სიტყვა ის სიტყვაა, რომელსაც ბედისწერა ჩვენი გულის უიდუმალეს კუნჭულს ჩაუჩურჩულებს? რომ არსებობს შინაგანი ცხოვრება — ისეთივე ნამდვილი, რეალურად დაცდილი და ფილიგრანული, როგორც ხილული არსებობაა? რომ შეგვიძლია ფეხმოუცვლელად ვიცხოვროთ ერთ ადგილზე, გვიყვარდეს, გვძულდეს ისე, რომ არც უკუვაგდოთ ვინმე და

არც ველოდოთ? რომ სული ყველაფერს ჰყოფნის და რომ გარკვეულ სიმაღლეზე მუდამ ის იღებს გადაწყვეტილებებს? რომ გარემოებები მხოლოდ იმათთვის არის ნაღვლიანი ან უნაყოფო, ვისაც ჯერ არ გაუღვიძია?

განა ის ყველაფერი, რასაც დავეძებთ, — სიყვარული, ბედნიერება, სილამაზე, ფათერაკები, — თავისით არ მოვიდა ემილის გულთან პაემანზე? არცერთ დღეს არ მოუტანია მისთვის ისეთი სიხარული, ემოცია, ღიმილი, რომელსაც თვალით დაინახავდა ან ხელით შეეხებოდა. და მაინც: ემილიმ სრული ბედისწერით იცხოვრა, არაფერს სძინებია მასში, — იქ, გულში, მუდამ სინათლე, უტყვი მხიარულება, რწმენა, ცნობისწადილი, აღტაცება და სასოება ედგა.

ის ბედნიერი იყო, ამაში ეჭვს ველარ შევიტანთ. თუ გულს გადაგვიშლიდა, უთუოდ იმავე უკვდავ მონაგარს დავინახავდით, როგორსაც გვაჩვენებდნენ ადამიანთა შორის საუკეთესონი, ამქვეყნად ყველაზე მრავალფეროვანი, ყველაზე ხანგრძლივი, ყველაზე ცოცხალი და ყველაზე სრული ბედნიერება რომ იგემეს. თუ არასოდეს ჰქონია ის ყველაფერი, რაც სიყვარულში, მწუხარებაში, შიშში, ვნებაში, სიხარულში ხდება, — ის ხომ მაინც ჰქონდა, რაც ადამიანური ემოციებისგან რჩება მას შემდეგ, რაც ეს ემოციები ჩაივლის. ვინ დაეუფლება, საბოლოო ჯამში, საწადელს: ბრმა, რომელიც ზღაპრულ სასახლეში ცხოვრობს, მაგრამ ვერაფერს ხედავს, თუ ის, ვინც ამ სასახლეში ერთხელ შევიდა, ოღონდ — გახელილი თვალებით?

„ცხოვრება, არა ცხოვრება“ — სიტყვები ნუ დაგვაბნევს! სავსებით შესაძლებელია ცხოვრება აზროვნების გარეშე, მაგრამ შეუძლებელია აზროვნება ცხოვრების გარეშე. მოვლენის ბედნიერი თუ უბედური არსი იმ იდეაშია, რომელსაც ადამიანები ამ

მოვლენისგან იღებენ. ძლიერთათვის — იმ იდეაში, რომელსაც თვითონვე ანიჭებენ, სუსტთათვის — იმაში, რასაც ანიჭებენ სხვები. თქვენი საფლავი-საკენ მსვლელს, შესაძლოა, გზად ათასი ხდომილება შემოგხვდეთ, მაგრამ ვერცერთმა ვერ ჰპოვოს თქვენში ის ძალა, რომელიც თითოეულ ხდომილებას ზნეობრივ მოვლენად გადასაქცევად სჭირდება. ალბათ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ეთქმის ადამიანს — ამქვეყნად არ მიცხოვრიაო.

CIV

ასევე დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ემილის და, საერთოდ, ყველა ადამიანის ინტიმური ბედნიერება ზედმინევნით არის წარმოდგენილი მის ზნეობაში და ქვეყნიერების მისეულ ხედვაში. აი, ის მოღიავებული ადგილი შემთხვევათა ტყეში, მუდამ ცხოვრების ბოლოს რომ უნდა გაიზომოს ჩვენი ბედნიერების მასშტაბის დასადგენად. და ვინღა გადმოღვრიდა ყოველდღიური გულგატეხილობის, შფოთვის და წუხილის პაწია ცრემლებს, — რომლებიც მხოლოდ იმიტომ არის სევდისმომგვრელი, რომ გადახალისების ნაცვლად, მზერას ამღვრევენ, — ვინღა გადმოღვრიდა ამ ცრემლებს გაგებისა და დამშვიდების იმ მწვერვალებზე, სადამდეც ემილი ბრონტეს სული ამაღლდა?

და მაშინ ისიც გასაგებია, რომ ეს ქალი ისე არ ტირის, როგორც ქალთა უმრავლესობა, თავიანთ ცხოვრებას პატარა დამსხვრეული სიხარულებიდან პატარა დამსხვრეულ სიხარულებამდე ნანწალში რომ ატარებენ. დამსხვრეული სიხარული მხოლოდ მაშინ გვაბეჩავებს, როცა მას ხმელი ფიჩხივით ვატარებთ ზურგზე, როგორც შეშისმჭრელი, რომელსაც ზურგზე ნამოკიდებული ტვირთი ვერა და ვერ ჩამოუხსნია.

მაგრამ ფიჩხი იმისთვის არ არის, რომ სულ მხრებზე გვედოს, მას ცეცხლი უნდა შევუნთოთ და ავაგიზ-გიზოთ. ემილის სულში ავარდნილი ცეცხლის დანახვისას, ხმელი ფიჩხის სევდა-ნაღველზე ჩვენ იმაზე მეტხანს აღარ ვფიქრობთ, რამდენსაც თვით ემილი ფიქრობს. არ არსებობს დაუსრულებელი უბედურება, არ არსებობს მოურჩენელი ნაღველი იმ ადამიანისთვის, ვინც — თუნდაც სხვებივით გატანჯულ-დამწუხრებული — სევდისა და უბედურების წიაღში ბუნების დიადი და ერთადერთი რეალური ჟესტის მიდევნას სწავლობს.

„ბრძენი ადამიანი არასოდეს არ იტყვის, მთელი არსებით ვიტანჯებიო, რადგან ის თავის ცხოვრებას ფლობს და მაღლამფრენი ფრინველის თვალით დაჰყურებს, — ნერდა ერთი ჩინებული და ტანჯვაგამოვლილი ქალი, — და თუ დღეს მაინც იტანჯება, ესე იგი, ამ ადამიანს მზერა თავისი სულის დაუმთავრებელი კუნჭულისაკენ მიუმართავს.“

სიყვარულის, სიკეთისა და ერთგულების გვერდით, ემილი ჩვენს თვალნინ ამოძრავებს ბოროტებას, სიძულვილს, ყველაზე ბასრ შურისგებას და ყველაზე გამჭრიახ მზაკვრობას, ამოძრავებს და პატიებაც კი არ სჭირდება, რადგან პატიება ჯერ კიდევ ნახევრად გაგებას ნიშნავს. ის უყურებს, ის იღებს, მას უყვარს. იღებს და უყვარს ორივე — სიკეთეცა და ბოროტებაც, რადგან, ყოველივეს შემდეგ, ბოროტება ხომ შეცდომაში შესული სიკეთეა. ემილი გვასწავლის (არა მორალისტის თვითნებური ფორმულებით, არამედ ისე, როგორც ნლები და ადამიანები გვასწავლიან ჭეშმარიტებებს, რომელთა მიღების უფლებაც ჩვენ უკვე მოპოვებული გვაქვს) ბოროტების საბოლოო უძლურებას ცხოვრების წინაშე, ყოველივეს დაცხრობა-დამშვიდებას ბუნებასა და სიკვდილში, „რომელიც სხვა არაფერია, თუ არა

სიცოცხლის გამარჯვება მის ერთ-ერთ კონკრეტულ ფორმაზე"; გვიჩვენებს ძალითა და ნიჭით აღსავსე თვით ყველაზე მარჯვე სიცრუის უსარგებლობას ყველაზე სუსტი და უმეცარი ჭეშმარიტების წინაშე; გვიჩვენებს ხელმოცარვას სიძულვილისა, რომელიც, თავისდაუნებურად, ბედნიერებას და სიყვარულს თესავს იმ მომავალში, რომლის განადგურებასაც თვითონვე აპირებდა. შეიძლება ემილი პირველია, ვინც მემკვიდრეობის დიდ კანონზე გვესაუბრება და ასე გვასნავლის შემწყნარებლობას. რომანის ბოლოს, როდესაც იგი სოფლის სასაფლაოზე თავისი გმირების სამუდამო განსასვენებელს მიაკითხავს, იქ კი ჯალათების და ნამებულების საფლავებს ერთნაირად აბიბინებულს ხედავს, ემილის უკვირს: როგორ შეეძლო წარმოედგინა მავანს, რომ ავი ზმანება ამ განურჩეველ და მშვიდ მინაში მძინარეთაც შეაწუხებდაო?..

CV

მშვენივრად ვიცი, რომ მე გენიალურ ადამიანზე ვლაპარაკობ, მაგრამ ასეთი ადამიანები მხოლოდ იმას შვრებიან, რომ უფრო ნათლად გვიჩვენებენ, რა შეიძლება მომხდარიყო და რა ხდება ყველა ადამიანში. თუ არადა, მაშინ საქმე გვაქვს არა გენიალობასთან, არამედ ექსცენტრულობასთან ან სიგიჟესთან. რაც უფრო შორს მივდივართ, მით უკეთ ვხედავთ, რომ გენიალობა საკუთრივ არაჩვეულებრივში არ მდგომარეობს და რომ ნამდვილი უპირატესობა იმ ელემენტებისგან შედგება, რომლებიც ყველას ყოველდღიურად ეძლევა. ისე კი, ამწუთას ლიტერატურაზე არ ვსაუბრობთ. ემილის ლიტერატურა კი არ ანუგეშებს, არამედ თავისი შინაგანი ცხოვრება. ხომ არსებობს ბრწყინვალე ლიტერატურა, რომელშიც ზნეო-

ბრივი აქტივობის ნატამალიც არსად ჩანს. ემილი გაჩუმდებოდა, არასოდეს აილებდა ხელში კალამს, რომ არა ეს ძალმოსილება, ეს სიცოცხლისუნარიანობა, ეს სიყვარული, ეს სიუხვე, ეს შინაგანი ღიმილი იმ არსებისა, რომელსაც სახეზე ეტყობა, რომ იცის, საით გაუწევია, ეს გავრცობილ-გაფართოებული უეჭველობა სულისა, რომელმაც იცის, როგორ მოიპოვოს მშვიდობა მწვერვალებზე წუთისოფლის დიდ გაურკვევლობებთან და უსიამოვნებებთან ერთად. გაჩუმდებოდა და ჩვენც მას ვერ შევამჩნევდით, მორჩა და გათავდა.

ეს მოკრძალებული ცხოვრება არაერთ რამეს გვასწავლის. ეგაა, მაგალითს ვერ მისცემს რეზინაციისკენ მიდრეკილ სულებს (შეცდებოდნენ, თუ ასე იფიქრებდნენ). ემილის ცხოვრება თითქოს მთლიანად მოლოდინში გადის, არადა, ყველას არა აქვს ლოდინის უფლება. ემილი ქალიშვილად გარდაიცვალა ოცდაცხრა წლის ასაკში. ამაოდ. განა ის არ არის ყველა ადამიანის უპირველესი მოვალეობა, რომ თავის ბედს ყველაფერი აგემოს, რაც კი ადამიანურმა ბედისნერამ შეიძლება დასცადოს? ჯობს ისევ ქმნილება იყოს დაუმთავრებელი, ვიდრე ცხოვრება — არასრული. ცუდი არ არის ამაო ან უსარგებლო სიამოვნებათა იგნორირება, მაგრამ მინიერი ბედნიერების ძირითადი შანსების თითქმის ნებაყოფლობითი უარყოფაც არაბრძნულია. მწუხარე სულს კეთილშობილური სინანულებით საზრდოობა არ ეკრძალება. ხოლო საკუთარი ყოფიერების სევდის რამდენადმე გაფართოებული ხედვა — ეს უკვე ფრთების მოსინჯვაა ნყვდიადში, ფრთების, რომლებიც დაგვეხმარებიან, რომ ერთ დღესაც ამ სევდის თავზემოთ ვილივლივოთ.

ეგებ ემილის ცხოვრებას ძალისხმევა აკლდა? ყოველგვარი ვნება, გაბედულება, თვითმყოფადობა

მას სულში ჰქონდა. ცხოვრება კი სავსე იყო მორიდებულობით, დუმილით, უმოქმედობით, შეზღუდვებით, თავშეკავებით და ცრურწმენებით, რომლებიც ემილის ფიქრში ეზიზღებოდა. ასეთია, ძალზე ხშირად, მეტისმეტად გულჩათხრობილ სულთა ამბავი. ერთობ ძნელია მსჯელობა ადამიანის ცხოვრებაზე, როგორც ასეთზე, განსაკუთრებით — ემილი ბრონტეს შემთხვევაში. ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო იმ ერთგულებაზე, რომლითაც მან თავისი საუკეთესო წლები უბედურ და უღირს ძმას შესწირა. აქ მხოლოდ ძალზე ზოგადად თუ ვილაპარაკებთ. მაგრამ რაოდენ გრძელია და რაოდენ ვიწრო თითქმის ყველა ადამიანისთვის ის გზა, რომელიც თითოეულის სულს მისივე ცხოვრებასთან აკავშირებს! ამ გზაზე, სიმამაცესთან, სამართლიანობასთან, პატიოსნებასთან და სიყვარულთან დაკავშირებული ჩვენი ფიქრები მუხაზე გამოსხმული რკოებივით არიან: ათასობით რკო ცვივა და მიწაში ლპება, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, ერთი ხე აღმოცენდება. აი, რას ამბობს ჩემ მიერ ახლახან ნახსენები ქალი მეორე ქალის შესახებ:

„მას მშვენიერი სული ჰქონდა, მშვენიერი გონება, მგრძნობიარე გული, მაგრამ ეს ყველაფერი ცხოვრებაში მხოლოდ მისივე შეზღუდული ბუნება-ხასიათის ღრიჭოდან შემოდიოდა. თითქმის ყოველთვის ვამჩნევ შორსმჭვრეტელობის ანალოგიურ ნაკლებობას, განსაკუთრებით — ასეთ გონსმოუსვლელობას. როცა ადამიანს სურს თავისი ცხოვრება გვიჩვენოს, იმით იწყებს, თუ როგორ ხედავს, როგორ ესმის, როგორ გრძნობს, და ამ დროს ჩვენც სულის კეთილშობილებას ვუყურებთ. შემდეგ მას თავის ყოფიერებაში შევყავართ, ჩამოგვითვლის საკუთარ მოქმედებებს, სევდა-საწუხარს, სიხარულებს და ამ ყველაფერში იმის ნატამალიც აღარ ჩანს, რაც მის პრინციპებში და იდეებში მოჩანდა. მოქმედების დაწყებისთანავე

შემოდის ინსტინქტები, ხასიათი თავისას შვრება და სულიც — ადამიანის უზენაესი ნაწილი — თითქოს იმ პრინცესასავით ქრება, რომელსაც ურჩევნია ჭუ-ჭყიან სილატაკეში იცხოვროს, ვიდრე ხელის კანი გაიუხეშოს ყოველდღიური საქმეების კეთებით.“

CVI

ეჰა, რომ ვერაფერი გაგვიკეთებია, თუკი ხელის კანი არ გაგვმაგრებია! თუკი ვერ გვისწავლია, როგორ გვექცია ჩვენი აზრების ოქრო-ვერცხლი იმ გასაღებად, რომელიც ჩვენი სიზმრების სპილოსძვლის კარს კი არ აღებს, არამედ ჩვენი სახლის კარს! გვექცია იმ თასად, რომელშიც მხოლოდ ჩვენი ოცნებების სასწაულებრივი წყალი კი არ გროვდება, არამედ ჩვენს სახურავზე დაღვრილი სრულებით რეალური წყალიც! გვექცია სასწორად, რომელიც აღარ კმაყოფილდება მხოლოდ ბუნდოვანი ანონვით იმისა, რის გაკეთებასაც მომავალში ვაპირებთ, არამედ ზუსტად გვიჩვენებს იმის წონას, რაც დღეს მოვიმოქმედეთ. ყველაზე მაღალი იდეალიც მხოლოდ დროებით მიზნად იქცევა, თუ ჩვენი სხეულის ყველა კუნჭულში არ შესულა, თუ ჯერ, ასე ვთქვათ, თითების ნვერებამდე არ გავუყღენთივართ. ზოგი ადამიანისთვის ჭკუაში ჩავარდნა მხოლოდ აზროვნების გაზრდით გამოიხატება. სხვებს ხასიათში ემატებათ რაღაც. ზოგი გამჭრიახია მხოლოდ სხვებთან მიმართებაში, მხოლოდ მაშინ, როცა მოქმედების საკითხი არ დგას. სხვებს კი თვალები სნორედ იმ დროს ენთებათ, როცა საქმე რეალობაში შესვლაზე, ანუ მოქმედებაზე მიდგება. გეგონებათ, არსებობს, ერთის მხრივ, *ინტელექტუალური ცნობიერება*, რომელიც მარადიულად ზის ან ნევს უძრავად მდგარ ტახტზე და *ნებელობას* მხოლოდ ორგული ან ზოზინა ელჩების მეშვე-

ობით უკავშირდება, და, მეორეს მხრივ, *ზნეობრივი ცნობიერება*, რომელიც მუდამ ფეხზე დგას და მუდამ მზად არის მისასვლელ-მოსასვლელად. თუმცა მეორე, როგორც ჩანს, დამოკიდებულია პირველზე და ეგებ ამ პირველმაც, ხანგრძლივი წოლით დაღლილმა და ყველაფერ იმის გამგებმა, რის გაგებასაც ტახტიდან წამოუდგომლად შეძლებდა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტოს და წამოდგეს, უმოქმედობის კიბეებს ჩამოუყვეს და ცხოვრებაში შემოაბიჯოს. ყველაფერი რიგზეა, თუ მეტისმეტად არ დაუგვიანდება, თუ კიდურებმა არ უღალატეს და მოძრაობაზე უარი არ უთხრეს.

ვინ გვეტყვის: ხომ არ აჯობებდა ზოგჯერ საკუთარი აზრის წინააღმდეგ წავსულიყავით, ვიდრე საერთოდ ვერასოდეს გვემოქმედა ჩვენი აზრების მიხედვით? აქტიური ცდომილება იშვიათად თუა უსაშველო: საგნები და ადამიანები სწრაფად მობილიზდებიან მის გამოსასწორებლად. მაგრამ რა ვუყოთ პასიურ ცდომილებას, რომელიც რეალობასთან კონტაქტს გაურბის? თუმცა ამ ყველაფრით იმას არ ვამბობთ, რომ ჩვენი ინტელექტუალური ცნობიერება უნდა „გავაზომიეროთ" და მოვერიდოთ მის მეტისმეტ კვებას ჩვენივე ზნეობრივი ცნობიერების მოლოდინში. ნუ შეგვეშინდება ერთობ მეფური იდეალის ქონა, ვაითუ ცხოვრებას ვერ შეეგუოსო. სიყვარულის ან სამართლიანობის უმცირესი აქტის განსახორციელებლად კეთილის ნების მთელი მდინარეა საჭირო. ჩვენი იდეებიც ათგზის უნდა ჭარბობდეს ჩვენსავე ქცევას, რათა ეს ქცევა, უბრალოდ, კეთილსინდისიერი მაინც იყოს. მხოლოდ სიკეთის უზარმაზარი სურვილი აგვარიდებს მცირედ ბოროტებას. ამქვეყნად არაფერი ისე უზომოდ არ ზარალდება, როგორც იდეა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოდის. ამიტომაც უნდა ვი-

ყოთ ჰეროიკულნი ჩვენს აზრებში, რათა მისაღებნი ან უწყინარნი მაინც აღმოვჩნდეთ ჩვენს რეალურ მოქმედებებში.

CVII

უკანასკნელად მივუახლოვდეთ ბნელ ბედისწერებს. ისინი გვასწავლიან, რომ თვით დიდ ფიზიკურ უბედურებათა ნიაღშიც კი არაფერია უსაშველო და რომ ბედისწერაზე ჩივილი სხვა არაფერია, თუ არა ჩივილი საკუთარი სულის უსუსურობაზე.

რომაელთა მატიანე გვიამბობს, როგორ დამარცხდა იმპერატორ ვესპასიანეს წინააღმდეგ ამბოხებული გოლუაზელი სენატორი, იულიუს საბინუსი. მას სულ ადვილად შეეძლო გაქცეულიყო, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, თან ვერ იახლებდა თავის ახალგაზრდა ცოლს, ეპონინს, მარტო წასვლა კი გულმა არ დაანება. თითქოს შევიწროებისა და უბედურების დღეებში ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, ცნობს სიცოცხლის ჭეშმარიტ და შეუდარებელ ფასს. ამრიგად, სენატორმა ცხოვრებაზე ხელი არ აიღო. მას ჰქონდა ვილა, რომლის ვეებერთელა მიწისქვეშა სათავსოების არსებობა მხოლოდ თვითონ და კიდევ ორმა გათავისუფლებულმა მონამ იცოდა. სენატორმა ვილა გადანვა. გავრცელდა ხმები, რომ საბინუსმა თავი მოიწამლა, რის შემდეგაც მისი სხეული ხანძარმა შთანთქა. ამ ხმებმა თვით ეპონინიც კი შეაცდინაო, — გვიამბობს პლუტარქე, რომლის ნაამბობი მოგვიანებით ისტორიკოსმა დეზ ანტონინმა, ჩამპანის გრაფმა შეავსო. როცა ერთ-ერთმა გათავისუფლებულმა მონამ ეპონინს ქმრის თვითმკვლელობა შეატყობინა, ქალი მიწას განერთხა და სამი დღეღამე ასე გაატარა მშიერ-მწყურვალმა. ეს ამბავი რომ შეიტყო, საბინუსს ცოლი შეებრალა და შეატყო-

ბინა, ცოცხალი ვარო. ქალმა კეთილგონივრულად განაგრძო გლოვა და საჯაროდ ტირილი დღისით, ღამით კი მეუღლეს თავშესაფარში მიაკითხა. შვიდი თვის განმავლობაში ყოველ ღამე ჩადიოდა ქვესკნელში და ქმარს ნახულობდა. მისი გამოყვანაც კი სცადა: თმა-წვერი მოპარსა, თავზე ნაჭრები მოახვია, შენილბა, ტანსაცმლის ყუთში დამალა და ასე გადაიყვანა თავის მშობლიურ ქალაქში. თუმცა შემდეგ ქმრის იქ ყოფნა ძალზე სახიფათო ეჩვენა და უკანვე დააბრუნა მიწისქვეშეთში. ხან სოფელში იყო და ღამეებს მასთან ატარებდა, ხანაც ქალაქში ბრუნდებოდა, დობილებს დაენახვებოდა. ერთხელაც ქალი დაორსულდა, მაგრამ ისეთ მალამოს ისვამდა, რომ თვით საერთო აბანოშიც კი, სადაც ის ტრადიციულად ბანაობდა, ვერცერთმა ქალმა მისი ფეხმძიმობა ვერ შენიშნა. როცა მშობიარობის დრო დაუდგა, მიწისქვეშეთში ჩავიდა, ბუნაგში დანოლილი ძუ ლომივით მარტოდმარტომ იმშობიარა და ქვეყანას ტყუპი ვაჟი შესძინა. თავის რძეს ასმევდა და ასე ზრდიდა. რაც შეეხება მეუღლეს, მას იმ წყვდიადში ცხრა წელიწადი უარა. ბოლოს და ბოლოს, საბინუსი აღმოაჩინეს და რომში ნაიყვანეს. რაღა თქმა უნდა, იგი იმსახურებდა შეწყალებას. ეპონინმა იმპერატორს მიწის ქვეშ გამოზრდილი ტყუპი შვილი უჩვენა და უთხრა: „მე ისინი გავაჩინე და გავზარდე, რათა უფრო ბევრს გვეთხოვა შენი წყალობა“.

იმპერატორის მხლებლები ტირიდნენ, თვითონ ვესპასიანე კი შეუვალი დარჩა. მამაცმა გალელმა ქალმა ქმართან ერთად სიკვდილი ითხოვა:

„მის გვერდით, წყვდიადში, მე ისეთი ბედნიერი ვიყავი, კეისარო, როგორიც შენ არასოდეს ყოფილხარ მზის სინათლეში და შენი იმპერიის ბრნყინვალებაში!“

CVIII

რომელ გულს შეეპარება ეჭვი ამაში? რომელი გული შეყოყმანდება, შეიყვაროს თუ არა ასეთი სიყვარულით გაცისკროვნებული წყვდიადი? თქმა არ უნდა, თავიანთ მინისქვეშეთში მათ შიშისა და დათრგუნვის მრავალი დღე გადაიტანეს. მაგრამ თვით იმათ შორისაც კი, ვინც არსებობას მხოლოდ პანაწკინტელა სიამოვნებებით აფასებს, რომელი არ ამჯობინებდა ასეთ მხურვალე სიყვარულს იმ საფლავისებურ თავშესაფარში, ვიდრე უგერგილო ტრფობას მზის სინათლეში? ეპონინის განსაცვიფრებელი შეძახილი ყველა იმათი შეძახილია, ვინც სიყვარული შეიცნო, ვისმა სულმაც ამ ცხოვრებაში ინტერესი, ცნობისწადილი, სასოება, მოვალეობა იპოვა. ცეცხლი, რომელიც ეპონინს ღამის წყვდიადში ამოძრავებდა, იგივე ცეცხლია, ბრძენს რომ ამოძრავებს ერთფეროვან დღეებში. სიყვარული ჩვენი სულის გაუცნობიერებელი მზეა, მაგრამ ამ მზის ყველაზე წმინდა, ყველაზე თბილი, ყველაზე მდგრადი სხივები განსაცვიფრებლად ჰგავს იმ სხივებს, რომლებსაც სამართლიანობით, სიდიადით, მშვენიერებითა და ჭეშმარიტებით აღტყინებული სული თავის თავში ამრავლებს. განა ბედნიერება, რომელიც ეპონინის გულში აღმოჩნდა, კეთილი ნების ყველა გულში არ შესახლდება? ის, რაც ყველაზე მეტად მანუგეშებელია მის სიყვარულში, ანუ საკუთარი თავის დავიწყება, სინანულების გადაქცევა ღიმილებად, სიამეებზე უარის თქმა გულის მიერ უკვდავყოფილი ბედნიერების სახელით, ინტერესი, რომელსაც ვიჩენთ ყოველი დღის უმკრთალესი ნათების მიმართ, რაკი ეს ნათება გულით სასურველ საგანს ეფინება, დანთქმა იმ სინათლესა და მხიარულებაში, რომლებსაც სურვილისამებრ განვავრცობთ, რაკი საკმარი-

სია, რომ კიდევ უფრო მეტად ვეთაყვანებოდეთ, — ნუთუ ეს ყველაფერი და ათასი ასეთივე ფაქიზი, ასეთივე დასახმარებლად მზადმყოფი ძალა არ მოიპოვება ჩვენი გულის, სულის და აზრის უფრო მგზნებარე ცხოვრებაში? განა ეპონინის სიყვარული ერთგვარი მოულოდნელ-უნებლიე, ამ ცხოვრებისგან დაუმსახურებელი გამონათება არ იყო? სიყვარული ყოველთვის არ აზროვნებს. ხშირად არავითარი რეფლექსია, არავითარი თვითანალიზება არ სჭირდება იმისთვის, რომ დატკბეს ყოველივე საუკეთესოთი, რაც აზრში დევს. თუმცა ის, რაც საუკეთესოა სიყვარულში, თითქმის არსებითად იგივეა, რაც საუკეთესოა აზრში. რაკი უყვარდა, ეპონინი თავისი ტანჯვის მხოლოდ სხივმოსილ სახეს ხედავდა. მაგრამ აზროვნებდე, მედიტაციებს აკეთებდე, საკუთარ ტკივილზე უფრო შორს იყურებოდე და უფრო მხიარულად იქცეოდე, ვიდრე ბედისწერის ამჟამინდელი წესრიგი გკარნახობს, — ეს ხომ ნებაყოფლობითი და მიზანმიმართული კეთებაა იმისა, რასაც ბედნიერი შემთხვევა ანგარიშმიუცემლად აკეთებინებს სიყვარულს? ეპონინის თითოეული ტანჯვა მიწისქვეშეთში თითო ჩირაღდანს ანთებდა. და განა განმარტოებას ნაჩვევი სულიც ასე არ იქცევა? განა ყოველგვარი ნაღველი, რომელიც მას თავის თავში აბრუნებს, იმავდროულად, ნუგეშის დიდ ჩირაღდნებსაც არ ანთებს? და რაკი ჩვენი კეთილშობილი ეპონინის ეპოქა დევნა-შევიწროების ეპოქაა, ნუთუ არ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ასეთი მწუხარება ჰგავს იმ წარმართ ჯალათს, რომელიც — აღტაცების თუ შეწყალების გრძნობით ატანილი — შუა წამების დროს თავისივე მსხვერპლის ფეხებთან იჩოქებს, ნაზად ამხნევებს მას, მასთან ერთად ტანჯვის სურვილს ამჟღავნებს, ბოლოს ეამბორება და ცისკენ მიმავალ გზას ეკითხება?

CIX

ჩვენი გზის ზოგ წერტილში, ზეციური თაღების ქვეშ უხვად მოჩქეფს სიცოცხლის მდინარე. ციხის კედლებშიც კი, თუნდაც იქ მზე ტალღებს არ უნათებს, იგი ისე მილივლივებს, თითქოს დიდებისა და ბედნიერების სასახლის წინ მიედინებოდეს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მისი სიგანე, სიღრმე ან ძალა, — მდინარე ხომ ყველას ეკუთვნის და მარად მიედინება, — არამედ სიწმინდე და ტევადობა იმ თასისა, რომლითაც მდინარიდან სიცოცხლის წყალი ამოგვაქვს. ყველაფერს, რასაც კი ცხოვრებიდან ვისრუტავთ, გარდაუვლად ამ თასის ფორმა ეძლევა, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ჩვენი გრძნობების და აზრების, ანუ ჩვენი შინაგანი ბედისწერის ყალიბზე ჩამოისხა (როგორც გარდასულ დროთა მოქანდაკის ფიალა — ქალღმერთის მკერდის ყალიბზე). ჩვენ საკუთარი ხელით ჩამოსხმული თასი გვიჭირავს, თითქმის ყოველთვის ის თასი, რომელიც შინაგანად გვსურდა რომ გვქონოდა. ხოლო ბედისწერას ვერაფერს შევჩივლებთ, გარდა ერთისა: რატომ არ მოგვცა უფრო დიდი, უფრო სრულყოფილი თასის იდეა ან სურვილი? დიახ, მხოლოდ სურვილი განგვასხვავებს ერთმანეთისგან, მაგრამ ამ უთანასწორობასაც მხოლოდ მაშინ შევიგრძნობთ, როცა ის წაშლა-გაფერმკრთალებას იწყებს. განა იმის შეგნება, რომ ჩვენი სურვილი კიდევ უფრო ლამაზი შეიძლებოდა ყოფილიყო, უკვე მის გამშვენიერებას არ ნიშნავს? განა ეს არ გულისხმობს, რომ ჩვენი ბედისწერა ახლებურად სუნთქავს და, თუნდაც აქედან გამომდინარე, თანდათან ფართოვდება იმ იდეალური და მოქნილი თასის კიდეები, რომლის გავარვარებული ლითონი, საბოლოოდ, მხოლოდ სიკვდილის ხისტ და სუსხიან ჟამს ცივდება?

არაფერი აქვს დასაჩივლი იმას, ვინც უფრო მწვ-ელ და უფრო დიდ გრძნობას ელოდება; ვინც ოდნავ უფრო მეტი ბედნიერების, მეტი სამართლიანობის, მეტი მშვენიერების სურვილს მოელის. აქაც იგივე ითქმის, რაც რჩეულთა ნეტარების შესახებ უთქვამთ: თითოეულ მათგანს საზეიმოდ აცვია, თითოეულს — თავისი შესაფერისი სამოსი. არავის სურს იმაზე მეტი განცხრომა, ვიდრე აქვს: თვით სურვილი უკვე მის ფლობას ნიშნავს. თუ მე კეთილშობილი შურით მშურს იმათი, ვინც ჩემს თასზე უფრო ბრწყინვალე და უფრო მძიმე თასს სიცოცხლის დიდი მდინარის ყველაზე სხივდაფრქვეულ ტალღებში უშვებს, მაშინ, ჩემთვისვე უცოდნელად, მეც მერგება საუკეთესო ნაწილი ყოველივე იმისა, რასაც ისინი მდინარიდან იღებენ, და ჩემი ბაგეც თასის კიდეზე მათ ბაგეთა გვერდით აღმოჩნდება.

CX

რანაირ ადამიანს შეიყვარებდითო, — თუ გახსოვთ, ასე ეკითხებოდნენ ქალს, ვიდრე ამ თემი-დან გადავუხვევდით. იგივე კითხვა შეიძლებოდა დაესვათ ემილი ბრონტესთვის და სხვა ბევრისთ-ვისაც. და ამქვეყნად უამრავი კეთილი ნების სული სიყვარულის საუკეთესო ნლებს იმაში კარგავს, რომ საკუთარ თავს ამ ტიპის კითხვებს უსვამს თავის სენ-ტიმენტალურ მომავალთან დაკავშირებით.

სხვა მხრივ კი, ბედისწერის საუფლოში სწორედ სიყვარულის ირგვლივ შემოკრებილა ადამიანური ჩივილის, სინანულის, უქმი მოლოდინის, ფუჭი შიშების, შეუსაბამო იმედების უდიდესი ნაწილი. ამ ყველაფრის სიღრმეში ბევრი ქედმაღლობა, ბევრი ყალბი პოეზია, ბევრი სიცრუეა. საერთოდ, ყველაზე მეტ გაუგებარ სულს სწორედ იმათ შორის ვპოუ-

ლობთ, ვისაც ყველაზე ნაკლებად უცდია გაეგო საკუთარი თავისთვის. ისე კი, ყველაზე ულონო, ყველაზე გონებაშეზღუდული, ყველაზე დროებითი ის იდეალია, ყველაზე უხვად რომ იკვებება შიშებით, გულგატეხილობებით, მოთხოვნებითა და პატარ-პატარა ზიზღებით. განსაკუთრებით ვშიშობთ, რომ ვერ დააფასებენ და შეურაცხყოფენ იმ სათნოებებს, აზრებს, თვისებებს თუ ზნეობრივ სილამაზეს, რომლებიც ჯერ მხოლოდ წარმოსახვაში გვაქვს. ამ ტიპის ღირებულებებზეც იგივე ითქმის, რაც მატერიალურ სიკეთეებზე: ადამიანური იმედი მათგან, უნინარეს ყოვლისა, ისეთებს ებღაუჭება, რომელთა მოხვეჭის ძალა, ალბათ, არასოდეს ექნება. ის თაღლითიც, გამოსწორებას რომ ფიქრობს, საკმაოდ გაკვირვებულია, რატომ არ მივაგებთ დაუყოვნებლივ და საგანგებო მისაგებელს მის გულში ერთი წამით გაღვიძებულ პატიოსნებას. მაგრამ როდესაც ჩვენ ნამდვილად უანგაროები და წრფელნი ვართ, როდესაც ჩვენი ფიქრები ჩვეულებისამებრ და უბრალოდ მაღლდებიან ამაოებასა თუ ინსტინქტურ ეგოიზმზე, მაშინ გაცილებით ნაკლებად გვაღელვებს — გაგვიგებენ, გაგვამართლებენ, აღფრთოვანდებიან თუ არა ჩვენით გარშემომყოფნი. არასოდეს დაუჩივლია ეპიქტეტს, მარკუს ავრელიუსს ან ანტონიუს ღვთისმოსავს — ადამიანები ვერ მიგებენო. არცერთი მათგანი არ ფიქრობდა, რომ რაღაც არგაგონილს ან მიუნვდომელს ფლობდა. პირიქით: ფიქრობდნენ, რომ იმას, რაც მათ სათნოებაში საუკეთესოა, ყველას შეუძლია ეზიაროს რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. ის, რასაც ვერ ვცნობთ (და არცთუ უმიზეზოდ, რადგან გრძნობის ზოგად უმოქმედობას ყოველთვის აქვს თავისი აღმატებული მიზეზი), ესაა ავადმყოფური სათნოებები, რომლებსაც მეტისმეტ ყურადღებას ვაქცევთ. არადა, ავადმყოფურია

ყველა სათნოება, რომლებსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და რომლებისთვისაც სხვებისგან პატივისმცემელ ყურადღებას მოვითხოვთ. ავადმყოფური სათნოება ხშირად ჯანსაღ მანკიერებაზე უფრო დამღუპველია. ასეა თუ ისე, ამგვარი სათნოება უფრო მეტად შორდება ჭეშმარიტებას. იქ კი, ჭეშმარიტებისგან შორს, არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს. რაც უფრო მაღლდება ჩვენი იდეალი, მით უფრო მრავალი რეალობის არსებობას უშვებს. და ჩვენი სულიც, რაც უფრო იზრდება, მით ნაკლებად შიშობს, ვაითუ ჩემს თარგზე გამოჭრილი ძმობილი-სული ვერ ვიპოვოო. მზარდი სული ხომ ის სულია, რომელიც ჭეშმარიტებას უახლოვდება, ხოლო ჭეშმარიტების სიახლოვეში ყველაფერი მისი სიდიადის თანაზიარი ხდება.

თითქმის ერთნაირად დამაბრმავებელ ციურ სინათლეთა შუაგულში, მესამე სარტყელამდე მისული და ამ უმოძრაობის შემხედვარე დანტე უცებ თავის თავს ჰკითხავს — კიდევ მივდივარ თუ არა ღვთის საუფლოსკენო. შემდეგ ბეატრიჩეს შეხედავს და, რაკი უფრო ლამაზი მოეჩვენება, ამით მიხვდება, რომ მიზანს მიუახლოვდა. და ჩვენც იმით შეგვიძლია დავითვალოთ ჭეშმარიტების გზაზე გადადგმული ნაბიჯები, რომ უფროდაუფრო გვეზრდება ცნობისწადილი, სიყვარული, პატივისცემა და აღტაცება ყოველივე იმის მიმართ, რაც ცხოვრებაში მოგვყვება.

CXI

როგორც წესი, ადამიანი სახლიდან სიხარულის, მშვენიერების, ჭეშმარიტების, სიყვარულის საძებნელად გამოდის და მხოლოდ მაშინ ბრუნდება სავსებით კმაყოფილი, როდესაც შვილებს შეუძლია უთხრას, სახეირო ვერაფერი ვნახეო. გვარიანი მედიდურობა დევს საკუთარი თავის უკმაყოფილოდ შერაცხვაში

და ადამიანთა დიდი ნაწილიც მხოლოდ იმიტომ ადანაშაულებს ცხოვრებასა და სიყვარულს, რომ, მათი წარმოდგენით, ერთისგანაც და მეორისგანაც უფრო მეტი ეკუთვნით, ვიდრე ეძლევათ. მართალია, სიყვარულს, როგორც ყოველივე დანარჩენს, შეძლებისდაგვარად ამაღლებული იდეალი იდეალი სჭირდება, მაგრამ ყოველგვარი იდეალი, რომელიც არ პასუხობს ადამიანის ძალუმ შინაგან სინამდვილეს, სხვა არაფერია, თუ არა უქმი, უნაყოფო, მონური სიცრუე. ორი-სამი მიუწვდომელი იდეალი სრულებით საკმარისია ადამიანის ცხოვრების დასადამბლავებლად. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სულის სიმაღლე მისივე მისწრაფებების თუ ოცნებების სიმაღლით იზომება. სუსტებს, ძირითადად, უფრო ლამაზი და უფრო მრავალრიცხოვანი ოცნებები აქვთ, ვიდრე ძლიერებს, რადგან მთელი მათი ენერგია, მთელი მათი აქტივობა მათივე სურვილ-ოცნებებში ორთქლდება. ჩვენი ზნეობრივი სიმაღლე ჩვენი თანმდევი ოცნების სიმაღლით მხოლოდ იმდენად თუ განისაზღვრება, რამდენადაც ეს ოცნება უკვე ნლობით ფესვგამჯდარი, ღრმად დაცდილი და ღრმად ადამიანური ცხოვრების და ნებელობის ანარეკლია. ამ შემთხვევაში, დასაშვებია მისი წამიერი ჩარჭობა მზითა და გარეგანი რეალობებით დატბორილ ველზე. ასე ჩაარჭობენ ხოლმე ჯოხს სამრეკლოსთან, რომლის სიმაღლეც ამ ჯოხის ჩრდილს უნდა შეუფარდონ, რათა განსაზღვრონ მიმართება დღის კონკრეტულ საათში დაფენილ ჩრდილსა და მარადიულ სამრეკლოს შორის.

CXII

სავსებით ბუნებრივია, როცა კეთილშობილი გული დიდ სიყვარულს ელის. მაგრამ გაცილებით უფრო ბუნებრივია, როცა მას უყვარს თვით ამ

მოლოდინში და, ვიდრე უყვარს, არ ფიქრობს, რომ ელის. სიყვარულშიც ისევე, როგორც ცხოვრებაში, თითქმის სრულებით უსარგებლოა ლოდინი. სიყვარულს თვით სიყვარულის დროს ვსნავლობთ და — ყველაზე უბრალოდ და ყველაზე დანამდვილებით — სწორედ პატარა სიყვარულების ეგრეთწოდებული განხიბვლებით გამოვკვებავთ დიდი სიყვარულის ურყევ ცეცხლს, მთელი დარჩენილი ცხოვრების გასაცისკროვნებლად რომ გვეწვევა.

ხშირად უსამართლონი ვართ განხიბვლების მიმართ: ფერწასულებად, გულდაწყვეტილებად, მხნეობადაკარგულებად გვესახება. არადა, პირიქით, სწორედ განხიბვლაა ჭეშმარიტების პირველი გაღიმება. თქვენ კეთილი ნების კაცი ხართ, გსურთ იყოთ სამართლიანი, სარგებლობის მომტანი, ბრძენი და ბედნიერი... მაგრამ, აი, გეწვიათ განხიბვლა და დაგაღონათ. ნუთუ თქვენ ნანობთ სიცრუეს, რომელშიც მანამდე იმყოფებოდით? ნუთუ ამჯობინებთ, რომ ცდომილებების და ოცნებების სამყაროში იცხოვროთ და არა რეალობაში? საუკეთესო ნების საუკეთესო საათები ძალზე ხშირად იკარგება ლამაზი ოცნების ბრძოლაში გარდაუვალი კანონის წინააღმდეგ, კანონის, რომლის მშვენიერებას მაშინღა ვამჩნევთ, როდესაც ლამაზ ოცნებას ძალები დაშრეტილი აქვს. ვთქვათ, სიყვარულმა გიმტყუნათ. მაგრამ ნუთუ ნამდვილად წაგადგებოდათ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე სიყვარული ისეთ რამედ მიგეჩნიათ, რაც ის, სინამდვილეში, არ არის და არც შეიძლება იყოს? ნუთუ გჯერათ, რომ ასეთი ილუზია არ ამახინჯებს თქვენს უმნიშვნელოვანეს ქმედებებს და ხანგრძლივად არ ფარავს ნაწილს იმ ჭეშმარიტებისა, რომლის მიღწევაც გსურთ? და თუ დიდი საქმეების კეთება გსურდათ და განხიბვლამ მეორეხარისხოვან საგნებში დაგაბრუნათ, ნუთუ ამიტომ თქვენი დარ-

ჩენილი სიცოცხლე სულ ჭეშმარიტების ამ შიკრიკის წყევლაში უნდა გაატაროთ? საბოლოო ჯამში, ნრფელი რომ ყოფილიყო, განა თქვენი ილუზია სნორედ ჭეშმარიტებას არ მოძებნიდა? ვისნავლოთ, როგორ ვაქციოთ ჩვენი განხიბვლები იდუმალ-ერთგულ მეგობრებად და მოუსყიდველ მრჩევლებად. თუ რომელიმე, სხვებზე უფრო შეუბრალებელი განხიბვლა ერთი წამით დაგვჯაბნის, ქვითინით ნუ ვეტყვით ჩვენს თავს: „ცხოვრება ოცნებასავით მშვენიერი არ ყოფილა". უმჯობესია ასე ვთქვათ: „ჩვენს ოცნებებს რაღაც აკლდა, რაკი ცხოვრებამ არ დაადასტურა". საბოლოოდ, ძლიერ სულთა მიერ ხოტბაშესხმული ძალაც მხოლოდ მათივე მიერ გამოვლილი არა ერთი და ორი განხიბვლიდან იქმნება. ყოველი გულგატეხილობა, ყოველი აუღიარებელი სიყვარული, ყოველი გაქარწყლებული იმედი გარკვეულწილად ზრდის ჩვენი ჭეშმარიტების ნონას. რაც უფრო მეტი ილუზია გვემსხვრევა, მით უფრო კეთილშობილად, უფრო სარწმუნოდ წარმოჩინდება დიდი სინამდვილე, როგორც უფრო ნათლად ჩანს ხოლმე მზე ზამთრის ტყის ფოთოლგაცვენილ ტყეში.

CXIII

თუ თქვენ დიდ სიყვარულს ეძებთ, ნუთუ ფიქრობთ, რომ შესაძლებელია თქვენი ოცნებებივით მშვენიერი სულის პოვნა, თუ მის საძებნელად მხოლოდ ეს ოცნებები წავლენ? რამდენად სამართლიანია მხოლოდ სურვილის, ნდომის, უფორმო ოცნების შეთავაზება და, ამის სანაცვლოდ, ზუსტი სიტყვების და გადამწყვეტი მოქმედებების მოლოდინი? არადა, თითქმის ყველანი ასე ვიქცევით. და თუ შემთხვევა — მეტისმეტად ბედნიერი, რამეთუ უკვე *მოსალოდნელი* — მოგვახვედრებდა ისეთი ადამიანის გვერდით,

რომელმაც ჩვენი იდეალი ზედმინევნით განახორციელა, ნუთუ გვექნებოდა უფლება წარმოგვედგინა, რომ ჩვენი დუნე და ბუნდოვანი მისწრაფებები დიდხანს დარჩებოდნენ თანხმობაში ამ ადამიანის აქტიურ და კარგად გამოკვეთილ სინამდვილესთან?

შანსი არა გვაქვს, ვიპოვოთ ჩვენი იდეალი სადმე ჩვენს გარეთ მანამდე, სანამ, რამდენადაც კი შესაძლებელია, მას *ჩვენშივე* არ განვახორციელებთ. ნუთუ იმედოვნებთ, რომ იცნობთ და შეინარჩუნებთ თქვენს გვერდით წესიერ, ღრმა, მოსიყვარულე, ერთგულ, ამოუწურავ სულს, — დიდბუნებოვანს, სპონტანურს, თვითმყოფადს, მხნეს, კეთილმოსურნესა და სულგრძელს, — თუ არანაკლებ კარგად არ უწყით, რას წარმოადგენს, თავისთავად, ყველა აქ ჩამოთვლილი თვისება? და როგორ გეცოდინებათ, თუ არასოდეს გყვარებიათ ეს ყველაფერი და დიდხანს არ გიცხოვრიათ ამ თვისებათა კალთაში ისევე, როგორც იმ სულმა შეიყვარა და იმ სულმა იცხოვრა?

არაფერია უფრო მრავლისმომთხოვნი, უფრო მოუქნელი, უფრო ბრმა, ვიდრე ჯერ კიდევ *სურვილის* მდგომარეობაში მყოფი სიკეთე, სილამაზე თუ ზნეობრივი სრულყოფილება. თუ იდეალური სულის პოვნა გსურთ, იმით დაინყეთ, რომ ნელ-ნელა თქვენ თვითონ დაემსგავსეთ ნაძებნ იდეალს. მისი მოხვეჭის არავითარი სხვა გზა არ არსებობს. რაც უფრო რეალურად მიუახლოვდებით ამ იდეალს, იმასაც დაინახავთ, რომ, ყოვლად სამართლიანად და საბედნიეროდ, ის თითქმის ყოველთვის განსხვავდება იმისგან, რასაც თქვენი ბუნდოვანი იმედები ელოდნენ. რამდენადაც უფრო მეტად განხორციელდება თქვენი იდეალი რეალურ ცხოვრებასთან კონტაქტში, იმდენად უფრო გაფართოვდება და გაუკეთესდება, უფრო რბილი და უფრო მოქნილი გახდება. და მაშინ

თქვენი სიყვარულის საგანში უმტკივნეულოდ აღ-
მოაჩენთ იმას, რაც ნამდვილად მშვენიერია, მყარად
კარგია და მარადიულად ნამდვილია თვით თქვენში,
რადგან არაფერი არ მიგვანიშნებს ჩვენს გარემომცვ-
ელ სიკეთეზე, თუ არა ის სიკეთე, რომელიც ჩვენსავე
გულშია. დაბოლოს, უფრო ნაკლებ მნიშვნელობას
მიანიჭებთ ხარვეზებს, რომლებიც ამიერიდან ვეღარ
ხელყოფენ თქვენს პატივმოყვარეობას, ეგოიზმს თუ
უმეცრებას, ანუ ნაკლოვანებებს, რომლებიც აღარ
იქნებიან თქვენი შინაგანი ხარვეზების მსგავსნი,
რადგან სწორედაც ჩვენში არსებული ბოროტებისთ-
ვის არის ყველაზე აუტანელი სხვათა ბოროტება.

CXIV

ისევე მივენდოთ სიყვარულს, როგორც ცხოვრე-
ბას. ჩვენ იმისთვის გავჩნდით, რომ ნდობა გვქონდეს
და ამქვეყნად ყველაზე დამღუპველია ის აზრი,
რომელსაც რეალობისადმი უნდობლობისკენ მი-
ვყავართ. სიყვარულისგან დამსხვრეული არაერთი
ცხოვრება მინახავს. მაგრამ თუ სიყვარული არა,
მაშინ იგივე ადამიანთა ცხოვრების ნგრევის მიზეზი
შეიძლებოდა ყოფილიყო მეგობრობა, აპათია,
გაურკვევლობა, ყოყმანი, გულგრილობა, უმოქმ-
ედობა. სიყვარული გულში მხოლოდ მყიფე საგნებს
ამსხვრევს. და თუ ყველაფერს ამსხვრევს, ეს იმი-
ტომ, რომ მთელი გული მყიფე ყოფილა. არ არსე-
ბობს ადამიანი, რომლის ცხოვრებაც, მისივე აზრით,
ერთხელ მაინც არ დამსხვრეულიყოს. მაგრამ მათი
უბედურება, ვისი ცხოვრებაც ნამდვილად გაცამტ-
ვერდა, ამ ამბავს — ვერც კი ვიტყვი — ნანგრევთა
რომელ პატივმოყვარეობას უნდა უმადლოდეს.

სიყვარულშიც, ისევე როგორც მთელ ჩვენს და-
ნარჩენ ბედისწერაში, მრავალი ბედნიერი და უბე-

დური შემთხვევა ხდება. ყოფიერების ასპარეზზე პირველად გასვლისას, შესაძლოა, ენერგიით, სინაზით და კეთილი ადამიანური მისწრაფებებით აღსავსე ადამიანი შეხვდეს სულს, რომელიც თავის პერმანენტულ ბედნიერებაში რეალიზაციას უკეთებს სიყვარულის ყოველგვარ წადილს — უმაღლესს თუ ყველაზე მცირედს, უფართოესს და, იმავდროულად, ყველაზე დელიკატურს, ყველაზე მარადიულსაც და ყველაზე დღემოკლესაც, უძლიერესს და უნაზესს. შეიძლება მოხდეს, რომ ცხოვრებაში ამ ახლადფეხშედგმულმა ადამიანმა მყისიერად იპოვოს გული, რომელსაც მისცემს და რომელიც მიიღებს კიდეც მისგან ყოველივე საუკეთესოს. შესაძლოა მოხდეს, რომ ერთბაშად მიწვდეს დღემუდამ სურვილებით აღსავსე უნიკალურ სულს, სიკვდილამდე რომ იმაზე ათასგზის მეტს მიიღებს, ვიდრე აძლევენ, და გაცემითაც ათასგზის იმაზე მეტს გასცემს, ვიდრე მიიღო. რადგან სიყვარული, რომელიც წლებს უძლებს, ამ დელიკატურად არათანაბარი გაცვლა-გამოცვლით იქმნება. და, საბოლოოდ, აქ ხომ იმას ვფლობთ, რასაც გავცემთ, და რასაც ვიღებთ, იმასაც მხოლოდ ჩვენ არ ვფლობთ.

CXV

არსებობს სრულყოფილად ბედნიერი ბედისწერებიც. მაგრამ თუ, ერთის მხრივ, ყველას აქვს მეტნაკლები უფლება, რომ ასეთი ხვედრი ისურვოს, მეორეს მხრივ, ადამიანი მაინც ტყუილუბრალოდ გამოამწყვდევს თავის ცხოვრებას ამ იმედში. მას სხვა არაფერი ძალუძს, გარდა იმისა, რომ შეემზადოს და ერთ დღესაც ასეთი სიყვარული დაიმსახუროს. შემზადების კვალდაკვალ მისი მოლოდინიც უფროდაუფრო დამთმენი გახდება. ასევე შესაძლე-

ბელი იქნებოდა, რომ სულ ახლახან ნახსენებ ახალ-ბედას მთელი ცხოვრება წინდაუკან ევლო იმ კე-დელთან, რომლის მეორე მხარეს მას მეტისმეტად მდუმარედ ელოდა თავისი ბედნიერება. მაგრამ ნიშ-ნავს თუ არა ეს, რომ კედლის აქეთ მხოლოდ უბე-დურება და უსასოობაა? ესეც ბედნიერება არ არის — გქონდეს უფლება გვერდზე აუარ-ჩაუარო ხოლმე ბედნიერებას? განა უმჯობესი არ იქნება, რომ ჩვენ-სა და ჩვენთვის სასურველ დიდ სიყვარულს შორის ერთგვარი, ასე ვთქვათ, გამჭვირვალე და თუნდაც მყიფე შემთხვევის არსებობა ვიგრძნოთ, ვიდრე სამუდამოდ გამოგვყოს მისგან ყოველივე იმან, რაც ჩვენში არაადამიანური, უსარგებლო და უღირსია? ბედნიერია, ვისაც შეუძლია ყვავილი მოწყვიტოს და ნაიღოს, მაგრამ მაინდამაინც არც იმას დაეჩივლება, ვინც საღამომდე ამ ყვავილის უხილავი ჯამიდან ამოფრქვეულ უნაზეს სურნელში დაიარება. ნუთუ ცხოვრება სრულებით კარგავს ღირებულებას და გამოსადეგობას, თუ იმდენად ბედნიერი არ არის, რამდენადაც კი შეიძლებოდა რომ ყოფილიყო? განა იმ სიყვარულში, ურომლისობასაც თქვენ მისტირიხ-ართ, საუკეთესო ისევ თქვენვე — ამ სიყვარულის მიმტანი — არ იქნებოდით? და თუ, როგორც ზემოთ ითქვა, სულს სხვა არაფერი აქვს, გარდა იმისა, რისი გაცემაც შეუძლია, ეს ხომ უკვე იმას ნიშნავს, რომ მუდამ გაცემის შესაძლებლობას ელოდოს? დიახ, ვფიქრობ, არ არსებობს ამქვეყნად მშვენიერ და ხან-გრძლივ სიყვარულზე უფრო სასურველი ბედნიერე-ბა. მაგრამ თუ ასეთს ვერ პოულობთ, მაშინ ის, რაც თქვენი ღირსებისთვის გაგიკეთებიათ, არც თქვენი გულის მშვიდობისთვის არ არის დაკარგული და არც დარჩენილი სიცოცხლის უფრო მხნე და უფრო წმინ-და სიმშვიდისათვის.

CXVI

სხვა რომ არაფერი, ჩვენ მუდამ შეგვიძლია *გვიყვარდეს*. გატაცებით გიყვარდეთ თქვენის მხრივ და წარმტაცი სიყვარულის ყველა სიხარულს ეზიარებით. თვით ყველაზე სრულქმნილ სიყვარულშიც კი, ორი სავსებით შეხმატკბილებული მიჯნურის ბედნიერებაც არ არის ზუსტად ერთნაირი, — ის უფრო ბედნიერია, ვისაც უკეთესად უყვარს. თქვენი პარტნიორის ბედნიერებაზე მეტად, თვით თქვენივე ბედნიერებისთვის უნდა გახდეთ სიყვარულის ღირსი. ნუ წარმოგიდგენიათ, რომ უთანასწორო სიყვარულის სევდიან ჟამს ის მხარე უფრო მეტად იტანჯება, რომელიც უფრო სამართლიანი, უფრო გონიერი, უფრო სულგრძელი და უფრო კეთილშობილურად გატაცებულია. ვინც ორთა შორის უკეთესია, ის თითქმის არასოდეს იქცევა შესაბრალის მსხვერპლად. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვართ სრული და ნამდვილი მსხვერპლი, როცა საკუთარ შეცდომებს, საკუთარ დანაშაულებს, საკუთარ უსამართლობებს ვემსხვერპლებით. რაოდენ არასრულყოფილიც უნდა იყოთ, თქვენთვის სრულებით საკმარისი იქნება, თუ მშვენიერი ადამიანი გეყვარებათ. აი, მშვენიერ ადამიანს კი, თუ თქვენ მართლაც არასრულყოფილი ხართ, თქვენი სიყვარული არ დააკმაყოფილებს. სასურველია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ილბალმა თქვენს სამყოფელში გულისა და გონების ყველა სიკეთით დაჯილდოებული ქალი შემოიყვანოს, რათა შესაძლებლობა მოგეცეთ მოხვდეთ დიდებით, ბედნიერებითა და სიყვარულით სახელგანთქმული გმირი ქალების მატიანეში და მისით აღფრთოვანდეთ. მაგრამ ვერაფერს დაინახავთ, თუ არასოდეს გისწავლიათ ამ უნარების ცნობა და სიყვარული რეალურ ცხოვრებაში. ხოლო რა არის რეალური ცხოვრება ყოველი მამაკაცისთვის, თუ

არა მისი საკუთარი ყოფიერება? სატრფოს ერთგულებაში თქვენი ერთგულება გაიფურჩქნება, მის ჭეშმარიტებაში თქვენი ჭეშმარიტება დაივანებს და თქვენი ხასიათის ძალაც იმ ძალით გაიხარებს, რომელიც მის ხასიათშია. მაგრამ საყვარელი ადამიანის სათნოებამ, რომელსაც ჩვენი გულის ზღურბლზე არ დახვდა რამდენადმე მაინც მონათესავე მეორე სათნოება, აღარ იცის, ვის ხელებს მიანდოს მხიარულება, რომლებიც მას მოაქვს.

CXVII

როგორიც უნდა იყოს თქვენი სენტიმენტალური ბედისწერა, ნირს ნუ წაიხდენთ! მეტადრე კი, ნუ გეგონებათ, რომ, რაკიღა სიყვარულის ბედნიერება არ გერგოთ, ამიტომ ადამიანური არსებობის დიდ ბედნიერებასაც ვერასოდეს შეიცნობთ. მდინარის ფორმას იღებს, მინისქვეშა ნაკადის თუ კამკამა ტბის — ბედნიერება ისევდაისევ ჩვენი გულის საიდუმლო საცავებიდან ამოედინება და კაცთაგან ყველაზე უბედურსაც კი ძალუძს შეიქმნას წარმოდგენა ბედნიერებათაგან უდიდესის შესახებ.

დიახ, სიყვარულში არის ზარხოში, რომელსაც სიყვარულის არმცოდნე ადამიანი ვერ ეზიარება. მაგრამ ნრფელი და სერიოზული გულის სიღრმეში ეს ზარხოში ოდენ დიდ მელანქოლიას დატოვებს, თუკი ჭეშმარიტ სიყვარულში ვერ აღმოაჩენს რაღაც ისეთს, რაც ყოველგვარ ზარხოშზე უფრო ღრმა, უფრო მდგრადი, უფრო შეურყეველია. ხოლო რაც სიყვარულში უფრო ღრმა, უფრო მდგრადი და უფრო შეურყეველია, არის იგივე, რაც უფრო ღრმა, უფრო მდგრადი და უფრო შეურყეველია საკუთრივ დიდბუნებოვან ცხოვრებაში.

ყველა ადამიანი გმირი ვერ იქნება; ვერ იქნება

ჩინებული, ტრიუმფალური, გენიალური ან თუნდაც ბედნიერი გარეგან საგნებში. მაგრამ ჩვენ შორის ყველაზე ნაკლებად იღბლიანსაც კი შეუძლია იყოს სამართლიანი, ლოიალური, რბილი, მეგობრული, დიდსულოვანი; ყველაზე ნაკლებად ნიჭიერიც შეიძლება შეეჩვიოს იმას, რომ ირგვლივ არა ავისმოსურნე, არა შურიანი, არა ღვარძლიანი ან არა უსაზმნოდ დამწუხრებული მზერით იყუროს; ყველაზე უპოვარ ადამიანსაც კი ძალუძს რაღაცნაირი ჩუმი მონაწილეობა მიიღოს გარშემომყოფთა სიხარულში, და ეს ყოველთვის ყველაზე მცირე სიკეთე არ არის; ყველაზე გაუნაფავმაც შეიძლება იცოდეს, სადამდე აპატიოს შეურაცხყოფა, სადამდე მიუტევოს ცდომილება, სადამდე შეიძლება აღფრთოვანდეს ადამიანური სიტყვით ან მოქმედებით. იმასაც, ვინც ყველაზე ნაკლებად უყვართ, შეუძლია უყვარდეს და პატივს ცემდეს სიყვარულს. ამგვარად, ისიც იმავე წყაროსკენ იხრება, რომლის დასანაფებლად ბედნიერი ადამიანები მოდიან. იმაზე უფრო ხშირად აყურადებს ბედნიერების მხურვალე საათებს, — აბა, ნამდვილად ბედნიერია თუ არა ეს ჟამიო, — ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს. სიყვარულის ნეტარებათა სიღრმეში, ისევე როგორც მოკრძალებულ არსებობაში გულმართალი კაცისა, რომელსაც ბედმა მაინცდამაინც არ გაუღიმა, ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს და გადაადგილდეს, სამართლიანობის, ნდობის, კეთილმოსურნეობის, გულითადობისა და სულგრძელობის გარდა. ამ მანათობელ მწვერვალებს სიყვარული რამდენადმე უფრო ძალუმად აცისკროვნებს და ეს უკანასკნელიც სწორედ ამიტომ უნდა ვეძებოთ. მისი უდიდესი უპირატესობა ისაა, რომ თვალს გვიხელს ზოგიერთ მშვიდ და სათუთ ჭეშმარიტებაზე; რომ შესაძლებლობას გვაძლევს გვიყვარდეს და აღტაცებულნი ვიყოთ

ერთადერთ საგანში იმით, რასაც არ და ვერ შევიყვარებდით ათას სხვადასხვა საგანში; რომ სამომავლოდ გულს გვიფართოვებს. მაგრამ თვით ყველაზე სასწაულებრივ სიყვარულსაც კი საფუძვლად უდევს სრულიად მარტივი ნეტარება, სავსებით გასაგები სინაზე და თაყვანისცემა, სრულებით მისაწვდომი ნდობა, იმედიანობა და სიწრფელე, ღრმად ადამიანური აღტაცება და სილაღე, ანუ ის ყველაფერი, რაც ბედუკულმართ კეთილ ნებასაც შეიძლებოდა ჰქონოდა თავის დანაღვლიანებულ ცხოვრებაში, თუ ოდნავ ნაკლები ნაღველი და ოდნავ მეტი მოთმინება, მეტი ინიციატივა, მეტი ენერგია აღმოაჩნდებოდა.

შენიშვნები

[1] ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე (1767–1794).

[2] რომის იმპერატორი (138–161 წწ.), რომლის მეფობის პერიოდი გამოირჩეოდა სიმშვიდით, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობით.

[3] „ილიადას“ კომიკური პერსონაჟი, სიუშნოვისა და სიმხდალის განსახიერება.

[4] იგულისხმება *აგამემნონი* და *მენელაოსი*, მეფე ატრეოსის შვილები.

[5] ესქილეს ტრილოგია — „აგამემნონი“, „შოფორები“ და „ევმენიდები“ — მისი შემოქმედების მწვერვალი. მოცემულ შემთხვევაში, მეტერლინკი გულისხმობს დატრიალებულ ტრაგედიათა მწკრივს.

[6] კაედორი — შოტლანდიის ოლქი; თენი — ტიტული (გრაფზე რამდენადმე უფრო დაბალი), ამ შემთხვევაში — მაკბეტი.

[7] ფრანგი პრელატი (1651–1715).

[8] შექსპირის „ჰამლეტის“ პერსონაჟები.

[9] *ფრედერკ აქსელ დე ფერსენი*, შვედი გრაფი (1719–1794).

[10] ჟირონდისტები, პოლიტიკური დაჯგუფება საფრანგეთის რევოლუციის დროს.

[11] *პიერ ვიქტურნიენ ვერნიო*, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე (1753–1793).

[12] სახლი პარიზში, რომელშიც 1792-95 წლებში იკრიბებოდა საგანგებო ასამბლეა.

[13] *იოზეფ ჟუბერტი*, ფრანგი მორალისტი (1754–1824).

[14] *არისტიდე* (II საუკუნე ჩვ.წ.აღ.) — ქრისტიანული რელიგიის პირველი აპოლოგიის ავტორი.

[15] *პაულიუს-ემილიანე*, რომაელი გენერალი (გარდ. 216 წ.).

[16] ბერძენი პოლიტიკური მოღვაწე (410–337 წწ. ძვ.წ.აღ.).

[17] ამ შემთხვევაში: მაკედონიის უკანასკნელი მეფე (212-165 ძვ.წ.აღ.).

[18] *კატონ მცირე*, კატონ უფროსის შვილთაშვილი, რომაელი პოლიტიკოსი (93–46 ძვ.წ.აღ.).

[19] ინგლისელი ისტორიკოსი, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი (1795–1881).

[20] ფრანგი მწერალი (1823-1892).

[21] შოტლანდიის მეფე, მოკლული მაკბეტის მიერ. იმეფა 1034-40 წლებში.

[22] იგულისხმება 1897 წლის 4 მაისს პარიზის საქველმოქმედო ბაზრობაზე მომხდარი ხანძარი.

[23] ფრანგი ფილოსოფოსი (1854-1888), ავტორი წიგნისა „მომაველის რელიგიურობა".

[24] *ტიტუს ფლავიუს საბინუს ვესპასიანუს*, რომის იმპერატორი (79-81), ვესპასიანეს ვაჟიშვილი, განთქმული თავისი ლმობიერი ბუნებით.

[25] „ჯვრის ხუანი", ანუ *ხუან დე იეპესი*, ესპანელი მისტიკოსი (1542-1591).

[26] *მორის ბარესი*, ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე (1862-1923).

დათო აკრიანის სხვა თარგმანები:

შარლ ბოდლერი:	„ბოროტების ყვავილები“
მორის მეტერლინკი:	„ფუტკრების ცხოვრება“
	„განძი თვინიერთა“
რომენ როლანი:	„რამაკრიშნას ცხოვრება“
მარი მეტრაიე:	„ლიმილი მტვერი“
კლოდ დელარუ:	„დიდი ადამიანი“
	„სპილოების ტრიუმფი“
	„მოზაიკა“
გიორგი ჩიჩერინი:	„მოცარტი“
იოსიფ ბროდსკი:	„ქორის ძახილი შემოდგომით“ (ორენოვანი)
ლიდია ობუხოვა:	„ლილიტ“
ჯორჯ ორუელი:	„1984“
რიჩარდ ბახი:	„თოლია სახელად ჯონათან ლივინგსტონი“

„ეს ჩემგან იყო“ (რელიგიურ-ფილოსოფიური ესეები, რელიგიური პოეზია)

ქართული პოეზია ინგლისურად (ორენოვანი)

„დაბადება“ (დ.ა. — პროზა, პოეზია, ფოტოფერნერა)